დიმიტრი ჭონაშვილი

ალექსანდრე კაზაკეშვილი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1978

8Г2
899.962.1.092 (ყაზბეგი ალ.)
ბ 481

წიგნში ნაჩვენებია ქართული კლასიკური რომანის ბრწყინვალე წარმომადგენლის ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება, რომელმაც შეგნებულად აქცია ზურგი პრივილეგირებული არისტოკრატიის მაღალ წოდებას და უბრალო მთიელი ხალხის ცხოვრება გაიხადა მხატვრული შემოქმედების შთამაგონებელ წყაროდ.

წიგნის მომდევნო თავებში განხილულია ყაზბეგის დრამატურგია, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ფსიქოლოგიური და ესთეტიკური მხარე.

70202 — 062
Б 601 (08) 78 157—78

წინასიტყვაობა

ოდესღაც ეკერმანთან საუბარში გოეთე საკუთარი მტრების მიმართ ამბობდა: „რიცხვი მათი ლეგიონია; ჯერ მინდა ისინი დავასახელო, რომლებიც თავიანთი სისულელის გამო გადამკიდებიან. მათ ჩემი არ გაეგებათ, არ მიცნობენ და ისე მაძაგებენ. ასეთები მრავალნი არიან და ამგვარებმა თავი მომაბეზრეს ჩემი ცხოვრების მანძილზე. მე მათ მივუტევებ, რამეთუ არ უწყიან, რასა იქმნიან. მეორე, საკმაოდ დიდი მასა ადამიანებისა ჩემთა მეშურნეთაგან შედგება. ამ ადამიანებს არ უნდათ ის ბედნიერება და მდგომარეობა მაპატიონ, რომელიც ჩემი ტალანტის ძალით მოვიხვეჭე. ისინი ჩემ სახელს ეპოტინებიან და სიამოვნებით გამანადგურებდნენ, ეს რომ შეეძლოთ. ამის შემდეგ მინდა ვახსენო ისინიც, რომლებიც ჩემი მტრები იმიტომ გამხდარან, რომ საკუთარი მიზნებისათვის ვერ მიუღწევიათ. მათ შორის ნიჭიერებიც არიან; ამ უკანასკნელთ ვერ უპატიებიათ ჩემთვის, რომ მე დავჩრდილე ისინი. მეოთხედ — მე მინდა დავასახელო ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მტრად შომკიდებიან, ვინაიდან მე ადამიანი ვარ და... მრავალი ადამიანური სიმცდარე და სისუსტე მახლავს; ამიტომ ცხადია, ვერც ჩემი ნაწერები იქნებოდენ უზადონი.

მე სერიოზულად ვმუშაობდი თვითდასრულებისათვის, დაუცხრომლად მივიღწვოდი ჩემი პიროვნების სრულყოფისათვის, და ხანდისხან ისიც ხდებოდა, რომ ისინი ისეთი ზადისათვის მაძაგებდნენ, რაც მე უკვე დიდი ხნის წინათ ჩამოცილებული მქონდა. ამ კეთილ მეგობრებს გაცილებით ნაკლები ზიანი მოუყენებიათ ჩემთვის. ხანდისხან ისინი მახვილს მაშინ მესროდენ ხოლმე, როდესაც მე უკვე ცხრა მთას გადაღმა ვიყავი“.

ვაიმარელი ბრძენის ეს სიტყვები თამამად შეეძლო გაემეორებინა ალექსანდრე ყაზბეგს. ლიტერატურის ისტორიაში რომელიმე შემოქმედს იშვიათად განუცდია იმდენი დამცირება და შევიწროება მტრებისაგან, რამდენიც ალექსანდრე ყაზბეგმა გამოსცადა; მაგრამ ვერც უმართებულო გალაშქრებამ და ვერც ფილისტერების მიერ შეთხზულმა ჭორებმა ვერ გასტეხეს დიდებული მთიელის ნებისყოფა. ყაზბეგი დაუშრეტელი ენერგიით ქმნიდა უბრწყინვალეს რომანებს და საკუთარ ბედს მკითხველსა და მომავალს ანდობდა განსასჯელად. „მე მყავს ჩემი საზოგადოება და ჩვენ მივხვდით ერთმანეთის გულის ძგერას; ჩვენ გავიგონეთ ერთმანეთის გულის კვნესა და ხმები დიდი ხანია, რაც შევაწყეთ: ერთი გვაქვს სიხარული და ერთიც სამგლოვიარო. ჩვენ ხმა მიუცემელი ვერ დავრჩებით. მე მყავს ჩემი მკითხველი და რა ბუნდადაც არ უნდა იყოს დაწერილი ჩემი მოთხრობები, იმათ მაინც ესმით მგოდებელი გულის გმინვა და ცრემლს არ იშურებენ მის დასატირად. როდესაც ეს მხურვალე ურთიერთობა საზოგადოებასა და ჩემისთანა განდეგილს, საერთო საგრძნობის სიმხურვალით ერთმანეთს შეაერთებენ, ამ კავშირს ნუ ეხუმრებით, ბატონო მეუნარგია! მისი გაწყვეტა ეგრე ადვილი არ არის... მე შემთხვევით არ გამოვსულვარ ლიტერატურის ასპარეზზე, დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე ჩვენს ლიტერატურას შეეხება სერიოზული კრიტიკა და აუცილებლად ჩემი თხზულებანიც შიგ მოჰყვება“.

წინამდებარე წიგნი გამოძახილია ალექსანდრე ყაზბეგის უკანასკნელი სიტყვებისა. ჩვენ ვცადეთ ქართული კლასიკური რომანის ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენლის მთლიანი სახის ჩვენება; თუ რამდენად შეძლო წიგნის ავტორმა ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა, ჩვენ მის განსჯაში არ შევდივართ, იგი საზოგადოებრივი აზრის საქმეა. წიგნის მსაჯული მკითხველია.

ავტორი

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება

„მთელი ჩემი სიცოცხლე ერთი შეუწყვეტელი ბრძოლა იყო: ბრძოლა მძიმე, საშინელი და სასტიკი. უკანასკნელი დღეებიც უზომო ტანჯვად გადამექცა. ჩემს პირად ცხოვრებაში რაც უნდა დიდი ცოდვა ჩამედინა — ამ ტანჯვას შეეძლო მისი გამოსყიდვა".

ჰაინრიხ ჰაინე

„კეთილო მეგობარო! თუ ჩემი პირადი ნაკლოვანებანი ხელს გიშლიდა ჩემს სიცოცხლეშივე დაგენახა ჩემი ღირსება, სიკეთილის შემდეგ მოდი ჩემს საფლავთან და ნახავ — სულიერ საგანძურს, რომელიც შენთვის ოდესღაც დაფარული იყო".

ჟან-ჟაკ რუსო.

1

ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი დაიბადა 1848 წლის 8 იანვარს, სოფელ სტეფანწმინდაში, ახლანდელ ყაზბეგში. ალექსანდრეს პაპა გაბრიელ ჩოფიკაშვილი (ყაზბეგი) საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე, მთიელთა შორის სახელგანთქმული იყო, როგორც გამჭრიახი და მამაცი ადამიანი. გავლენის წყალობით გაბრიელი მოხევეთა მიერ არჩეული იყო ხევის მოურავად და დარიალის კლდეკარის პატრონად.

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების დროს მეფის ჯარების დარიალში მშვიდობიანი შემოყვანისათვის და თვითმპყრობელური მართვა-გამგეობის დამკვიდრების გამო დამსახურებისათვის გაბრიელ ყაზბეგმა მიიღო გენერლის ჩი-

ნი და დატოვებულ იქნა ხევისა და მთიულეთის მმართველად.

გაბრიელ ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ ხევის მმართველად დაინიშნა მისი უფროსი შვილი, გენერალი მიხეილ ყაზბეგი. 1848 წლის 8 იანვარს მიხეილ ყაზბეგს მეორე ცოლისაგან — ელისაბედ თარხნიშვილისაგან შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც საქართველოს უკანასკნელი მეფის — ერეკლე მეორის ძის — ალექსანდრე ბატონიშვილისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, დედამ მისი სახელი უწოდა.

მშობლებმა პატარა ალექსანდრეს ფრანგული და რუსული ენის მასწავლებლები მიუჩინეს. 13 წლის ალექსანდრე ყაზბეგი უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად და რუსულად.

1859 წლის დასაწყისში ალექსანდრე ყაზბეგი თოვლით დაფარული თერგის უმშვენიერესი ხეობიდან ჯვრის უღელტეხილის საცალფეხო ბილიკებით ჩამოჰყავთ არაგვის ხეობაში, აქედან კი საქართველოს სამხედრო გზით — თბილისში. პატარა ალექსანდრე სასწავლებლად მიაბარეს იმდროისათვის საყოველთაოდ ცნობილ ჰაკეს პანსიონში. ალექსანდრე ყაზბეგმა პანსიონში დაჰყო სამი წელი. 1861 წლის დასასრულსა თუ 1862 წლის დასაწყისში ალექსანდრე გადაიყვანეს კანონიჩის პანსიონში, სადაც იგი სწავლობდა 1863 წლამდე.

1863 წლიდან ალექსანდრე ყაზბეგი შედის თბილისის გიმნაზიის მესამე კლასში. 1865 წლის გაზაფხულის არდადეგების დამთავრების შემდეგ მშობლები ალექსანდრეს, როგორც დედისერთა შვილს, აღარ უშვებენ თბილისში სასწავლებლად. პატარა ალექსანდრე, როგორც მისი პირადი წერილებიდან ჩანს, ღრმად განიცდიდა გიმნაზიიდან მისდაუნებურად გამოსვლას.

1866 წელს გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგის მამა მიხეილი და ოჯახის სიმძიმე დააწვა 18 წლის ჭაბუკს. 1867 წლის ზაფხულზე, სწავლასმოწყურებული ალექსანდრე ყაზბეგი მიემგზავრება მოსკოვში, სადაც სასწავლებლად შევიდა სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე რუსეთის ახლადფეხად-

გმული კაპიტალიზმი გზას იკაფავდა აღმოსავლეთისაკენ და კოლონიების დაპყრობის გზით ცდილობდა ევროპის მოწინავე ქვეყნების რიგში ჩადგომას. აზიის დაპყრობისათვის კავკასია წარმოადგენდა ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს. ამიტომ რუსეთის თვითმპყრობელობამ პირველი გადამწყვეტი იერიშები კავკასიაზე მიიტანა.

1854 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყო. მეომარი ძალები მონარქმა თურქეთის ფრონტზე გადაისროლა და დროებით შენელდა საომარი მოქმედება კავკასიაში. ამით ისარგებლა შამილმა და 15 ათასი მეომრით დაიწყო შეტევა ჭარბელექანზე.

1857 წელს, 24 ივნისს ფრონტის ერთ-ერთმა სარდალმა გრ. ორბელიანმა, მძაფრი შეტევით აიღო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ბურთუნაი. ხოლო 5 ოქტომბერს სისხლისმღვრელი ომებით აღებულ იქნა შამილის უკანასკნელი სამხედრო სიმაგრე სალათავია. უთანასწორო ბრძოლაში შამილი დამარცხდა და გუნიბში შევიდა იმპერატორის ჯარი. 1859 წელს, 25 აგვისტოს თავისუფალი კავკასიის უკანასკნელი რაინდი, მამაცი იმამი თითონ გამოცხადდა ბარიატინსკის ბანაკში. ამით დასრულდა კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი ბრძოლის ისტორია.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების სარბიელს წარმოადგენდა სულიერად გაუტეხელი, თავისუფლებისმოყვარული მთიელი ხალხის ცხოვრება; იგი გენიალური მხატვრის თვალით უმზერდა ყოველივეს, რასაც ესოდენ დიდი კავშირი ჰქონდა მთიელი ხალხის მუდამ მოძრავ და მოქმედ სულთან. ყაზბეგი თავისუფალი იყო ვიწრო ნაციონალისტური შეხედულებებისაგან, მისთვის ელბერდი, ანზორ ჩერბიჟი, მზაღო და ელისო ისეთივე მახლობლები იყვნენ, როგორც იაგო და კობა, ნუნუ და მაყვალა; მას ისევე აწუხებდა სამშობლო მიწა-წყლიდან ძალით აყრილი ჩეჩნების ბედი, როგორც თავის მშობლიურ ქვეყნიდან გარდახვეწილი ონისე.

როცა ადამიანი გონების თვალით აკვირდება ალექსანდრე ყაზბეგის მთელ შემოქმედებას, მან არ შეიძლება არ იგრძნოს ავტორის დიდი სულიერი ძალა, პრომეთესებური სუნთქვა. ნამდვილი, რეალური ცხოვრებიდან ალექსანდრე ყაზბეგი ჰქმნი-

და ახალ, ზნეობრივ ქვეყანას, სადაც ხალხი ცხოვრობდა ნამდვილი ცხოვრებით, სადაც სათნო, გულმართალი ნუნუ აღარ დასტიროდა დაკარგულ ბედს; ელისოს სიყვარულით სავსე გული აღარ იკვეთებოდა დამპყრობელთა ხიშტებით: თავისუფლებისმოყვარული ჩერქეზები აღარ იდევნებოდნენ სამშობლოდან; სადაც მთიელი ხალხის ეროვნული გრძნობა შეურაცხყოფილი და დამცირებული არ იყო. ამ აზრით ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ ძარღვმაგარ ლიტერატურაში ერთი პირველი მომღერალია კავკასიელი ხალხებისა; მას მთელი სულით და გრძნობით უყვარდა ისინი.

ისტორიულად თუ ქართველ ხალხს ბედი სწყალობდა პოეზიაში, სამაგიეროდ ასე არ იყო პროზაში. მართალია, ქართულ ბელეტრისტიკას ამშვენებდნენ ისეთი დიდი სახელები, როგორიცაა: მერჩულე, „ვისრამიანის“ მთარგმნელი, საბა-სულხან ორბელიანი, მაგრამ ქართულ პროზას მაინც არ ჰქონდა ერთი განუწყვეტელი აღმავლობის ხაზი. ქართულ ბელეტრისტიკაში გამოჩნდებოდა თუ არა ბრწყინვალე პროზაიკოსის სახელი—ამ სახელის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ იხურებოდა დიდი წიგნი კლასიკური პროზისა. საუკუნეები ისე გადიოდა, შემოქმედებით ასპარეზზე არ გამოჩნდებოდა არც ერთი ბელეტრისტი. მერჩულე, „ვისრამიანის“ მთარგმნელი, საბა-სულხან ორბელიანი — ერთიმეორისაგან დაშორებულნი იყვნენ არა წლებით, არამედ რამდენიმე საუკუნით. ეს დიდი ინტერვალები ბორკავდა ქართული პროზის განვითარებას, საუკუნეობრივი წყვეტილობა ხელს უშლიდა ტრადიციების შექმნას პროზაში; ამ მიზეზმა თავისი ამოუშლელი დაღი დაასვა მერმინდელი საუკუნეების პროზას — საერთოდ და ბელეტრისტიკას კერძოდ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო აღორძინება საბა-სულხან ორბელიანის სიკვდილის შემდეგ დავიწყებული ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებისა. თუ ილია ჭავჭავაძე ქართული პროზის რენესანსის დამწყები იყო, სამაგიეროდ ალექსანდრე ყაზბეგი შეიქნა ქართული რომანის გვირგვინად.

მე-19 საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში ეპოსი იქცა ეპოქის სულის მხატვრული გამოსახვის საშუალებად. მღელ-

ვარე რომანტიზმმა ადგილი დაუთმო დინჯ ლიტერატურულ რეალიზმს. რაც უფრო ნელდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის · თავისუფლების ცხოველი სუნთქვა, მით უფრო ნაკლები ადგილი რჩებოდა მწერლის სუბიექტივიზმისათვის მხატვრულ შემოქმედებაში. მოვლენათა და ადამიანთა მხატვრული გამოსახვის დროს შემოქმედი გამოდიოდა არა როგორც მსაჯული, არამედ როგორც მოწმე. ლირიკული მუზა თანდათან დადუმდა და ეპოსმა დაიწყო ამეტყველება. ეს იყო დრო, როდესაც რუსეთის გენიალურმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა ეპოქის კარნახით ჰომეროსის მსგავსად მიმართა ეპოსის მუზას:

Благослови мой долгий труд,
О, ты, эпическая муза!
И верный посох мне вручив
Не дай блуждать мне вкось и вкривь!

მკაცრი წლებიო, — ამბობდა სხვა ადგილას ონეგინის ავტორი, — თანდათან სდევნიან ცელქ რითმებს და პროზისაკენ ვიხრებიო. ეს სავსებით გულწრფელადაა ნათქვამი იმ ადამიანის პირით, ვინც ანგარიშს უწევდა ეპოქას და ადგილს, ვინც შინაგანი პოეტური ხილვით იცოდა ამ ეპოქაში მოქმედ ადამიანთა სულიერი მოძრაობა.

თუ ცხოვრების მხატვრულ ასახვას ლიტერატურული რეალიზმი ეპოსის საშუალებით ახერხებდა, სამაგიეროდ თვითონ ეპოსი ყოველივე ამას ასახავდა რომანით. რომანი, ამ სიტყვის ევროპული მნიშვნელობით, ეპოქის სტილად გადაიქცა, რომანმა ეპოსისაგან მიიღო სიდინჯე და ფაქტიური მასალისადმი სიყვარული, ხოლო ლირიკისაგან უშუალობა და გულწრფელობა. რომანმა მიითვისა ყველა ლიტერატურული ჟანრების დადებითი თვისებანი. ამ აზრით მე-19 საუკუნის ევროპული რომანი ლიტერატურის სხვა დარგებზე უფრო ზუსტად და უკეთესად გამოხატავდა ეპოქის სულს. მაინც რატომ? მიზეზი უნდა ვეძიოთ თვითონ რომანის რთულ კომპოზიციაში, რომელიც ყველაზე უფრო შეესატყვისებოდა ეპოქის მოთხოვნილებას. კომპოზიციის გართულება ლოგიკური შედეგი იყო რომანის საერთო განვითარებისა. როგორც ცნობილია, ანტიკურ საბერძნეთში რომანი დაკავშირებული იყო

რიტორიკასთან და თავისი მარტივი ფორმით წარმოსდგა იმ სასამართლო გამოძიების პროცესებიდან, რომელიც ძველ საბერძნეთში ხდებოდა. დროთა განმავლობაში რთულდებოდა რომანის კომპოზიცია. თუმცა რიტორიკა მასში შედიოდა, როგორც არსებითი ნაწილი. დელიოდორას „ეთიოფიკა“ რომანის ანტიური ფორმაა, მაგრამ საშინლად ღარიბი კომპოზიციით და მარტივი არქიტექტონიკით. შინაგანი ფსიქოლოგიური დრამა ანტიურმა რომანმა არ იცოდა. შემდგომ ეპოქებში რომანის კომპოზიცია თანდათან რთულდება. თუ ანტიური რომანისათვის საკმარისი იყო სასამართლო გამოძიების სტილი ამბავთა თხრობისათვის, საშუალო საუკუნეების რომანმა შექმნა ფორმის ახალი მანერა მოკლებული რიტორიკას, მაგრამ დამძიმებული სანტიმენტალური ლირიზმით. საშუალო საუკუნეების რომანში („ვისრამიანი“, „ტრისტანი და იზოლდა“ და სხვა) მოქმედ პირთა შორის ნაწილდება როლები და შინაგანი დრამატული კოლიზია ხდება რომანის მამოძრავებელ ძალად. ამ გზით რიტორიკიდან და ოქმის სტილიდან ჩვენ ვიღებთ კლასიკური რომანის დამთავრებულ ფორმას, რთული და მრავალი ახალი ელემენტითა და გამდიდრებული კომპოზიციით. ლირიკული ელემენტი შუა საუკუნეების რომანში შევიდა როგორც მისი ორგანული ნაწილი. შუა საუკუნეების რომანის განვითარებამ თავის კლასიკურ ფორმას სერვანტესის „დონ-კიხოტში“ მიაღწია. შემდგომ საუკუნეებში ბუნებრივი გზით რომანი თანდათან იხრება ფსიქოლოგიზმისაკენ და პროზის გაბატონებულ ფორმად ხდება ფსიქოლოგიური რომანი. რომანის ამ ტიპმა თავის სრულყოფას მიაღწია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. უდავოა, რომ რომანის ამგვარი ფორმაცია დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ფორმაციასთან.

საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციამ წარმოშვა მე-19 საუკუნის ევროპული რომანის სრულყოფილი ტიპი. ონორე დე ბალზაკი, სტენდალი, ფლობერი, ლევ ტოლსტოი, გოგოლი, ფეოდორ დოსტოევსკი — ევროპული პროზის გოლიათები არიან. მათ ანტიურ და საშუალო საუკუნეების რომანს ჩამოაცილეს ლირიკული სანტიმენტალიზმი და რიტორიკა; სამაგიეროდ იგი გაამდიდრეს გრძნობად ფორმაში გადაყვა-

ნილი ფაქტიური მასალებით და პროზას მისცეს კლასიკური ელვარება. პროზის ოსტატებმა ახალი რომანის ტიპად აიღეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც მეტსახელად „უდროობის გმირს“ უწოდებდნენ. ამ ადამიანებს ჰქონდათ პროგრესული მიზნები და იდეები, მაგრამ დრომ უარი სთქვა ამ იდეებზე და მიზნებზე. სოციალურმა და პოლიტიკურმა უკუღმართობამ ზედმეტ ადამიანებს არ მისცათ თავიანთი სულიერი ძალების სურვილისამებრ გამოყენების საშუალება, ამ მიზეზით ისინი იღუპებოდნენ ეპოქის გზაჯვარედინზე. მე-19 საუკუნის ფსიქოლოგიური რომანი იქცა ამ ადამიანების მხატვრული გამოსახვის გაბატონებულ ფორმად. ასე იყო არა მარტო ფრანგულ და რუსულ ლიტერატურაში, არამედ თითქმის ყველა მოწინავე ხალხთა ლიტერატურაშიაც.

ამ საერთო მოძრაობას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. ქართული პროზის აღორძინება იწყება სწორედ იმ ეტაპიდან, როდესაც ფრანგულმა და რუსულმა ლიტერატურამ ამ დარგში თავისი განვითარების კლასიკურ საფეხურს მიაღწია. მე-19 საუკუნის ქართული პროზა ორი დიდი ნაკადის გავლენას განიცდიდა: ერთის მხრივ — რუსული კლასიკური ბელეტრისტიკისას; მეორეს მხრივ — ფრანგული რომანისას. თუ ილია ჭავჭავაძე შეიძლება ჩავთვალოთ რუსული პროზის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად ქართულ ლიტერატურაში, სამაგიეროდ ალექსანდრე ყაზბეგი იყო ფრანგული კლასიკური რომანის მემკვიდრე ქართულ პროზაში. ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ალექსანდრე ყაზბეგი დავალებული იყო რუსეთის გენიალური ბელეტრისტებისაგან, მაგრამ ყაზბეგის პროზას სტიმულს აძლევდა ფრანგული რომანი.

ალექსანდრე ყაზბეგმა ფრანგული რომანი მიიღო არა როგორც წასაბაძი მაგალითი, არამედ როგორც საშუალება რომანის ახალი ტიპის შესაქმნელად. მართლაც, ყაზბეგის რომანები თავიანთი კომპოზიციით, სიუჟეტური აღნაგობით და ოვით ფაბულითაც კი განსხვავდება ფრანგული რომანისაგან, რომ უფრო ნათელვყოთ ამ დებულების ჭეშმარიტება, საჭიროა თვით რომანის არსის გაგება. რა არის საერთოდ რომანი და რა უნდა ჩაითვალოს რომანის ზოგად დამახასიათე-

ბელ ნიშნად? რომანის პირველმა თეორეტიკოსმა არქიეპისკოპოსმა ბუემ (მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის მკვლევარი) რომანის აუცილებელ, ორგანულ ნაწილად სიყვარული გამოაცხადა. მისი აზრით სიყვარულის „სამკუთხედი"-ს (ქმარი, ცოლი და საყვარელი) გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი რომანი. „მოთხრობილ ამბავს, — ამბობს ბუე, — ჩამოაცილეთ სიყვარული, და თქვენ გექნებათ არა რომანი, არამედ ჩვეულებრივი მოსაწყენი ამბავი", რამდენადაც ეს დებულება აბსოლუტურად მართალია საშუალო საუკუნეების რომანისათვის, იმდენად იგი მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდება მე-19 საუკუნის რომანზე. საშუალო საუკუნეების რომანის ფაბულა შებორკილი იყო ორი ან სამი ადამიანის ურთიერთობით, ხოლო სიუჟეტი ლოგიკურად მიჰყვებოდა სიყვარულის მთელ ისტორიას. მე-19 საუკუნის რომანში სიუჟეტს შეადგენდა არა სიყვარულის ისტორია, არამედ იმ საიდუმლო პროცესების ისტორია, რომლებიც განაგებდნენ ნაწარმოების გმირის ბედს; რომანის ფაბულა ფარგლავდა არა რამდენიმე ადამიანის, არამედ მთელი სოციალური ფენების ურთიერთობას. ამ მომენტში ალექსანდრე ყაზბეგის პროზა ენათესავება ევროპულ რომანებს, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება. ეს სხვაობა ეხება არა მარტო რომანის კომპოზიციას, არამედ მის სიუჟეტსაც. ევროპულ რომანში საერთოდ და ფრანგულ რომანში კერძოდ, შინაგანი დრამატურგიული კოლიზია ლოგიკურად მიჰყვება კოლექტივიდან მოწყვეტილი ადამიანის ტრაგიკულ ბედს, აქ — წინააღმდეგობას ინდივიდსა და კოლექტივს შორის ინდივიდი მიჰყავდა დაღუპვამდე; რა თქმა უნდა ამგვარ მოწყვეტას თავისი სოციალური მიზეზები ჰქონდა და იგი უმთავრესად უნდა ვეძიოთ არა ტიპის სუბიექტში, არამედ გარეგანი ძალების გავლენაში. გარეგანი ძალა— სოციალური უთანასწორობის სახით, გლეჯდა ადამიანს კოლექტივისაგან, გამოსწურავდა სუბიექტს ყველა სასიცოცხლო ნიშატს, მასში სტოვებდა მხოლოდ ერთ გრძნობას — ინდივიდუალიზმის გრძნობას და ასე უპირისპირებდა კოლექტივს. ბრძოლა ცხოვრებასა და ცალკე ინდივიდს შორის მთავრდებოდა ინდივიდის სიცოცხლის კატასტროფით. მათი ცხოვრების აღწერა — ეს იყო საერთო გზა ევროპული რომანისა.

სხვა გზა არც ჰქონდა მას. ინდივიდის სუბიექტურ სურვილსა და ობიექტურ შესაძლებლობას შორის მომხდარი კონფლიქტების მიჯნაზე წარმოშობილი ტრაგედია განსაზღვრავდა ევროპული რომანის განვითარებას.

ალექსანდრე ყაზბეგის რომანები ბევრ არსებით ნაწილში მისდევს ფრანგული რომანის საერთო გზას, მაგრამ ყაზბეგის შემოქმედებაში ბევრია ანტიური ეპოსის ელემენტები, რომელიც ფრანგულმა რომანმა უარყო. ანტიური პოეტური ეპოსის რთული კომპოზიციისათვის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა მისი სახალხო ხასიათი. შინაგანი განლაგება მოვლენებისა ემორჩილებოდა არა მხოლოდ სუბიექტური გრძნობების გადმოცემას, არამედ ხალხის ვნებების ჩვენებასაც. ანტიური პოეტური ეპოსისათვის ეს ხალხური ხასიათი დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა, ხალხი ორგანული ნაწილია ანტიური ეპოსისა. ანტიური ეპოსის კომპოზიცია სწორედ ამით განსხვავდება მე-19 საუკუნის ეპოსისაგან — საერთოდ და ევროპული რომანისაგან — კერძოდ.

ალექსანდრე ყაზბეგმა ჩვენ მოგვცა თავისებური სინთეზი ანტიური ეპოსისა და მე-19 საუკუნის ფრანგული რომანისა. ყაზბეგს სხვაგვარად მოქცევა არც შეეძლო; იგი გულთამხილავის წინათგრძნობით ხედავდა, რომ კავკასიელი ხალხების საუკუნეების ტევრში გამოვლილი ზნე-ხასიათი და ტრადიციები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ადამიანის მოქმედებას — ბევრ რამეში ენათესავებოდა ანტიური ხალხის ზნე-ჩვეულებებს, რომელთა მხატვრული გადმოცემა შეუძლებელი იყო ფრანგული ტიპის რომანით. ალექსანდრე ყაზბეგი ამავე დროს ხედავდა, რომ ხალხის ზნე-ჩვეულებანი უცხო ძალის შემოჭრის ნიადაგზე ნადგურდებოდა და ცხოვრება ახალი გზით იწყებდა სიარულს. კაპიტალიზმი იჭრებოდა იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელსაც არ გაევლო განვითარების ის ფორმაციები, რომლებიც თავის დროზე გაიარეს ევროპელმა ხალხებმა. კაპიტალისტური მორალი შეიჭრა საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული თემის ფსიქოლოგიაში და შეჯახების ფონზე წარმოშვა ადამიანური ტრაგედია. ამ ტრაგედიის მხატვრული გადმოცემა შესაძლებელი იყო ფრანგული ტიპის რომანით. ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგი ერთ და იმავე დროს ხარკს

უხდის როგორც ანტიურ ეპოსს, ისე მე-19 საუკუნის რომანს. ანტიური ეპოსიდან მან მიიღო მისი სახალხო ხასიათი, ხოლო ფრანგული რომანიდან ისწავლა ადამიანის ინდივიდუალურ გრძნობათა გადმოცემის ხერხი. ეს იყო არა მექანიკური შეერთება ორი ელემენტისა, არამედ ორგანული სინთეზი, როდესაც ოდენობა თვისებაში გადადის. მართლაც, ალექსანდრე ყაზბეგის რომანები არაჩვეულებრივი მოვლენა იყო მე-19 საუკუნის 80-იან წლებში არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში საერთოდ. მთელი ამ საუკუნის პროზა დაღდასმული იყო ინდივიდუალიზმით, რომელიც სდევნიდა ხალხს შემოქმედების სფეროდან. ალექსანდრე ყაზბეგმა შეძლო ამ გაბატონებული ტრადიციის დარღვევა და რომანში შემოიყვანა დიდი სულიერი კულტურის მატარებელი ხალხი და ვეძახვენა საიდუმლო დიდება ამ ხალხის გრძნობებისა, მისწრაფებებისა, მიზნებისა.

ალექსანდრე ყაზბეგის რომანის გმირი თავისი სუბიექტური ვნებებით დაპირისპირებული კი არ არის კოლექტივთან, ხალხთან, არამედ ხალხის საზოგადოებრივი ვნებანი ხდებიან ინდივიდუალური ვნებების გამოსავალ წერტილად. აიღეთ ყაზბეგის რომანის კომპოზიცია, შეადარეთ იგი ევროპული რომანის შინაგან არქიტექტონიკას და დარწმუნდებით, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ყაზბეგმა ევროპულ რომანთან შედარებით. ევროპულ კლასიკურ რომანში ყოველი უბრალო დეტალიც კი აყვანილია მიუწვდომლობის სიმაღლეზე, რაც ზოგჯერ ყაზბეგს აკლია. სამაგიეროდ ყაზბეგს მეორე მხარე აქვს, როდესაც იგი შეუდარებელ სიმაღლეს აღწევს. ეს გახლავთ მასიური სცენების, ხალხთა სულიერი მოძრაობის მხატვრული აღწერა გრანდიოზული ფორმით. რომელი ევროპელი რომანისტი შეედრება ყაზბეგს ხალხის სულისკვეთების, მისი ვნებათა ღელვის გადმოცემაში? ანტიური ეპოსის მსგავსად ალექსანდრე ყაზბეგის რომანი ხალხის, მასების ფსიქიკის რაღაც ჯადოსნური სეისმოგრაფია, რომელიც შეუდარებელი სიზუსტით და სიძლიერით აღბეჭდავს ხალხის გულის ყოველგვარ მოძრაობას. ამ მხრივ ალექსანდრე ყაზბეგი მე-19 საუკუნის მსოფლიო რომანისტებს შორის განმარტოებულად დგას თავისი მეფური ბუნებით. აიღეთ ფრანგი

დიდებული რომანისტი სტენდალი, ევროპული რომანის ეს გენიალური ხუროთმოძღვარი და შეადარეთ ყაზბეგს. განსხვავება მათ შორის დიდია. სტენდალის პროზა ნათელია და პედანტური სიზუსტით ნაქანდაკევი. აქ ყოველ სიტყვაში აღბეჭდილია შემოქმედის გაწვრთნილი გენია, სტენდალის პროზაში შეუდარებელი მხატვრული ფერებით ცოცხლდებიან ადამიანები და მოვლენები; მისი რომანის გმირები მიქელანჯელოს მარჯვენით მარმარილოდან გამოქანდაკებულ ადამიანებს ჰგვანან. სტენდალის რომანის სიუჟეტი ლოღიკური სიზუსტით მიჰყვება მთავარი გმირის თანგადაყოლილ ბედს, ხოლო ფაბულა ლოკალიზაციას ახდენს რომანში აღწერილ მოვლენებისას და ერთ მყარ, შეკრულ ჩარჩოში აქცევს მას, მაგრამ იგივე სტენდალი პირდაპირ უძლურია იქ, სადაც მისი კალამი შეეხო ხალხის სულის მოძრაობას: აიღეთ ჟიულენის გასამართლების სცენა. ჟიულენი, როგორც ტიპი და ადამიანური სუბიექტი გენიალურად არის მოცემული, მაგრამ როდესაც სტენდალი თავს ანებებს ჟიულენს და მკითხველის ყურადღება გადააქვს აუდიტორიის სულიერი მოძრაობის გადმოცემაზე — სასამართლოს გამოძიების პროცესზე — სტენდალი ვერ აღწევს იმ სიძლიერეს, რომელსაც .ის ადვილად აღწევდა ინდივიდის სულიერი მოძრაობის მხატვრულად ჩვენების დროს; ვერ ახერხებს (შეიძლება მას სრულიადაც არ აინტერესებს ეს) ხალხის სხვადასხვა ფენის სულიერი მოძრაობის მხატვრულ რეგულაციას. მეორე ფრანგმა რომანისტმა — გუსტავ ფლობერმა თავის ისტორიულ რომანში „სალამბოში“ სცადა ხალხის ფსიქიკის, მისი ვნებათაღელვის გამოსახვა. ზოგჯერ აქ ფლობერი გვაძლევს პირდაპირ ბრწყინვალე ნიმუშებს, მაგრამ ეს პროცესი ვერასოდეს ვერ შეედრება ინდივიდუალური გმირის გამოქანდაკების პროცესს. ინდივიდუალურ გმირთა სახეების გამოკვეთის დროს ფლობერი პრომეთეოსის ძალას იჩენს, და ტიპის მხატვრულ ჩვენებაში იგი აღწევს ნორმისა და მიუწვდომლობის სიმაღლეს, მაგრამ გუსტავ ფლობერი მასების განწყობილებათა გადმოცემაში ბალღის უსუსურობას იჩენს. როდესაც ფლობერის „მადამ ბოვარში“ მთავარი გმირი ემა საწამლავით კვდება და ავტორს სურს გვაჩვენოს ემას უეცარი სიკვდილით გამოწვე-

ული მასების განწყობილება, მწერალი ამას ვერ ახერხებს. თუ ფლობერს სურდა საიდუმლო დიდებით შეემკო გმირის თავგანწირვა, მაშინ მას ხალხის განწყობილება იმავე ძალით უნდა გადმოეცა, რა ძალითაც გადმოგვცა ტიპის სულიერი აგონია სიკვდილის წინ. ხალხის მთლიანი განწყობილება ფლობერმა ნაწყვეტებად აქცია და ამით მას ელვარება დაუკარგა.

ვინც კარგად იცნობს რომანის ისტორიას, მისთვის ნათელია თუ რატომ იჩენდნენ ასეთ სისუსტეს გამოჩენილი რომანისტები ხალხის სულიერი მოძრაობის გადმოცემის დროს. ეპოქის ინდივიდუალიზმმა თავისი ამოუშლელი დაღი დაასვა ევროპულ რომანს, საერთოდ და კერძოდ მე-19 საუკუნის რომანს. ინდივიდმა გამოაცხადა რა საკუთარი თავი ხელოვნების ცენტრად, სუბიექტური ვნებანი გადაიქცა მთელი ლიტერატურის მამოძრავებელ ძალად. ევროპულმა რომანმა უარყო ანტიური ეპოსის სახალხო ხასიათი და ამით ნაწილობრივ შეასუსტა თავისი გავლენის ძალა.

ალექსანდრე ყაზბეგმა, როგორც ევროპული რომანის შესანიშნავმა მცოდნემ, განსაკუთრებული ყურადღება რომანის ამ სუსტ მხარეს მიაქცია და საჭიროდ ჩაინახა მისი შევსება ანტიური ეპოსის ჯანსაღი ელემენტებით. ამრიგად, მივიღეთ ევროპული რომანისა და ეპოსის თავისებური სინთეზი. მაგრამ როგორც ზემოთ განვაცხადეთ, ეს შეერთება ხელოვნური როდი იყო, პირიქით, აქ ჩვენ გვქონდა შეერთების ისეთი პროცესი, როდესაც მოვლენის ოდენობა ტრანსფორმაციის გზით თვისებაში გადადის.

ამგვარი სახით წარსდგა ალექსანდრე ყაზბეგის პროზა არა მარტო ქართველი მკითხველის, არამედ მსოფლიო მკითხველის სამსჯავროს წინაშე. რა ვუყოთ რომ ალექსანდრე ყაზბეგს ჯერჯერობით მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ვერ იცნობს.

2

ამრიგად, ყაზბეგის რომანს ორი სათავე აქვს: ანტიური ეპოსი და მე-19 საუკუნის ფრანგული რომანი. თუ ანტიური ეპოსიდან ალექსანდრე ყაზბეგმა ისწავლა ხალხის ვნებათაღელვის მხატვრულად დამორჩილების ხერხი, სამაგიეროდ

ფრანგულმა რომანმა მას ასწავლა ტიპის ინდივიდუალური, სულიერი მოძრაობის დიდ ლაბირინთში შესასვლელი გზა. მაგრამ მხოლოდ ამ ორი ფაქტორით არ გამხდარა ალექსანდრე ყაზბეგი დიდი რომანისტი. ყველაფერი რაც ზემოთ ვთქვით — ეს მხოლოდ მწიგნობრული სიბრძნეა, რომელიც ყაზბეგმა დიდი გულმოდგინებით შეითვისა. მაგრამ მწიგნობრული სიბრძნის თვალთახედვის ისარი ძლიერ მოკლე და უმოქმედო ხდება, თუ ის ახლო. არ არის ცხოვრების და გამოცდილების სიბრძნესთან. ცხოვრების ცოდნა და მწიგნობრული სიბრძნე ორგანულ მთლიანობაში გვაძლევს მწერლის დამთავრებულ ტიპს.

რომ უფრო ნათელი გავხადოთ ამ დებულების ჰეშმარიტება, ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი მომენტის აღდგენას ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებიდან.

განა ალექსანდრე ყაზბეგის ყოველ მკითხველს არ შეაჯრჯოლებს ის ფაქტი, როდესაც გაიხსენებს, რომ ამ გენიალური რომანების ავტორი შვიდი წელიწადი უბრალო მწყემსი იყო; ეს გრძნობა მით უფრო ძლიერი ხდება, როდესაც მკითხველი აპრიორულად მოიგონებს ყაზბეგის ბრწყინვალე წოდებას. რა დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ იმ საუკუნეში, როდესაც ადამიანური საზოგადოება წოდებრიობის ზღუდით იყო გაყოფილი, როდესაც არისტოკრატების ქედმაღალ მორალს ხელს უწყობდა მისი პრივილეგიური მდგომარეობა — ამ წოდებიდან გამოსულ კაცს უბრალო მეცხვარეობა დაეწყო. პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია და არ შეიძლება ამ ფაქტის უარყოფა, თუმცა ალექსანდრე ყაზბეგის ამ მოქმედებას სულიერი ტკივილებისა და დამცირების გარეშე არ ჩაუვლია. არისტოკრატები ამ ფაქტს საკუთარ შეურაცხყოფად თვლიდნენ და იგი მიაჩნდათ ბრწყინვალე წოდების დამცირებად. ალექსანდრე ყაზბეგსაც სწორედ ეს მიზანი ჰქონდა და რაკი მიზანმა შედეგს მიაღწია — იგიც კმაყოფილი იყო მაგრამ რამდენადაც ყაზბეგმა თავის წოდებასთან ანგარიშის გასწორება სულიერი ტკივილების გარეშე შეძლო ამდენად მეტი ტკივილები აგრძნობინა ხალხთან დაახლოების პროცესმა, ხალხი, რომელმაც კარგად იცოდა თავადაზნაურობის გაუმაძ-

ღრობა, გაკვირვებული იყო ყაზბეგის საქციელით; ყაზბეგის ამ ნაბიჯს ხან თვალთმაქცობად სთვლიდნენ, ხან კი არისტოკრატული წოდების შეურაცხმყოფელ აქტად. რადგანაც ჩვენი სიტყვებით არ ძალგვიძს ამ ფსიქოლოგიური მომენტის გადმოცემა — თვითონ ყაზბეგს მივცეთ სიტყვა: „ჯერ კიდევ ზაფხული იყო, ცხვარი არ გაგვეშრო და დედალს ცხვარს მოვსდგომოდი მოსაწველად. გზაში შემომხვდა ორი მოხევე, რომლებიც სრულიად არ მიცნობდნენ და ჩაცმულობაზე კი ვერ გამარჩევდნენ უბრალო მწყემსი ვიყავი თუ მთაში სახელოვანი კაცისშვილი.

„ბარაქა შენს ცხორსა, — წამოიძახეს იმათ რა წამს გამისწორდნენ.

„უფალმა გილხინოთ!.. — ვუპასუხე მე.

„ვისია ეგ ცხორი? — მკითხეს.

მე დავასახელე ჩემი თავი.

„ბეჩაო ჩემო თაო, მართლა იმათი სერია... დამღაც იმათ მეტს არავის აქვს, — წარმოსთქვა ერთმა და დაუმატა; შენ ვიღას ბალღი ხარ?

„მე არახვეთელი გახლავარ, შენი კვნესამე, — მოუქციე მთიულურად, — ბერდულიან იაკობასი.

„მოჯამაგირეთ ხარ, თუ ცხორი გყავს დაზიარებული? — კიდევა მკითხეს.

„ცხორი, შენი კვნესამე, — მივეც პასუხათ.

„ბალღო, რაი გქვიან?

„მამუკა, შენი კვნესამე!

„მართლა შენი აღა თავად დადის ცხორში?

„დადის, ლომისის მადლმა! — ვუპასუხე მე.

„თავად დადის! — გაიკვირვეს იმათ.

„ჰო.

„საკვირველია, ღვთის მადლმა.

„რაისთვის? — ვკითხე მე და გულისძგერით დაუწყე ყურის გდება.

„აბა, როგორ საკვირველი არაა, ხელმწიფის სწორი კაცისშვილია და ცხორს ასდევნებია! აჰუ! ჩაიქნია ხელი უცნობმა.

„მერე მანდ ცუდი რა არის?.. ცხორი ჰყავს და თითონ დასდევს.

„ცუდი?.. ხევის ბატონიშვილი და ობრალო მეცხვარე?.. გაიკამათა იმანვე.

„მაგის მამა-პაპას ჰყოლია ცხორი, თითონ არ უვლიათ, არა ღვთის მადლმა, — დაუმატა მეორემ.

„აბა ძალიან იკადრებდნენ მეცხვარეობას!.. სულ ჩინებით სავსე ჰქონდათ ყელ-გული.

„მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა სხვაა, — ვცადე თავის გამართლება.

„ცხო დრო კი არა, უხეირო ყოფილა, თორემ ქვეშეს პრისტავად იქნებოდა".

აქ წერტილი დასვა ყაზბეგმა; ბოლოს კი ნაღვლიანად სთქვა: „მეტად გული მატკინა ამ სიტყვებმაო". მართლაც გულსატკენი იყო ხალხის პასუხი. მაშინ, როდესაც ხალხი თავადვე უნდა მისალმებოდა ალექსანდრე ყაზბეგის ამ რაინდულ გამბედაობას, მისი კეთილშობილი მოქმედების მიზეზად მისი ლაჩრობა დაასახელეს. ყაზბეგს თავისივე ხალხი ვერ მიუხვდა გულის წადილს, მათ პირველ ხანებში ვერ გაიგეს იმ დიდი ცეცხლის მიზეზი, რომელიც დანთებული იყო მის სულში. „კარგი რომ ყოფილიყო, პრისტავი იქნებოდა და არა უბრალო მეცხვარეო". — ასეთი იყო პირველი შეხედულება ხალხისა ყაზბეგის მეცხვარეობაზე. და განა ხალხია ამაში დამნაშავე? საუკუნეების მანძილზე ხალხი ბუნებრივად შეეჩვია იმ ფაქტს, რომ თავადაზნაურობის წოდებიდან გამოსული ყოველი კაცი მისი მბრძანებელი უნდა ყოფილიყო, და აბა როგორ დაიჯერებდა ბრწყინვალე წოდებიდან გამოსული ადამიანის უბრალო მეცხვარეობას, რომელსაც ხალხთან მეგობრობა მოუნდომებია. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს იყო პირველი შთაბეჭდილებიდან მიღებული დასკვნა. ეს შთაბეჭდილება არ გაგრძელებულა დიდხანს. ხალხი ბრძენი და პრაქტიკოსია; იგი გამოცდილებას უფრო უჯერებს, ვიდრე დაპირებებს; და როცა ყაზბეგმა თავისი გულწრფელობა საქმით დაამტკიცა, ხალხმა იგი მიიღო — როგორც თავისი ღვიძლი შვილი.

სულ სხვაგვარი იყო მეცხვარე ალექსანდრე ყაზბეგის კონფლიქტი თავის წოდებასთან; „რადგან საღამო ჩინებული იყო და მთვარიანი, — გადმოგვცემს ყაზბეგი, — ყველანი პატარა

ბალჩაში გამოსულიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ, მხიარულს სიცილზე და ლაპარაკზე შევატყვე, რომ ისინი სასიამოვნო სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ და რამოდენიმე ფეხის გადადგმის შემდეგ ხმაზე გავარჩიე, რომ ერთი ჩემი ახლო ნათესავი ერია იმათში. მე ავჩქარდი იმათ ნახვას, რადგანაც დიდი ხანი იყო, რაც არ მენახა: და მოხუცი ნათესავი კი მამაჩემის მეგობარი გახლდათ. მინდოდა ტანისამოსი გამომეცვალა და ისე მივსულიყავი სტუმრებთან, მაგრამ იმათ თვალი მომკრეს და დამიწყეს ძახილი. მე ბოდიში მოვიხადე და მივედ: მართლაც, რა მოსარიდი იყო ტანისამოსი ნათესავთან? მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ასვლის უმალ, ჩემი მოხუცი ნათესავი დამხვდა შემდეგი სიტყვებით:

„იფ, იფ... დამიხედეთ მთის მებატონიშვილს!“ — მე გაშლილი ხელი ისე დამჩა და მოხუცს გაშტერებით დავუწყე ყურება. ჩემი ყმაწვილი ნათესაობაც იქვე ახლოს მიკუნჭულიყვნენ და ჩუმად იცინოდნენ.

„არ გრცხვენიან? ნამუსი აღარ გაქვს?.. მეუბნებოდა გაცხარებული მოხუცი.

„რათა მლანძღავ ბატონო! რა დამიშავებია? — ძლივს მოვახერხე სიტყვა.

„კიდევ რომ კითხულობს!.. ბიჭო! მამაშენი მეცხვარეთა გზრდიდა? მაგისათვის დახარჯა შენი წონა ფული? თუ მეცხვარეობა გინდოდა, ჩემი ცოდვით სავსე, ან რუსეთს რაღად შიდიოდი, ან ფულს რაღად ხარჯავდი. მიებარებოდი ჩემს სარქალს და ასეთ მეცხვარეობას გასწავლიდა, რომ უკეთესი აღარ იქნება!

„მამაჩემი სცხოვრობდა ისე, როგორც თითონ ესიამოვნებოდა, და მეც ჩემს სიამოვნებაზე მინდა ვიცხოვრო. — წყენით ვუპასუხე და შევატყვე ჩემ თავს, რომ მთლად ავინთე.

„ხალხში გავიდა. იმათთან დაახლოება უნდა, კნიაზო! გამოტყვრა ერთი ყმაწვილი აფიცერი და გაიღიმა.

„ხალხში მინდა გასვლა და დაახლოება თუ არა, ეგ თქვენ ჰკუას არ ეკითხება, — ვუპასუხე მე და დავუმატე; მაგრამ იმას კი გეტყვით, სიტყვების რახარუხს მე მეცხვარეობა მირჩევნია, საქმე მაინც არის.

მე გამოვბრუნდი შინისკენ და სანამ ოთახში შევიდოდი,

მესმოდა გაშმაგებული მოხუცის ყვირილი და ყმაწვილი ხალხის სიცილი, მოხუცი ტიროდა:

„რის ხალხის დაახლოება, რის ხალხში გასვლა. ისა ბრძანოთ, რომ ეხლანდელი ხალხი გამოუდეგარნი არიან, არაფრისათვის ვარგიან, ვერაფრისთანას ვერ გააკეთებენ.

აფიცერი კი ჭიჭინებდა:

— მაგას რათ ბრძანებთ? მარტო ერთის მაგალითით რათ ადგენთ სხვებზედაც აზრს... ჩვენმა ნათესავმა ახლოდ იმიტომ დაიწყო მეცხვარეობა, რომ თავის გამოჩენა უნდა, სხვებიც ხომ აგრე არ არიან?!

„დიდი თავის გამოსაჩენია მეცხვარეობა, სწორედ მოგახსენოთ...

უკანასკნელად გავიგონე მოხუცის სიტყვები და შევიხურე კარი. ერთის მხრით ლანძღვა იმიტომ, რომ იმათ გაკვეთილს ბილიკზე არ მივდიოდი და მიზნად არ გამეხადა „ჩინი და პატივი“; მეორე მხრით ლანძღვა იმისათვის, რომ განუწყვეტელი ჭრიჭინის მაგივრად ძნელი საქმისათვის მომეკიდნა ხელი და მესამე მხრიდგანაც — უნდობლობა, რადგანაც იმ ხალხს, ვისაც გულით ველტოდი, ვერ წარმოედგინა კაცი, რომელსაც იმათი ცარცვა შეეძლო და ცარცვის მაგივრად იმათთან ერთად მუშაობასა და ძმობას აპირებდა“.

როგორც მკითხველმა საზოგადოებამ იცის, ალექსანდრე ყაზბეგმა შვიდი წელი გაატარა ცხვარში. შვიდი წელი საუკუნეებისა და ეპოქებისათვის არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: მით უფრო იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომელსაც აქვს დროის დაფასების უნარი და ნიჭი მისი რაციონალურად გამოყენებისა. ტყუილად როდი შენატროდა კენიგსბერგელი ბრძენი იმ ადამიანს, ვინც დრო კანონზომიერად დახარჯა.

„ნეტავი იმას, — მოსთქვამდა კანტი, — ვინც შენ ისე გამოგიყენა, რომ დროის თვითეული მონაკვეთით ღირებულებას ქმნიდა. ადამიანებს ერთი ნაკლი აქვთ: დროს გაუფრთხილებლად ხარჯავენ და მხოლოდ მაშინ მიხვდებიან შეცდომას, როდესაც სიბერე კარებზე დააკაკუნებს, მაშინ უკვე გვიანაა.“ ალექსანდრე ყაზბეგი საერთოდ, არც თუ ისე მომჭირნეობით ექცეოდა დროს, მაგრამ შვიდი წელი მან ისე გა-

შოიყენა, როგორც შეეფერებოდა ბედის მაძიებელ ადამიანს. უაზბეგისათვის შვიდი წელი საკმარისი იყო ცხოვრების სიბრძნის შესასწავლად, მან ზედმიწევნით გაიგო ხალხის სურვილი; ლეგენდარული მინდიას მსგავსად უაზბეგი გაბედულად შეიჭრა იმ დიდ ლაბირინთში, რომელსაც ხალხის ვნებათა ღელვა და სურვილები ეწოდება; იგი ნამდვილი გრძნეული იყო მასების სულიერი მოძრაობის გაგებაში. ბუნებრივი ალღო და ცხოვრების ცოდნა მასში ორგანულად იყო შეერთებული; ის მუდამ ეძიებდა, მოუსვენარი ძიება უაზბეგის სტიქია იყო. ამ ძიებაში უაზბეგს არაერთხელ ჩაუგდია საფრთხეში საკუთარი სიცოცხლე, მაგრამ არაფრის წინაშე ქედი არ მოუხრია და რასაც იტყოდა თურმე, კიდევაც ასრულებდა. ალექსანდრე უაზბეგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ხალხური შემოქმედებისადმი. „ხალხი სიბრძნის წყაროაო“ — იტყოდა ხოლმე იგი. „ნამწყემსარის მოგონებაში“ უაზბეგი ერთ ადგილას ამბობს: „...კიდევ ერთი დროის გატარება დამავიწყდა, რომელიც მე ისე გამართობდა ხოლმე... ეს გახლდათ ზღაპრები, ამბები, რომელიმე სახელგანთქმული მწყემსის, ან ყაჩაღის ცხოვრებიდან და სხვადასხვა ლეგენდარული მოთხრობანი“. სწორედ ამ ხალხურმა თქმულებებმა და ლეგენდებმა გაუღეს მას დამპყრობელთა მიერ ძალით დახშული ხალხის გული: თუ რა დიდი გრძნობით უყვარდა ალექსანდრე უაზბეგს ხალხური თქმულებანი, ამას დიდებულად ადასტურებს მისი ცხოვრების ერთი შტრიხი. „ერთხელ, — გადმოგვცემს ას ოცი წლის მოხუცი დიმიტრი. ღუდუშაური, — სანდროსთან ერთად ჯიხვებზე სანადიროდ ვიყავი. ბევრი ვსდიეთ ნადირს, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვკალით. უნდა გამოვბრუნებულიყავით უკან, რომ თოფის ხმა შემოგვესმა. ჩვენც იქითკენ გავსწიეთ, საიდანაც ეს ხმა მოვიდა. ვხედავთ: ერთ ხევსურს ორი ჯიხვი მოეკლა და დიდის ტანჯვით ხან ერთ ჯიხვს ამოიტანდა ხოლმე კლდეებზე, ხან მეორეს. ჩვენ მოვეხმარეთ ამოტანაში... იქვე ცეცხლი დავანთეთ და მწვადები შევწვით. სანდრომ ხევსურს რაღაც ამბავი გამოჰკითხა. ხევსურმა რაც იცოდა, ყველაფერი გვიამბო და ბოლოს დაუმატა: ერთი მეცხვარე ფშაველი ამოვიდა ბალიაურთან და ისეთ ლექსებს დამღე-

რის ფანდურზე, რომ ღეთის მადლმა, ტირილი მოგივაო. სანდრომ სთქვა: — თუ ის არ ვნახე, ვერ მოვისვენებო. მე სტეფანწმინდას დავბრუნდი, სანდრო კი ხევსურს გაჰყვა. სამი წელი ისე გავიდა, რომ სანდროს ვეღარ შევხვდი. ერთხელ ქალაქში მიდიოდა თურმე სანდრო; გზათ ჩემთან მოვიდა, ერთურთი მოვიკითხეთ, ბოლოს სანდრომ ჩვენი ერთად ნადირობა და ფშაველი მელექსე გაიხსენა. სანდრო ძალიან ლოცავდა იმ ფშაველს — „თვალები ამიხილაო“ — ამბობდა. სანდრომ რამდენიმე ლექსი და ზღაპარი მითხრა ფშაველის ნაამბობი. ლექსები აღარ მახსოვს, მხოლოდ ორი ლექსი ჩამრჩა გულში.

ბეთლემის კარზედ ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუელის ომის წადილი,
ხანდისხან შესძრავს ქარიო.
სამი არ გაიწერთნება: —
მგელი, არწივი, კაი ყმა,
მგელი არ მოშლის მგლობასა,
ვაჟკაცი მამაცობასა,
არწივი, ფრინველთა მეფე,
ჰიუხში ნადირობასა,
დაბლა აპირობს დაწევას
მწყემსებთან სადილობასა.

სანდრომ კიდევ ორი ზღაპარი მიამბო და თან დაუმატა, „მოთხრობაში უნდა გამოვიყენოო“. პირველი ზღაპარი ეხებოდა ერთ მონადირეს — ქალამნის თასმით რომ დაეკიდა კლდეს, მეორე კი სიყვარულზე იყო ნათქვამი. პირველი ზღაპარი სანდრომ გამოიყენა მოძღვარში“, მეორე კი არ მახსოვს: გულში კი ჩამრჩა, მეორე ზღაპარი ეხებოდა სიყვარულს: საჩერქეზოში ცხოვრობდა სილამაზით განთქმული ქალი. ერთ ხევსურს, სახელად ვოჟა-ჯურხაის შეუყვარდა თურმე ის. ქალმა შეიტყო ვაჟის სიყვარული და შეუთვალა: „თუ შენ ნამდვილად გიყვარვარ, — დედა მოჰკალ და მისი გული აქ მომიტანეო“. ვაჟმა პირველად უარი განაცხადა, მაგრამ სიყვარულმა აჯობა და თანახმა გაუხდა ქალს. ხევსური ბეთლემს ავიდა, შვიდი დღე და ღამე ილოცა; ბოლოს თავისი განთქმული ფარი ბეთლემის კარზე დაჰკიდა.

გადავიდა ხევსურეთში, დედა მოჰკლა და იმისი გული საყვარელს წაუღო. ქალის ასავალ კარებთან ხევსურმა ყური მოჰკრა რაღაც საუბარს. პატარა ხვრელიდან ოთახში შეიხედა და დაინახა, რომ მისი საყვარელი ვიღაც უცხო ვაჟს ეხვევა. ამ სანახაობამ ხევსურს თავრეტი დაასხა, დაბარბაცდა და დედის გული ხელიდან გაუვარდა. უცებ მომაკვდავმა დედის გულმა წაქცეულ შვილს ლმობიერი ხმით მიმართა: „ხომ არაფერი იტკინე შვილოო“. ამ ხმაზე ვოჟა-ჯურხაის ელდა ეცა და სული დალია. „ასე მიამბო სანდრომ ეს ამბავი. როცა ამბავი გაათავა, მახსოვს წარმოსთქვა: „ძალუმ სიბრძნე არაა შიგ — ღვთის მადლმა?“.

ალექსანდრე ყაზბეგი რაღაც უხილავი ძაფით იყო დაკავშირებული მთიელი ხალხის გულთან და საოცარი წინათგრძნობის ალღოთი იცოდა ხალხის მწუხარება და სიხარული; მას სიგიჟემდე უყვარდა სამშობლოს ინტერესებისათვის თავგანწირული ინდივიდი, ვერ ითმენდა ღალატს და მზად იყო საკუთარი ხელით გასწორებოდა მოღალატეს. „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“ — ეს იყო ყაზბეგის მორალური კანონი და იგი აძლევდა მას სულიერ ძალას. იგივე მორალური კანონი მიაჩნდა ყაზბეგს კავკასიელი და განსაკუთრებით მთიელი ხალხის ცხოვრების საძირკვლად. სწორედ ამ აზრით უყვარდა ყაზბეგს დაღესტნის სახელგანთქმული იმამი შამილი. იგივე ღუდუშაური გადმოგვცემს, რომ ყაზბეგს ძლიერ ჰყვარებია ამბების მოყოლა შამილის პირადი ცხოვრებიდან. განსაკუთრებით მოსწონდა თურმე ერთი ეპიზოდი. ერთხელ შამილი მეფის ჯართან შეტაკებაში დამარცხდა და ვედენოში გაბრუნდა. მისმა მოხუცმა დედამ შვილის დატანჯულ სახეს რომ შეხედა, ტირილი დაიწყო. შვილმა გამოჰკითხა ტირილის მიზეზი. დედამ უამბო, თუ როგორ გატყდა წელში დაღესტანი და უთანასწორო ბრძოლაში როგორ უგზო-უკვლოდ იღუპებიან მისი მამაცი შვილები: ბოლოს დედა ურჩევს შვილს — დაღესტნის სიკეთისათვის შეურიგდეს რუს ხელმწიფეს. „ორმოცი როზგი დედაჩემს!“ — დაიღრიალა შამილმა... ნაიბებს ხუმრობა ეგონათ და ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადეს. „ორმოცი როზგი მეთქი!“ კიდევ უფრო მძაფრად გაისმა იმამის ხმა, ბოლოს

ნაიბებმა შამილის დედა წამოაქციეს და დაუწყეს როზგებით ცემა. შამილი მწუხარე სახით დედას უმზერდა და როზგის თითეულ დაკვრას იგი ხმამაღლა სთვლიდა. „ერთი, ორი, სამი... ათი; საკმარისია“, დინჯად წარმოსთქვა შამილმა. „ათი დედაჩემს... დანარჩენი მე დამკარით დედის სამაგიეროთ“ და დაღესტნის მამაცი სარდალი, რომლის სახელიც დიდ იმპერიას ჟრუანტელს გვრიდა, ეხლა ბავშვივით დაწვა მიწაზე. „ალაჰ, ეგ არ იქნება!“ — ერთხმად იღრიალა ხალხმა და მიწაზე დამხობილი იმამი მოწიწებით წამოაყენა.

ალექსანდრე ყაზბეგი შამილში ხედავდა მთელ იმ სიკეთეს და მორალურ ძალას, რომელიც კავკასიელ ხალხს ტრადიციულად ჰქონდა. იქნება ყაზბეგის მიერ ნათქვამი ამბავი შამილის შესახებ ლეგენდა იყოს, შეთხზული მისი პირადი მტრების მიერ, მაგრამ ყაზბეგს უყვარდა ამ ლეგენდის მეორე მხარე, სახელდობრ — შამილისა და ხალხის დამოკიდებულება. ყაზბეგმა კარგად იცოდა, რომ ხალხს ბევრჯერ გადაურჩენია შამილი სიკვდილისაგან ხელჩართულ ბრძოლაში. შამილსაც უყვარდა თავისი ხალხი; მან ალაგმა თავგასული ხანები და ბეგები. ამით მან ხალხი იხსნა ათასგვარი დამცირებისა და წამებისაგან. ხალხიც აფასებდა შამილს და უსაზღვრო პატივს სცემდა თავის მეთაურს. ხალხი და ბელადი ცხოვრობდნენ ერთი სიცოცხლით — თავისი ქვეყნის მიწა-წყალზე, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს მშვიდობიანი ცხოვრება. უცხო ძალის ჩარევამ მოსპო კავკასიელი ხალხის თავისუფლების უკანასკნელი სიმაგრე.

ალექსანდრე ყაზბეგი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მთიელი ხალხის ზნეს, ხასიათსა და ჩვეულებებს. საუკუნეთა ტევრში გამოვლილი ზნე-ჩვეულებანი ქმნიდნენ ადამიანის ხასიათს, საზოგადოებრივ მორალს, რომლის დარღვევა თემის, ხალხის შეურაცხყოფად ითვლებოდა. ყაზბეგი პედანტური სიზუსტით სწავლობდა საუკუნეებით გამტკიცებულ ხალხურ ზნე-ჩვეულებებს; იგი თემიდან თემში დადიოდა და იწერდა ყველა თქმულებას, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა ხალხის სულთან. შოთა რუსთაველის შემდეგ ჩვენ იშვიათად გვეგულება მწერალი, რომელიც

ისე ორგანულად იყოს დაკავშირებული ხალხის გულთან, როგორც ალექსანდრე ყაზბეგი. მას ლეგენდარული სიყვარულით უყვარდა თავისი ქვეყანა, მაგრამ უდიდესი გულისხმიერებით და პატივისცემით ეპყრობოდა სხვა მოძმე ხალხების ზნესა და ხასიათს. ეს ინტერნაციონალური გრძნობა დიდების შუქით ანათებს ყაზბეგის პიროვნებას, ამ გრძნობას ალექსანდრე ყაზბეგი მიჰყავდა იმ დასკვნამდე, რომ მომავალში ერთიმეორეს ძმებივით შეხვდებიან ხალხები, რომლებიც გარეშე ძალამ ხელოვნურად ერთმანეთს გადაჰკიდა. გაიხსენეთ „ნამწყემსარის მოგონების“ დაბოლოება, სადაც ალექსანდრე ყაზბეგი შემდეგს წერს: „აქ ვწყვეტავ ამ წერილებს, რადგანაც რაც ვნახე და გავიგონე... გადავწყვიტე შოთხრობებათ გადმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არადა იმის აუცილებელ დამოყვრებულ მეზობლებს, რომელთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება მომავალში“. ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანას ვერავინ გაბედავს. ყაზბეგმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში დიდებულად გვაჩვენა არაქართველ ხალხთა სიყვარული და პატივისცემა. ინტერნაციონალიზმის გრძნობა თავზე გვირგვინად ადგა მის გმირებს და ამ შარავანდედმოსილი გვირგვინით მოვიდნენ ჩვენამდე, რათა ჩვენთვის მოეთხროთ თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი წარსულში, რამდენი ცრემლი და სისხლი დაიღვარა უსამართლობასთან ბრძოლაში; თუ რა მძიმე და ძნელი გზა გაიარა ხალხმა.

ამბობენ: ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის პირმშოაო. ალექსანდრე ყაზბეგი ამ დებულების ბრწყინვალე დადასტურებაა. განსაკუთრებულ ეპოქაში მოუხდა ყაზბეგს მოღვაწეობა. ეს იყო რეაქციის კვირაძალის დასაწყისი. 1881 წელს ტერორისტ-ხალხოსნებმა მოკლეს ალექსანდრე მეორე. მეფის სიკვდილი სიგნალი შეიქმნა საშინელი რეაქციის დასაწყისისა. სისხლი და ცრემლი იყო იმათი ხვედრი, ვინც წინ უსწრებდა თავის დროს და დიდებით ხედავდა მომავალი

დღის განთიადს. რეაქციის სუსხიანი დღეები ყველაზე მწვავედ განიცადა კავკასიის ხალხებმა. ეროვნულად და სოციალურად დაჩაგრული მოსახლეობა გარეშე ძალის ზეგავლენით ჰკარგავდა საკუთარ ენას, საკუთარ ზნეს, ხასიათსა და ჩვეულებას. პოეტების მწუხარე გენია მასზე ნაღვლიან ლექსებს თხზავდა. თვითმპყრობელური რუსეთის აპარატი მძიმე ტვირთად აწვა თავადაზნაურობის მიერ ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას. ქართველი თავადაზნაურობა, როგორც საერთოდ, ახლაც ყურმოჭრილი მონა შეიქნა თვითმპყრობელობისა. კიდევ მეტი: ისინი შიგნიდან აუძლურებდნენ ქართველი ხალხის ნაციონალურ ორგანიზმს და ხელს უწყობდნენ მის გადაგვარებას. თავისუფლებისადმი მისწრაფების ცხოველი სუნთქვა სრულიად შენელდა. აი, ამ ატმოსფეროში გაისმა ალექსანდრე ყაზბეგის ამაყი და დამოუკიდებელი ხმა. ეს ხმა იმ ეპოქის პირობებში მოწოდების ზარი იყო. ალექსანდრე ყაზბეგმა ჰეშმარიტი რაინდული გამბედაობით ახადა ფარდა შენიღბულ აწყმოს და აჩვენა, თუ რა დიდი ტკივილი იყო დამარხული ხალხთა გულში; ხოლო ქართველ ხალხს აგრძნობინა, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო". ეროვნული თვითგამორკვევის იდეა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ქვაკუთხედია. ამ აზრით ალექსანდრე ყაზბეგი იმ მუხლმაგარ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც დარაზმული იყო ილია ჭავჭავაძის მიერ გაშლილ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ.

ასეთი იყო ეპოქის სული; ალექსანდრე ყაზბეგის პოლიტიკური შეხედულებანი ამ ეპოქის დაღს ატარებს.

3

ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიაში არის ერთი მომენტი, რომელსაც ჩვენი აზრით, მისი შემოქმედების მიმომხილველი გვერდს ვერ აუხვევს. აქ მხედველობაში გვყავს მოხევე გლეხი ქალი — ნინო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ყაზბეგის ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, ნინო იყო აღმზრდელი ყაზბეგისა. მან ხალხური ლეგენდებით, ზღაპრებითა და ლექსებით თავისი აღზრდილი შეიყვარა ხა-

მდვილ, რეალურ ქვეყანაში, რომელსაც ყაზბეგი სიყრმის დროს დიდი მანძილით იყო დაშორებული. ბრწყინვალე წოდებიდან გამოსული, სასწაულებრივი სიადვილით ითვისებდა „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა“ ზნესა და ხასიათს. გამზრდელის ზეგავლენით პატარა ყაზბეგმა გაიგო ფეოდალური და კაპიტალისტური ცხოვრების მგლური კანონი, რომელიც ამბობს: „სუსტი ხარ — მაშასადმე შენ მართალი არა ხარ, მაშასადამე შეიძლება შენი ცემა და დამონება. ძლიერი ხარ, — მაშასადამე მართალიც ხარ, მაშასადამე შენ უნდა გერიდონ“.

თუ რა დიდი როლი ითამაშა გამზრდელმა ყაზბეგის ცხოვრებაში, ამას მშვენივრად ადასტურებს ყაზბეგის ნინოსადმი მიწერილი წერილი: „ჩემო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიტოვოს, ან სახსოვრად და მოგიძღვნას? ამაზედ უძვირფასესი მე არა მჭონდა რა და ამის გამოისობით შენ გიძღვენი ამ რამოდენიმე ჩემი გრძნობის წარსულის მოძრაობა, რომლის აღზრდაშიაც შენ ისეთ მონაწილეობას იღებდი. აბა მოიგონე ის დროები, როდესაც ბავშვობაში მიელიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს, მანებივრებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდე. მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობასა და სიძულვილს!.. ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეგობრები“, და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყმის მდგომარეობაზე ბატონების ხელში? გახსოვს შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ხალხის უსამართლობისაგან ტანჯული პირებისათვის. და ეხლა ამდენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლია ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლიან სიამაყით გითხრა: შენს გაზრდილში თუ კი იპოვება რაიმე რიგიანი ბავშვობისგანვე ჩანერგილი, იმის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობთ გამოუთქმელად“ (იხ. ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი, 1905 წ., გვ. 4).

ეს სიტყვები უბრალოდ მოვალეობის მოხდა როდია გამზრდელისადმი. არა, აქ ყაზბეგის ბუნებაა გაშლილი თავისი სულიერი ტკივილებით, რომელმაც უსაზღვრო სიძულვილთან ერთად იცოდა უზომო სიყვარულიც. აქა ჩანს ვაჟკაცობა და და პატიოსნება აღზრდილისა, რომელმაც გამზრდელის ხელით გახსნა ბნელით მოცული კარი ნამდვილი ცხოვრებისა. რა იქნებოდა ყაზბეგი ნინოს გარეშე? წინასწარმეტყველება აქ ძნელია, მაგრამ უდავოა, რომ ყაზბეგის ცხოვრება შედარებით სხვა მიმართულებას მიიღებდა. თუ საფრანგეთის განმანათლებელთა მამამთავარმა ჟან-ჟაკ რუსომ აღზრდის იდეალად ბუნებასთან უშუალო კავშირი წამოაყენა და აღზრდის პროცესი გამოაცხადა როგორც ლოგიკური გაგრძელება ბუნებრივი პროცესისა, მაშინ ყაზბეგი ამ იდეალური აღზრდის ერთ-ერთ ობიექტად უნდა მივიჩნიოთ. ნინოს საშუალებით ყაზბეგი მოწყდა ხელოვნურ აღზრდას და მისი გაწვრთნა ჰეშმარიტი გზით წარიმართა. მითოლოგიური ვარსკვლავივით წარუძღვა წინ გამზრდელი თავის გაზრდილს და პირნათელი მიიყვანა ხალხთან, შემოქმედების ამ ჰეშმარიტ წყაროსთან.

ალექსანდრე ყაზბეგი — როგორც ბელეტრისტი

ალექსანდრე ყაზბეგი მოსკოვიდან დედისადმი მიწერილ წერილში წერდა: „მართალია, ძნელ საქმეს ვებრძვი, მაგრამ მაქვს იმედი თავი გავიტანო... წაუქცევლად არ გადამირჩება სიძნელე საქმისა და საქართველოს კარებში შემოვალ დიდებით“. (იგივე გამოცემა, გვ. 8). წინასწარმეტყველება ყაზბეგისა სინამდვილედ იქცა. ბედის მაძიებელი ახალგაზრდა წავიდა მოსკოვში და დაბრუნდა საქართველოში მაღალი მიზნებითა და იდეებით დატვირთული. რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ, განსაკუთრებით ხალხოსნებმა ყაზბეგზე იდეური გავლენა მოახდინეს; მაგრამ ყაზბეგი შორს იდგა ამ კარჩაკეტილ კასტურ შეხედულებებისაგან, რომელსაც დიდი ადგილი ეთმობოდა რუსეთის ხალხოსნების უკანასკნელი პერიოდის მოღვაწეობაში. ამასთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგი პრინციპულად განსხვავდება ქართველი ხალხოსნებისაგან. ქართველ ხალხოსნებს ხშირად მექანიკურად გადმოჰქონდათ რუსეთიდან იდეები და შეხედულებანი და ხელოვნურად თავზე ახვევდნენ ქართულ სინამდვილეს იმას, რაც მისი ბუნებიდან ორგანულად არ გამოდიოდა. ჩვენი აზრით უდღეურობა ქართველი ხალხოსნებისა ამ მიზეზით უნდა აიხსნას. სულ სხვაა ალექსანდრე ყაზბეგი. მისი იდეური შეხედულებანი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო ქართველი ხალხისა; მან დიდი შემოქმედის ხელით გახსნა დამპყრობელთა მიერ ქართულ სხეულზე მიყენებული ჭრილობა და გენიალური მხატვრული თვალით გვაჩვენა ტკივილები, რომლებიც დამარხული იყო ხალხის გაუტეხელ გულში.

როგორც ისტორიულ-პოლიტიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში „ხევისბერი გოჩა“ წარმოადგენს სათავეს. თემატურად ეს რომანი იმ

ეპოქას ეხება, როდესაც თემს ძალა ჰქონდა, მისი ზნე-ჩვეულებანი ჯერ კიდევ ფასობდა; დამპყრობელთა ველური ხელი მხოლოდ შორიდან ეპოტინებოდა საქართველოს საზღვრებს და ჯერ კიდევ არ იყო შეჭრილი მის ეროვნულ ორგანიზმში.

„ხევისბერ გოჩას“ პრობლემათა სიღრმით და მხატვრული სიძლიერით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში. ალექსანდრე ყაზბეგმა ამ ნაწარმოებით გვაგრძნობინა საიდუმლო დიდება. სამშობლოს სიყვარულისა და გვაჩვენა ამ დიდი გრძნობის მატარებელი ადამიანები. აქა ჩანს მწერლის გაწვრთნილი გენია, რომელიც დიდი მხატვრის მარჯვენით ხატავს ტიპებს თავისი სულიერი ტკივილებითა და ვნებებით. მწერალმა ანტიური ტრაგედიის ძალით ერთიმეორეს შეაჯახა სიყვარულის ბუნებრივი გრძნობა და მოვალეობა სამშობლოსადმი. ორივე გრძნობა ალექსანდრე ყაზბეგმა დიდების შარავანდედით შემოსა: მწერალი ბუნებრივი გზით მიჰყვება მათ და გვაჩვენებს, თუ თვითეული მათგანი რა სიძლიერეს იჩენს კონკრეტულ პირობებში. როგორც ბოლოს დავინახავთ, ქალისადმი სიყვარულის გრძნობამ დროებით აჯობა სამშობლოსადმი მოვალეობის გრძნობას, მაგრამ ბოლოს მაინც მოვალეობამ სიყვარულის ბუნებრივი გრძნობა დაამარცხა.

ნაწარმოებში ჩვენს ყურადღებას — უპირველესად იქცევს ხევისბერი გოჩა. ამ ადამიანის სახით ჩვენს წინაშე დგას კაცი, რომლისთვისაც სამშობლოს სიყვარულის ცნება მისი ცხოვრების მამოძრავებელ ძალად, რელიგიურ რწმენად არის გადაქცეული. სამშობლოსადმი სიყვარულში ხევისბერი გოჩა ჰეშმარიტი ოდისეველია: ანტიური ოდისეი — ჭარმაგობის ჟამს ხომ მოხუც გოჩასავით მზად არის ყველაფერი გასწიროს სამშობლოსათვის, თვით საკუთარი შვილიც კი. გოჩასათვის ერთადერთი უზენაესი კანონი არსებობს, რომელსაც იგი ჩვილ ყრმასავით ემორჩილება; ესაა ერის ხმა. „ხმა ერისა“ გოჩასათვის რაღაც სასწაულებრივი მოწოდების ზარი იყო. იგი მოხუც გოჩას აგონებდა წინაპრებს, რომელთა ძვლებზე შენდებოდა ხალხის აწმყო და მომავალი; საუკუნეთა ტევრში გა-

წვლილი წინაპართა ჩვეულება და ადათი, ზნე და ხასიათი. ვაჟკაცობა და მტრის სიძულვილი გოჩას ბებერ ორგანიზმში საიმედო დასაყრდენ ძალას პოულობდა. და როცა გაისმა ხმა — სამშობლოში მტრის შემოსევის შესახებ, ეს ხმა პირველად გოჩას ყურთასმენამ გაიგონა; ომის ძახილი რაღაც მწუხარე ხმად გაისმა და მთელ ხევს მოუსვენრობა დაეტყო. ყველა გოჩას უცდიდა, რადგანაც ხალხის წარმოდგენით გოჩას პირით თვით უზენაესი ლაპარაკობდა. გოჩა, როგორც ბრძენი და მშვიდობიანობის მოყვარული ადამიანი, ცდილობდა გამანადგურებელი ომის თავიდან აცილებას: ამ აზრით მან შეაკაცები მიუგზავნა მთიულებს და გააფრთხილა ომში არ ჩაბმულიყვნენ, მაგრამ ნუგზარ ერისთავმა თავისი გაიტანა და დაჭირავებულ ლეკთა ჯარით მიადგა მოხევეთა საზღვრებს. ერთ საღამოს გოჩამ თავისი ხალხი შემოიკრიბა გარშემო და დამწყალობების შემდეგ აუწყა მათ შემდეგი: „ხალხო და ჯამაათო, ნუგზარისაგან მთიულების განშორებამ ომი თავიდან არ აგვაცილა... მათ შაგიერ ნუგზარს ლეკის ჯარი მოსვლია... რაისთვის დაგიმალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების, ბევრის დედაი ჩაიცვამს შავსა, ბევრი მშობელი გულში ვეღარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად რომ მტერი ძლიერია. ნუგზარი კი სისხლით გაუმაძღარი, იცოდეთ სახუმარო საქმე არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, იმდენად გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი უყოთ რომ ერთზე ათი მოვა?! ასიც რომ მოვიდეს გამარჯვება მაინც ჩვენი იქნების, იმად რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალნი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში. ჩვენ გვიპირებენ აკლებას, ჩვენ დედაკაცებს გაწბილებას, და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანატრელიც არის... ვინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემთ ჭუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი!.. ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის.

„დედამც შეურთამს ცოლადა, ვინც კარზე მომდგარ მტერს გაჰოქცეს, ვინც სიკვდილს შეუშინდეს... მოღალატეს რისხავდეს სამება...

„ო — ომენ — იყო ხალხის პასუხი“.

ჭეშმარიტმა პატრიოტულმა გრძნობამ, გრძნობამ სამშობლო სიყვარულისამ — მთიელი ხალხი ერთ მთლიან უძლეველ ძალად შეჰკრა. როცა მოხევენი ომის მზადებაში იყვნენ, ხევისბერი გოჩა საკუთარ სახლში ქუდმოხდილი დაემხო ჯვარცმის წინ და მხურვალედ ლოცულობდა; „მას მაღლა აეღო თავი და თვალები ზეცისაკენ მიეპყრა. შეწუხებულ გულს სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა. მუდამ სწორად დალაგებული თმა ახლა ზართა ჟრიამულს აეშალა... ის ხმას აღარ იღებდა, ოაგრამ სახის მოძრაობაზე აშკარად ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მთლად მოებურა მისი არსება... შემოსულმა ვეღარ გაბედა წმინდა მყუდროების დარღვევა. წყნარად თითონაც დაემორჩილა ამ სურათის ძალას... თავი მოეხარა, მუხლები ჩაეკეცა და დაჩოქილი დარჩა. მან იგრძნო, რომ მოხუცის ვედრებაში მისი სახელიც ისმოდა. კიდევ ერთი წუთი და აშკარად გაიგონა: „ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!“ და ამ სიტყვებზე კარებთან მყოფი შეკრთა, შეკრთა მოხუციც მის მოძრაობაზე: მოიხედა, დასუსტებული, წყნარად წარმოსდგა, მივიდა შვილთან ლასლასით, დაადო თავზე ხელი და აღელვებულმა მთოლვარე ხმით გაიმეორა: „ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ჭუდი მოეხდებოდეს“. ამ სიტყვებზე მოხუცს გამხდარ ღაწვზე გადმოედინა მდუღარე ცრემლები, რომელიც საჩქაროდ მოიწმინდა და გაფრთხილებით აქეთ-იქეთ მიიხედა, თითქოს ეშინოდა, რომ არავის დაენახა. ონისეს გულმა ვერ გაუძლო, მოხუცის მოჩვენების ხილვით, თვითონაც მოლბა და თვალები... გაუბრწყინდა, იმან იგრძნო, რა რიგათ უყვარდა მამას, რა უნდა ეგრძნო მის გულს, როდესაც შვილი განსაცდელში იქნებოდა და ეს განსაცდელი კი იქავ ახლო, ზურგს უკან ედგა...

„მამაისი, რაი გატირებს?

„ვინ იცის რაი შეგემთხვას, — ჩურჩულით წარმოსთქვა მოხუცმა.

„რაი უნდა შემემთხვას? გაუმაგრა გული ონისემ. ღმერთი მოწყალეა! მტერს გავაბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით.

„ბრძანოს უფალმა, — წარმოსთქვა მოხუცმა და ხელები აუთრთოლდა:

„წადი ონისე დროა... ღმერთიმც იქნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა, ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდება! მაგრამ ვაჟკაცურად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს...

„არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავს თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათი სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდე დაუჟენთავს. ახლა თქვენ იცით რასაც იქთ".

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ძალაუნებურად გვაგონდება ძველი სარაინდო აღთქმები. ერთ-ერთი აღთქმა გმირმა ესპანელმა ხალხმა ლექსად გადააკეთა და ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში მებრძოლები ბარიკადებზე მღეროდნენ. ეს სიმღერა ძველია, მაგრამ იდეურად ახლოა გოჩას გულთან და ჩვენც ამიტომ გავიხსენეთ. სიმღერის შინაარსი ასეთია: ოდესღაც ბასკონიაში ცხოვრობდა გამოჩენილი რაინდი ვინმე ვაამონდე. თავისუფლებისმოყვარულ ესპანელებს მტერი შემოესია. სამშობლოს სიკეთისათვის რაინდი გამოეთხოვა თავის ცოლს, თორმეტი წლის ვაჟიშვილს და გაემგზავრა ბრძოლის ველზე. მრისხანე მტერთან ბრძოლაში რაინდის გულში ცოლისადმი სიყვარულის გრძნობამ გაიღვიძა. სიყვარულის ხმა მას ეძახოდა სახლისაკენ. რაინდი სამშობლოსადმი მოვალეობას ივიწყებს და ბრძოლის ველიდან სახლისაკენ გაიქცევა. თანახმად ცოლთან დადებული პირობისა, გამარჯვების შემთხვევაში მახლობელ მთაზე ქმარს ალისფერი დროშა უნდა აემართა. თორმეტი დღე და ღამე გაატარა ქალმა ქმრის მოლოდინში სრულიად უძილომ. მეცამეტე დღეს ქალმა მთაზე შავი დროშა დაინახა. ქალს გაუკვირდა: „თუ კი ჩემს სამშობლოს დამარცხება ეწერა, ქმარი რა პირით ბრუნდება სახლში კოცხალიო", როდესაც რაინდი მიუახლოვდა ცოლს, ცოლმა სიმღერით უთხრა: „მხდალი მამაკაცის ცოლად ყოფნას, სჯობს სახელოვანი ქმრის ქვრივად დარჩენა". ეს სიმღერა ძველია, მაგრამ უკვნობი, ვით გმირობა და ვაჟკაცობა, პატიოსნება და

სამშობლოს სიყვარული. აი ეს სიმღერა მოგვაგონა გოჩას გულწართალმა პატრიოტულმა სიტყვებმა. მისი სიყვარული სამშობლოსადმი კეთილშობილურია, რადგანაც სხვას კი არ ესხმის თავს, არამედ იცავს თავის ქვეყანას თავდამსხმელებისაგან. ამიტომ არიგებს თავის ღვიძლ შვილს, ონისეს, მხურვალე პატრიოტული სიტყვებით: „ისე მოკვდი, რომ თემს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდესო“.

როგორ შეასრულა შვილმა მამის დარიგება და დიდი მოვალეობა სამშობლო ქვეყნის წინაშე? ონისემ გასტეხა მამის წინაშე დადებული ფიცი; ქალის სიყვარულის გრძნობით გატაცებულმა დაივიწყა თავისი მოვალეობა მაშინ, როდესაც საჭირო იყო მეტი სიფხიზლე, რათა მტერს საზღვარი არ გადმოელახა, ონისე სტოვებს საზღვრის საგუშაგოს და გარბის შეყვარებულისაკენ. მტერმა ისარგებლა ამ შემთხვევით და პირველი სიმაგრე ხელში ჩაიგდო. ეს იყო პირველი დამარცხება სიყვარულით გატაცებული ონისესი. ბოლოს თვითონაც მიხვდა, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინა თავისი ხალხის წინაშე, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. ასე შეეჯახა ერთიმეორეს სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობა. სიყვარულის გრძნობამ აჯობა მოვალეობას. მაგრამ ეს არ მომხდარა დიდი სულიერი ტკივილების გარეშე. რაკი ონისეს, ამ შესანიშნავი ვაჟკაცის გულში ერთი წუთით ჩაჰქრა სამშობლოსადმი მოვალეობის გრძნობა, სჩანს სიყვარული საწამლავივით ღრღნიდა მის მაგარ ორგანიზმს, მართლაც, სიყვარული უაზბეგის შემოქმედებაში რაღაც მაგიურ როლს ასრულებს. სიყვარულს ხშირად ადამიანი თავდავიწყებამდე მიჰყავს და ავიწყებინებს ყოველგვარ მოვალეობას, მაგრამ ყოველივე ეს უაზბეგის ბადლიან მარჯვენას იმ ძალით აქვს დახატული, რომ არამც თუ გაჯერებს, არამედ იძულებული ხარ უთანაგრძნო იმათ, ვინც სიყვარულით დატანჯულა ამ „გულცივ დედამიწაზე“. განა სრულიად დაუმსახურებელი არ არის ონისეს სიყვარული ძიძიასადმი? განა ონისეს მოქმედება რადიკალურად არ ეწინააღმდეგება თემის წესსა და კანონს? ონისე ხომ ხელისმომკიდეა ძიძიასი და ადათის ძალით ის საკუთარ დასავით უნდა ჰყვარებოდა. ეს იყო ონისეს საქვეყნო მოვალეობა. მაგრამ სიყვარულის ბუნებრი-

კი ძალა ხშირად ანგრევს ხელოვნურად შექმნილ ადათებსა და ტრადიციებს; იგი ქედს არ იხრის თვით უკიდურესი სასჯელის წინაშეც კი, და მზად არის ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათვის. ალექსანდრე ყაზბეგმა, როგორც გენიალურმა შემოქმედმა, გვაჩვენა ამ სიყვარულის ძალა თავის ბუნებრივ ფორმაში; მან გულთამხილავი წინათგრძნობით ჩაგვახედა ადამიანის გულში და გვაგრძნობინა სიყვარულის საიდუმლო დიდება. რა უყოთ, რომ ონისემ დროებით მოვალეობა დაივიწყა! ამ შემთხვევაში იგი მოვალეობის მონა კი არ არის, არამედ მიჰყვება საკუთარ გულისხმას, რომ არ გაჰყოლოდა ამ ხმას, მაშინ იგი ყალბი იქნებოდა და მიმზიდველობაც დაეკარგებოდა. ბოლოს ხომ თემმაც გააცნობიერა და მისი მოქმედება ჩასთვალა ყმაწვილკაცურ გატაცებად. თემმა ონისე მოღალატედ არ სცნო. მაგრამ ამ თემში იყო კაცი, რომელიც იმ წუთში მთელ თემზე მაღლა დადგა თავისი გონებრივი შორსმჭვრეტელობით. ეს გახლდათ ხევისბერი გოჩა, მამა ონისესი. გოჩა უფრო შორს იხედება. შვილის მოქმედებაში მან ღალატი დაინახა. გოჩა ბრძენი იყო და ნათლად მიხვდა, რომ შვილის მოქმედების დაუსჯელობამ შეიძლება თემის ძალა გასტეხოს და მისი ორგანიზმი დაარღვიოს. ონისეს რომ შერჩენოდა დანაშაული, ასეთი კომპრომისის შემდეგ მეორე ჩაიდენდა ამგვარსავე დანაშაულს და ლოგიკურად ვერც მას დასჯიდა თემი; ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედების დაუსჯელობას შეეძლო თემის ადათისა და ჩვეულებების ფეხქვეშ გათელვა. რომ უფრო ნათელი გახდეს ხევისბერის მოქმედება, საჭიროდ მიგვაჩნია მთელი იმ პროცესის აღდგენა, რომელმაც გოჩას მკვლელობა ჩაადენინა.

როგორც მკითხველმა იცის, ძიძია ცოლი იყო მთაში განთქმული ვაჟკაცის — გუგუასი. ქორწილის დროს ონისეს, რომელიც ხელისმომკიდე იყო ძიძიასი, შეუყვარდება გუგუას საპატარძლო, ბოლოს ქალიც სიყვარულის ნიადაგზე ტანჯვით ივიწყებს ქმრისადმი მოვალეობას და შეიყვარებს ონისეს იმ ძალით, რა ძალითაც მოხვევე ქალებმა იციან სიყვარული. გუგუა ჭკვიანი ახალგაზრდა იყო და ალღოთი მიხვდა მოსალოდნელ კატასტროფას. ერთხელ მგზავრობისას გუგუა მოიხმობს

თავის ცოლს — ძიძიას და ჰკითხავს გულცივობის მიზეზს. ამ კითხვაზე ძიძია გულწრფელად უპასუხებს: „რა ვქნა, თუ კი არ მიყვარხარო“. ქალის პასუხი იწყინა თავმომწონე ვაჟკაცმა და იგი სიკვდილით დაემუქრა ქალის შეყვარებულს—ონისეს: გუგუა ხელხანჯლიანი გაქანდა ონისეს ბინისაკენ. ქალი კი თავრეტდასხმული უკან დაედევნა. ქალი „ის იყო მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირებდა, როდესაც ვიღაცამ ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა. ქალმა მოიხედა და ღონემიხდილმა ძლივსღა წარმოთქვა: „ონისე“.

„კარგა ღამემ გაიარა,— მოგვითხრობს ალექსანდრე ყაზბეგი,—მოწმენდილ მთვარეს ცაზე კაშკაში გაჰქონდა და ნაზი სხივით იქაურობას ეკამკამებოდა. ონისე და ძიძია იმავ ადგილას ისხდნენ, სადაც ტრფიალების ცეცხლმა დასცა და დაიმონა; ორნივ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ და... სიტკბოების ნეტარებას ეძლეოდნენ. მთვარის შუქი ნაზად შესთამაშებდა ძიძიას დათენთილ სახეს, რომელსაც ონისე არ უსვენებდა და მთვარეზედ მობრუნებულს ხან გაშმაგებით ჩასცქეროდა, ხანაც გიჟსავით კოცნიდა და ეხვეოდა. ყოველი მათი ერთმანეთთან მიახლოვება, მიკარება ათრთოლებდა, როგორც მოუსვენარი ნიავი წნორის ფურცელს... ორთავ დავიწყებოდათ სად იყვნენ, დავიწყებოდათ თავიანთი თავი.

ესენი ამ თავდავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი, შეყვარებულები ფეხზე წამოცვივდნენ. წუთის წინათ ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულ ონისეს მხოლოდ ეხლა მოაგონდა თავისი მოვალეობა. მას თვალწინ დაუდგა ხატის წინ დამხობილი გოჩას სურათი: მოაგონდა მამის სიტყვები და გატეხილი ფიცი, ონისემ შეხედა ძიძიას და გაიფიქრა: „მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა“.

ონისეს წინ გადაშლილი იყო ომის საზარელი სურათი. მტრის მოწინავე რაზმს მოხევეთა სიმაგრე უკვე აეღო და გუშაგები ბრძოლაში დაეხოცათ. ასე დასრულდა ონისეს უბედო სიყვარულის ხანმოკლე ისტორია.

თუმცა დიდი მსხვერპლით, მაგრამ მოხევეთა მამაცმა ჯარ-

მა გაიმარჯვა და დიდი ზარალით უკუ აქცია მტრის ძალები. ეს გამარჯვება საერთო მხიარულებას იწვევდა მოხევეებში, მაგრამ აქ იყო კაცი, რომელიც ამ საერთო მხიარულებას არ იზიარებდა. ეს გახლდათ მოხუცი გოჩა. მას ჰქონდა მიზეზი ამ დაღონებისა. როცა ბრძოლა გათავდა, ხევისბერის წინ წარსდგა სამი ტყვე, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამშობლოს ღალატი. ორი მათგანი იყო ოსი, ერთი კი მოხევე. „ერთბაშად გოჩამ აიღო თავი და იქაურობას სევდიანი თვალი მოავლო. ონისე, რომელიც ხალხში იდგა და გოჩას შეჰყურებდა, აერჟოლდა, თვალი ვეღარ გაუსწორა მოხუცს და თავი დახარა. გოჩა დააკვირდა ონისეს, მაგრამ ჩქარა ისევ თვალი მოაშორა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა: ‘ყოიყუანეთ დამხაშავენი. ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეული მსაჯულების წინ წარსდგნენ ორი ოსი და გუგუა. ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესი უფლება უნდა მიეღო და ვინ იცის რა უნდა გადაეწყვიტა.

„გაუხსენით ხელები, — ბრძანა გოჩამ და მისი ბრძანება სწრაფად ასრულდა. ამის შემდეგ გოჩამ... იდაყვი დაიდო ზუხლებზე... და მთლად სმენად გადაქცეული ისე დარჩა. თემის თავებისაგან ყველაზე უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილზე, დაიჩოქა და წარმოსთქვა:

„ხალხო და ჯამაათნო!.. სმენა იყოს და გაგონება. აი თქვენს წინაშე დგას ორი ოსი. ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ, შეგვაბრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებათ, რადგან კაცი შემოკვდომოდათ და სდევნიდნენ... ჰაი, ჰაი, რომ ნების-ნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არამც თუ სხოსა, თაკსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკვდომა უბედურებაა და უბედურები ითხოვდნენ ხევისაგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარაი არ გაიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითღა გადაგვიხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩ-

ვენეს მოსასვლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკადელი ჩამოაკიდებინა, ისინი ღალატით გასწყვიტეს... რას იტყვით, ხალხო და ჯამაათნო! ყველას შეგატყობინეთ, ყველას გავაგებინეთ, სახუმრო არ არის კაცის სიკვდილი. მოხევე წამოდგა, დაუკრა ყოველმხარეს თავი და თავის ადგილზე დაჯდა.

„იმართლეთ თავი თუ შეგიძლიანთ. — წარმოსთქვა გოჩამ. რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია... ოსების დანაშაული აშკარა იყო... ისინი დაეცნენ მუხლებზე და ტირილით ითხოვდნენ პატიებას. მაგრამ მსაჯულნი მათი მუდარისადმი ყრუდ რჩებოდნენ. ისინი შეჯგუფდნენ გოჩასთან, ცოტა ხანს რაღაც აირჩიეს და ისევ თავთავიანთ ადგილას დასხდნენ. მცირე სიჩუმის შემდეგ გოჩამ აიღო თავი და წარმოსთქვა... „ორნივ ჩაქვავდეს“... „როცა ოსებისაგან მოიცალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად, დამშვიდებით წარმოსთქვა: „მოკვანეთ გუგუა“. რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას, გაუხსნეს ხელები და წინ წააყენეს, პირველსავე განძრევაზე მოხევეს თვალთ დაუბნელდა... წაიბარბაცა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და შედგა. ბრალდებული გუგუა მთლად გაფითრებული და პირგამშრალი იდგა ხალხის წინ და უაზროდ თვალები ერთი ადგილისაკენ მიექცია. ხალხი სწყევლიდა, ლანძღავდა და ერთმანეთს თითით უჩვენებდნენ ამ ავაზაკს. როგორც წეღან, ეხლაც გამოვიდა ერთი თემის თავთაგანი და შეუდგა გუგუას გამტყუნებას. აღმოჩნდა, რომ როდესაც მტერი მოხევეთა ბინაზე იერიშით მიდიოდა, გუგუა მათ წინ მოუძღოდა და ნუგზარის ჯარს გზას უჩვენებდა. „გაიმართლე თავი თუ შეგიძლიან, — უთხრა გოჩამ და გაჩუმდა. გუგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქაურობას თვალი და ონისე, რომელიც ისევ იმ ადგილზე გაქვავებულსავით იდგა, დაინახა. გუგუას თვალები გაუბრწყინდა, პირისახე გაუწითლდა, გაიბრძოლა იმისაკენ, დატორტმანდა... გუგუა მობრუნდა მსაჯულებისაკენ და მწუხარებისაგან დაღრეჯილი სახე შეაქცია. ბოლოს მოიგლიჯა ქუდი, რომელიც თითქოს თავსა სწვავდა და დედამიწაზე დაახეთქა.

„რაი ვსთქვა, რაი გითხრათ? — მწარედ წარმოსთქვა გუგუამ: — მხოლოდ ერთ ადგილს უღალატა, ერთგან გაისმა დანჯღრეულ სიმათ.

„რაი ვსთქვა, რაი გითხრათ?... — მწარეთ წარმოსთქვა გუგუამ, — უფალმა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მტრის წინ მომძღოლი მნახეს და ვინ დამიჯერებს... რაისთვისღა მაწკალებთ, რაისთვის მალაპარაკებთ?.. მომკალით და თქვენც შოისვენებთ!

„ბალღო, სიკვდილი ძნელი არაა... ცოტა სიჩუმის შემდეგ, დაიწყო ისევ გოჩამ და ხმაში აგზნებული სიყვარული დაეტყო: — მაგრამ გულს არა სჯერა, რომ ხევის მიწა-წყალის კაცი, ხევის ძუძუთი გაზრდილი მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგთ გაჰყიდდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა!.. გული სამუდამოდ იკვნესებს, სევდა აღარ დაილევის, ნისლს ვეღარ გაიცლის, თუ მართლა მოძმეთ გამყიდველად გიცნო.

გუგუას ამ სიტყვებმა გული მოულბო. იმან დაინახა, რომ მოხუცის გული მშობლიური მზრუნველობით ექცეოდა და გულით უნდოდა პატიოსნებით სავსე გოჩა მაინც დაერწმუნებინა, რომ მართალი იყო.

„გოჩავ, უფლის მადლმა, დიდებული წვერი-სპას-ანგელოზის მადლმა, ვფიცავ ყმაწვილ-კაცობას, სიყრმეს, ვფიცავ შენ სახელსაც, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თავს ვერაფრით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო, უნდა მოვკვდე.

„მტრის ჯარში საიდგან გაჩნდი?

„საიდგან?.. გინდა ყველაფერი მათქმევინო?.. თავი დამანებე გოჩავ... ნუ მალაპარაკებ! ხომ ხედავ, რომ ლაპარაკი მიძნელდების? ყოველთვის გულკეთილს — დღეს ჩემი წვალება რაისთვის-ღა მოგიწადინია.

„ჩემი გულიც არ არის მოსვენებული გუგუავ! უწყის უფალმა... ყოველ სიტყვაზე, ყოველ კითხვაზედ ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზე დიდია და ჩემზედაც.

„გითხრათ?.. კარგი... წამოიძახა მოხევემ და საჩქაროდ მობრუნდა იმ მხარეს, სადაც ონისე იდგა, საცოდავს სახე მთლად დაპრანჭოდა და მძიმე ტვირთს თითქოს ოთხათ მოეხარა. გაყ-

ვითლებულ პირისახეზედ სიცოცხლის ნატამალი აღარ ეტყობოდა. გუგუა ისევ შესდგა, შეიმაგრა თავი და მსაჯულებისაკენ გამობრუნდა: „გამიგონეთ... სიკვდილის არ მეშინიან, თუნდა გამამართლოთ კიდეც, ღვთის მადლმა თავს აღარ ვიცოცხლებ. რაისთის-ღა მინდა ერთხელ გაწბილებული სიცოცხლე... მაშ, გამიგონეთ... ყველას მართალს გეტყვით, — მე მთიდან მოვდიოდი და როდესაც ჩამოვივაკე, მტერს შევეფეთე... გამოვიქეცი, რომ საფარში შემეტყობინებინა, მაგრამ მტერი ფეხდაფეხ მომდევდა და ვეღარ მოვასწარ. ისინი თოფს არ მესროდენ, რომ ხმაურობაზე ჩვენი მდევარი არ გამოსულ იყო და მე კი თოფ-ტიალას ჩახმახი მომეშალა. ჩვენებმა მტრის ჯართან დამინახეს და მოღალატე გამხადეს... თუ ეტყუოდე მიწამც გამისკდეს... და თან ჩამიტანოს.

„მთაში რაი გინდოდა? — ჰკითხა ერთმა მსაჯულთაგანმა.

„საქმე მქონდა.“

„მარტო იყავ?“

გუგუამ არა უპასუხა რა და ამისათვის კითხვა გაუმეორეს.

„მარტო იყავ?“

მოხევე ებრძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა იმ ქალის სახელი მოეყივნებინა, რომელიც კიდევ ქვეყანას ერჩივნა.

„რაი ბედენაა, მარტო ვიყავი თუ არა. ბოლოს წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: — თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაგყიდეთ თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამიყიდიხართ, არ მიღალატნია თქვენთვის. ჩემს გაჩენაში გულშიდაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა, მოწამე ღმერთია... ცხოს ნუღარ მკითხავ. პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინ წუთებს კი მომიწამლავს. ამის შემდეგ გუგუა გაჩუმდა... ხალხიც გაჩუმებული იყო და სულგაკმენდილი ელოდა თემის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელიც გოჩას შემოხვეოდნენ. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ. ერთბაშად დაიშალა კრება და მსმენელთა გულისძგერამ იმატა. მოუთმენლობამ უკანასკნელ საზღვარს მიაღწია. ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა და საერთო სიჩუმის დროს წამოდგა გოჩა.

„ღმერთო, მოგვიტევე თუ ვცდებით რაშიმე!.. რაც შენ

გაგონე იმას წარმოვსთქვამთ... თემის მშვიდობიანობა მოითხოვს რომ გუგუა განწირული, მოშორებული იყვეს თემისაგან და ნათესაობისაგანაც... მარტო იმის ცოლს ეძლევა ნება თან გაჰყვეს... დღეის შემდეგ არც ვის არ აქვს ნება მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოდ ნახა... მიაწოდოს წყალი თუ მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური თუ მშიერი ნახა... ყველა სახლის კარი დახშული უნდა იქნეს მისთვის პასუხის მისაცემად. ყველა დაყრუებული უნდა იყოს მისთვის მისი ჩვეწნის გასაგებად, ხევის ჯვარანგელოზნო, თემის პირის-გამტეხს და გადამბრუნებელს შენა რის...

„შესდექ! — ერთბაშად ვიღაცამ ხელი გაავლო გოჩას და სიტყვა გაუწყვიტა. ხალხმა გაკვირვებით შეხედა ჩევისბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი ხელში ეპირა. მათ თვალწინ ონისე იდგა.

„შესდექ, ხევისბერო! გუგუა მართალია! — დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლილიყო, თითქოს წამოცვენას აპირებენო. ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო. გოჩამ შეარყია დროშა და ზარების ხმასთან ერთად ხმამაღლა ბრძანების კილოთი დაიძახა:

„იყუჩეთ! — და ამ ხმის გაგონებაზე ერთბაშად ყველა გაჩუმდა.

„თქვი რას ამბობდი?

„გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუასა და მე მიზეზი გვაქვს ერთმანეთის მოსისხლენი შევქმნილიყავით... ეგ მთიდან მოდიოდა, ბილიკებზე ავად დაეშვა, რომ მე მოვეკალი... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატეობას ტყუილად სწამებთ.

„ეგ ვინღა გიამბო! ერთბაშად წამოიძახა გუგუამ, და ეჭვისაგან თვალები აეხსნა.

„ჩემის ყურით გავიგონე... როცა შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული, რაიღა დავმალო, მოძმეთ ცოდო მე მაბევს კისერზე, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. გუგუა უბრალოა!

ლაპარაკობდა აჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა. ზარდაცემული მოხუცი მთლად კანკალებდა და კარგახანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს ძალზე ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზე ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

„ბაშ ეგრე გაიგონე ჩემი ღარიბება? წყეულიმც იყავ ყველასაგან მოძულებული. დედ-მამის საფლავიდან ამომგდებო! რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ... ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მოუბრუნდა: — „მოძმეთ სისხლი კაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს. გადასწყვიტე. თემო“ — კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

„გოჩავ! — შენ შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტანია და თავდავიწყებაში ჩაუგდია.

„მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულიაში ნამუსისათვის გამოუვა. ონისე ეხლა მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა.

„გოჩავ! სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრამ პირგაჭეჭებული ხევისბერი ცეცხლსა ჰყრიდა თვალთაგან.

„უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ...“ მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შკილისაკენ და შესძახა: „მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის“. ამ სიტყვებზე იელვა ხანჯალმა და ონისემ მიწაზე ფართხალი დაიწყო. მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო. ეს მოძრაობა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ უბედურების შეყენება ვეღარავინ მოასწრო. ხალხი შემოიფანტა და ახლო ვეღარავინ მიჰკარებოდა მოხუცს.

— „გოჩა! — ცოტა ხანს შემდეგ ვიღაცამ ხელი გააკრა მოხუცს.

„ჰაი?—ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მოიხედა. მის წინ იდგა გუგუა.

„გოჩავ!—გაიმეორა იმან ხმამაღლა: — წეღან გითხარ,

რომ დამნაშავე არა ვარ-მეთქი, მაგრამ ერთხელ მაგგვარ ცილისწამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ; ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოკავს... მშვიდობით გოჩავ, მშვიდობით ხალხო! — ამ სიტყვებთან ერთად მან გაიძრო დამბაჩა. მოიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა. მოხუცმა მხოლოდ ამოიკვნესა, მიიხედ-მოიხედა შეშლილი თვალებით და შეკრთა. ბოლოს დააწყებინა ცახცახი და გასისხლიანებული ხანჯალი... შორს გადაიტყორცნა... რამდენიმე ხანს ასე ჩუმად იდგა და დაესხა თავბრუ და ჩაიკეცა, ის დაეკონა შვილს და რამდენჯერმე წყნარი ხმით წარმოსთქვა: „შვილო, შვილო“ — და ზედ დაეკრა. კარგა ხანს დასტიროდა ონისეს. გაყინულ სხეულს, ბოლოს წამოიხედა, და ველურად დაიწყო აქეთ-იქით ყურება და ერთბაშად შეშინებული წამოვარდა: — შორს, შორს!.. დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა...

— სისხლი, ხანჯალი... შვილი, შვილი, რა იქნა ჩემი შვილი!—ძალზე შეჰკივლა და ვეფხვივით ღრიალი დაიწყო.

გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა, ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარება მიიღო, მხოლოდ სამტვერიის ტყე გადაიქცა ყველასათვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა ჭკუაზედ შემცდარი გოჩა და გამვლელ-გამომვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიჟებოდა თავის სახლში და უამბობდა რომ შვილს მოელოდა შორის გზიდან“.

ვრცელი ამონაწერი, ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ორი მოსაზრებით: პირველი — იმიტომ, რომ მთლიანი წარმოდგენა გვქონოდა ამ შესანიშნავ სურათზე; მეორე — იმიტომ, რომ სრულყოფილად გვეგრძნო ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედი სული. რამდენი ტკივილის, რამდენი გრძნობისა და ფიქრის აღმძვრელია ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილი! რა დიდი ვნებათა ღელვა და სულიერი ტანჯვა უნდა ჰქონოდა ალექსანდრე ყაზბეგს, რომ ასეთი ცეცხლით დაეწერა ეს მარად უკვდავი სტრიქონები. ამბობენ — შემოქმედი საკუთარი სისხლით წერსო, თუ ეს თქმულება სხვებისათვის ისტორიულ ჭეშმარიტებას შეიცავს, ალექსანდრე ყაზბეგისათვის იგი ლოგიკური ჭეშმარიტებაა. ასეთი დიდი ტკივილებით შოთა რუს-

თაველის, დავით გურამიშვილის და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ქართული ლიტერატურის ისტორიაში არავის უწერია.

შეხედეთ! თქვენ წინ დგას თეთრწვერა ხელხანჯლიანი გოჩა, რომელიც საკუთარ შვილს სჯის სამშობლოს ღალატისათვის. შვილის მოკვლა არც თუ სასახელო ამბავია; კიდევ მეტი: პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს პროცესი მძულვარებასა და ზიზღს გამოიწვევდა შვილის მკვლელისადმი, მაგრამ დიდი შემოქმედის ხელში — შვილის მოკვლა, თუ კი ამ საქციელს საფუძვლად უდევს ჭეშმარიტება, ამაღლებს მშობელს და შარავანდედით მოსავს მას. აიღეთ პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“, გოგოლის „ტარას ბულბა“, მხატვარ დავიდის გენიალური სურათი „რესპუბლიკის ღალატისათვის“. ყველა ჩამოთვლილ ნაწარმოებებში მამები საკუთარ შვილებს სჯიან სიკვდილით, — სამშობლოსა, პრინციპებისა და იდეების ღალატისათვის. მაგრამ არც ერთი მათგანი ჩვენში არ იწვევს უხერხულ გრძნობას. დამსახურებული სასჯელი კარგი ხელოვანის ხელში იქცევა ნაწარმოების გვირგვინად.

ალექსანდრე ყაზბეგის ხევისბერი გოჩა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ცხოვრებაში პრინციპები და იდეები იმავე როლს თამაშობენ, რა როლსაც ბედისწერა თამაშობდა ანტიური ადამიანის ყოფაში, საკმარისია ოდნავ უხეშად მოვექცეთ ამგვარ ადამიანების იდეებსა და პრინციპებს და თქვენ ეს მოქმედება სიცოცხლის ფასად დაგიჯდებათ. გოჩა ჭეშმარიტი სახეა თავდადებული პატრიოტისა. მას ჰომეროსის ოდისევსივით უყვარს თავისი ქვეყანა და ამ ქვეყნის გულისათვის იგი ღმერთსაც კი შეებრძოლება. ბრძოლის ველზე მიმავალ შვილს გოჩა შემდეგი სიტყვებით არიგებს: „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული — იმას გედავებიან და არ დაანებო. თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა. ერთხელ ნაშობი, ერთხელ მოკვდება!.. მაგრამ ვაჟკაცურად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს“. განა ეს ჭეშმარიტი პატრიოტული სიტყვები დღესაც იმ ძალით არა რეკს ჩვენს გულში, რა ძალითაც ის რამდენიმე საუკუნის წინათ რეკდა! რომელ ერსაც გოჩასთანა წინაპრები ჰყავს — იგი არასოდეს დაიღუპება ის-

ტორიის მძაფრ ქარტეხილებში. მაგრამ შვილმა მამის იმედი არ გაამართლა. კიდევ მეტი: ქალის სიყვარულის გულისათვის სამშობლოსადმი მოვალეობის გრძნობას უღალატა. შვილის ამგვარმა მოქმედებამ გაამწარა მოხუცი და სისხლი დააღერევინა. მაგრამ გოჩას შურისძიებას მხოლოდ ეს მოტივი არ აძლევდა ბიძგს: გოჩას მოქმედებას უფრო დიდი მიზეზი აქვს. სხვა მდგომარეობაში მამას შეეძლო შვილი ასე მკაცრად არ დაესაჯა; მაგრამ როდესაც მთელი ერი მოძმეთა მოღალატეების საქმეს იხილავდა და მოღალატეთა შორის მოულოდნელად გოჩას შვილი აღმოჩნდა — ამ პირობებში გოჩა, თუ კი მას უყვარდა სამშობლო და მოღალატეებს სჯიდა სხვების მაგალითისათვის, თავის შვილსაც მკაცრად უნდა გასწორებოდა. განა უსიყვარულობით ჩაიდინა გოჩამ დანაშაული? არა, თუ კი ამ ქვეყანაზე შვილის სიყვარულით რომელიმე მამა იამაყებდა, გოჩა მათ რიცხვში პირველი იქნებოდა; მას საკუთარ თავზე უფრო მეტად უყვარდა თავისი შვილი, ამიტომ ლოცულობდა იგი მუხლებზე დამხობილი ჯვარცმის წინ და უზენაესს ავედრებდა თავის ერთადერთ პირმშოს. მაგრამ შვილს თუ სიკვდილი ეწერა უნდა ვაჟკაცურად მომკვდარიყო, ასე ფიქრობდა გოჩა. ასე ძალუმი სიყვარულით უყვარდა გოჩას ონისე, მაგრამ გოჩას ყველაზე მეტად უყვარდა თავისი სამშობლო. სამშობლოს ინტერესები ყველა ინტერესებზე მაღლა იდგა. გოჩა არავის არ დაუთმობდა იმ ინტერესების შებღალვას. მისი დევიზი იყო — ყველაფერი სამშობლოსათვის. ამ დევიზს მისმა პირმშო შვილმა უღალატა, წარმოიდგინეთ გოჩას მდგომარეობა, როცა ონისე თავის პირით აცხადებდა: „მოღალატე ვარ და ღირსი სასჯელისაო“. ამ მომენტში, როგორც ალექსანდრე ყაზბეგი გადმოგვცემს „მოხუცი მთლად კანკალებდა, კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზე ხელი და ყვედრებით, წარმოსთქვა: „მაშ, ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ ყველასაგან მოძულებულო! რა სასჯელი არის რომ შენ გადაგიწყვიტოთ“. როცა თემის თავებმა მოისურვეს ონისეს გადარჩენა, გოჩამ ხანჯლის ერთი მოქნევით ორად გაუპო გული საკუთარ შვილს. როგორც ზემოთ ვთქვით, ხევისბერი გოჩა მოძღვართა იმ კატეგორიას ეკუთვნო-

და, რომლებისთვისაც იდეები და პრინციპები წარმოადგენენ მაცოცხლებელ ძალას. ამგვარი ადამიანები არავის აპატიებენ ამ იდეებთან და პრინციპებთან უპატივცემლო დამოკიდებულებას. ასეთი ადამიანები ბრძოლაში თვითონაც იღუპებიან, მაგრამ ამგვარი დაღუპვა მათ სასახელოდ მიაჩნიათ.

სულ სხვა ტიპის ადამიანია ონისე; იგი უფრო გულის მოძრაობას ემორჩილება და არა მკაცრ გონებას. ბუნების სასტიკმა ხელმა — სიყვარულის საშუალებით შებოჭა და დაიმორჩილა ონისეს ვაჟკაცობა. მოწინააღმდეგე სქესისადმი სიყვარული რაღაც ბედისწერად გადაიქცა ონისესათვის. მას უყვარს ქალი, მაგრამ არა მისი სქესისათვის, ვნებათა ღელვის, წუთიერი გრძნობის დაკმაყოფილებისათვის, არამედ უყვარს როგორც ბუნების მშვენება და ისეთი ძალა, რომელიც სილამაზეს აძლევს ადამიანის მთელ ცხოვრებას... სიყვარული ონისესათვის რაღაც უზენაესი ერთარსება იყო. ქალი ონისესათვის, როგორც მთიელი ვაჟკაცისათვის, წუთიერი აფეთქების საგანი კი არ არის, არამედ გამუდმებული ცეცხლია, რომელიც წვავს ვაჟკაცის ორგანიზმს. ონისეს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რამდენადაც მეტად ცდილობს მოსცილდეს ამ ცეცხლის ელვარებას, იმდენად უფრო მეტი ძალით ათბობს იგი; ასეთი სიყვარულის დროს ძნელია ანგარიში მისცეს კაცმა საკუთარ თავს; იგი ხშირად ივიწყებს მოვალეობას და ამ გზით ბსხვერპლი ხდება სიყვარულისა. ამგვარი ურთიერთობა ქალთან არღვევს ადამიანთა მიერ შექმნილ ადათსა და ჩვეულებას და ამორალურ ფაქტად იქცევა საზოგადოების თვალში, მაგრამ ამ სიყვარულით შეპყრობილი ადამიანი ძალიან ნაკლებად, ან სრულიად არ უწევს ანგარიშს ხელოვნურად შექმნილ სქესობრივ მორალს და მზად არის უმაღლესი სასჯელისათვის. ალექსანდრე ყაზბეგმა, როგორც ჭეშმარიტად რეალისტმა მწერალმა და დიდმა შემოქმედმა, ჩვენ წინაშე გადაშალა ცოცხალი სურათი ამგვარი სიყვარულისა და გვაგრძნობინა, რომ არ შეიძლება ხუმრობა სიყვარულის ძალასთან. ყაზბეგის გაგებით სიყვარული მოწინააღმდეგე სქესისა—თავისი ბუნებრივი ფორმით, უმაღლესი განცდაა ადამიანისა; სიყვარულის გარეშე ყაზბეგს ვერ წარმოუდგენია ადამიანური ცხოვრება; მართლაც რა უნდა იყოს, იმ ადამიანის სულიერი ცხოვრება, ვისაც სიყვა-

რულის შემოქმედი ძალა არ განუცდია. ტყუილად როდი ამბობდა გოეთე — სიბერემ დამაკარგვინა სიყვარულის გრძნობა, სიყვარულის გრძნობის უქონლობამ კი — ადამიანობაო.

პირველ შეხედვისთანავე ონიეე შებოჭა სიყვარულის ძალამ. როდესაც ხელი მოჰკიდა ძიძიას, ონისემ იგრძნო რაღაც არაამქვეყნიური გრძნობა, თავბრუ დაესხა და ვეფხვივით ვაჟკაცი დაბარბაცდა. მაგრამ მოვალეობის გრძნობამ დასძლია და ონისე პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. ეს დაბრუნება ხელოვნური იყო; ონისემ გონებიდან ვეღარ ამოაგდო ძიძიას სახე და მაცდურივით დაეუფლა მთელ მის ორგანიზმს ულამაზესი ქალის არსება. ძიძიას რომ ოდნავ წინააღმდეგობა გაეწია ვაჟისათვის, შეიძლება ონისეს გულიდან გადაეგდო მისი სიყვარული, მაგრამ ქალმა პირველ შეხედვისთანავე თანაგრძნობა გაუწია; მათ მოეწონათ ერთმანეთი. ამ მოწონებაში არ იყო ძალდატანება, ამიტომ გადაიქცა იგი რაღაც დაუძლეველ ძალად. ეს მომენტი ალექსანდრე ყაზბეგს შესანიშნავი მხატვრული ფერებით აქვს გადმოცემული: „ქალაუ, მოგიკვდა ჩემი თავი!.. ძოლად გათრთოლდა და მე არც კი მომაგონდა, წარმოსთქვა ონისემ და ხმა ისე აუკანკალდა, რომ მღელვარება დაეტყო.

„არა მიშავს რა, შენაი ჭირიმე, — წარმოსთქვა ქალმა ნაზის, და ვინ იცის რა მიზეზის გამო, ცრემლმორეულის ხმით.

„ბეჩაუ, არა მიშავს რა რაია?.. შენ რომ ავად გახდე მე რაიღა მეშველების?.. ამ სიტყვებზე ონისემ ასწია ნაბდის კალთა, წამოახურა ძიძიას... მერე მაგრად მოიკუნჭა ნაბადი და ნაზ წელზე ხელმოხვეული ქალი მკერდზე მიიკრა. ამ ქალის მიკარებასთან ერთად ონისეს გული მეტისმეტად გათრთოლდა. შეიკუმშა და შესდგა... ძიძიაც გაჩუმებული, გაყუჩებული, თითქოს ამ კაცის მდგომარეობას შეეშინებინა, დაემონავებინა თუ გაეგებინებინა მისი გაჭირვება — არ ეწინააღმდეგებოდა ონისეს. ამ კაცს დაეკარგნა მოსაზრება, დავიწყებოდა თავისი თავი, თავისი მოვალეობა და თანდათან ეკრო და უფრო ხვევდა ხელს, იკრავდა გულში... ის შეეპყრო მხოლოდ ერთ გრძნობას, რომელიც ტკბილად ჩასჩურჩულებდა, რომ ის ბედნიერია, რომ ამ ბედნიერებას ქვეყანაზე არა შეედრება რა. რაღა საქმე ქონდა ამ ქვეყანასთან, სადღა ეცალა

მათზე საფიქრელად! ონისეს თავი უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, რომელსაც ძალზე სწვავდა კაცის გახურებული ქშენა, ის თანდათან უახლოვდებოდა და ჩასჩურჩულებდა წარმოუდგენელი სიტკბოებით, იმ სიტკბოებით, რომლითაც მართლაც მთელის გულით შეყვარებულს შეუძლიან... შეპყრობილს ერთი გრძნობით, აღგზნებულს ერთი რიგის წადილით, რაღაც უხილავი ძალა ერთმანეთისაკენ იზიდავდა, წუთსაც და სიტკბოებით დამთვრალი — დაბნედილი ტუჩები მათსავე გაუგებრად ერთმანეთს ჩაეწებნენ".

ასეთი ძლიერი იყო სიყვარულის გრძნობა — ამ ორი ადამიანისა; ყაზბეგი არ ზოგავს ძალას, რომ ეს სიყვარული დიდებით მოსილი წარმოგვიდგინოს. ამ სიყვარულის ძალის წინაშე ქედს იხრის დიდებული მთიელი და ერთი გრძნობით გატაცებული, იგი მზად არის სიყვარულისათვის თვით ღმერთსაც კი შეებას. მაგრამ ნუ დაივიწყებ, მკითხველო, რომ ონისე გოჩას შვილი იყო, რომელსაც დედის ნანასთან ერთად ესმოდა მშობელი მამის ხმა. ეს ხმა ასწავლიდა მას პატიოსნებას, სამშობლოსადმი სიყვარულს, პატივისცემას წინაპართა ანდერძისას და თემის მორალურ კანონებისას. ონისე კარგი მამიხ ოჯახში აღიზარდა და ბუნებით ნამდვილი მოხევე იყო; და როგორც ჰეშმარიტი მთიელი, მიხვდა, რომ ძიძიასადმი სიყვარული დანაშაულია ქვეყნისადმი, თავისი ხალხისადმი. ეს სიყვარული არღვევდა თემის მორალურ კანონებს და საუკუნეების მანძილზე განმტკიცებულ ზნე-ჩვეულებებს. ამ შეგნებით ონისე მოსცილდა ხევს და გადაიკარგა ფშავში, რათა ძიძიას სახე გულიდან ამოეგდო. მაგრამ სიყვარულის ძალას რაღაც თავისებური ლოგიკა აქვს; რამდენადაც მეტად შორდება ადამიანი სიყვარულის ობიექტს, იმდენად მეტად უყვარს იგი. ონისემ არამც თუ ვერ შეძლო ძიძიას დავიწყება, არამედ უფრო მეტად შეუყვარდა ის. „ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათები ონისესათვის მდიდარი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი".

როგორც ხედავთ, ძიძიას დავიწყება არც ისე ადვილი იყო, როგორც თვით ონისე ფიქრობდა: მას არ შესწევდა ძალა სიყვარულის მიერ დანთებული დიდი ცეცხლის ჩაქრობისა, რა-

კი ონისესათვის ძიძია რაღაც უზენაეს ერთ არსებად იქცა — ქალის დავიწყება მის ფიზიკურსა და სულიერ ძალას აღემატება. ონისეს სიყვარული თავისი ძლიერებით ჩვენ მოგვაგონებს ლეგენდარული გმირის — სამსონის სიყვარულს; მაგრამ თუ სამსონი მსხვერპლი გახდა დალილას მზაკვრული განზრახვისა, და ჰეშმარიტი სიყვარულის გრძნობას ვერაგობამ აჯობა, სამაგიეროდ ონისეს სიყვარულმა მარცხი განიცადა: პირველყოფილი თემის სასტიკ კანონებთან ბრძოლაში.

სიყვარულმა ონისეს დროებით მოვალეობა დაავიწყა, მაგრამ ვაჟკაცობა არ დაუკარგავს; იგი ვით ცდომილი რაინდი თავისი ფეხით წარსდგა თემის წინაშე და ვაჟკაცურად აღიარა თავისი დანაშაული. ხომ შეეძლო, რომ არ გამომტყდარიყო ამ დანაშაულში. გუგუამ არ იცოდა საქმის ვითარება და რომ სცოდნოდა კიდეც, რგორც მთიელი, არ გასცემდა ონისეს; მაშ რამ აიძულა ონისე ეთქვა ყველაფერი? შინაგანმა სულიერმა სიწმინდემ, სამართლიანობის სიყვარულმა და უდანაშაულო კაცის მდგომარეობამ აიძულა ეთქვა ონისეს ჰეშმარიტება. ამ მომენტში ყაზბეგი არ ივიწყებს იმ ფაქტს, რომ ონისე გოჩას შვილია და ასეთი მამის შვილს არ შეეძლო არ ეთქვა სიმართლე. როცა ონისე გულწრფელად უამბობს თემის ყრილობას საქმის ნამდვილ შინაარსს. მკითხველი მზად არის აპატიოს ონისეს ჩადენილი დანაშაული. მისმა ვაჟკაცურმა მოქმედებამ გული მოულბო მთელი თემის ყრილობას და ყრილობის მეთაურებმა უდანაშაულოდ სცნეს იგი. მაგრამ უკვე გვიან იყო. გოჩა, როგორც ბრძენი ადამიანი — შედეგს უწევს ანგარიშს; მიზეზის ძიება მისთვის მეორეხარისხოვანია. ძველ სპარტანელ მოსამართლეთა მსგავსად, ხევისბერი გოჩა დამნაშავეს სჯის დანაშაულის შედეგების მიხედვით; იგი ანგარიშს არ უწევს მიზეზებს, თუ რამ აიძულა კაცი ჩაედინა დანაშაული. თავისი ხასიათით გოჩა ჰეშმარიტი სტოიკოსია. თუმცა მას არ აკლია ელინური სითბო და კეთილშობილება. მთელი სიცოცხლის მანძილზე გოჩას მიერ ჩადენილი სხვა საქმეები დავიწყებას რომ მიეცეს, ჩვენ ვერ დავივიწყებთ შვილის მოკვლის ფაქტს. სამშობლოს მოღალატე სწორედ ამგვარი სასჯელით უნდა ისჯებოდეს. ასეთია გოჩას ჩადენილი

„დანაშაულის“ შედეგი, რომელიც განსაკითხავ ანდერძად მთამომავლობას დაუტოვა.

გუგუა ანტიპოდია ონისესი. რომანში გუგუა მესამეხარისხოვან როლს ასრულებს. მაგრამ ის მაინც უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე; იგი ჩვეულებრივი მოხევეა თავისი ვაჟკაცობითა და პირდაპირობით. გუგუა უდიდეს პატივს სცემს თემის მიერ მიღებულ წესს და კანონს, და არავის არ მისცემს უფლებას ფეხქვეშ გათელოს წინაპართა ზნე-ჩვეულებანი. გუგუა დროის პირმშო შვილია და მას არ შეუძლია გულგრილად უყუროს ცოლის ღალატს. გუგუა გრძნობს, თუ როგორ ირღვევა მისი ოჯახის მთლიანობა, მაგრამ მან ვერ მონახა ამ რღვევის ნამდვილი მიზეზები; ვერ მიხვდა, რომ მიზეზი ამ რღვევისა მისი ცოლი ძიძია კი არ არის, არამედ თემის ძველი მორალური წესები და კანონებია. საქორწილო ცერემონიალი ისე ხდებოდა, რომ ქალს ერთხელაც არ ეკითხებოდნენ, უყვარდა თუ არა ის ადამიანი, რომელზედაც ჯვარისწერას უპირებდნენ. სიყვარული ასეთ მდგომარეობაში მოვალეობას ემორჩილება და არა ბუნებრივ განცდას. ქალი მოკლებული იყო საქმროს არჩევის უფლებას, და მხოლოდ ეკლესიის ცივ თაღებს ქვეშ ეკითხებოდნენ მას, — „სურვილით ირთავდა თუ არა ქმარს“. ამგვარ პირობებში ქალი მორცხვად ხრიდა თავს და მის მაგიერ სხვა ქალები აძლევდნენ თანხმობის პასუხს. ასეთ მონურ მდგომარეობაში აყენებდა ქალს ძველი ცხოვრება. ალექსანდრე ყაზბეგი, თუმცა არაპირდაპირი გზით, მაგრამ არსებითად მაინც გმობს თემის ამგვარ წესს. სხვანაირად არც შეეძლო ყაზბეგს მოქცევა. ქალი განადგურებული და ფეხქვეშ გათელილი ადამიანი იყო და ბუნებრივად მწერლის თანაგრძნობა მის მხარეზეა. აიღეთ ყაზბეგის მიერ აღწერილი საქორწილო ცერემონიალი და დარწმუნდებით თუ რა დიდ უსამართლობას სჩადიოდა მართლმადიდებელი ეკლესია ჯვარისწერაში, როდესაც იგი ხშირად საუკუნოდ აერთებდა ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ერთიმეორე არ უყვარდათ.

„ჯვარისწერა — გადმოგვცემს ყაზბეგი, ჩვეულებრივ მიდიოდა... მღვდელი მივიდა ჯერ კაცთან და ჰკითხა: სურვილით ირთავს ამ ქალსა და სურს ჯვარისწერა თუ არა? კაც-

მა გაიღიმა, შერცხვა და თავის დაქნევით თანხმობა გამოუცხადა. მერმე იმავე კითხვით მიუბრუნდა ქალს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი მარტო სუნთქვაზე და სულის მოძრაობაზე ეტყობოდა. ქალმა პასუხის მაგიერ მარტო თავი დაღუნა და მის მაგივრად სხვა დედაკაცებმა, ყოველთვის სხვისმაგივრად მოპასუხედ, ყაყანი დაიწყეს: „ჰაი, ჰაი რომ სურს!.. რა კითხვა უნდა? თუ არ სდომებოდა, აქ რაღად მოვიდოდა?.. ართმევდენ ერთმანეთს სიტყვას, მაგრამ ძიძია კი ჩუმად იყო. „მაშ შენი ნებით იწერ ჯვარსა? განიმეორა მღვდელმა“, თავის ნებით იწერს, ჩემო ყველავ! — თორემ მოძალადე ვინა ჰყავს! — მოისმა ისევ დედაკაცებისაგან და დაკმაყოფილებული მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს აღსარებას“.

როგორც ხედავთ, ასეთი შეკავშირება საფუძველშივე ყალბია, რადგანაც მას საფუძვლად სიყვარული კი არ უდევს, არამედ გულცივი მოვალეობა. ჰეშმარიტი ცოლ-ქმრობა მოვალეობა კი არაა, არამედ ბუნებრივი სიყვარულის ლოგიკური გაგრძელება. ძველად კი სიყვარული მოვალეობად იყო გადაქცეული და აქ იყო მთელი სიყალბე მაშინდელი შეუღლებისა. განა ძიძიაა დამნაშავე იმაში, რომ მას არ უყვარს ქმარი? სრულიადაც არა. ქალს ძალით მოახვიეს თავზე გუგუა; სიყვარული კი ბრძანებით არ მოდის. ძიძიას ჰეშმარიტი გრძნობით მხოლოდ ონისე უყვარდა და ბუნების სამართლიანი ლოგიკის ძალით ქალი ონისეს ცოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ჰეშმარიტ სიყვარულს წინ აღუდგა ტრადიციების მკაცრი ძალა; და ადამიანები, რომელთაც სრული უფლება ჰქონდათ ერთიმეორე ჰყვარებოდათ, ამ ძალასთან შეჯახებაში სამუდამოდ დაიღუპნენ.

გუგუას, რომელსაც თემი უყვარს და პატივს სცემს თემის მორალსა და წესს, ვერ წარმოუდგენია უსიყვარულობა ცოლისა. ცოლს მოვალედ ხდის უყვარდეს ქმარი, მაგრამ ძიძია უარს ამბობს ამ სიყვარულზე, რადგანაც მის შინაგან ბუნებას ეწინააღმდეგება. ძიძია თვალთმაქცი ქალი რომ ყოფილიყო, მას შეეძლო ქმრის მოტყუება, რომ თითქოს უყვარდა იგი. მაგრამ ძიძია მთიელი იყო და, როგორც მთის თავისუფალ ბუნებაში აღზრდილს — არ შეეძლო ეთქვა ის, რაც მის შინაგან „მეს“ ეწინააღმდეგებოდა. გუგუაც ქალის უსიყვა-

რულობით გატანჯული, იძულებულია ჰკითხოს ძიძიას მიზეზი ამგვარი მოქმედებისა.

„ქალაუ, — დაიწყო გუგუამ, — ღვთის მადლმა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ჩამოვდნი, დავილიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ გალხვა.

„ რაი ექნა თუ კი არ მიყვარხარ.

„ვითმენდი და აბა... აქამომდის ზღვას დააშრობდა რაც გულში ცეცხლი მენთების... მომკვდარიყავი მაინც გზა მოგეცემოდის.

„რაისთვის თავს არ მანებებ... რაი გინდა ჩემგან?... ძალით ხომ არ შეგიყვარებ?

„თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს...

„მაშ რაი გიყო?

„რაი მიყო და ცოლობა უნდა გამიწიო.

„კარგი-ღა, ღვთის მადლმა ბიჭაუ!.. გითხარ არ მიყვარხარ-მეთქი და გათავდა. კაცი გაჩუმდა რამდენსამე ხანს და თავჩაკიდებული იყო. შემდეგ წყნარად წამოიხედა, მისი თვალები ელვარებდნენ.

„იყუჩე ქალაუ!... შენი თავი მაინც შეიბრალე, თუ მე აღარ გებრალები. ქალმა შეხედა და მხრების აწევით უპასუხა.

„შესაბრალებელი რაი მაქვს!.. მომკლავ და გული დამშვიდდება...

„მაშ, აღარ იქნების?.. არც როდის არ დამიბრუნდები? არ შემიყვარებ?

„არა.

კაცმა ხანჯლის ტარს გაიელო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა.

„მაშ იმისი უნდა იქნა? გგონია რომ დაგანებებ?... დაგითმობ იმას?.. ღვთის მადლმა შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით კი არავის ვახარებ.

„აი მომკალ!.. სხვებს რაისთვის ექადი, რას ემართლები!

ქალმა მიუშვირა მკერდი და სიბრაზისაგან აგზნებული თვალებით დაუწყო ყურება. კაცი აიმღვრა და წამოვარდა.

„მაშ სიკვდილი გინდა?.. კარგი, მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც ონისეს თავს მოგიტან... ამ სიტყვებით კაცი

გადახტა გზის იქით და უგზო-უკვლოდ ონისეს ბინისაკენ თავქვე დაეშვა. ქალმა დაიკივლა, მივარდა იმ ადგილს, სადაც კაცი ბექობს გადაეფარა და მწარედ შესძახა: „გუგუაუ, გუგუაუ!.. ნუ დამღუპავ, რას ჩადი... ვაიმე დაღუპულმა, წამოიძახა იმან და გაჰქანდა ფრიალო კლდისაკენ“.

ამ საუბრიდან ნათლად ჩანს, თუ რა ყალბი წარმოდგენა ჰქონდა გუგუას სიყვარულზე — „ცოლი ხარ, მაშასადამე უნდა გიყვარდეო“. მთაში ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ნამდვილ, ჰეშმარიტ, ბუნებრივ სიყვარულს, რომელიც გულთან არის დაკავშირებული და არა მოვალეობის გრძნობასთან. იქ, ძველ ყოფაში იშვიათად შეიძლებოდა ასეთი სიყვარული. რადგანაც ქალი მდკლებული იყო ადამიანურ უფლებას. წარმოიდგინეთ იმ ქალის მდგომარეობა, რომელსაც მშობლები აკვანშივე ნიშნავდნენ — ჯერ კიდევ ჩვილ ყრმას, ტრადიციის ძალით, როცა აკვანში დანიშნული გაიზრდებოდა, მას არ შეეძლო სხვისი სიყვარული, გარდა დანიშნულისა. მთელი ძველი საქორწილო მორალი დამყარებული იყო მოვალეობის გრძნობაზე და ეკლესიის მართლმადიდებელი ღვთისმსახურნი ადასტურებდნენ, რომ „ცოლი მონაა ქმრისო“, ამ წესის დარღვევა ქალის მხრივ უდიდეს ცოდვად ითვლებოდა და მისი ჩამდენი შერცხვენილი, თავლაფდასხმული იყო მთელ საზოგადოებაში. ასე დაემართა ულამაზეს მოხევე ქალს ძიძიასაც; იგი მთელი თემის მიერ დაწყევლილი უკვალოდ დაიკარგა. იმ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ძიძია და ონისე ზედმეტი ადამიანები იყვნენ და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ. მაგრამ უკვალოდ არ დაკარგულან ისინი; ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი გრძნეული ხმით, საშუალო საუკუნეების ტრუბადურთა მსგავსად უმღერა დიდებული ჰიმნი მათ უიღბლო სიყვარულს.

4

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც შემოქმედი, განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს ადამიანის შინაგანი, სულიერი მოძრაობის გადმოცემის დროს. შეიძლება ყაზბეგი ამიტომ არის მხურვალე და მგზნებარე იქ, სადაც მისი კალამი შეეხო

მოქმედ გმირთა ფსიქოლოგიურ სამყაროს; იგი ნამდვილი ჯადოქარია ადამიანის სულიერი ტკივილების გაგებაში. გენიალური ქირურგის მსგავსად ალექსანდრე ყაზბეგი თავის გმირებს გულთამხილავი წინაგრძნობით სინჯავდა, აკვირდებოდა მათი სიცოცხლის პულსს, თვითეულ იარას, სულიერ ტკივილებს და როგორც ჭკუადამჯდარი დოსტაქარი, აკეთებდა მხატვრულ დასკვნებს, ადამიანის სულის ყოველგვარ მოძრაობაზე.

ალექსანდრე ყაზბეგი ამ სფეროში ხშირად ინარჩუნებს ნორმისა და მიუწვდომლობის ნიმუშის სახეს. აიღეთ „მოძღვარი“ — ეს შესანიშნავი ძეგლი პოეტური გენიისა და დარწმუნებით — თუ რა დიდი პრობლემებითა და ტკივილებით იყო მიჯაჭვული მისი ავტორი სამწერლო მაგიდასთან. წერის პროცესში იგი ისევე იტანჯებოდა, როგორც პრომეთეოსი ცეცხლის მოტაცების მოლოდინში.

„მოძღვარში“ ალექსანდრე ყაზბეგმა იგივე პრობლემები დააყენა, რომელსაც გაკვრით შეეხო „ხევისბერ გოჩაში“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „მოძღვარში“ ისინი თამამობენ პირველხარისხოვან როლს და ფატალური ძალით მოქმედებენ მკითხველზე. დიდი ფსიქოლოგის გზნებით ალექსანდრე ყაზბეგმა გვაჩვენა ტრაგედია იმ ადამიანისა, რომელიც წინ უსწრებდა თავის ეპოქას. მაგრამ ძველი ცხოვრების მორალურმა კანონებმა იგი მოტეხა და მიწასთან გაასწორა. „მოძღვარის“ ავტორმა ამ ნაწარმოებში ერთხელ კიდევ სცადა ბუნებრივი სიყვარულის გზით ადამიანის გამოყვანა თავისუფლების დიდ შარაგზაზე; ალექსანდრე ყაზბეგმა აქ უკანასკნელად უმღერა ადათებითა და ტრადიციებით ბორკილდადებულ, მაგრამ უძლეველი სიყვარულის გრძნობას.

სიუჟეტურად რომანის ამბავი იწყება მთის შესანიშნავი ბუნების აღწერით. ბუნების აღწერაში ყაზბეგი ხომ უბადლო სიტყვის ოსტატად გვევლინება ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ადამიანისა და ბუნების კავშირის საიდუმლოება მან გვაგრძნობინა მთელი თავისი სიდიადით, როდესაც ყაზბეგი რომელიმე ბუნების სურათს აღწერს — მკითხველის გონებასა და გრძნობას იპყრობს ამ ადგილის ნახვის სურვილი. დიდი ოსტატის ხელით იგი შლის ბუნების სურათს და

თქვენც მუხლს იდრეკთ ამ დიდებული სანახაობის წინაშე. „გუდამაყარის ხეობას, — გადმოგვცემს უაზბეგი, — თითქოს განგებ გაუპია კავკასიის მთების უმთავრესი ძარღვი და ვიწრო ხეობით შიგ შეუჭედილა; ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუხრამავს, მაღლობებიდან ჩამონადენ ქვასა და ღორღს უშველებელი ლოდებით გაუვსია და მეტისმეტად ძნელს გასავლელად შეუქმნია. ხშირი და დაბურული ტყე, რომელიც ხეობას აქეთ-იქით ფერდობებზე მისდევს, გახლართულა სხვადასხვა მხვევის მცენარეებით და ყოველი მოძრაობა უფრო მეტად გაუძნელებია. ხეობა თავდება თვალშეუწვდენელის ფრიალოთი, რომელიც თითქოს განგებ, გზის მოსასპობად სიგანეზე გაჰხიდებია და იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოჰყურებს. პირველსავე შეხედვით ეს ადგილი იქამდის მკაცრად, გულის დამხურავად და სევდა-მომცველად გეჩვენებათ, რომ ნებაუნებლივ გაღონებთ და ამგვარი მდგომარეობის მიზეზი კი ვერ აგიხსნიათ. მუდამ დაბურული, დაღრეჯილი და შეკუმშული ბურსაჭირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთად-ერთ ბილიკსაც ჰფარავს, რომელიც ქარსა და ავდარს გაუკვლევია; მკაცრი, მედიდური, შავად და ბნელად გამოიყურება უზარმაზარი ფრიალო და, თითქოს განრისხებული ყველას ექადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს... მაგრამ თუ ასე უსიამოვნო შთაბეჭდილების მომხდენია ეს ფრიალო, ამის სამაგიეროდ რა წამს გადასავალს გადასცდები, თვალწინ მთელი ედემი გადაგეშლება. თქვენ დაინახავთ საკმაო მანძილზე გადაჭიმულ ღელეს, ნაზსა და სურნელოვანის ბალახებით შემკულს. ვაკე-ტაფობა, იმ საშინელის გულის დამნაღვლებელი გზის შემდეგ, კეკლუც პატარძალივით მიგიწვევს და მიგიზიდავს. თავბრუდამხვევი ალერსით შემოგხარით ნაზისა და დამაყვავებელის ჰაერით; ვერცხლის გველსავით მინდორზე დაკლაკნილი მდინარის ჩუხჩუხს დამამშვიდებელ ნანათ მოგასმენთ, ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულ გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას ააშორებს. ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა, რომ სრულიად გაიგოს და იგრძნოს მთის ბუნების სიტკბოება, მისი მშვენიერება და ის წარმოუთქმელი ნეტარება, რომელსაც ადამიანს გაუღვიძებს. აღტაცება-

ში მოჰყავხართ ხავერდოვან მწვანეს. სურნელოვანის ყვავილების ყნოსვა გათრობთ და ტკბილი ძილისაკენ მოგიზიდავთ, მაგრამ თვით თვალებდახუჭვილსაც კი განუწყვეტელ ედემის კეკლუცნი გეჩვენებიან, გეალერსებიან და სიცოცხლის სიტკბოებას გაგრძნობინებენ. ამ ღელეს თითქოს განგებ. დასამშვენებლად ორ ჯარად მისდევს უზარმაზარი, ცამდის ამართული მთები, რომლებიც ამ წალკოტს დარაჯად მოსდგომიან, რომ უღირსნი არ მიაკაროს და უწმინდურის ფეხით არავის გაათელვინოს...“

აი ამ დიდებულ ადგილს, ბუნების სიდიადით მოჯადოებული ყველა სულდგმული მხიარულობდა. აქ ქალები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ხილის მოსაკრეფად და თან მღეროდნენ „სიცოცხლეა გაზაფხულის“ მოტივზე. ყველგან მოძრაობა, მოქმედება და მხიარულობა იყო გამეფებული. ადამიანი შეხაროდა ბუნების მშვენებას. მაგრამ რატომღაც ამ საერთო მხიარულებას განშორებოდა ერთი გასაოცარი სილამაზის ქალი.. ეს ადამიანი დიდი ხანია დაიარებოდა განმარტოებულად. ტანსაცმელი ამ ხეტიალში შემოცვეთოდა, დარცხვენილი, ტყის ნადირივით უფრთხოდა ხალხს. საკითხავია, ვინ იყო ეს ქალი? რატომ მოშორებოდა თავის კერას, თავის ქვეყანას, თავის ხალხს და აქ მარტოდ-მარტო დაიარებოდა განდეგილივით? ალექსანდრე ყაზბეგი რომანის პროლოგში არაფერს გვეუბება ამის შესახებ, მაგრამ გვაგრძნობინებს, რომ ქალი თავისი ნებით არ არის მოსული აქ. კიდევ მეტი: „მოძღვარის“ ავტორი გადაკვრით გვანიშნებს, რომ ქალი თემის მიერ დაწყევლილი და თემობიდან განდევნილია. მაგრამ რისთვის, რა ჩაიდინა მან ისეთი, რომ ამგვარი სასტიკი სასჯელი დაიმსახურა? ეს პროლოგში არა ჩანს; მაგრამ იქა ჩანს კვანძი დიდი ტკივილებისა. ვიცით, აგრეთვე, რომ თემის მიერ განდევნილ ქალს მაყვალა ჰქვიან სახელად, ხოლო იმ ქალს, რომელიც კაცთმოყვარეობის გრძნობით განდევნილს საზრდოს აწვდის— ჯათიას ეძახიან.

თავის დროზე მთელ თემში სილამაზით განთქმული მაყვალა — შვილი იყო ერთი მოხუცებული გლეხკაცისა. მაყვალას ამორჩეული ჰყავდა საქმრო. მშობელმა, მართალია, არ იცოდა ქალის განზრახვა, მაგრამ მაყვალას სჯეროდა, რომ მა-

მა თანახმა იქნებოდა არჩეული საქმროსი. ქალი გულმხურვალედ შეტრფოდა თავის ბედნიერ მომავალს, მაგრამ ბედმა უმუხთლა და იმედი არ გაუმართლდა. მოულოდნელად ყმაწვილქალობა გაუმწარეს და მისი სიყვარულის წინააღმდეგ — გარეშე ძალამ სრულიად უცხო კაცზე დასწერა ჯვარი. მაყვალას ქმარი გელა გოდერძიშვილი წარმოსადეგი ვაჟკაცი და ბევრი სიკეთით იყო შემკული. ის თავის დროზე ჭეშმარიტი მთიელი იყო, მაგრამ მეფის სამსახურში იასაულად ყოფნამ გარყვნა, გაათამამა და უსამართლო ადამიანად აქცია. გელამ კარგად იცოდა, რომ მაყვალას ონისე უყვარდა. ქალი თვით გამოუტყდა და გულწრფელად ყველაფერი უთხრა, მაგრამ მან ანგარიში არ გაუწია არც მაყვალას და არც თემის მიერ კანონად მიღებულ წესს. „მეო, — ტრაბახობდა გელა, — იასაული ვარ, ხელმწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხევესთან უნდა ჩამთვალო?... არ დავანებებ მაგ ქალშავას, ვინც უნდა იყოს და რადაც უნდა დამიჯდეს“. განზრახვა გელამ სისრულეში მოიყვანა; მან ფულით მოისყიდა მაყვალას მამა, დაათრო არყით და მთვრალ კაცს მაყვალას ცოლად შერთვის თანხმობა გამოსტყუა. ასეთი მზაკვრული ხერხით ჩაიგდო ხელში ქალი და სამუდამოდ მისი მბრძანებელი შეიქნა. „რამდენადაც ხანი გადიოდა, — გადმოგვცემს ყაზბეგი, — იმდენად გელა უსამართლობას ეჩვეოდა და მეტად აწვალებდა თავის ცოლს, რომელსაც ნებას არ აძლევდა, რომ მის სახლში ყოფნის დროს დამჯდარიყო, გაეკეთებინა რაიმე და იძულებულსა ხდიდა ათასგვარი, ერთიმეორეზედ უსაფუძვლო სურვილი, ხმაამოუღებლივ აღესრულებინა. გელა სანამ ფასანაურში ჩავიდოდა, გაიცნობდა „ბატონებს“, ამათ ცხოვრებასა, ქალებთან დამოკიდებულებასა და არშიყობას ნახავდა, — ნამდვილი მთის კაცი იყო. მთიელის რწმუნებით და შეჯედულებით. მაშინ ქალი მისთვის იყო პატივსაცემი ქმნილება, ცოლი— მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდს უნდა მოსდგომოდა, მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და მაშასადამე ოჯახშიაც იმისი თანაბარივე უფლება ჰქონოდა. ეხლა სრულიად სხვა იყო! მან გაიგონა ბატონების ლოთობის დროს, რომ ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ იყო გაჩენილი, ნახა, რომ

ცხოვრებაში მართლა ამ მიმართულებით ხელმძღვანელობდნენ". ასეთი მორალის მატარებელი ადამიანი იყო მაყვალას ქმარი, და განა შეეძლო ამგვარ კაცთან სულისა და გულის გაერთიანება, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის ხოლმე! რა თქმა უნდა, არა. ქალის სულიერი სამყარო სულ სხვა ძალას ჰქონდა შეპყრობილი. რაღაც იდუმალი ხმა მაყვალას მოუხმობდა თავისკენ, ეალერსებოდა მის სიმშვენიერეს და დედის ნანასავით ატკბობდა მის ყურთასმენას. მაგრამ უკვე გვიან იყო, მაყვალა სხვისი ცოლია და კანონის ძალით ქმარს უნდა დამორჩილებოდა. ქალი ცდილობდა ონისეს სიყვარულის გულიდან ამოგდებას, მაგრამ რამდენადაც მეტად ეჭიდებოდა ამ გრძნობას, იმდენად უფრო მეტი სიძლიერით ეუფლებოდა ქალს სიყვარული. სიყვარულის იდუმალი ხმა მოწოდების ზარივით რეკდა მაყვალას გონებაში. ვერც ცემით, ვერც ალერსით ვერ შეძლო გელამ ცოლის გულის მობრუნება; ბოლოს საქმე დასრულდა მაყვალას გაქცევით ქმრის ოჯახიდან. ქალმა საქმე გაასაჩივრა თემის ყრილობაზე. ყრილობამ დაადასტურა მაყვალას და გელას ერთმანეთისაგან განშორება, რადგანაც გამოირკვა, რომ მაყვალა ძალად გაეთხოვებინათ გელაზე. თემის კანონიერი გადაწყვეტილება გელამ მაზრის უფროსთან გაასაჩივრა. მაზრის უფროსმა მაყვალა ისევ გელას დაუბრუნა გადაწყვეტილებით: „ცოლქმრის განშორება შეუძლებელიაო", უცხო ძალის შეჭრამ ძალა და გავლენა დაუკარგა თემს. უკანონობამ აჯობა კანონიერებას, უმოწყალოდ ითელებოდა ფეხქვეშ ხალხის ადათი და ზნე-ჩვეულება.

მაყვალა სრულიად უმწეო დარჩა. მაგრამ მას ჰქონდა სიყვარულით სავსე გული, რომელიც არამც თუ არ დაემორჩილა ძალას, არამედ მეტი წინააღმდეგობის ჟინმა შეიპყრო ის. მაყვალას ფიქრის საგანი კვლავ ონისე შეიქნა; მთელი სიძლიერით მიისწრაფოდა ყმაწვილქალობის დროინდელ, აწ უკვე დაკარგულ გულის სატრფოსაკენ. როგორც ყოველი მთიელი, დაბრკოლების წინ ქედს არ იხრის და მაყვალა ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით შეპყრობილი ცდილობს მიუწვდომელი გრძნობით დატკბობას. ქალმა მტკიცედ გადაწყვიტა: დარჩენილიყო გელასთან, მაგრამ არა სიყვარულის გულისათვის, არამედ მოვალეობის მოხდის მიზნით.

არც ონისეს გული იყო მოსვენებული. ონისესაც რაღაც ფატალური ძალით უყვარდა მაყვალა. მაყვალას გათხოვების შემდეგ ონისე განადირდა, ყმაწვილკაცობაში აღარ ერეოდა, თემს გაურბოდა. მხოლოდ ბუნება იყო მისი აფორიაქებული გრძნობის დამამშვიდებელი. როცა მაყვალა და გელა თემის ყრილობამ ერთიმეორესაგან განაშორა, ონისეს კვლავ იმედი მიეცა, რომ ის ბედნიერი იქნებოდა ამ ქვეყანაზე, მაგრამ უცხო ძალის ჩარევამ ეს უკანასკნელი იმედიც მოუსპო. ონისე მთიელი იყო და არავითარ უხეშ ძალას არ შეეძლო მისი უკანონო დაჩაგვრა. თავის შეურაცხმყოფელს არასოდეს არ აპატიებდა ასეთ ძალადობას. ბუნებამ მაყვალა მას აჩუქა. მაგრამ რაღაც ჯოჯოხეთური მანქანებით ეს უთვირფასესი განძი წაართვეს, ონისემ გადაწყვიტა, რომ უხეში ძალისათვის საკუთარი ფიზიკური ძალა დაეპირისპირებინა, მაგრამ მას აფიქრებდა ერთი ავბედითი აზრი: ვინ იცის, — იქნებ ქალსაც ისევე დავავიწყდი, როგორც ქვეყანას? იქნებ გელას ხელში ბედნიერი შეიქმნა. ეს ფიქრი მიჯნურს საწამლავივით მწარედ ღრღნიდა და არ ასვენებდა მის ისედაც დატანჯულ სულს. ცნობისმოყვარეობა ჯოჯოხეთური ძალით ტანჯავდა მას. რაღაც იდუმალი ხმა ჩასძახოდა ყურში, ეს ხმა ისმოდა მაყვალას სამყოფელიდან. ონისე ჩვილ ყრმასავით დამორჩილდა ამ ძლიერსა და ნებისყოფის შემბოჭავ ხმას, და გაჰყვა კვალდაკვალ. ამ ხმამ იგი მაყვალას სახლის კარებთან მიიყვანა. „აგზნებული თვალებით, შეწითლებული ლოყებით, ხმაგაკმენდილი ონისე ისეთი სიფრთხილით და მოწიწებით მიიწევდა ამ სახლისაკენ, თითქოს გულმხურვალე მლოცველი უწმინდეს ადგილს უახლოვდებაო. ყოველი ბიჯის გადადგმა აახლოებდა საგანს და ყოველი მიახლოება კი სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა... ბოლოს მიუახლოვდა სარკმელს და მოუთმენლად სარკმელში შეიხედა, ოთახში ბნელოდა და ვერა დაინახა რა, მხოლოდ კერაში ჩახვეულ ცეცხლში, რომელიც მთლად ჩანაცრებულიყო, ერთ ადგილას ნაპერწკალი ბრწყინავდა. ონისე დააკვირდა სარკმელს და რამდენსამე ხანს გაწამებული, სულგაკმენდილი და კრიჭაშეკრული უყურებდა, მაგრამ მაინც ვერა გაარჩია რა.

ბოლოს აიღო კენჭი და კერაში გადააგდო; ნაცარი გაიფანტა, ნაპერწკლები აცვივდა და ოდნავ გაშუქებულ კერის პირას გამოჩნდა ერთად-ერთი ლოგინი, რომელშიაც ვიღაც იწვა და ძილი იქამდე გახშირებოდა, რომ ვერც ქვის გადაგდების ხმაურობამ გამოაღვიძა და ვერც ცეცხლის აცვენილმა ნაპერწკლებმა.

ონისე მოშორდა სარკმელს, წყნარად მივიდა კარებთან და ურდულს სიფრთხილით წვალება დაუწყო... ონისემ ჩარჩოსა და კარის ფიცრის შუა ხელი შეჰყო... კედა შეინძრა, მოიწია უკან და კარები წყნარი ჭრიალით გაიღო... სახლში მწოლარემ... ხმაურობა გაიგო და მიხვდა რომ ვიღაც შემოვიდა.

„ბიჭაუ, რათ მოხველ, რაი მოგსვლია? — ოდნავ ,გასაგონად ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

„იმად რომ მიყვარხარ, — ისეთი ხმით შესძახა ბიჭმა, რომ მისი გამგონე ქვაც კი დადნებოდა. მაყვალა შეკრთა და წნორის ფურცელსავით თრთოლვა დაიწყო, მაგრამ მაინც უპასუხა:

„რა ვქნა ონისეისი!... შენ გიყვარვარ, მაგრამ...

„მაგრამ რაი-ღა? — გაფითრდა ონისე...

„მაგრამ ის, რომ მე არ მიყორხარ.

„რაი სთქვი?! — წყნარად და გაგრძელებით ჰკითხა კაცმა და ხმა ჩაუწყდა. ქალის სიტყვები მთიელს ზარსავით დაეცა და ფეხებამდე ზრიალით დაურბინა.

რაი სთქვი — გაიმეორა იმან: — მაშ ეგრე?.. არ გიყვარვარ?:. მაშ რაისთვის. რაისთვის-ღა მკოცნიდი, რაისთვის-ღა მეხვეოდი... რაისთვის-ღა მხიბლავდი და იმედს მაძლევდი?

„მებრალებოდი და იმად.

„გებრალებოდი? — მწარედ ჩაიცინა ონისემ, — მაშინ გებრალებოდი, მაშინ, როდესაც გული ჩადნა, ჩაიწვა და გაბრუედა... მაშინ გებრალებოდი და სიბრალულის ცეცხლი ხელახლად მომიდე?“... ეგ იყო სიბრალული?... აჰუ, მაყვალაუ?.. მავნე მაცდური ყოფილხარ.

„რაისთვის ჯავრობ?.. ღმერთმა და ხალხმა ცხოს მაკუთვნა და უნდა დავმორჩილდე.

„სტყუი! ღმერთმა და ხალხმა კი არა, ძალამ გაკუთვნა, და

შენც დამორჩილდი... მოკვდე ის არ გირჩევნია? ქვის გული გქონია ღვთის მადლმა!

ქალს გული ამოუჯდა და იგრძნო, რომ სუსტდებოდა, გრძნობდა, რომ ეს კაცი მეტად უყვარდა და მასთან შეერთება ათას უსიამოვნებას მოახვევდა კაცსა და სწორედ ამისათვის ცდილობდა თავის გადაწყვეტილებისათვის არ ეღალატნა.

„კარგი ონისეისი!.. რაიც გინდა დამარქვი, ოღონდ წადი, მომშორდი.

„წავალ, მაყვალაუ, წა! რაისი გეშინიან? შენი ბედია, რომ დიაცი ხარ და დიაცზე ძალას ვერ მივიტან! მაგრამ იცოდე, იცოდე ღვთის მადლმა, რომ ჩემის გაგებით გელასა და ჩემში თუ ორთავეს არა, ერთ-ერთს მაინც ჰკლავ!... იყოს რაიც მოგვივა, მოგვივიდეს. ჯანაბას ჩვენი თავი, შენ იყავ მშვიდობითა. ამ სიტყვებზე ონისე გამობრუნდა და წყნარი ნაბიჯით კარისაკენ გასწია. მაყვალა კი ერთ ადგილზე მეხდაცემულივით იდგა და განძრევაც ვეღარ მოეხერხებინა. ამ ქალს უნდოდა მთიელთან განშორებით მისთვის მოსალოდნელი განსაცდელი აეცილებინა, ამ აზრით მსხვერპლად მიჰქონდა თავისი თავი, გრძნობა, მოსვენება და ათასგვარად წამებული გული და ერთბაშად დაინახა, რომ ამით განსაცდელს არამც თუ ვერ აშორებს საყვარელ კაცს, არამედ გაბრაზების მეტის ძალით უახლოებს და ფათერაკს თავს ახვევს.

„ონისე!.. გაჰქანდა ქალი, სწორედ იმ დროს, როდესაც ონისემ ურდულს ხელი გაავლო. ამ ერთ სიტყვაში იმდენი მდუღარე, აღშფოთებული გრძნობა გამოისმა, რომ მთიელი შეკრთა. გააჟრჟოლა და თავის უნებურად კისერი მოეღრიჯა.

„რაი-ღა გინდა? — ცოტა სიჩუმის შემდეგ კითხა იმან: — ერთხელ მითხარ, არ მიყორხარო და ცხელი ტყვია გულს გამიტარე... ერთი ჭრილობა არ გინდა მაკმარო?... ამ სიტყვებით გამობრუნდა, გადაიწია მკერდი და გამწარებულმა წარმოსთქვა:

„აჰა, ნუღარ შესდგები! — მომკალ და გაათავე! — მაყვალა შესდგა, ჩაღუნა თავი და წყნარად წარმოსთქვა:

„არა, არა... შენთვის გონჯი არ მინდა... არა ღვთის მადლმა!.. მაგრამ წადი, წადი!... ჩაიქნია ხელი.

„ქალაუ! რაისთვის-ღა მაწვალებ... კატა რომ თაგვს დაიჭერს მოჰკლავს, ათამაშებს. გულს მოიჯერებს და გადააგდებს. შენა? შენ კი აღარცა მკლავ და აღარც თავს მანებებ?.. ღმერთი მაინც აღარა გყავს?.. კაცი უნდა ჰყოფილიყავი რომ გადამეხადა.

„ბიჭაუ ღვთის მადლმა, სატანჯავათაც მებრალები... ონისეს სახე გაუბრწყინდა, იმედმა გული გაუშუქა...

„მაშ გებრალები? — წამოიძახა იმან და სმენად გადაიქცა...

„მებრალები, მებრალები ისე, რომ თავის სიკვდილით შენი დახსნა რომ შემეძლოს — მოვიკლავდი....

„მაშ გულს რაღად-ღა მიკლავ, ცეცხლს რაღად მიდებ?!

„გასათხოვარი რომ ვყოფილიყავი, ცამც დამტეხოდა, თუ შენს მეტი ქმარი ნესურვა, თუ გულში ცხო კაცის სახელი ჩამესვენა... მაგრამ ეხლა რაი გიყო? ქმრიანი ვარ და თემს უბად ვერ ავეღებინები... წადი ონისეისი... იცხოვრე მშვიდობიანად... ჯერ კიდევ უმაწვილი ხარ, რაი გიჭირს ბედნიერო, ვინ გეტყვის უარს? მთა სავსეა ყვავილებით და მოსწყვიტე რაც მოგეწონოს... იყავ მშვიდობიანად, ბედნიერად და შენის ბედნიერებით ნეც მომასვენე.

„მაშ, მაგად მომაბრუნე? — ჩაახველა მთიელმა და დაცინვით დაუმატა... ქალაუ! იმის თუ არ გეშინიან, რომ ქმარს მოგიკლავ?

„იმის მეშინია, რომ შენ არ მოგკლან!—გაიშვირა ქალმა იმისკენ ხელები.

„მაშ წავიდეთ, გავიქცეთ! აგზნებულის ხმით წამოიძახა ონისემ.

„ნუ ონისეისი, მაგას ნუ გამაგონებ, მანდილს ვერ მოვიხდი.

„გველო, დაშხამულო გველო!—ხელის კვრით მოიშორა ქალი: — ნეტავ შემეძლოს თავი გაგისრისო. ამ სიტყვებით ონისემ ხელი ხანჯალს დაიკრა და სახეში აირია. ყელში ხრიალი დაიწყო და თვალებიდან წინწკლები გადმოსცვივდა. პირისახეზე ალმური აედინა, მაგრამ ეს იყო წუთით თავდავიწყება, რადგანაც წუთს შემდეგ ის მისწვდა თავის ყელს, ხელები ძალზე წაიჭირა და ასე გაწამდა.

„არა, შენ არა...—ბოლოს მწარედ წარმოსთქვა იმან, —

შენი რა ბრალია! ბედმა ცხოს მისცა შენი თავი და მეც იმას მოვეკვლევინები... მშვიდობით მაყვალაუ, შენ მაინც იყავ ბედნიერი".

როგორც ხედავთ — ონისეს სახით ბუნებრივი სიყვარული ტიტანურ ბრძოლას უცხადებს მოვალეობის გრძნობას, რომელიც მაყვალას აიძულებს უარი თქვას ჰეშმარიტ სიყვარულზე. ალექსანდრე ყაზბეგმა აქ ერთიმეორეს ერთხელ კიდევ შეახვედრა მოძველებული მორალური ნორმები და თანდაყოლილი, ბუნებრივი ენერგია სიყვარულისა. მაყვალას თავდავიწყებამდე უყვარს ონისე, მაგრამ ამ გრძნობას საკუთარ გულში კეტავს: იგი გათხოვილი ქალია და კანონის ძალით არ აქვს უფლება ამგვარი გრძნობის გამჟღავნებისა. ონისესთან შეხვედრის დროს მოვალეობამ გაიმარჯვა ჰეშმარიტ სიყვარულზე, მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი გამარჯვება. როცა ონისე მაყვალას ოთახიდან გავიდა — დარწმუნებული იმაში, რომ ქალი ვერ უღალატებდა მოვალეობას, სწორედ ამ წუთში მაყვალას მთელ არსებას დაეუფლა სიყვარული ონისესი. ქალი მანდილმოხდილი გამოვიდა ოთახიდან და ფეხდაფეხ დაედევნა ონისეს კვალს, ვინ იცის რას არ ჩაიდენდა ნებისყოფადაკარგული ქალი, რომ შემთხვევით გზად მწყემსი არ შემოჰყროდა. მწყემსის შეხვედრამ მაყვალას კვლავ მოვალეობის გრძნობა გაუღვიძა და პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს მდგომარეობა. მწყემსმა მაყვალას აუწყა, რომ ონისე ჯვარს იწერს ერთ ლამაზ ქალზე, რომელსაც თურმე ბადალი არა ჰყავს მთელ ხევშიო. ამ ამბავმა მაყვალას სულში ერთ და იმავე დროს აღძრა ტკივილისა და სიხარულის გრძნობა. ტკივილის გრძნობა გამოწვეული იყო ონისეს სამუდამო დაკარგვით, ხოლო სიხარულის გრძნობა ონისეს გაბედნიერებით. ქალის გულში მაინც დარჩა საყვარულის ძველი ჭრილობა, რომელიც ზოგჯერ საშინელ ტკივილებს იწვევდა. არც თუ ონისე იყო მოსვენებულ მდგომარეობაში. რაკი სიყვარულის ძალას ვერ დასძლია, მან გადაწყვიტა თავის მოკვლა. ამ ფიქრში იყო, როდესაც ერთბაშად მოისმა ფანდურის ხმა და მეფანდურემ მგლოვიარეს გულით დაამღერა ლექსი. შინაარსი ლექსისა ასეთი იყო: ერთი მონა-

დირე მთაში ჯიხვზე სანადიროდ წასულიყო. ნადირობის დროს მონადირეს ბედმა უმუხთლა. ფეხი აუცდა და ნაპრალის პირად ფრიალო კლდეზე დაეკიდა. მონადირე თავის ძაღლს თხოვს, რომ სოფელში წავიდეს და მარტოდნარტო მის საყვარელს შეატყობინოს მონადირის განსაცდელი. ძაღლი საყვარელს არ ენდობა, თუმცა პატრონის სიტყვას ატყობინებს; ძაღლმა მონადირის დედასთანაც მიირბინა. საყვარელი ქალი თავის სატრფოზე ამბობს „თვალიმც დაუდგება, თუ მთაში სიარული არ იცოდა, რაისათვის მიდიოდა?!“ დედა კი ხმაამოუღებლივ, ლოგინით ხელში, საჩქაროდ შვილისაკენ გაეშურება. დედასთან ერთად შეიტყობს მთელი თემიც და მდევარი წავა მონადირის გადასარჩენად. ამ ხალხთა შორის მონადირის საყვარელიც არის, რომელსაც გვერდში მოსდგომია ერთი კოხტა ბიჭი. ბოლოს ყველამ მიაღწია იმ ადგილს, სადაც გულისშემზარავი სანახაობა გადაიშალა. ფრიალო კლდეზე კაცი თავქვე დაკიდებულიყო... წუთი წუთს ყველა მოელოდა, რომ ბანდულის საბანდი გაწყდებოდა და კაცი სულით და ხორცით უფსკრულში დაიკარგებოდა. დედა შვილს რბილად უშლის საგებელს და იმედოვნებს, რომ თავის ერთადერთ ნუგეშს ამით გადაარჩენს. მოვიდა ყმაწვილი ქალიც, საყვარელი მონადირისა. გადაუშლის მერდინს და შესძახებს: დიაცო, არ გრცხვენის შიშისა?! გაინძერ. საბანდი გაწყდება და მერდინით დაგიჭერო“... მონადირე ენდობა ქალის სიტყვას, შეინძრევა, გადმოვარდება და ტვინგანთხეული მიწას დაეცემა. შვილის სიკვდილთან ერთად დედასაც სული აღმოხდა. ყმაწვილი ქალი კი კოხტა ბიჭთან ერთად ხელი-ხელ გაყრილი წავიდა სახლისაკენ. მეფანდურემ უკანასკნელად ჩაჰკრა თითები ფანდურის სიმებს და ამოოხვრით დაიძახა: „თქვენი გამარჯვებისა იყოსო“. ამ სიმღერაზე ყველა დადუმდა და ასეთ მდუმარე მდგომარეობაში დარჩნენ. ბოლოს მათ ბაგეებს აღმოხდათ შემდეგი სიტყვები: „დედისთანა ტყუილია, ღვთის მადლმა“. აი ამ სიმღერას უსმენდა ონისე: სიმღერამ ძველი იარა გაუხსნა და მწარე ტკივილები აგრძნობინა. „მაშ უღალატაა?.. იქნებ მეცა მღალატობს და სხვა შეუყვარდა!.. რაისათვის, რადა? განა ჩემსავით სიყვარული შეუძლია ვისმე?!

არა, არა, ღვთის მადლმა“. გულის გასაგმირად წარმოსთქვა და აგზნებულმა ცეცხლმა ორი ცხარე ცრემლი თვალთაგან გამოსწურა. განა ონისეს სიტყვაში არა სჩანს, თუ რა დიდი სულიერი ძალის მატარებელია უბრალო მწყემსის ტანსაცმელში გამოწყობილი მოხევე!

ონისეს სახით ჩვენს წინ დგას დიდი მორალური კულტურის მატარებელი ადამიანი, რომელიც წინ უსწრებდა თავის დროს. ამ გაგებით იგი გვერდში უდგას მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის უკვდავ გმირებს.

რამდენი ფიქრისა და გრძნობის მომგვრელია ონისეს უბედო სიყვარული! და განა მარტო სიყვარულშია აქ საქმე? სიყვარულში, როგორც ფოკუსში ერთიანდება ყველა ტკივილი ადამიანისა, რომელიც ცხოვრებასთან კონფლიქტში წარმოიშობა. დააკვირდით ონისეს შეხვედრას მაყვალასთან წისქვილში და დარწმუნდებით, თუ რა ძნელია ხვედრი უსამართლოდ დევნილი ადამიანისა. ონისე კი უმართებულოდ იყო გაწამებული და გატანჯული, მაგრამ ონისესთანა ადამიანები ადვილად როდი ემორჩილებიან ჯანჯეშ ძალას. ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან სამართლიანობისათვის. ასე მოიქცა ონისეც. იგი ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ მაყვალამ სხვაზე გასცვალა. სიყვარული აიძულებს მას ერთხელ კიდევ სცადოს გაბრძოლება და „მერე რაც მოხდება მოხდეს“. აი ამ მიზნით მივიდა მიუსაფარი ონისე მაყვალასთან წისქვილში.

„მაყვალაუ, მაყვალაუ! შესძახა ქალს ონისემ. მაყვალა წამოხტა და მფეთქავის გულით კარებთან მივიდა.

„არ გესმის ქალაუ!.. აცახცახებული ხმით წამოიძახა კიდევ ონისემ.

„ვინაა, რაი გინდა?

„მე ვარ, მე გამიღე კარი. მაყვალა გაჩუმდა და არ იცოდა რა ეპასუხნა.

„გამიღე, ღვთის მადლმა, თორემ ჩემ სისხლში გაგხვევ.

„რისთვის მოსულხარ?.. და გულმა ცახცახი დაუწყო, მთლად სმენად გადაიქცა.

„მიყვარხარ და იმად,—მოკლედ და მტკიცედ წარმოსთქვა

კაცმა... ამის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალის გულს ნექტარი სიამოვნება აგრძნობინა ამ სიტყვებმა და გაღვიძებულმა იმედმა რამდენადმე გაათამამა, თუმცა აზროვნება ჯერ მაინც ვერ მოეკრიფა...

დიახ, გიყვარვარ?.. ელვასავით შესტყორცნა ჟუჟუნა თვალების სხივი და გაწითლებულმა... ისევ თავი დახარა.

„ქალაუ! ორნივ ვიტანჯეთ, ვეწვალეთ და ვეღარ დავივიწყეთ ერთურთი... ერთურთი ვნახეთ და შეგვიყვარდა ერთმანეთი... ჩვენი ნებით არ მომხდარა ეს და ვერც ჩვენი ნებით გავიყრებით... ვეცადე, ქალაუ! ვეცადე ღვთის მადლმა, იმ გულიდან ამომეღე, შენი სიყვარული ძირფესვიანად ამოვეგლიჯა, შენი სახე ცხელის რკინით ამომებუგა გულიდგან, მაგრამ დავდნი, დავილიე და აჰა, მაინც შენთან მხედავ. ონისე ლაპარაკობდა წყნარად, გარკვევით და სრულის ცნობიერებით. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს სიტყვები ამოდიოდა გულის სიღრმიდან, სადაც აღგზნებული... სიყვარულის ცეცხლი ხალასდებოდა და იწმინდებოდა. ქალი შეეპყრო... კაცის ყოველ სიტყვას, ყოველი ხმის მოტრიალების გავლენას აშკარად გრძნობდა. ქალი სდნებოდა... უხმოდ ეთანხმებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა შკერდთან, მაგრად და ძლიერად მოუჭირა ხელები, ჩახედა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„ქალაუ!.. ჩემო ყველავ!.. მითხარი!.. უკანასკნელად ვარ შენთანა. და მითხარ, მითხარი: საით წავიდე, რაი ვქნა? იქნები ჩემი თუ არა?! — აქ კაცს სიტყვა გაუწყდა და ჩუმად წარმოსთქვა—„არა“, ქალაუ! მითხარ! მითხარ! კიდევ ძალზე მიიზიდა კაცმა. მაყვალამ იგრძნო სიტკბოება, სისუსტესთან არეული, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავი ძალის გავლენის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წნელსავით გადმოიგრიხა და ორივე ხელით ყელზედ მაგრად გველსავით შემოეჭდო. პასუხად აგზნებული, ხანგრძლივი კოცნა გაისმა კაცისა...

„მაყვალაუ!.. თავბრუდახვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, ძალზე მიიკრა გულთან და... ვიყსავით კოცნა დაუწყო“.

ამრიგად, ორი ადამიანის სულიერმა შეერთებამ ნამსხვრევად აქცია მოვალეობის გრძნობა. საუკუნეების ტევრში გამოვლილი ცოლქმრული მოვალეობის ტრადიციამ ბუნებრივი სიყვარულის წინაშე მუხლი მოიდრიკა და შარავანდედმოსილი ადამიანის სიყვარულმა გამარჯვება იდღესასწაულა. ონისესა და მაყვალას ძალუმმა სურვილმა თავისი გაიტანა; ისინი არ შეუშინდნენ თემის სიმკაცრეს და ხალხში განმტკიცებულ მორალს, მათ აღასრულეს ბუნების კანონი. ამას შემდეგ გადაწყვიტეს მოშორებოდნენ თემს. გადახვეწილიყვნენ სადმე შორს, სადაც ვერ მიწვდებოდა უხეში ძალა და ვერ დაარღვევდა მათ ბუნებრივ კავშირს. მაგრამ მაყვალასა და ონისეს ეს გადაწყვეტილება უმტკივნეულოდ არ მომხდარა; ამიერიდან ისინი უნდა მოშორებოდნენ სამშობლო ქვეყანას, ლამაზსა და დიდებულს, სადაც დაირწა მათი აკვანი და პირველად გაახილეს თვალი, სადაც დედის ნანასთან ერთად ესმოდათ მახლობლების ხმა და შეეძლოთ მეგობრებთან, ამხანაგებთან მხიარულება. ყოველივე ამის დათმობა მეტად ძნელი იყო; მით უფრო მთიელი ადამიანისათვის, რომელიც „არ გასცვლის სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“, რომელსაც სჯერა, რომ „სამშობლო დედის ძუძუი—არ გაიცვლების სხვაზედა“. ამ ტრადიციებზე აღზრდილთათვის სამშობლოდან გაქცევა დიდი უბედურების მომასწავებელი იყო. და განა მაყვალა ონისესთან ერთად უბედური ადამიანი არ იყო! აბა ვინ გაბედავს სამშობლოს მიტოვებას თუ არა უბედური, ანდა მოღალატე. ონისე რომ სამშობლოს მოღალატე არ იყო, ეს მთელმა თემმა იცოდა. ამიტომ იგი უნდა გასცლოდა თავის ქვეყანას. მაყვალასთან დადებული პირობის თანახმად გაქცევამდე ონისეს საკუთარი ცხვარი უნდა გაეყიდა. ცხვართან მიახლოებამ იგი მოუსვენარ მდგომარეობაში ჩააგდო. „მთიელი მხოლოდ ამ წუთში მიხვდა, რა მწვავე მოქმედება ქონდა იმ ადგილების განშორებას, სადაც ბავშვობიდანვე აღზრდილიყო, იმდენი მწუხარება და სიტკბო ენახა. ის დაბადებიდანვე შეჩვეოდა იქაურ ბუნებას, შეთვისებოდა ყოველ მთას, ყოველ ღელეს, ყოველ კუნჭულს... ამ ადგილების წყალს ონისეს სმენისათვის სრულიად სხვაგვარი, მშობლიური და დამაყვავებელი ხმა ჰქონდა; უზარმაზარს, სხვისთვის მხოლოდ ჩაბოფხე-

კილს, უნაყოფო კლდეებს ონისესათვის გამაცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი ძალა ჰქონდა და თვით ცხვრის უბრალო დაბღავლებასაც კი შეჩვეულ ყურს დამამშვიდებელ ნანად ესმოდა. ყველაფერს, სრულიად ყველაფერს, — დაწყებული მედიდური ლაჟვარდოვანი ციდან, ამაყი და დიდებული მთებიდან, უკანასკნელ მცირედამდე, ერთი სიტყვით ყოველივე, რაც კი მთაში მოიპოვებოდა, ონისესათვის დაუფასებელი იყო, მის არსებაში ადგილი ეჭირა, მათთან განშორება ეთანაბრებოდა ნახევარი სიცოცხლის განწირვას, მაგრამ საქმეში შაყვალა იყო ჩარეული და ეს საკმარისი იყო... იმის დასაკუთრებისათვის, შერჩენისათვის, — მთელი სიცოცხლეც რომ დასჭირებოდა, წუთს არ შესდგებოდა, დაუფიქრებლად მისცემდა".

ასეთი იყო ძალა სიყვარულისა, რომელიც ადამიანის ნებისყოფას აღარ ემორჩილება და ითხოვს უზომო მსხვერპლს.

რაკი ერთხელ დაეუფლება ადამიანის გულს ასეთი სიყვარულის შთამგონებელი ძალა, მერე ძნელია საზღვრის დადება ამ გრძნობისათვის; იგი თანდათან მეტ მსხვერპლს ითხოვს და არავითარი ძალის წინაშე ქედს არ იხრის. ასეთი იყო ონისეს სიყვარული; და განა შეეძლო თემის მორალს და ტრადიციებს ონისეს ამ გრძნობის გულიდან ამოგლეჯა? მოხევე უმალ სიცოცხლის გაწირვას ამჯობინებდა სიყვარულის წმინდა გრძნობის შებღალვას. ამიტომაა, — რომ თემის თხოვნაზე — დარჩეს აქ, ნუ ჩააქრობს მშობლიურ კერას, ნუ მოშორდება საყვარელ სამშობლოს, ონისე უპასუხებს: „სადაც უნდა ვიქნა, ღვთის მადლმა ჩვენი თემობის ყურმოჭრილი ყმა ვიქნები, მაგათი ღალატი თუ გულს გავიტარო, ფეხქვეშ მიწა ჩამენგრეს. მეზობელთა ცრემლები ნუღარ მღირსებია... მაგრამ რაი ვქნა? აქ ცხოვრება აღარ შემიძლიან". რაკი ონისეს მტკიცედ ჰქონდა ვადაწყვეტილი სამშობლოდან გაქცევა, თემიც ვეღარ აღუდგა წინ, მაგრამ თემმა ფარეშას პირით ერთხელ კიდევ მოაგონა ონისეს სიყვარული და მოვალეობა სამშობლოსადმი.

„ონისეუ, — დაიწყო ფარეშამ, — სულ კარგი ხარ და სულ კეთილი... ღვთის მადლმა, ხალხს რომ უჭირდეს, საქონელს კი არა, სულსაც არ შეიშურვებ... ცხორიც შენია და ძროხაც,

ჩემო ყველავ!.. ცხენიცა... ყველა შენი ოფლით არის მონაგარი, ყველა შენი შრომით ნაშოვნი... უფალმა მოგახმაროს ისე, როგორც გინდოდეს, შეგარგოს როგორც დედის ძუძუ... განა შენი საქონელი გვინდა?... არა, ღვთის მადლმა! ძმა ხარ და შენი თავი გვენანების, თორემ საქონელი რაია? აი თემობა, აიშვირა ხელი მოხუცმა, — თემობა — ეს ხუთი თითია... რომელიც გინდა მომჭრა ტკივილი გულს მომხვდების, გულს შეაღონებს... ონისეუ... ონისეისი... ნუ წახვალ: ნუ მოგეშორდები!.. გთხოვთ, ძალას კი არ გატანთ". ამ მტანჯველ, ჭეშმარიტ პატრიოტულ სიტყვებს, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ონისეზე. მისი გული გრძნობდა, რომ მთელ თემს თავის მოქმედებით ერთი სასიცოცხლო ძარღვი ჩაუწყვიტა და მწარე ტკივილები აგრძნობინა ეროვნულ ორგანიზმს. მაგრამ სიყვარულის იდუმალი ხმა მას უხმობდა თავისაკენ და თემის გულმართალ თხოვნაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ ხალხის გულმა იგრძნო, რომ ონისეს, რაღაც დიდი ტკივილი აწუხებდა; დარჩენაზე სიტყვის ამოღება ვეღარავინ გაბედა და ბოლოს თემი იძულებული გახდა ფარეშას პირით გზა დაელოცნა ონისესათვის. „ონისეუ! — უკანასკნელი სიტყვა დაიწყო ფარეშამ. არ იშლი, მისდიხარ და ჩვენი გული კვნესით გესალმების!.. უფალმა მშვიდობით გამყოფოს, ნუ დაგავიწყოს შენი მიწა-წყალი, შენი მოძმენი... ნუ დაგავიწყოს შენი სალოცავები, შენი დედმამის ძვლები... გახსოვდეს, რომ იმათი სული და შენი მოძმეთ გული სიხარულით შეინძრევა, თუ კიდევ დაბრუნდი, თუ შენი სიახლოვე იგრძნო... ნუ დაივიწყებ ძუძუს, რომელმაც გაგზარდა, ნუ დაივიწყებ გულს, რომელიც შენმა მოშორებამ ააღელვა! გახედე მთებსა! — გაუშვირა მოხუცმა ხელი და თვალებში ცრემლები გაუბრწყინდა: — აქ უცხოვრია შენს მამა-პაპას, აქ მოუკლავთ სევდა, აქ ასძგერებიათ გული... აქ უცოცხლიათ და აქ დაბოცილან... შეხედე და ნუ დაივიწყებ, შენია, შენი! — მოხუცი გადაეხვია და მდუღარე ნაკადული თვალთაგან გადმოსცვივდა".

ამ დიდებულ, მართლაც ცრემლისმომგვრელ და ათასგვარ ფიქრისაბიძგელ სიტყვებში ჩანს ქართველი ხალხის ერო-

ვნული ძალა და ენერგია. ხალხს, რომლის გულშიაც ეს გრძნობა ასეთი ძალით გაღვიძებულა, ბევრი ტანჯვა უნდა გამოეცლო სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მისი დიდებული სახელის დაცვაში. ფარეშას სიტყვები ბოლო თემის, მთელი ხალხის წადილია, მისი გულისთქმაა, რომელიც სწუხს ყოველი შვილის დაკარგვაზე. ვაჟკაცობით და პატიოსნებით განთქმული ონისეს მოშორება თემისათვის პატარა საქმე არ იყო; თემი ამას გრძნობდა და სწუხდა. თემს ეგონა, რომ ონისე წინ ვერ აღუდგებოდა ერის ხმას, და სთხოვა დარჩენა. მაგრამ თემმა არ იცოდა, თუ რა ძლიერი ცეცხლი აიძულებდა ონისეს თემიდან მოშორებას. ონისე მოწყდა თემს და ეს მოწყვეტა იყო მისი პირველი დამარცხება.

ბოლოს, როგორც მკითხველმა იცის, ონისემ — მაყვალასთან ერთად გაქცევის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და გელასთან ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. ორ გვართა შორის ამის შემდეგ სისხლი ჩამოვარდა. ეხლა უკვე თემი უნდა ჩარეულიყო საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ახალ-ახალი მსხვერპლი. სამების საბჭოში თემის ყრილობა გაიმართა და თემის მეთაურებთან ერთად ყრილობამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„მაყვალა, როგორც მიზეზი ყველა ამ უბედურებისა, მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა ღა სახლისა, გამწბილებელი ოჯახისა და ნათესაობისა, შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

„ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახის შეურაცხმყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთა სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, — შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

„გელა, როგორც მეზობლის და მოძმის სისხლის დამღვრელი, მიზეზი ცოლის ყოფაქცევისა, დამნაშავე თემის მშვიდობიანობის დარღვევით, გამტეხი თემის პირისა (რადგანაც გადაწყვეტილების წინააღმდეგ ცოლი ძალად დაიბრუნა) შეკრული იქნას და გადევნილ ხევიდგან.

სამთავ ჩაესვათ სათემო სამანი, სამნივ თემისაგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქნენ.

„დღეის იქით, — გააგრძელა თემის ნების დადგინების გადმომცემმა, — მოწყევლილმც იქნებიან ჩვენი თემიდგან. მოშორებულნი ჩვენი კუთხიდგან, ჩვენი მიწიდგან და წყლიდგან, მათ აღარ ეღირსების არც ჩვენი ცრემლი, არც ჩვენი სამარე; არ შაეხება არც ჩვენი საღმრთო, არც ჩვენი საწირი, წყეულიმც იქნება, ვინც მაგათ ხელს გაუწვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვდის, შეცივებულს დაათბუნებს და შებრალებულს ყოფს; წყეულიმც იქნება და განდევნილი თემიდგან.

„ომენ!—გაისმა ამ სიტყვებზე ხალხის ხმა და გრგვინვასავით შეარყია ჰაერი. ძლევამოსილი დიდება ისმოდა ამ გადაწყვეტილებაში“.

განდევნილთათვის ძნელი, ფრიად ძნელი ასატანი და საშინელი სულიერი ტკივილების გამომწვევი იყო თემის გადაწყვეტილება. წარმოიდგინეთ იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც ძალით იდევნებიან თავის სამშობლო მიწა-წყლიდან, მხოლოდ სიყვარულისათვის. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ გელაზე; იგი უფრო სასტიკი სასჯელის ღირსი იყო. ჩვენ უდანაშაულო ონისე და მაყვალა გვყავს მხედველობაში. მაყვალასა და ონისეს განდევნის გამო თემის დადგენილებას საფუძვლად არ უდევს ჰეშმარიტების პრინციპი და ის დიდი ჰუმანიზმი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელი იყო მთიელი ხალხისათვის. დადგენილება ცალმხრივია, წუთიერ ეფექტს ემყარება და არა გონების მართლმსაჯულებას. რატომღაც აქ თემმა უღალატა თავის თავს და იგი მოგვევლინა არა როგორც გამგები ადამიანის გულისთქმისა, არამედ, როგორც დამსჯელი. დანაშაული სასჯელს ითხოვს, მაგრამ საშინელებაა უდანაშაულოთა დასჯა. სასჯელის სიმკაცრე უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის კატეგორიას, თემმა კი სამივე ერთი და იგივე სასჯელით დასაჯა. გელა, რომელმაც რამდენჯერმე დაარღვია თემის გადაწყვეტილება, ქალს მანდილი მოხადა და მონურ მდგომარეობაში ჩააყენა, ამავე დროს ონისე სასიკვდილოდ დასჭრა — თემმა ისევე დასაჯა, როგორც მაყვალა და ონისე; ჩვენ ბოლოს დავინახავთ, რომ თემმა თვითონ იგრძნო თავისი დანაშაული, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

რა იყო მაყვალასა და ონისეს დანაშაული? მხოლოდ სიყ-

ვარული; და განა სიყვარულისათვის კაცი უნდა ისჯებოდეს? მით უფრო, როდესაც ეს სიყვარული ორივე ადამიანის სურვილია. მათი სულის მოთხოვნილებაა. მაყვალას საქციელში თემმა ოჯახის შეურაცხყოფა დაინახა, რომელიც თითქოს ანგრევდა ოჯახის მთლიანობას, მაგრამ ეს ოჯახი ბუნებრივად უნდა დანგრეულიყო, რადგანაც ოჯახურ კავშირს საფუძვლად ედვა არა სიყვარული, არამედ გულცივი მოვალეობა; მოვალეობა კი მოკრძალად ვერ გამოდგება ცოლ-ქმართა შორის. თემმა კარგად იცოდა, რომ გელამ მაყვალა ძალით დაისაკუთრა, რაღაც ავაზაკური ხერხებით მოახერხა ამ ულამაზესი და სათნო ადამიანის ხელში ჩაგდება; იცოდა აგრეთვე, რომ მაყვალას ყრმობიდანვე უყვარდა ონისე და ეს თავმომწონე მთიელი ადვილად არავის დაუთმობდა „გულის საყვარელს“; თემმა ისიც იცოდა, რომ გელა გარყვნილი, უზნეო ადამიანი იყო და ქალს ყოველდღე სცემდა. მაშინ რა საბუთით შეიძლებოდა ერთი და იგივე სასჯელის დადება სამივე ადამიანისათვის? აქ იწყება მორალური კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის და ამ ბრძოლაში ისტორიული სიმართლე პიროვნების მხარეზეა. დრო გადიოდა, ონისე ჭრილობისაგან განიკურნა, თემის გადაწყვეტილებას დაემორჩილა და შორს მთებში გარდაიხვეწა. ონისე განადირდა ადამიანური საზოგადოების გარეშე, შესძულდა ადამიანი და უფრო მეტად საკუთარი თავი. მის სულში სინათლე ჩაქრა და სიბნელემ დაისადგურა. არსებითად ონისე — ამქვეყნიურ გრძნობას მოკლებული, მკვდარი იყო ხალხისათვის, სამშობლოსათვის, რომელიც საკუთარ თავზე ბეტად უყვარდა. გაგარეგნებული, უსამშობლო ონისეს სულში ჯოჯოხეთური ძალით იბრძოდა ორი გრძნობა: გრძნობა თვითმკვლელობისა და გრძნობა ხალხთან დაბრუნებისა. მარტოობას ხალხში აღზრდილი მთიელი ვერ ეგუებოდა, მაგრამ არც ხალხთან დაბრუნება შეეძლო, რადგან ხალხი მას არ მიიღებდა. ერთადერთი გამოსავალი სიკვდილი იყო, მაგრამ ონისეს განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს უშლიდა სიყვარული, სიყვარულის იდუმალი ხმა კვლავ უხმობდა თავისკენ; ამ ქვეყანაზე ონისემ ყველაფერი დაივიწყა, ერთი ადამიანის გარდა. ეს იყო მაყვალა. მაყვალას სახელი ზარივით რეკდა განაპირებულ ონისეს ყურში; ეს სახელი იყო მისი სტი-

ქია, მისი ვნებათაღელვის საგანი. ამ ქალის გახსენება აფორიაქებდა მის სულს და უწამლავდა ისედაც უმიზნო დღეებს. ონისემ გადაწყვიტა საკუთარი ხელით მოკვლა იმ ადამიანის, რომელიც ამ ქვეყანასთან აკავშირებდა სულიერად. ამის შემდეგ, ონისეს ფიქრით, სავსებით გაწყვეტილი იქნებოდა ცხოვრებასა და მის შორის არსებული კავშირი. ონისე ამ აზრით მივიდა იმ საშინელ ღამეს მაყვალას ბინაში. მაყვალას ნახვამ ონისეს ავბედითი გადაწყვეტილება უფრო განამტკიცა, რადგანაც ვაჟმა სიყვარულით აღგზნებული მიჯნურის ნაცვლად ნახა ქალი, რომელსაც „მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი“, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარყო კაცის უუტკბესი მოთხოვნილებანი და, ხორცის მომკვლელი, სულის აზაღლებასა და დიდებას შესდგომოდა“. ამრიგად მაყვალა მკვდარი იყო საყვარლისა და ქვეყნისათვის; ონისემაც აღვილად აღასრულა თავისი განზრახვა; ონისემ მაყვალა მოჰკლა და ამით მან ბუნებისა და ხალხის განაჩენი სისრულეში მოიყვანა. მაგრამ მაყვალას სიკვდილმა ის ვერ დაამშვიდა. კიდევ მეტი — მის ტანჯულ სიცოცხლეს ახალი ტანჯვა მიუმატა. ონისე დამშვიდებას ეძებდა, მაგრამ მის სულს ვაება დაეუფლა. მაყვალას საფლავი ონისესათვის გადაიქცა უწმინდეს ადგილად; იგი დაღლილი, დაქანცული, ათასგვარი ფიქრით გატანჯული მიდიოდა ამ წმინდა ადგილთან, რათა უფრო მეტად განეცადა გვემა სულისა. ალექსანდრე ყაზბეგი დიდებულად გადმოგვცემს ამ პროცესს: „ონოფრე იდგა ისე გაუნძრევლად, თითქოს იმ ადგილს გახევებულაო... იმისი გაოცების მიზეზი იყო ვიღაც კაცი, რომელიც მოძღვრისაკენ ზურგშექცეული დაჩოქილი იდგა და ცივ სამარეს მხურვალე ცრემლებით გათბობას უპირებდა. უცნობი ჩაჰკროდა საფლავის ქვას და ზედ დასწებებოდა; ცახცახით ლოშნიდა და მდუღარე ნაკადულივით ლორთხავდა... ათასში ერთხელ... ძლიერად ამოიკვნესებდა და იმედდაკარგული კვნესით სიპ ქვას თავს ახეთქებდა. სურათი იყო მეტად დიდებული, გოდება მეტად მტკივნეული გულისა... ნუგეშმოკლებული ტიროდა მდუღარედ, მწარედ. თითქოს მწუხარებას წინაშე ბუნებასაც მოეხარა თავი და ყოველი ქმნილება დაჩუმებულიყო... თით-

ქოს თვით ცაც კი შეჯერებულიყო უბედურის მწუხარებით... დაიწყო წუნარი და ჩუმი ნამვა, რომელიც უმაწვილი ქალის... თვალთაგან გამონადენ ცრემლს მიემსგავსებოდა.

კაცმა წუთით აიღო თავი, დაიკრიფა გულხელი და ჩასისხლიანებული თვალებით დააცქერდა შავსა და ცივ მიწას, რომელიც ყრუდ რჩებოდა აგზნებული გულის ხვეწნისადმი. შემდეგ დაეცა ისევ, დაეკონა საფლავს და გამწარებულმა გაშმაგებით კოცნა დაუწყო. ეტყობოდა ნაღველი უიმედობისა უნდოდა ამოეღვარა, მოეშორებინა თავიდგან, მაგრამ ყოველ კოცნაზე, ყოველ განძრევაზე ვარამი თანდათან ემატებოდა... თანდათან უძლურდებოდა. ბიჭი დაოსდა, დასუსტდა და გაწყდა. რამდენიმე ხანს ასე დარჩა. ბოლოს წამოიწია, წუნარად წამოდგა ფეხზე და კვლავ საფლავს დაუწყო ცქერა, წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და ჯვარს მიეყრდნო... გოდება და ტირილი, ბუდამ წადილი შეუძლებელისა, განუწყვეტელი მოგონება დაკარგულისა, მთიელს აღშფოთებდა და... ძალას ართმევდა. ამას ემატებოდა წადილის დაუკმაყოფილებლობა. ონისემ იგრძნო სიძნელე თავის მდგომარეობისა, იგრძნო, რომ ყოველი მიკარება მაყვალასი, ყოველი მიკარება იმ მხარისა, იმ ადგილისა... სადაც სატრფოს ამოესუნთქა, შეუბრალებელს გულის მკუწველად გადაქცეოდა, იგრძნო რომ მათ სიახლოვეს ვეღარ გაუძლებდა და გადაწყვიტა: — გაქცეულიყო, წასულიყო, გადაკარგულიყო... დღეს, სულისწინდის მოფენის დღესასწაულს უკანასკნელად მისულიყო იდუმალ საფლავთან, სურნელოვანი ყვავილებით შეემკო მკაცრად გამომზირავი სიპი ქვის სახე, რომელიც ისე შეუბრალებლად, მძიმედ და უგულოდ დასწოლოდა ნაზი ქმნილების სამარეს... ონისე იღგა უაზრო, სიცოცხლეს მოკლებული და ჩაჰკვირებოდა ერთ ადგილს; ჩაჰკვირებოდა, მაგრამ ვაი ამ ცქერას!.. აქა სჩანდა კვნესა დაობლებული სულისა, აქ იყო შენანება თავის სიცოცხლისა, აქა სჩანდა ხვეწნა, მუდარა გატეხილი კაცისა, რომელიც დაჰმონებოდა შეურყეველ ძალას. და არსად, არავისაგან შველას არ მოელოდა". ამთავრებს რა ალექსანდრე ყაზბეგი ონისეს მდგომარეობის აღწერას, ამბობს: „მაგრამ არა, მე ვერ ავწერ მის სახეს, მისი გამომეტყველების სიძლიერეს, უნდა

ნახოს კაცმა, ნახოს და იგრძნოს მისგან აღძრული შთაბეჭდი
ლება“.

ეს გულწრფელი აღსარებაა ყაზბეგისა; ისეთი ბუნების კაცის
აღწერა, როგორიც ონისეა, შეეძლო მხოლოდ გაწვრთნილ გე
ნიას. მაგრამ ყაზბეგმა მაინც დიდებულად გვაგრძნობინა ვაებ
იმ კაცისა, რომელსაც მიზეზი აქვს ძიებისა, ეძიებს და ვერ
უპოვნია. აქ არის სათავე ონისეს სასოწარკვეთილებისა, მი
მიერ ქვეყნის უარყოფისა და მაყვალას სიკვდილისა. განა მას
სძულდა მაყვალა? განა მას შურისძიება ამოქმედებდა? არც
პირველი და არც მეორე. ონისემ პრინციპი მოკლა და არა
ადამიანი. განა ასევე არ იქცევა ოტელო? განა მას სძულდ
დეზდემონა? არა, სიგიჟემდე უყვარდა იგი თვით იმ წუთებ
შიაც კი, როდესაც თავისთავს დარწმუნებულად თვლიდა დე
ზდემონას ღალატში; როცა ოტელო დეზდემონას სარეცელ
უახლოვდებოდა საშინელი გადაწყვეტილებით, იგი ფიქრობ
და, რომ ჰკლავდა არა სიყვარულს, არამედ უნამუსობას. დე
ზდემონას სიკვდილის შემდეგ მან საჯაროდ განაცხადა, რომ
დეზდემონა მოჰკლა არა სიძულვილით, არამედ ნამუსის
გულისათვის.

არც ოტელო და არც ონისე ასეთი მკვლელობის ჩადენის
შემდეგ თავს არ გრძნობდნენ მოსვენებულად, პირიქით: გა
მოუთქმელი ტანჯვა ეუფლება მათ სხეულს. მაინც რატომ?
მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სუბიექტური სურვილი და ობი
ექტური მოქმედება განზრახვის სისრულეში მოყვანის დროს
შეეჯახა ერთიმეორეს. მკვლელობის წინ ისინი ფიქრობდნენ
რომ კლავდნენ არა ადამიანს, არამედ პრინციპს, ნამდვილად კი
ადამიანებს კლავენ და არა პრინციპებს. მკვლელობის შემ
დეგ ისინი ანგარიშს აძლევენ თავიანთ თავს; აფასებენ ჩადე
ნილ დანაშაულს და ერთბაშად მათ თვალწინ დგება საშინელ
სურათი. ამ სურათის ხილვა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას
მაქსიმალურად ამოკლებს და ქმნის საშინელ აგონიას: მათ
ცრემლი — საკუთარი ხელით განგმირულ საყვარელთა გვა
მებზე, იმის მაუწყებელია, რომ ისინი სუბიექტურად დამა
რცხდნენ; თუმცა იდეა, რომელიც აქეზებდა მათ მკვლელო
ბისათვის ობიექტურად კვლავ განაგრძობდა არსებობას. ამ

გვარ ადამიანებს მონანიება და ცრემლი მიაჩნიათ რაღაც ნაგიურ ძალად, მათ მიერ დარღვეული ბუნებრივი ჰარმონიის აღსადგენად. ამ განზრახვით წარსდგა ოტელო სენატორთა წინაშე. ამავე განზრახვით მივიდა ონისე თემის ყრილობაზე. ორივეს მხრიდან ასეთი მოქმედება ბათი კეთილშობილებისა და სულიერი სიმაღლის მაუწყებელია. უბრალო, ჩვეულებრივი კაცის მკვლელისაგან ასეთი საქციელი მხოლოდ სიძულვილს გამოიწვევდა, მაგრამ ოტელოსა და ონისეს მოქმედება შებრალებასა და თანაგრძნობას იწვევს: მათ მიერ ჩადენილ მკვლელობას დიდი ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად. სუბიექტურად ისინი მართალნი არიან, თუმცა დანაშაული ჩაიდინეს. ერთიცა და მეორეც დანაშაულს აღიარებენ, არა როგორც ავაზაკები, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი მოქალაქენი. წაიკითხეთ ოტელოს მონანიების მონოლოგი „მშვიდობით სპანნო, ჯიღოსანნო, დიდნო ბრძოლანო“ და დარწმუნდებით, თუ რა ძალით ნანობდა თავის დაკარგულ ნაზევარს. დეზდემონა — მისი სიცოცხლის მართლაც მონახევრე იყო; მისმა სიკვდილმა აგრძნობინა ოტელოს ეს ჭეშმარიტება. „აწ კი მშვიდობით მხიარულო კმაყოფილებავ, ოტელოს ჩარხი ბედუკუღმა გადატრიალდა“-ო ამბობს იგი. მართლაც, დეზდემონას სიკვდილით ოტელომ დაკარგა რაინდული სული, გამბედაობა და ვაჟკაცობა, რომლებიც მის სიამაყეს გვირგვინად ადგა თავს. ასევე დაემართა ონისეს. თემის ყრილობის წინაშე იგი წარსდგა, როგორც განადგურებული და მიწასთან გასწორებული ადამიანი. მთელი თემის ყრილობა მკაცრი გადაწყვეტილებით ეძებდა მაყვალას მკვლელს, რათა უდანაშაულოდ დასჯილი ონოფრე დაეხსნათ წამებისაგან; მკვლელი კი თავის ნებით წარსდგა თემის წინაშე. „მოხუცს ჯერ ლაპარაკი არ გაეთავებინა, როდესაც მოლაპარაკეთა შუა ვიღაც კაცი შევიდა. მოიხადა ქუდი, დააგდო დედამიწაზე და ცალ მუხლზე დაიჩოქა, ჯმუხას სიტყვა ნახევარზე გაუწყდა; ყველანი გაჩუმდნენ და ახლად მოსულს გაოცებით შეჰყურებდნენ. იმისი დაგლეჯილი და ხის ქერქით მიკონკილ-მოკონკილი ტანისამოსი ხორცს ძლივსღა ფარავდა. ადგილ-ადგილ, სადაც კანი გამოჩენოდა, იმისთანა სიგამხდრე ეტყობოდა, რომ იტყოდი: ძვლები გადა-

ეთვლებაო. გამხდარივე სახე გაუვითლებოდა, პირის კანი დასჩვილებოდა, დასთონთლებოდა, მოსდუნებოდა და, ძალას მოკლებული, როგორღაც უსიამოვნოდ ჩამოშვებოდა. პირისახე მკვდარსავით გაჰფითრებოდა და სევდიან შეშინებული თვალებით გამოიხედებოდა. ქუდის ხმარებას, როგორც ეტყობოდა, დიდი ხანია გადასჩვევოდა და ამისათვის გრძელი თმა და წვერი გაჰბურძგნოდა, შესთელოდა და საზარელ უსიამოვნო შეხედულებას აძლევდა. გულხელდაკრეფილი ერთ მხარეს ჩამოგდებული ისე დაჩაგრულად, უიმედოდ და ბეჩავად გამოიყურებოდა, რომ მისი ნახვით კაცი შეძრწუნდებოდა. ვინ იყო, საიდან მოსულიყო, ან ამ კრებაში რად შემოსულიყო, — არავინ იცოდა, ვერავინ სცნობდა. მეტად დაცემული, დამცირებული, გასრესილი იყო, რომ მის მნახველს გულში სიბრალული არ გაჰღვიძებოდა. საცოდავი იდგა დაჩოქილი, თითქოს შენდობას ითხოვსო.

„ბიჭაუ! ვინა ხარ? — გაოცებისაგან პირველი ჯმუხა გამოვიდა და კითხვა ბოახერხა.

„ვინა ვარ?! — წყნარად, მაგრამ ისეთი ხმით წარმოსთქვა უცნობმა, რომ მსმენელთა სხეულში ჟრიამულმა გაურბინა...

„მე ვარ ცოდვილი და ღირსი სასჯელისა... — წარმოსთქვა და ხმა ჩაუწყდა; რამდენჯერმე სცადა ამოხველებით ხმის ამოწენდა, მაგრამ ნახველის მაგივრად ნაკუთ-ნაკუთი სისხლი ამოვარდა პირიდან. ავადმყოფი მისწვდა მკერდს, დაიკლაკნა ტკივილისაგან. სახე დაეპრანჭა. ხალხი იქამდი შეეპყრო განცვიფრებას და ავადმყოფის მდგომარეობის თანაგრძნობას, რომ ხმის ამოღება ვერავინ გაბედა.

„ღირსი ვარ სასჯელისა-მეთქი, და იმად მოვედ, რომ დამსაჯოთ... რაისთვის გინდათ ჩემი სახელი? სახელი დაკარგული მაქვს... ჩემი სახელი დიდი ხანია ბოკვდა და დაიმარხა... სახელი რათ გინდათ? ვინ ვიყავ — თქვენთვის რაის ხელსაყრელია?.. მე მოვკალ მაყვალაი, მე დავღუპე ონოფრე და ცხო რაი გინდათ? ამ სიტყვებთან ერთად ბიჭი მთლად დაიგრიხა და ხალხში კი ძრწუნვის და გაშტერების გუგუნი გაისმა.

„რას გაჩუმდი? გაგიკვირდათ?.. ჰე, ჰე, ჰე!.. მწარედ ჩაიცინა იმან, მიყურეთ, მიყურეთ, მნახეთ. კაცს სანამდის შეუძლია

მივიდეს! ღვთის მადლსა, ნუ გაჩუმებულხართ!.. ერთბაშად მღელვარებამ ძალა მისცა და საჩქაროდ დაიწყო: დამკარით, მომკალით! ღვთის მადლმა ღირსი ვარ და ეგრე ჩუმად კი ნუ ხართ!.. იქნებ სიკვდილის ღირსიც აღარა ვარ?.. იარაღს წავბილწავ, რომ მამაკაროთ?... ქვა მაინც აღარ გეპოვებათ. ქვა, ქვა!... გაბრაზებით დაიწყო ხრიალი და თავში ცემა.

„ბიჭაუ, შესდეგ, რაი მოგსვლია?

„გამიშვით, გამიშვით! — გაცოფებით იძახდა საცოდავი: — დღემდე ცხოს ველოდი და არ იქნა... არ მოვკვდი, არავინ ჩამაძაღლა... თქვენც აღარა მკლავთ... მაშ რაი ვქნა, რა?..

„გვიამბე დაწვრილებით, როგორ იყო? — კარგა ფიქრისა და ჭმუნვარების შემდეგ იკითხა ჯმუხამ, რომელსაც ოფლი გადმოსდიოდა შესაზარი სურათის ცქერისაგან.

„რაიღა გითხრათ ბეჩაო?! — ხომ გითხარით, რომ მე მოვკალი, ცხო რაიღა გინდათ? მე მოვკალ და სისხლი აიღეთ, სახელიც გინდათ?.. ონისე ვარ.

ონოფრეს იცნობდი? — ერთბაშად ჰკითხა ჯმუხამ.

„ონოფრეს?.. ონოფრეს როგორღა არ ვიცნობდი... ღვთის ნათლული იყო... იმანაც იცოდა ჩემი ცოდო... იმას ყველაფერი ვუთხარი...

„ხალხო! სმენა იყოს და გაგონება, დაიძახა ჯმუხამ და სახე გაუბრწყინდა.

„იმან მაზიარა... აღსარება ვუთხარი... არა დავუმალე რა.

„იმან იცოდა, რომ შენ მოჰკალ, არ გამოგაცხადა... შენ დაგფარა და თითონ თავი მსხვერპლად მისცა?!

„ის არ იტყოდა... ღმრთიური იყო, ღმრთიური, განა კაცი იყო, თავად მითხრა, აღსარება არ გაიცემაო. ლუკა-ლუკმად რომ დამჭრან ვერ მათქმევინებენო, და არცა სთქვა.

„დიდება შენს სახელს უფალო, — გადაიწერა პირჯვარი ჯმუხამ: — დიდება შენის სახელის მადიდებელს, დიდება შენი სიტყვებით გაძლიერებულს!

„ხალხს უკვირდა ონოფრეს მოქმედება და ღირსმოსაგონებელ სიმტკიცეს, სასახელო ვაჟკაცობას, სამაგალითო მოქმედებას გულში იბეჭდავდა...

„ბიჭაუ! განშორდი ხალხსა, — ბრძანებით წარმოსთქვა ჯმუხამ კარგა ფიქრისა და დუნილის შემდეგ.

„რაისთვი? — ისეთი შეწუხებულის ხმით იკითხა უბედურმა, რომ ყველას შებრალება აღეძრა გულში...

„თემმა შენს საქმეზე უნდა მოილაპარაკოს.

„მე რაიღა მოსარიდებელი ვარ, შენაი ჰირიმე, ვიქნა აქა, რას დაგიშლით, ვინ დამერიდების.

ხალხში გაიმართა ჩურჩული და ბეჩავს გამოუცხადეს, რომ სანამ თემის თავნი მოლაპარაკებაში იქნებიან, გარეშე პირი ვერ დაესწრებაო. დამნაშავე განშორდა, და კრებაში ლაპარაკი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა უნდა უყონ უბედურ მთიელს, რომელიც თავად ძალა დაუტანებლად მოვიდა და ისე გულწრფელად აღიარა ყოველისფერი. სჯა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც ერთი მხრით საზარელ სურათად ეხატებოდათ დამნაშავეს მოქმედება და მეორეს მხრივ მისი ბეჩაობა და დაცემა გულს ულბობდა, აბრალებდა და პატიების სურვილი სიმკაცრეს ხელა უშლიდა. მათ წინ იდგა დავრდომილი, რომელიც ოდესღაც თემის თავმომწონე, სასახელო იყო, ის ონისე, რომელიც მოძმეთათვის თავგადადებულ მტერს ტყვიად მოხვდებოდა... ეხლა გალახული, მოღლილი, დაოსებული იდგა. მოლაპარაკება გათავდა და ჯმუხამ ისევ დაუძახა ონისეს, რომელიც გულის ცახცახით მოვიდა და შუა ადგილს დაიჩოქა“...

ეს დიდებული სურათი თამამად და გაბედულად დაუდგება გვერდით მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაში შექმნილ შედევრებს. აქა ჩანს ადამიანის სულის ცოდნა. ალექსანდრე ყაზბეგმა დიდი გულთამხილავის შინაგრძნობით იცოდა ადამიანის ფსიქოლოგია ყოველგვარ მდგომარეობაში. კიდევ მეტი: მან ოსტატის შინაგანი ხედვით იცოდა ტიპიურ გარემოში მყოფ ტიპიურ ადამიანთა მიზეზები, მისწრაფებანი, გრძნობანი და განცდანი. რაღაც ჯადოსნური ძალით ხატავდა მათ: პოეტური ფერებით მოკაზმულს შლიდა ჩვენს წინაშე, რათა ჩაგვახედოს შიგ, როგორც სარკეში: შეგვაყვაროს მათი განცდები და მისწრაფებანი, პატივი ვცეთ ყოველივე იმას, რასაც ეს ადამიანები გრძნობენ, როდესაც ვამთავრებთ მათ ხილვას, ჩვენ თან მოგვყვება სულში აღბეჭდილი მათი სახეები. ვფიქრობთ ამ გმირებზე, ძალას ვატანთ საკუთარ თავს მოვცილდეთ მათ, მაგრამ ჩვენდაუნებურად მიჯაჭული ვყეევართ შხატვრის ძალას. ესაა, თუ გნებავთ, ჭეშმარიტი ხელოვნება.

ვკითხულობთ მთელი თემისა და პიროვნების კონფლიქტით გამოწვეულ ადამიანის სულის ტკივილებს და ვგრძნობთ, რომ ამ შეჯახების მიზეზები ვერ მოთავსდება ვიწრო-კუთხურ, ან ნაციონალურ ფარგლებში. ონისეს მორალური ტკივილები მსოფლიო მასშტაბის ტკივილებია. ონისეს ტკივილები ისეთივე დიდი სიმძაფრისანი არიან, როგორც ტარიელის, ავთანდილის, ოტელოს, კარლ მოორის. ვერტერის და სხვათა ტკივილები... განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩამოთვლილი გმირების ვნებათა ღელვას გუშაგად ედგა ბრწყინვალე გვარი, ონისე კი უბრალო მწყემსია. მაგრამ წოდებრიობა რა ბედენაა? სიყვარულის ძალა მათ ერთმანეთთან ათანასწორებს და ამ ნიადაგზე გამოწვეულ ტკივილებს იგივი ერთი და იგივე ძალით განიცდიან. ალექსანდრე ყაზბეგმა ონისეს გულთათქმას, მის ვნებათა ღელვას, ფიქრსა და აზრს ზოგადკაცობრიული სიღრმე მისცა, და ამით ქართველი ხალხიც მოზიარე გახადა ზოგადი ტანჯვისა, რომელიც შეფერილი იყო ნაციონალური თალხი კოლორიტით.

როცა გონების თვალით ვაკვირდებით მიზეზებს, რომლებმაც ოდეაღაც მთელ თემში განთქმული, თავმომწონე, ხალხისათვის საამაყო შვილი ონისე — სულიერად დაცემულ და ფიზიკურად განადგურებულ ადამიანად აქცია, ვგრძნობთ, რომ ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სწორედ ამგვარი უნდა ყოფილიყო და არა სხვაგვარი. ჩაყენეთ იმავე მდგომარეობაში სხვა ქვეყნის რომელიმე ადამიანი და მიიღებთ იმავე შედეგს, თავისებური ნაციონალური ელფერით. ტარიელი და ოტელო სიყვარულის ძალამ სულიერად მოტეხა და მჩერად აქცია არა იმიტომ, რომ მათ ვაჟკაცობა აკლდათ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ბედმა და ქვეყანამ უმუხთლა: მდგომარეობამ შეუქმნა მათ ისეთი პირობები, რომლებიც ვერ დასძლიეს და დამარცხდნენ. აქ ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დადასტურდა მარქსისტული დებულება, რომ მდგომარეობა განსაზღვრავს ადამიანის შეგნებას. მდგომარეობამ აიძულა ონისე მაყვალას სისხლში გაესვარა ხელები; იმავე მდგომარეობამ იგი მიიყვანა თემის ყრილობის წინაშე, რათა მართლმსაჯულებისათვის ეთხოვნა სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის. თემის ლმობიერმა მართლმსაჯულებამ ონისეს

სიცოცხლე აჩუქა და დანაშაული აპატია. თემის ამგვარ მოქმედებას საფუძვლად დაედო ონისეს უნუგეშო მდგომარეობა. ონისე დავრდომილი, მიწასთან გასწორებული და განადგურებული იყო, ამგვარი ადამიანის დასჯაზე ხალხმა უარი განაცხადა. აქ ჩანს ხალხის მორალური ძალა, მისი კეთილშობილება და სულიერი სიმაღლე. მაგრამ თემის გადაწყვეტილებას წინ აღუდგა დამპყრობელთა კანონებზე აღზრდილი გელა. გელასათვის თემის კანონიერ გადაწყვეტილებას არავითარი ძალა და ფასი არა ჰქონდა. გელა გონებაშეზღუდული ადამიანი იყო და ვერ მიხვდა (ან რა უნდოდა, რომ მიხვედრილიყო), თუ რატომ აპატია თემმა ონისეს ჩადენილი დანაშაული. ბუნების სასტიკმა კანონმა თვითონ დასაჯა ონისე და ამ დავრდომილი ადამიანის ხელახალი დასჯა ყოველგვარ ადამიანურ მორალს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ განა დაამშვიდა ონისე თემის ლმობიერმა მოპყრობამ? არა. თემის გადაწყვეტილებამ ონისე ერთი წუთით გააოგნა სიხარულისაგან, რადგანაც მან დაინახა, რომ ხალხი კიდევ აფასებდა; მაგრამ ეს ერთი წუთის საქმე იყო. ონისეს გულში ჩაწყვეტილი ძარღვა ვიღაც კაცი, ჩასისხლიანებული თვალებით ვეფხვსავით ონისე ამ ქვეყნის აღარ იყო და დანაშაულის პატიებას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა, მას სიკვდილი უნდოდა, იგი სიკვდილისათვის მოვიდა თემთან და უცბად, სიკვდილის მაგიერ პატიება მიიღო. ამ გარემოებამ უფრო მეტის სიძლიერით დატანჯა იგი. ამ მდგომარეობაში იყო ონისე, როდესაც „ერთბაშად კრება შეინძრა, ერთ მხარეს ორად გაიყო და ვიღაც კაცი, ჩასისხლიანებული თვალებით ვეფხვსავით გადმოხტა... მივიდა პირდაპირ ონისესთან, დასტაცა მხარი და წამოაყენა.

„ბიჭაუ! შემომხედე!... — დასჭყივლა იმან:—შენ წამართვი მშვიდობიანობა... სახლი გამიწბილე, დამშერი... მაყვალა გიყვარდა? ღვთის მადლმა, რომ მეც მიყვარდა, შენზე მეტად მიყვარდა... შენ მოჰკალ მაყვალაი, მაყვალაი ჩემი იყო და... თემს რას სთხოვ? შენ მოჰკალ ჩემი და სისხლსაც მე ავიღებ.

ონისემ შეჰხედა და გაიღიმა.

„მომკალ, მომკალ, ღვთის მადლმა! — დაიძახა იმან გახარებულმა და მკერდი უფრო მეტად გადაიწია.

ხალხი გაშტერებული იდგა და ვერ გამოერკვია რა ხდებოდა. ყველანი გაჩუმებულიყვნენ იქ, როგორც ქარიშხალის წინეთ ჰაერი, რომელიც გრგვინვად გადაქცევას აპირებს.

„მოგკლავ, მოგკლავ, ღვთის მადლმა! — ერთბაშად მოისმა და ხანჯალმა ჰაერში იელვა, გათრთოლდა და გაიკრიალა.

ხალხი შეირყა. გაქანდა, იმ მხრისაკენ, მოეხვია მოჩხუბართ, და შეჯგუფდა, ბურთად შეიკრა. რამდენსამე წუთს ასე გაუშლელად ღელავდა, გამოურკვეველ მოძრაობაში ტალღასავით მიქანდ-მოქანდა: გაიშალა, გაიფანტა და ხმამაღლა ყვირილი დაიწყო.

„სიკვდილი მოღალატეს, სიკვდილი!..

იმ ადგილზედ, სადაც პირველად შეჯგუფებულიყვნენ, დარჩენილიყო რამდენიმე კაცი, რომელთაც გაბრაზებული, ფერ-მიხდილი და სახეარეული გელა ეპირათ; და იქავ, ფეხებთან, ეგდო ონისე. გელას ხანჯალს მკერდი გაეპო მისთვის. ონისე სიკვდილს ებრძოდა და მწარე ტკივილისაგან სულთმობრძავი იგრიხებოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, ცდილობდა წამომდგარიყო, მაგრამ ძალა თანდათან აკლდებოდა და მისი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა. ბოლოს შეკრთა, ორივე ხელები გაპობილ მკერდთან მიიტანა და ფერდაკარგულმა, მთრთოლვარე ტუჩებმა ნიავსავით წყნარი თრთოლვით, მკაფიოდ წარმოსთქვა:

„უფალმა შეგივალოს, გელაუ!

კიდევ ერთხელ შეკრთა, გაიზმორა, გაიჭიმა, დაიკვნესა და საუკუნოდ გაუნძრეველი დარჩა.

მეტად ძნელი და შემაძრწუნებელი სურათი იყო, რომ მისი მნახველი ხალხი გულგრილად დარჩენილიყო; ძალ-ღონეს მოკლებული, უიარაღო კაცი, თემს შემოხვეწილი, თემის ყრილობის დროს, თვალწინ მოუკლეს! გელას გაბედულება მეტად საზიზღარი იყო, საკმაოდ დამამცირებელი თემის თავმოყვარეობისათვის, რომ უიარაღო კაცის მკვლელისათვის გულგრილად შეეხედნათ.

— მოვკლათ, დავახრჩოთ, ჩავკუწოთ! — იძახდა ხალხი და მისი ხმა ჰაერში ცის გრგვინვასავით გაისმოდა. ყველა მზად

იყო მონაწილეობა მიეღო ამ კაცის წვალებაში და ყველა ცდილობდა, რომ უმეტესი სატანჯავი მოეგონა მისთვის.

ერთადერთი ჯმუხა იყო თავჩაკიდებული, მწარედ ჩაფიქრებული და ხმაამოუღებლივ მწარე ფიქრს ეძლეოდა. ერთბაშად აიღო თავი და მჭმუნვარებით მოცული სახე გამოუჩნდა, აშკარად ეტყობოდა, რომ მის გულს სევდა ლოდად დასწოლოდა, ძალას ატანდა და თავის სიმძიმის ქვეშ უწყალოდ სრესავდა.

„თემო! — დაიძახა ერთბაშად, და მისმა ხმამ თრთოლვით გაირბინა ჰაერში. ყველა სწრაფად გაჩუმდა, გაქვავდა და სმენად გადიქცა.

საძირკველი შეირყა და ცა ჩამონგრევას აპირებს... ხალხი წახდა და თემის პირი ირღვევის... ნახულით თოლთ მიბნელდების, გაგონილით სმენა მეკარგების!.. რაი ვთქვა!.. რაი გითხრათ? — ცრემლებ ქვეშ წამოიძახა ჯმუხამ და ქუდი მოიხადა. ჭმუნვარებით სავსე პირისახე მოხუცისა მთლადა თრთოდა, შუბლი დანაოჭებოდა და ცეცხლმოდებული გულიდან ამოხეთქილი ქშენა სულს ძლივსღა აქცევინებდა.

„რაი ვთქვა!.. რაი გითხრათ-მეთქი? — და ორი მდუღარე ცრემლი მარგალიტივით გადმოეკიდა ჭუთუთოებზე: ვხედავთ ვილევით... ჩვენობა აღარაა... ვიტირო, თავს ვიცე... შეუნდო შემცოდეთა, თუ შევაკვდე?!.. თქვენ თავად ნახეთ, რაიც ჩაიდინა გელამა... მაგის სიკვდილი რაი გახდა?.. ერთაის მოკვლა თემისათვის არც მადლია და არც სახელი... კაცის კვლა არც უფალს იამების...

„არ იქნების, არა! — ერთხმად, თითქოს ერთი კაცისაგან გაისმა თემის ძახილი: — გელა მოკვდების.

„სუთ-ღა, გაჩუმდით! — მაღლა შეჰყვირა ჯმუხამ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა: — გული მეუბნების, ნუ მოჰკლავ, ნუ მოჰკლავთ-მეთქი, მაგრამ გუნება ცხოსაც მეუბნების.

„სიკვდილი, სიკვდილი გელას!

„იქნება სჯობდეს... არ ვიცი!... იქნება ცოდო-ბრალი, რაიც ჩვენში ტრიალებს, მსხვერპლს ითხოვს... მე აღარ ვიცი ხალხო, რაი ვთქვა?

„გელამ შეგვარცხვინა. გელამ გაგვაწბილა, გელას სიკვდილისაგან ვერავინ იხსნის!.. აყაყანდა ისევ ხალხი.

„ჩაგონდით ხალხო!.. ცოდო-ბრალს კიდევ ცოდო არ მიუმატოთ... ღმერთმა ხელი აიღო ჩვენგანა და მეტად ნუღა შევრისხავთ!..

„სიკვდილი, სიკვდილი.

„კარგი, — წარმოსთქვა ჯმუხამ. მაგრად მოიწმინდა თვალები და დაუმატა: — გელა რომ ჩემი ღვიძლი შვილი ყოფილიყო, ღვთის მადლმა მე თავად ჩემის ხელით გაუპობდი მკერდსა, ამოუღებდი გულსა და უკანასკნელ წვეთამდის გამოვსწურავდი იმის სისხლს, რომელსაც ჩვენობა აღარ ეტყობა. გელა უცხოა. მარტო თავს ვერ ვენდე, გულს ვერ დავუჯერე... თქმულა „ხმა ღმრთისა და ხმა ერისაო“... იმათ დაგეკითხეთ. გელა მოკვდეს... თქვენ გინდათ და მეც თქვენთანა ვარ, უთქვენოთ სულსა ცხონება არ უნდის... გელამ გვიღალატა, გელამ თემის პირი გასტეხა, გელამ ხალხი შეარცხვინა — მაშ მოკვდეს გელა!

„მოკვდეს, მოკვდეს! — აჩქარდა ხალხი.

„და მოკვდეს ისე, რომ მაგის სიკვდილი დამრჩონთ სახსოვრად დარჩეს.

„ჩაქოლოთ, ჩაქოლოთ!—იღრიალა ხალხმა და ხელში ქვააღებული მიესივა გელას. ავარდა მტვერი ხალხის მოძრაობისაგან და ყველაფერი დაფარა, მოისმოდა რაღაც დაყრუებული გრგვინვა, გრიალი, ქვების ჩახაჩუხი. ბოლოს ყველაფერი შეწყდა, გაყუჩდა... ხალხი გამოვიდა ავარდნილის კორიანტელიდან, რომელიც ჯერ ჰაერში ტრიალებდა და იმ ცოდვის ადგილისაკენ აღარ მოუხედნია, ისე გასწია შინისაკენ, დარწმუნებული, რომ თავისი ვალი აღასრულა. დაცარიელდა კრების ადგილი, ყველა დაწყნარდა და დამშვიდდა. მხოლოდ ავარდნილი მტვერი ჯერ კიდევ ირეოდა. ერთბაშად დაჰბერა ქარმა და ისიც გაანქრია... მის მაგიერ იქ გამოჩნდა ერთ ადგილს მიგროვებული ღორღი, რომელშიაც ხალხისაგან ჩაქოლილი გელა იყო ჩამარხული. ეს გახლდათ საქოლავი თემის მოღალატისა და ხალხისათვის მოსაგონებელი თავიანთ წარსულისა. განვლო რამდენიმე წელიწადმა და თემობას მოძღვარ ონოფრეს განთავისუფლების შესახებ შემდეგი ცნობა მოუვიდათ: „ონოფრეს ეპატია დანაშაული, მაგრამ ამ გადა-

წყვეტილებამ მოხუცს ვეღარ მოუსწრო: ქაღალდის მიღებამდის იგი უკვე გარდაცვლილიყო“.

ასე ტრაგიკულად სრულდება ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარი“. თემმა გელას სიკვდილით დიდებულად აღასრულა თავისი ვალი; მაგრამ არსებითად ეს იყო თემის დამარცხების ნიშანიც. თემმა ვერ შეძლო თავისი პირვანდელი დადგენილების დაცვა და გელამ, წინააღმდეგ თემისა, დამპყრობელი ქვეყნის კანონის ძალით მაყვალა უკანვე დაიბრუნა. მეორე გადაწყვეტილების დროს თემი სრულიად არაკანონიერ გზას დაადგა და ერთი და იგივე სასჯელით დასაჯა სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავენი. ამით თემის ყრილობამ თავისდაუნებურად შიგნიდან შეარყია თემის ძლიერება; თემი რომ გაჰყოლოდა ბოლომდე პირველი გადაწყვეტილების დროს აღებულ ხაზს, მაშინ მეორე გადაწყვეტილება პირველ რიგში გელას წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. სამწუხაროდ, რატომღაც თემის მართლმსაჯულების მახვილი გადატყდა ონისესა და მაყვალას კისერზე. ამან გამოიწვია განადგურება და დაღუპვა ამ ორი ადამიანისა. თემმა მეორე გადაწყვეტილებაში უღალატა თავის მოწოდების ხმას, რამაც ხელი შეუწყო გელას სულიერ დაცემას. თემის მეორე გადაწყვეტილებით გათამამებულმა გელამ მესამეჯერ დაარღვია და აბუჩად აიგდო ხალხის მორალური კანონები. მან ხალხის თვალწინ ხანჯლით გაუგმირა გული იმ ადამიანს, რომელსაც თემმა დანაშაული აპატია; მაგრამ არსებითად თემის ყრილობის მესამე გადაწყვეტილებაშიაც კი არ არის დაცული სამართლიანობა, მორალის სათნო და სამართლიანი პრინციპი. თემმა დანაშაული აპატია ონისეს (თუმცა ამისათვის არ იყო მოსული ონისე), მაგრამ ჯმუხას პირით წაუკითხა მეტად მკაცრი განაჩენი: „თემს რომ გაძლიერებული ენახე, გაუტეხელი, თავმოუხრელი, ჰაი, ჰაი, რომ გიჩვენებდა ძალასა; მოგრეხდა და მოგტეხავდა... მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს, არ გახლებს, მაგრამ თემობაშიაც ვერ მიგიღებს... წადი იცხოვრე, იცხოვრე სადაც გინდა, როგორც გინდა... შენ ერთხელ მოსწყდი თემობას და ვეღარ შეუდუღდები“. განა ეს არის დანაშაულის პატიება დავრდომილი და მიწასთან გასწორებული ადამიანისა?! ონისე

თემისაგან განშორებამ და გაძევებამ მიიყვანა ამ უნუგეშო მდგომარეობამდე და იგივე თემი, ჯმუხას პირით, კვლავ გაძევების განაჩენით უმასპინძლდება; სად არის აქ ის დიდი პრინციპი სამართლიანობისა, რომელიც ძველ თემს ახასიათებდა. ადამიანური უფლება მოითხოვდა დავრდომილის მოვლასა და პატრონობას, თემი კი გაძევებით ემუქრება. იქნებ თემის ეს უსამართლო გადაწყვეტილება იყო მიზეზი იმ საშინელი გულისტკივილისა, რომელმაც ონისეს ჯმუხას საპასუხოდ, ათქმევინა: „ბეჩაუ! — დაიკვნესა ონისემ ვითომ მიბრალებთ?.. საით ვიცხოვრო, რაღამ მომასვენოს?..“ თემის არაამართლიანმა მოპყრობამ გამოიწვია ონისეს დაღუპვა. ონისეს საყვედური თემის მორალური დამარცხებაა.. ალექსანდრე ყაზბეგმა დიდებულად იცის, თუ რა მიზეზებმა შეუწყვეს ხელი თემობის ამგვარ დამარცხებას. ამ მიზეზთა შორის მთავარი იყო დამპყრობელი ძალა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოუსპო ქართველ ხალხს. დარღვეული თემის არასამართლიანმა მოპყრობამ გელა მკვლელად აქცია. გელას მხრივ ეს იყო ველური მოქმედება, რომელსაც იწვევს არა მხოლოდ პირადი შურისძიება, არამედ გარეგანი ძალის მიერ დარღვეული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

გელას საქციელი ალექსანდრე ყაზბეგს აძლევს საშუალებას ნათელი მოჰფინოს თემის სულიერ სიმაღლეს და ამავე დროს დაგვანახვოს ინდივიდუალური ვნებათა ღელვის გამომწვევი მიზეზები. კონფლიქტს ინდივიდსა და კოლექტივს შორის ალექსანდრე ყაზბეგისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს, როგორც შექსპირისათვის „რომეო და ჯულიეტაში“ ორ ოჯახს შორის მემკვიდრეობით მტრობას. შექსპირისათვის შეუძლებელი იყო საშუალო საუკუნეების იტალიურ სამთავროში უფრო ტრაგიკული კონფლიქტის შეხვედრა, ვიდრე მგზნებარე ვნებებისა და საგვარეულო მტრობის შეჯახება. ალექსანდრე ყაზბეგი სწორედ იმ ეპოქას იღებს ნაწარმოების თემად, როდესაც უცხო ძალის შემოჭრის ნიადაგზე თემმა დაიწყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ მორალური რღვევაც, როდესაც კონფლიქტი პიროვნებასა და კოლექტივს შორის თემის რღვევასთან დაკავშირებით თანდათან მძაფრდებოდა.

„მოძღვარში“ ტრაგედიის გამოსავალი წერტილი მაინც სიყვარულია. თავისუფალი, ბუნებრივი სიყვარულის გარშემო იყრის თავს კონფლიქტების მთელი წყება. მაგრამ სიყვარულიც შეირყვნა უცხო ძალის შემოჭრის შემწეობით. ხელისუფალთა მორალურმა კანონებმა დედაკაცზე შესცვალეს ხალხის შეხედულებანი. ქართველი ხალხის აზრით დედაკაცი „პატივსაცემი ქმნილებაა. ცოლი, მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდით უნდა ამოსდგომოდა და მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და მაშასადამე ოჯახშიაც იმის თანაბარი უფლება ქონებოდა“. ცარისტულ, მორალურ კანონებზე აღზრდილი კაცისათვის კი „ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ არის გაჩენილი“. ამ შეხედულებათა შეჯახებით დაირღვა ის დიდი ცნება, რომელსაც სახელი დედაკაცი ეტეოდა. ისტორიულად ქართველი ხალხი უფლებრივად არ ანსხვავებდა ერთიმეორისაგან დედაკაცსა და მამაკაცს. რუსთაველმა დიდებულად გამოხატა ეს შეხედულება „ვეფხისტყაოსანში“. განა მასვე არ მოწმობს ჩვენი ქართული ენაც. ქართული ენა დედასაც კაცად ხდის და ამიტომ დედაკაცს უწოდებს, როგორც მამას „მამაკაცს“. განსხვავება აქ მხოლოდ სქესშია და არა უფლებაში. „ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომ რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს. აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო გვეუბნება ჩვენი ენა და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზედა ადამიანისთვის, რომლის სქესისაც გინდა იყოს?... ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის. უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს „დედა-ბურჯს“. სამთავრო აზრს „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელს „გუთნის დედას“, — მიწას „დედა-მიწას“. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით!..“ (ილია ჭავჭავაძე).

მაღალი ცნება დედაკაცისა ცარისტული კანონების ძალით დაქვეითდა და დამცირდა გასართობ, მამაკაცის ჟინის მოსაკლავად გაჩენილ ქალის ცნებამდე. ამას ხედავდა ალექსანდრე უაზბეგი და გულისტკივილით აღნიშნავდა მას. მაყვალა სწორედ იმ ეპოქის შვილია, როდესაც დედაკაცის უფლება დამცირებული და ფეხქვეშ გათელილი იყო. ამ ნიადაგზე არ გაუწიეს ანგარიში მის სურვილს და ძალად მიათხოვეს კაცს, რომელიც ქალს არამც თუ მამაკაცის თანასწორად არ სთვლიდა, არამედ უბრალო, ჟინის მოსაკლავ საგნად მიაჩნდა. აქ კონფლიქტი აუცილებელი იყო. მათი ოჯახური კავშირი არ ემყარებოდა სიყვარულის ძალას; ერთადერთი ცოლქმრული მოვალეობის გრძნობა აკავშირებდა მათ ერთმანეთთან. მაგრამ მოვალეობა უძლურია იქ, სადაც სიყვარული არ მბრძანებლობს.

ასე ირღვეოდა თემის ძლიერება. ამ რღვევის მიჯნაზე იქმნებოდა ტრაგედია ხალხისა. ამ ტრაგედიის ერთ დიდებულ სურათს ალექსანდრე უაზბეგის „მოძღვარი“ წარმოადგენს. მწერალმა ამ ნაწარმოებში, როგორც სარკეში, გვაჩვენა მე-19 საუკუნის ქართველი ხალხის მორალური ძალა და სულიერი გაუტეხელობა, რომელსაც აჩრდილივით თან სდევდა ხალხის უნუგეშო მდგომარეობისგან გამოწვეული ტრაგიკული ტკივილები.

5

თუ „მოძღვარი“ ადამიანთა სულიერი ტკივილების მხატვრული ანარეკლია, სამაგიეროდ, „ელგუჯა“ მხატვრულ ენაზე ნათარგმნი პოლიტიკური ტრაქტატია — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული. ან უკეთ „ელგუჯა“ ერთი გრძელი პოლიტიკური კვნესაა ნატკენი გულისა. უაზბეგის ნაწარმოებთა შორის „ელგუჯას“ თავისი პოლიტიკური სიმახვილით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომელიც უაზბეგის ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანურ თვისებას შეადგენდა, აქ ყველაზე მეტი სიძლიერით არის გამომჟღავნებული. „ელგუჯა“-ში მონოლითურად შეერთდა უაზბეგის მხატვრული გენია და რაინდული გამბე-

დაობა. „კვნესა გულისა“, როგორც ყაზბეგი იტყოდა ხოლმე, ამ ნაწარმოებში რაღაც დიდების შარავანდედით არის მოსილი. ელგუჯა გაღვიძებული სახეა მარად გაუტეხავი ქართველი ხალხისა. თავისუფლებისმოყვარული ელგუჯა — თავისი ვაჟკაცობით, გამბედაობით, სულიერი სიმაღლით ტიპიური წარმომადგენელია ქართველი ერის ისტორიაში იმ ეპოქისა, როდესაც ხალხი ჰკარგავდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ზნე-ჩვეულებებს, ათასი წლების მანძილზე შემუშავებულ ეროვნულ ტრადიციებს.

როდესაც ელგუჯას შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვერ დავივიწყებთ მრავალგზის ტანჯულ ავტორის სიტყვებს: „ჩემი არსება, გადაბმულია ჩემი ქვეყნის არსებასთან უხილავის ძაფით“. — ამ სიტყვების ჰეშმარიტება ბრწყინვალედ დაადასტურა „ელგუჯას“ ბეჭდვის პროცესმა. გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი — დავით კლდიაშვილი თავის მოგონებაში ყაზბეგის „ელგუჯა“-ზე შემდეგს წერს: „ელგუჯა“ თავდაპირველად თავდებოდა იქ, სადაც თავდება ახლა პირველი თავი, თავდებოდა ელგუჯას სიკვდილით. ასოთამწყობებმა განაცხადეს, რომ ნომრის ფელეტონს არ ავაწყობთო, თუ გმირი ვაჟკაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძო სანდრომო. სტამბის მეტრანპაჟი დიომიდე კილაძე და ორი სხვა ასოთამწყობი, საგანგებოდ ამისათვის მისულიყვნენ მასთან დ ეთხოვნათ, რომ ელგუჯა არ მოეკლათ და ცოცხლად დარჩენილიყო, და მისი ვაჟკაცური მოქმედების ამბავი განეგრძო.

„ასეთ ვაჟკაცს არ მოგაკვლევინებთო“.

„თან მიამა მეტისმეტად ეს — მითხრა სანდრომ, — თან, ერთხანზე შევყოყმანდი და მერე კი ვუთხარი, რომ ფელეტონისათვის ქვეშ მოეწერათ „გაგრძელება იქნებაო“, და მოთხრობის ბოლო გადავაკეთე ისე, რომ ელგუჯა დაიჭრა, და დაჭრილი მოსარჩენად წაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ გაგრძელებაც უკვე მზად მქონდა. სტამბის ასოთამწყობებმა და დიომიდემ დამაწერინეს ეს დიდი მოთხრობაო“.

რაღაც დაუჯერებელი, ფანტასტიკური ამბავია, მაგრამ ფაქტია და არ შეგვიძლია არ ვიამაყოთ ამ ფაქტის სიდიადით. აქა ჩანს ის უხილავი კავშირი, რომელიც ალექსანდრე ყაზ-

ბეგს აერთებს ხალხთან. ხალხისა და შემოქმედის ასეთი უშუალო სიახლოვე იშვიათად იცის ლიტერატურის ისტორიამ.

„ელგუჯას“ წინ უძღვის შესავალი, რომელიც ავტორის პოლიტიკურ კრედოს წარმოადგენს და ამავე დროს სიუჟეტურად ხსნის მთელ ნაწარმოებს. შესავალი წინასწარ გვაძლევს განსაზღვრულ ორიენტაციას არა მარტო ეპოქის ხასიათზე, არამედ რომანში მოქმედ ტიპების ხასიათზედაც. „ელგუჯას“ იდეური ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს ნაწარმოების სიუჟეტი, ეპოქის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. ბატონყმობისა და ხიზნების გარშემო ატეხილ დისკუსიას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მხატვრული სიტყვის ოსტატებზე. როგორც საყოველთაოდ ცნობილია—ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მთელი რუსეთის იმპერიის პრესაში (გარდა ოფიციალურისა) და განსაკუთრებით მემარცხენე პრესაში დაიწყო აშკარა პროპაგანდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის რეფორმების წინააღმდეგ. რეფორმებმა ვერ გაამართლა ხალხის იმედი. კიდევ მეტი: არსებითად იგი მიმართული იყო ყმა გლეხების წინააღმდეგ. მართალია ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ბატონს აღარ შეეძლო გლეხს ისე მოქცეოდა, როგორც პირუტყვს, მაგრამ ეკონომიურად და პოლიტიკურად გლეხი დამოკიდებული იყო ბატონზე. ალექსანდრე მეორის რეფორმები ახალ დაბრკოლებად აღიმართა გლეხკაცობის წინ. ამ გზაზე მომხდარ ერთ-ერთ ტრაგიკულ ამბავს გადმოგვცემს ალექსანდრე ყაზბეგი „ელგუჯაში“.

საერთოდ რომანის ღირსებად არასოდეს ჩაითვლება პუბლიცისტური შესავალი. ყოველგვარი პუბლიცისტური ახსნა-განმარტება ასუსტებს მხატვრული შემოქმედების ძალას, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“-ს შესახებ ეს არ ითქმის. აქ შესავალი იქცევა ერთგვარ გასაღებად, რომელიც ხსნის მთელი რომანის იდეურ კვანძს და სოციალური შარავანდედით მოსავს მას. შესავალს ალექსანდრე ყაზბეგი შემდეგი სიტყვებით იწყებს: „დაჰკრა 1864 წელს საქვეყნოდ სასიამოვნო საათმა, და გამოცხადდა გლეხკაცობის განთავისუფლება, ბატონყმობის გადაეარდნა. ხალხის ერთი

მხარე — გლეხკაცობა და იმათი თანამგრძნობელნი გატაცე-; ბულნი იყვნენ სიამოვნებით და მეტისმეტად გადაჭარბებით სარგებლობას მოელოდნენ ახალი წესებისაგან. მეორე მხარე — მებატონეები კი გულისკანკალით უყურებდნენ იმ დამოკიდებულების მოსპობას, რომელიც საუკუნეებით არსებობდა ბატონსა და ყმას შუა. განსაკუთრებით გლეხებს ეგონათ, რომ ამ დღიდან მათი კეთილდღეობა, გამდიდრება და მოსვენება შეიქმნა უეჭველ მოვლინებად; რომელთაც არავითარი მამული არ არგუნა კანონმა. ესენი გახლდათ შინამოსამსახურენი, რომელთაც არ ეპირათ მამული, არა ქონდათ თავიანთი სახლ-კარი... წარმოიდგინეთ-მეთქი იმ ხალხის მდგომარეობა, რომელსაც არც სოფელი იკარებს, არც მებატონე აძლევს რასმე და არც სახელმწიფო თავისუფალ მიწაზე ასახლებს... ამ მდგომარეობაში იყვნენ ეს ბედისაგან განწირულნი, როდესაც განთავისუფლების ხმამ გრგვინვასავით გაიარა საქართველოში... მოდი და ნუ გაუხარდებათ საცოდავებს, როდესაც ზოგს იმათგანს კიდევ ახსოვდა, რომ მამა ჩერქეზში, დედა ქისტებში და თვითონ საქართველოში ყოფილა გაყიდულ-გამოყიდული.

მოდით და ნუ გაუხარდებოდათ ახალი დებულება, რომლის ძალითაც დღეს თავის საყვარელ შვილს, ცოლს, დედას, სატრფოს ვეღარ გააშორებდნენ. მართლაც სასიხარულო იყო, მაგრამ დიდხანს გასწია იმათმა სიამოვნებამ და სიხარულმა? თავისუფლების შემდეგ დაინახეს, რომ თუმცა დედას შვილისაგან, საქმროს საცოლესაგან, ცოლს ქმრისაგან ვეღარ განაშორებდნენ, ვეღარ გაჰყიდ-გამოჰყიდნენ, როგორც პირუტყვებს. მაგრამ ამათ ყველას ჭამა-სმა, ცხოვრება უნდათ და ისინი კი ახალმა წესდებამ დააგდო ხელგაშვერილ ღატაკებად. იქამდის შემაძრწუნებელი იყო იმათი მდგომარეობა, რომ ზოგს ზედ დასახური საბანი და ქვეშ გასაშლელი ნაბადიც კი არ გაჰყოლია მებატონისაგან. ეს ხალხი გაიფანტა სხვადასხვა ადგილებში და აქამდისაც ისევ ისე ხელგაშვერილი დადიან და თავის შესაფარებელი ადგილი ვერ უპოვნიათ. მაშინ, როდესაც ათასი თავისუფალი ადგილები არის, რომელზედაც ადვილად შეიძლებოდა იმათი დასახლება... აი ამათ

ცხოვრებიდან მინდა უძღვნა მკითხველებს რამდენიმე მოთხრობა. მხოლოდ ეს წინასიტყვაობაც საჭიროდ დავინახე, რადგანაც საქართველოში ბევრმა არც კი იცის, რომ ამგვარი ჟანრებიც იყვნენ".

ჩვენ მიერ დასახელებულ რომანის მთავარი ფიგურა — მოხევე ელგუჯაა. რომანიც ამ აზრით ატარებს მის სახელს, მსოფლმხედველობით, მორალით და ტრადიციებით ელგუჯა იმ ეპოქის პირმშო შვილია, როდესაც უცხო ძალის შეჭრის ნიადაგზე ძველი თემური წყობა ირღვეოდა და ხალხში თანდათან ფეხს იდგამდა ერისთვის უცხო კანონები და წესები. თემის რღვევას ხელს უწყობდნენ თემის წიაღიდანვე გამოსული ადამიანები, რომლებიც თავიანთი სულმოკლეობის გამო, მზაკვრული მოტივებით შეეკედლნენ უცხო ძალას. ასეთი ადამიანების ტიპურ სახეს „ელგუჯაში" წარმოადგენს გაგი ჩოფიკაშვილი. სიუჟეტურად ყაზბეგის რომანი მიჰყვება ელგუჯასა და გაგი ჩოფიკაშვილს შორის მომხდარ კონფლიქტებს. კონფლიქტის მიზეზი ერთი შეხედვით თითქოს ქალია, მაგრამ ფაქტიურად მას უფრო ღრმა პოლიტიკური საფუძველი აქვს. ჩერქეზი ქალი მხოლო ამ შემთხვევაში საბაბია ურთიერთობათა გამძაფრებისა და არა მისი გამომწვევი მიზეზი. რომ უფრო ნათელი გავხადოთ ეს დებულება, ჩვენ შევეცდებით მთელი იმ პროცესის აღდგენას, რომელიც წინ უძღვის ელგუჯასა და გაგი ჩოფიკაშვილს შორის მომხდარ კონფლიქტებს.

კავკასია ქვეყნის ერთ ულამაზეს მხარედ ითვლება. ამ მხარის დიდებულ სანახაობას დარიალის ხეობა წარმოადგენს. აქ, თითქოს განგებ, ერთიმეორეს ტიტანური ძალით შესჯიდებია მოძრაობა და უძრაობა. ერთის მხრივ—ცად აბჯენილი მთები თავიანთი შიშისმომგვრელი, მდუმარე გამომეტყველებით, მეორე მხრივ—დარიალის კლდეებს დაჭიდებული თერგი—თავისი მრისხანე ღრიალით. ამ ორი სტიქიონის შეერთება ქმნის დარიალის ხეობის სიმშვენიერეს. ალექსანდრე ყაზბეგი „ელგუჯას" იწყებს ამ დიდებული ხეობის აღწერით. ქართული ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მწერალი, რომელიც ისეთი ძალით აღწერდეს ბუნების სურათს, როგორც ყაზბე-

გი; მან იცის საიდუმლო ენა უსულო საგნებისა. მაგრამ ყაზბეგისათვის ბუნება აბსტრაქტული ცნება კი არაა, არამედ სოციალურად გააზრებული სამყარო. ბუნება იმდენად უყვარს ყაზბეგს, რამდენადაც მას ორგანული კავშირი აქვს ადამიანურ ცხოვრებასთან. ადამიანის სარგებლიანობის თვალსაზრისით ზომავდა ალექსანდრე ყაზბეგი მთელ სამყაროს. „ელგუჯა"-ს ავტორი აგვიწერს დარიალის ხეობას არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვაჩვენოს განყენებული დიდება ბუნებისა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვანახოს, თუ ბუნების სიდიადე როგორ უხილავი ძაფით არის დაკავშირებული რომანში მომქმედ გმირებთან; დიდებული მთები ადამიანის სულიერ სამყაროს დიდების შარავანდედით მოსავენ. განა ელგუჯა ამ დიდებული მთების გარეშე შეიძლება წარმოიდგინო? კაცმა? განა ეს ცად აბჯენილი მთები თავისებურ ეშხსა და სილამაზეს არ აძლევენ ელგუჯას სიჭაბუკეს? განა ელგუჯას ვაჟკაცური სიყრმე, მისი სიყვარული ჩერქეზი ქალი მზაღოსადმი — ამ მთების მიერ მინიჭებული მადლი არ არის?! გადაიკითხეთ და ნახეთ ელგუჯას პირველი შეხვედრის სცენა მზაღოსთან და დარწმუნდებით, რომ რომანის გმირები მართლაც უხილავი ძაფით არიან დაკავშირებული ბუნების დიდ საიდუმლოებასთან. „ელგუჯამ" მიიყვანა ქალი საწოლში, აუნთო ჩირაღი და რა შეხედა ქალსა, გაშტერებული დარჩა, იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მიმზიდველი თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. რასა შვრებოდა, სად იყო, იმას სრულიად გადაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო ერთ სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. ქალი კი იდგა ფერმიხდილი, დაღონებული, თვალებდაშვებული და გატაცებული რაღაცა ღრმა ფიქრით, ელგუჯას აწუხებდა იმის მდგომარეობა, უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და თუნდაც სცოდნოდა კიდეც, ძნელად შეეძლო იმას სიტყვის წარმოთქმა. არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, იტანჯები, გინ-

და წარმოსთქვა რაიმე, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება და სიტყვები ვეღარ გიპოვნია. სწორედ ამგვარ მდგომარეობაში იყო ელგუჯა.

ბოლოს, როგორც იყო გონს მოვიდა, გაამაგრა კედელში ჩირაღი (კვარი), უჩვენა იქვე დალაგებულ საბან-გობანზე... კიდევ ცოტა ხანს დარჩა. შეხედა, ამოიოხრა და გამობრუნდა. კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მიიხედა, დაინახა რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ არის მიქცეული და ისეთი სახით უყურებენ, თითქოს იმათაც უგრძვნიათ ელგუჯას გულის მოძრაობა. ისინი თანაუგრძნობენ, მადლობას ეუბნებიანო... ელგუჯამ ვეღარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაცა გამოუცდელი გრძნობისაგან დამონებული, ძალზე ეკვროდა მკერდზე. ამ წუთში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულ გრძნობებთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი ვერ გეტყოდა—რა მოსდით, რასა შერებიან, ან ასე რად იქცევიან და სხვაგვარად არა?" ასე შეერთდა ორი ადამიანის გული. ამ კავშირს საფუძვლად უდევს სიყვარულის შთამაგონებელი ძალა. ეს ძალა იმდენად ურყევი და მტკიცე იყო, რომ მის წინაშე ქედს იხრიდა თვით გულქვა და გადაგვარებული გაგი ჩოფიკაშვილი. მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგისათვის სიყვარულის საკითხი აქ იყო არა საკვანძო პუნქტი, პრობლემის გამოსავალი წერტილი, როგორც ეს „მოძღვარშია", არამედ დამხმარე საშუალება, რომელიც ამძაფრებს უცხო ძალის შეჭრის ნიადაგზე თემის შიგნით წარმოშობილ მორალურ კონფლიქტებს. როგორც რომანის სიუჟეტიდან ვიცით, ელგუჯამ თავის გულის „საყორელი" მზაღო მოიტაცა, ამ ფაქტით ელგუჯამ შეურაცხყო გაგი ჩოფიკაშვილის სახელი. „ამ დროს, როდესაც ეგონა, რომ თავისი თვალთმაქცური ქცევით ამაღლდებოდა, პატივსა და ძალას მოიპოვებდა; იმ დროს, როდესაც აფიცრობა მიიღო, დიდი ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში შევიდა, — ვიღაცა ელგუჯა წინ გადასდგომოდა, შეერცხვინა მისი სახელი, წაერთვა ქალი და საქვეყნო მასხარა გაეხადა. ასე ფიქრობდა, ასე სჯიდა გაგი და ის კი ვერ მოეხერხებინა, რა რიგად გადაეხადა თავის შემრცხვენელისათვის. უწინდელი დრო რომ ყოფი-

ლიყო, ამგვარი შემთხვევისათვის შეჰყრიდა თემობას, ბჭეებს ამოირჩევდა და თემის დებულებასა და გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა. მაგრამ ეხლა ხომ უწინდელი დრო აღარ იყო!.. //

თემმა დაჰკარგა თავისი ძალა, ხალხის ნების აღსრულება შეუძლებელი შეიქნა და ცალკეულ პირთ ჩაუვარდა ხელში მის ბედიღბალზე ზრუნვა. გაგი ერთი ამ ძალის მჭირნეთაგანი შეიქმნა და მაშასადამე, ელგუჯას თავხედობას მარტო უბრალო გადანდევინება არ ეყოფოდა; ის უნდა დასჯილიყო სამაგალითოდ და რამდენადაც შეიძლებოდა, მომეტებულის წვალებით". ელგუჯას დასჯა გაგი ჩოფიკაშვილმა მიანდო არა თემს, არამედ მეფის ადმინისტრაციას. ამ აზრით გაგიმ მოიხმო თავისი თანამემამულე მარტია და უბრძანა „გასწი შენ ეხლავე ქვეშეს და ნაჩალნიკს შეატყობინე, რომ რამდენიმე ბუნტმა კაცმა იმ დროს, როდესაც მე ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში ვიყავი, სახლი ამიკლეს და დედაკაცი მომტაცეს... უთხარი, რომ ეგ ყველა იმისათვის ჩაიდინეს, რომ რუსების სამსახურში ვარ... შეატყობინე, რომ ეხლა იმ მოღალატეებს აქ მოვასწარით და ჯარები მოგვაშველოს, რომ დავიჭიროთ". მარტიას, როგორც მთიელ კაცს, გაგის ბრძანება გაუკვირდა და ეწყინა კიდეც. გაუკვირდა, რადგანაც ვერ წარმოედგინა, რა საჭირო იყო ჯარი სამი ადამიანის წინააღმდეგ; ეწყინა, რადგანაც იცოდა, თუ რა უღმერთოთ დასჯიდნენ ჯარისკაცები ელგუჯასა და მის ამხანაგებს. მარტიამ ჯერ თხოვნით, შემდეგ კი მუდარით მიმართა გაგის: „ნუ იზამ მაგას, შენი მუხლების ჰირიმე, ნუ?.. სათემოდ ლექსს გამოგითქვამენ, ლომისის მაღლმა და შევრცხვებით... ამოდენა ხალხს სამ კაცზე მისვლა ვერ გაგვიბედნია, სიკვდილი არაა? მიბრძანე და მარტო მე გადავალ ხმალ და ხმალ, ოო, შენი რისხვა არა მაქვს". ვერც თხოვნამ, ვერც ადამიანურმა მუდარამ ვერ იმოქმედა გაგიზე; გაგიმ გადაწყვიტა: რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯარი გამოეწვია, ეს მზაკვრული განზრახვა მარტიას საშუალებით უნდოდა აღესრულებინა. მაგრამ მარტიასათვის, როგორც მთის ტრადიციებზე აღზრდილი ადამიანისათვის, მორალურად მიუღებელი იყო გაგის მზაკვრული გეგმა. მარ-

ტიამ ვაჟკაცურად გადასწყვიტა, რომ თითონაც შეერთებოდა ელგუჯას მცირერიცხოვან რაზმს და შეერთებულის ძალით ჩაეშალა გაგის განზრახვა. „სიკვდილი არ კმარა შე ცოდვილიანო... შენ მაგი წვალება გინდა და ენახოთ.,, მაშ კარგი... მეც იქ მივალ.../ ან მეც იმათთან მოვკვდები, ან და დავიხსნი როგორმე".

ამ გრძნობით უახლოვდებოდა მარტია ელგუჯას საფარს. როგორც მკითხველმა იცის, მარტია ელგუჯასა და გიორგის ძმად გაეფიცება და შეერთებული ძალით დაიწყებენ გაგის წინააღმდეგ მოქმედებას. ბრძოლაში გაგი ჩოფიკაშვილი კვდება; ამ სიკვდილმა ელგუჯას დანაშაული უფრო დაუმძიმა; ელგუჯა მიხვდა, რომ საქმე უსისხლოდ არ გათავდებოდა; იგი ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა მოშორებოდა ამ ადგილს. ელგუჯას რაზმმა ფრთხილად გამოიარა არაგვის ხეობა და სოფელ ქვეშეთის ქვემოთ ნაღვარევის საეკლესიო ტყეს შეაფარა თავი. გიორგი და მარტია საგუშაგოზე დადგნენ, ხოლო ელგუჯა და მზაღო საყდრის გალავანში დარჩნენ. ალექსანდრე ყაზბეგს შესანიშნავად აქვს აღწერილი ეს სცენა; ამ აღწერიდან ნათლად ჩანს, თუ თავისუფლების მოყვარულ მთიელ ხალხს სიკვდილის აჩრდილივით როგორ დასდევდა უკან დამპყრობელი ძალა.

„აქ აღარ მოვლენ? — ჰკითხა მზაღომ ელგუჯას.

„არა, არა ნუ გეშინიან.

„მე კი მგონია, რომ აქაც არ მოგვისვენებენ.

„არ მოგვისვენებენ და, რაც იქ წაიღეს, აქაც იმას წაიღებენ.

„ახ, ღმერთო! რატომ არ ჩამოგვეხსნებიან, რა უნდათ ჩვენგან, რა?.. მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

„ის უნდათ ჩემო ყველავ! ისა, რომ შენ მეტის-მეტად ლამაზი ხარ! — გატაცებით უთხრა ელგუჯამ და მიიკრა გულზე.

„მაგრამ, ღვთის მადლმა, — გააგრძელა იმან, — მთელი ქვეყანა მტრად რომ გადამეკიდოს, მაშინაც არავის დაუთმობ შენ თავს.

მზაღომ ამ სიტყვებზე დაღუნა თავი, მთლად აენთო სიხა-

რულის ცეცხლით და, თუმცა ტუჩები მთრთოლვარეთ ეძროდნენ, სიტყვა კი ვეღარ წარმოეთქვათ. და ან რა უნდა ეთქვა იმისთანა დროს?.. ეს იყო იმისთანა წამები, როდესაც კაცს მარტო გრძნობა შეუძლია და მარტო ერთი შეხედვა, მარტო ერთი ამოქშენა მთელი წლის საუბარზე მეტს იტყვის, მეტს აგრძნობინებს... ისინიც გრძნობდნენ სრულ ბედნიერებას, რაღაც უმაღლეს სიხარულს და უანგარიშოთ ეძლეოდნენ ამ მღელვარებას. ელგუჯას თავი წყნარ-წყნარად მოეხარა, დაუახლოვდა ქალის აგზნებულ პირისახეს... ერთი წამი კიდევ და მოულოდნელად, მოუფიქრებლად იმათი ტუჩები შეერთდნენ და ორივ თავდავიწყებამ სრულიად დაიმონა. ამ ნეტარებაში იყვნენ, როდესაც გავარდა თოფი, რომელმაც შეუყვარებულები გამოიყვანა იმ მდგომარეობიდან. ამ თოფის ხმაზე, გავარდა კიდევ რამდენიმე თოფი და მოისმა ყვირილის ხმა იმ მხარეს, სადაც მარტია და გიორგი „ყარაულად“ იდგნენ. ელგუჯა გაიჭრა იმ მხარეს და იმის თვალებს წარმოუდგა შემაძრწუნებელი სურათი... მარტიასა და გიორგის გარს შემოხვეოდნენ სალდათები, რომლებსაც მამაცათ იგერიებდა ეს ორი, მეგობრობისათვის თავგადადებული კაცი, ელგუჯა ხმალამოწვდილი გადახტა და გაქანდა თავის ამხანაგებისაკენ. რამდენსამე გაბრძოლების შემდეგ ელგუჯა შეუერთდა თავის ამხანაგებს. იმ ადგილს, სადაც ისინი იდგნენ, ხალხი ერთბაშად შეჯგუფდა და ბურთივით შეიკრა. იქ, სადაც გამოურკვეველი მოძრაობა იყო, როდესაც ხალხი დაიშალა, დედამიწაზე რამოდენიმე დამახინჯებული და დაჩეხილი მსხვერპლი გამოჩნდა. მათ შორის იცნობდით ელგუჯასა და მის ორ ამხანაგს, ელგუჯა გულაღმა პირდაღებული ეგდო და მკერდიდან რამოდენიმე ალაგას თქრიალით სისხლი გადმოსდიოდა. ერთი სალდათი მივიდა და კიდევ რამდენჯერმე ჩასცა შუბი“.

ასე იღუპებოდა მთიელი ხალხის სასიცოცხლო ძალები. მაგრამ დაღუპულთა მამაც სახელებს ხალხი, თემი წმინდათა-წმინდად ინახავდა საკუთარ გულში. მათ ვაჟკაცურ მაგალითებზე ზრდიდნენ მომავალ თაობებს. გაიხსენეთ მთიელების მიერ ელგუჯას ამხანაგების დასაფლავების სცენა და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ძვირფასი იყო ხალხისათვის დაღუპულთა სახელები. ბერდიას დიდებული სიტყვები, რომელიც მან წარ-

მოთქვა დახოცილ ვაჟკაცების საფლავზე, ბრწყინვალედ ადასტურებს ამ დებულებას. აი, ეს სიტყვებიც: „ლომისის მადლმა, თვითონ თამარ „პირი-მზე“ მიგიძღვებათ მეუფესთან?!. თავად უამბობ თქვენ ვაჟობას და თავის გვერდს სკამს დაგიდგამთ. ვაი იმათ, რომ ადრე დაიხოცენით და თქვენი მარჯვენა ვეღარ გააციებს მტრის გულს... გმარხავთ იმისათვის, რომ „ნადირს“ არ გაეფუშებინა თქვენი პირისახე, მაგრამ ღვთის მადლმა, უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსა — თქვენისთანა ვაჟკაცებს, აბა ყორნის მეტი რაი მიუდგება? თქვენ ცხონება, დამრჩომთ — დანახვა და გაგონება!.. — სისხლს სისხლი გასწმენდს, ვაჟკაცს გულადობა, მტრისგან უშიშრობა! სცხონდით, სცხონდით!.. მერე შეიჭმუხნა წარბები, აიღო სამჯერ მიწა და მიაყარა: „მიწა ხარ და მიწად იქეცითო“.

ბერდია მთიელი იყო, და, როგორც მთის თავისუფალი ბუნების შვილს, სულში შთანერგილი ჰქონდა პატივისცემა ვაჟკაცობისა, წყურვილი დამოუკიდებლობისა და სიყვარული თავისუფლებისა. ადამიანის სიცოცხლეს ბერდიასთვის იმდენად ჰქონდა აზრი და გამართლება, რამდენადაც ეს სიცოცხლე ემსახურებოდა სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს. სხვაგვარი დანიშნულება სიცოცხლისა ბერდიამ არ იცოდა. „უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსო“ — მიმართავდა ბერდია ელგუჯას მეგობართა ცხედრებს, და ამ ოთხ სიტყვაში დამარხულია ჭეშმარიტი გაგება ვაჟკაცობისა და თავგანწირვის. მთიელი ხალხის წარმოდგენით კარგ ვაჟკაცს მხოლოდ ყორნები ამოსჭამენ თვალებს; მშიშარასა და ლაჩარს კი ყორნები არ მიეკარებიანო. საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ადათები და ტრადიციები ფატალური ძალით ცოცხლობენ ბერდიას გონებაში. ბერდია დარწმუნებულია, რომ ელგუჯას მეგობართა სულებმა ვაჟკაცური სიკვდილით მშვიდობა და მყუდროება მოიპოვეს თანამემამულეთა გულში. თავისი დიდებული სიტყვით ბერდიამ გზა დაულოცა დახოცილ გმირთა სულებს და ჩვენ, მკითხველებს გვაგრძნობინა საკუთარი შვილებისადმი სიყვარულის ძალა.

ალექსანდრე ყაზბეგს შეეძლო რომანი ბერდიას სიტყვე-

ბით დაემთავრებინა, მაგრამ, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, ხალხი ჩაერია შემოქმედების საიდუმლო პროცესში. და ავტორს რომანის გაგრძელება მოსთხოვა. ალექსანდრე ყაზბეგმა რომანი გააგრძელა და ისეთი ეპიზოდები ჩაურთო, რომლებიც ორგანულად გამომდინარეობდნენ პირველი ნაწილის სიუჟეტიდან. ამ ეპიზოდთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მზაღოს ბედი. რა დაემართა მზაღოს ელგუჯას სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ? ეს კითხვა სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია. რომანის ავტორსაც სწორედ ეს კითხვა აწვალებდა.

ელგუჯას დაჭრის შემდეგ მზაღო სრულიად უმწეო დარჩა, იგი ტყვედ წაიყვანეს და პირდაპირ ჯარისკაცებმა მაზრის ჭიროსს მიჰგვარეს... მის საამებლად. „წარბებშეჭმუხნილმა ნაჩალნიკმა, — მოგვითხრობს ყაზბეგი, — შეიყვანა ის თავის ოთახში, მაგრამ რა წამს კარები შეიკეტა, ერთბაშად მკაცრი ბრძანებლიდან გარყვნილ არშიყად გადაიქცა. „შენ ძალიან უნდა გიხაროდეს, ჩემო კარგო, რომ მე მომეწონე — უთხრა იმან და მოხვია ხელი. ქალი ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა იმისი საუბარი, მაგრამ როდესაც გაიგო, ერთბაშად გაუხტა ხელიდან და სწვდა ხანჯალს, რომელიც იქვე სტოლზე ეგდო". „შესდექ, თუ წერას არ აუტანიხარ, — შესძახა მრისხანედ ქალმა და მომზადებული დადგა კედელთან.

ნაჩალნიკი რამდენსამე ხანს გაჩერებით შეჰყურებდა გაცეცხლებულ ქალს, რომელსაც თვალები ცეცხლივით ანთებოდა და მომზადებულიყო ყოველგვარ ბრძოლისათვის თაკისი ნამუსის დასაცველად. პირველ გაშტერების შემდეგ ნაჩალნიკმა გაიღიმა; იმას აზრში გაურბინა, რომ ქალები ყოველთვისინ თავს ძალათ ინაზებენ და მზაღოც ქალი იყო;

„ნეტავ იცოდე, რა რიგად გიხდება ეგ გაჯავრება!.. უთხრა ნაჩალნიკმა, — სწორედ დასახატი ხარ!.. კარგია, გეყოფა ხუმრობა!.. ამ სიტყვებთან ერთად ხელის მოკიდება მოისურვა. ქალმა ისეთი ხმით შეჰყვირა და მოუქნია ხანჯალი იმ კაცს, რომ საჭიროდ დაინახა უკან დახევა".

მთიელი ხალხის წარმოდგენით უმწეო ქალის ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენება ვაჟკაცისათვის უდიდეს სირცხვილად ით-

ვლებოდა. ყოველი პატიოსანი კაცი, ასეთ მდგომარეობაში, თუნდაც ის სიყვარულით ყოფილიყო შეპყრობილი, ხელს არ შეახებდა ნამუსის დამცველ ქალს; მაგრამ მაზრის უფროსი მოკლებული იყო პატიოსნებას და ვაჟკაცობას; იგი მხეცურ ენინს შეეპყრო და არავითარ მუდარას, არავითარ წინააღმდეგობას არ შეეძლო მისი გადაწყვეტილების უარყოფა. მაზრის უფროსი ცბიერი სიტყვებით ცდილობს ქალის დათანხმებას, მაგრამ ცბიერება უძლური აღმოჩნდა ნამუსთან ბრძოლაში. ბოლოს უფროსმა ბრძანების კილოთი მიმართა მზაღოს: „კარგი, შენ დაისჯები, როგორც ხელმწიფე იმპერატორის მოღალატე, შენ და შენმა მეგობრებმა მოჰკალით ერთგული აფიცერი, სხვები ძაღლებივით დახოცეთ და შენ კი სიკვდილით დაისჯები", „ელგუჯას შემდეგ მეც მოჰკვდე რა", — უპასუხა ქალმა. „შენ გაწვალებენ, გტანჯავენ, ჩამოგახრჩობენ" დაემუქრა მაზრის უფროსი უმწეო ქალს. „გიაურებმა წვალების მეტი რა იციან?.. თქვენ იმდენი ვაჟკაცობა ვინ მოგცათ, რომ კაცი პირდაპირ მოჰკლათ?.. თქვენ გულადები მაშინ ხართ, როცა ერთზე ასნი მისდიხართ?.. დეე, სხვებს შეეშინდეთ მაგისი, მე არ მეშინიან! ამ ლაპარაკის დროს ნაჩალნიკი თანდათან უახლოვდებოდა ქალს და როდესაც ეს უკანასკნელი ლაპარაკით იყო გატაცებული, ნაჩალნიკმა გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯი, მისწვდა იმას ხანჯლიან ხელში და მაგრად დაუჭირა მაჯა.

„აა!—სიხარულით შესძახა იმან:—ახლაც წამიხვალ, ქალმა ტკივილისაგან და ჯავრისაგან შეჰყვირა...

„ტყუილადღა იბრძვი ჩემო ჩერქეზო... შენი ნაზი ხელები ყეღარ დამისხლტება მე... ქალი იბრძოდა და ღმერთს იწოდებდა მოწმედ ამგვარ უპატიოსნო ძალდატანებისათვის, მაგრამ უპატიოსნოს, — ამბობს ყაზბეგი, — თვით ღმერთიც განზე უდგება და ხალხიც. ქალს მამაკაცთან ბრძოლაში თანდათან ძალა აკლდებოდა, ბოლოს მკლავი სრულიად დაუბუჟდა, თითები უნებლიე გაეშალა და ხანჯალი თავისთავად წკრიალით დაეცა ფეხებთან, აქ ქალმა დაუწყო მუდარა, ხვეწნა, აფიცებდა რაც კი საფიცარი ჰყავდა, აბრალებდა თავის თავს, — მაგრამ რა საქმე ქონდა თავმოყვარეობისაგან გაზვიადებულ ნა-

ჩალნიკს ან ხვეწნასთან, ან თხოვნასთან, ოღონდა თავის მიზნისათვის მიეღწია. ის მოელოდა წუთს, თუმცა უპატიოსნოს, მაგრამ მაინც სიამოვნებას და ეს საკმარისი იყო, რომ ის დაყრუებულიყო რომელსამე კაცობრიულის გაგონებისათვის. მკლავებიდან გადავიდა ტანზე და მაგრა მოხვია ხელები; ბრძოლა შეიქნა უფრო მწარე, გაშმაგებული, ქალს... ღონე ემატებოდა გაუპატიურების შიშით, და კაცს კი—თავის უპატიოსნო სურვილით... „გათენდა მეორე დილა, და მზაღო ძალდატანებული, გაუპატიურებული, ლეჩაქახდილი, დაცემული და შერცხვენილი გადაეცა სალდათებს საპყრობილეში შესაგდებად“.

საუბარი, რომელიც მთიელებს შორის გაიმართა მზაღოს გაუპატიურებასთან დაკავშირებით, დიდებულად ადასტურებს შემოჭრილ უცხო ძალის უკანონო მოქმედებას ხალხის დასამორჩილებლად და დასამონებლად.

„ლომისის მადლმა, ესეთიც არა გვინახია რა!.. წარმოსთქვა ერთმა. რა ამბები ხდება გაბრიელავ? გინახავს როდისმე დიაცის ეგრე გაუპატიურება?

„არა, არა შენი კვნესამე, არც მინახავს და არც გამიგონია!.. ორი მოსისხლე ხმალამოღებული ერთმანეთზე რომ მისულიყო, დიაცი თავშალს გაუშლიდა შუაში და მაშინვე გაშორდებოდნენ ერთმანეთს, ესენი კი?..—აღარ გაათავა სიტყვა და ჩაიქნია ხელი.

„აბა, ქალის გატაცებაც ბევრჯერ მომხდარა, ძალადობაც, მაგრამ ვისაც გაუტაცნია, ცოლათაც სდომებიათ, თორემ ამისთანა საქმეს ვინ იზამდა? მაგისთანა საქმის ჩამდენს პირიმზის მადლმა, მტერი თუ მოყვარე, ყველა მტრად გადაეკიდებოდა.

„ესენი კი დასცინიან—გაკვირვებით სთქვა კიდევ ერთმა... ამ ლაპარაკში იყვნენ სატუსაღოს კარებთან მოგროვილი მთიულები, როდესაც იასაული მოვიდა და დასძახა:

„რას უდგეხართ აქა? წამოდით, ბეგარა მოვიდა.

„ჩვენ შეშა არ-მოუტანეთ ეხლა? ღმერთი აღარა გყავთ?

„გამოიარეთ, გამოიარეთ, ნუ ლაპარაკობთ, თორემ ეხლა ყაზახები მოვლენ და სულ მათრახებით ტყავს გაგაძრობენ.

„რაზედ გაგვაძრობენ, რას გვემართლებიან?

„მაშ ხელმწიფეს სამსახური არ უნდა?—ამაყად დაიძახა ნაცვალმა, თითქოს მართლა ხელმწიფის სამსახური უსამართლობა იყოს. ცოტა ლაპარაკის შემდეგ მართლა მოვიდნენ ყაზახები და წაუშინეს მათრახები ხალხსა...

„ურჯულოები ყოფილან, ლომისის მადლმა, ურჯულოები!—ხარებს ჩლიქები წასცვივდათ ამდენი მუშაობით და მათგან კი შებრალება აღარ იქნა“...

ეს მეტად გაბედულად და ლამაზად არის ნათქვამი; აქა ჩანს იმ ხალხის კვნესა და ჩივილი, ვინც დამოუკიდებლობა დაჰკარგა და მეფის მოხელეთა უსამართლობას ვერ შეურიგდა; ვინც იცოდა თავისუფლების პატივისცემა და სიყვარული, წარმოიდგინეთ იმ ხალხის მდგომარეობა, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს მოხელეთაგან სამართალს ითხოვს და უსამართლობით კი უმასპინძლდებიან. მთიელები მაზრის უფროსთან მივიდნენ, რათა მოეხსენებიათ და ამავე დროს ემხილათ კიდეც უკანონო მოქმედება ადგილობრივი მოხელეებისა, მაგრამ მაზრის უფროსმა, არამც თუ ყურად არ იღო მომჩივანთა ხმა, არამედ ქედმაღლური ბრძანების კილოთი მიაძახა:

„ვინა ხართ თქვენ?

„ჩვენ ბედუაანთ კახელები გახლავართ, შენი კვნესამე!—ქუდის მოხდით უპასუხეს იმათ.

„რა გინდათ?

„ყაზახები ჩაგვიყენეს, შენი კვნესამე, და იმათ გაგვატყავეს, ერბო აღარ შეგვარჩინეს და ყველი, ქათამი და კვერცხი.

— მაშ, თქვენ ყაზახებზე ბედავთ ჩივილს? ყაზახებო!..— დაიძახა იმან და ამ სიტყვებზე გამოცვივდნენ ყაზახები იქვე საყაზახოდან.

„მათრახები ამათ, მათრახები!—ბრძანების ამსრულებლებმაც დაუარეს სიმართლის მძებნელ მთიელებს და ჩქარა გაფანტ-გამოფანტეს“.

მართალია, ასეთ ეპიზოდებში ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული ძალა სუსტდება მოჭარბებული პუბლიცისტიკით, მაგრამ ამ პროცესის გარეშე ყაზბეგს არ შეეძლო ცხოვრება. ამ შემოჭრილი ძალის არაადამიანური მოქმედების გამოსახატავად

ყაზბეგმა მონახა სწორედ ეს ფორმა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

„ელგუჯაში“ დასმულ პრობლემათა პოლიტიკური გამძაფრების მიზნით ალექსანდრე ყაზბეგმა ჩაურთო სვიმონ ჩოფიკაშვილის ამბავი, მართალია ეს ჩართვა, რომანს ხელოვნურ ელფერს აძლევს, მაგრამ ყაზბეგის გაწვრთნილმა მხატვრულმა ალღომ ეს ხელოვნურობა ისეთ ფორმაში მოაქცია, რომ რომანს არ დაუკარგა მთლიანი მხატვრული სახე და ამავე დროს ნაწარმოები გაამდიდრა პოლიტიკურად საინტერესო მომენტებით. სვიმონ ჩოფიკაშვილი ანტიპოდია გაგი ჩოფიკაშვილისა. სვიმონი მთაში განთქმული ვაჟკაცი იყო—თავისი პირდაპირობით. სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით, როგორც რომანიდან ვიცით, სვიმონი პირველად წინააღმდეგი იყო საქართველოში მეფის რუსეთის კანონმდებლობისა. მაგრამ საქართველოს უკანასკნელი მეფის სურვილის თანახმად სვიმონი არ აღუდგა წინ რუსეთის მოხელეთა წინსვლას, სვიმონმა თავისი პოლიტიკური გავლენა შუამავლად გამოიყენა, ქართველი ხალხისა და თვითმპყრობელობას შორის; იგი ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი მოჰყოლოდა უცხო ძალის შემოჭრას. სვიმონის ავტორიტეტს ანგარიშს უწევდა თვითმპყრობელობაც. მას მაზრის უფროსობა ჩააბარეს. ამ ეტაპიდან იწყებს ყაზბეგი ქვეყნის მმართველის იდეალური სახის შექმნას. მმართველის ასეთ სახედ მწერალს წარმოდგენილი ჰყავს სვიმონ ჩოფიკაშვილი. სვიმონი არა მარტო ყურს უგდებს მთიელი ხალხის ხმას, არამედ ცდილობს მათი ჭირ-ვარამის შემსუბუქებასაც; იგი ნამდვილი მშობლიური მზრუნველობით ეპყრობა მთიგლი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობა სვიმონისათვის ყველაზე უფრო ძვირფასი და სათაყვანებელი საქმე იყო, მაგრამ ისტორიის ლოგიკამ დაარწმუნა, რომ ამ მომენტში ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის შეიწირავდა მთელ ერს. ხალხის სურვილი კი იყო მეფის ჯარების ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება არაგვის ხეობის ვიწროებში.

ალექსანდრე ყაზბეგი, მსგავსად ანტიური კლასიკოსებისა, დადებით გმირებს ახთავისუფლებს მდაბალი სურვილისა და

ბიწიერებისაგან. მაგრამ ყაზბეგი გულთამხილველი იყო და არ შეეძლო არ დაენახა ამავე ადამიანთა ნაკლოვანებანი. ყაზბეგის გმირთა მოქმედებას კეთილშობილება უძევს საფუძვლად და თუ ისინი ხანდახან სცოდავენ და ჭეშმარიტების გზას სცილდებიან, არა იმიტომ, რომ ეს მათი შინაგანი მოთხოვნილებაა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები არიან და მათთვის ადამიანური ეარაფერი არ არის უცხო. სხვათაშორის, ამგვარ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ელგუჯას ძმაც ნაფიცი მათია. რაღაც ფატალური ძალით მათიას შეუყვარდება ელგუჯას საცოლე მზაღო. მათია გრძნობს, რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება არა მარტო ძმადნაფიცის მოვალეობას, არამედ ხალხის მორალსა და ჩვეულებებს. მაგრამ ბუნებრივი გრძნობა სიყვარულისა მის ხელთ არაა; მას არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა აღძრულ ვნებასთან. სიყვარულის ძალამ მათია წამოაჩოქა მზაღოს ფეხთა წინაშე და სასომიხდილს ათქმევინა:

„ქალაუ, არ გებრალები?—წყნარის ხმით წარმოსთქვა მათიამ და ცრემლები მოერია თვალებში.

„რას ამბობ... ჰკითხა მზაღომ.

„იმას, რომ დავილიე!.. სანთელივით ჩამოვდნი!.. მოსვენება ვეღარ მიპოვია...

„ავად თუ არა ხარ?

„ავად ვარ და შავადა! საკეთილო რაღა მაყრია!

„რაისთვის, რაი გტკივა?

„ისა რომ მიყვარხარ!.. ერთბაშად გაშმაგებით წამოიძახა მათიამ. მზაღოს ნერწყვი გაუშრა პირში, ხმა გაუწყდა და პასუხი ვეღარ მოეხერხებინა.

„ათასჯერ მომივიდა თავში, რომ ელგუჯა მომეკლა, მაგრამ შენი ცრემლებისა მეშინოდა, თორემ ღმერთს, ძმობას, ფიცს, ყველას იქით გადავდებდი“.

ალექსანდრე ყაზბეგის მკითხველმა კარგად იცის—რით გათავდა ეს საბედისწერო დრამა. ახალმა წყობამ ხელი შეუშალა მათიას განზრახვის აღსრულებას. მაგრამ სისხლი მაინც დაიღვარა... ალექსანდრე ყაზბეგს ამ ეპიზოდში უმთავრესად აინტერესებს მათიას ვნებათა ღელვა, მისი ვაება გუ-

ლისა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მათიას სიყვარული ჩირქს სცხებს ჰეშმარიტ მეგობრულ გრძნობას. მათია ასცდა გზას, მაგრამ მისდასაბედნიეროდ ის ამ გზას ასცდა არა როგორც ავაზაკი, არამედ როგორც ადამიანი. ამრიგად, მათიას სიყვარული ადამიანური შეცდომაა, რომლის გამართლება არც ერთი მოტივით არ შეიძლება. მათია მთიელი ვაჟკაცი იყო; იგი აღიზარდა მთიელი ხალხის ტრადიციებზე. წინაპართა წესი მისთვის ისევე ყავალდებულო იყო, როგორც ყოველი პატიოსანი შთიელისათვის. მაგრამ მათიას ნებისყოფა სიყვარულმა გასტეხა და მიუხედავად იმისა, რომ მზაღოს იგი არ უყვარდა, ქალს ძალით მოსთხოვა სიყვარული და მუქარით შეეცადა ქალის თანხმობის მიღებას. ეს ძალდატანება ეწინააღმდეგება ჰეშმარიტ, ბუნებრივ გრძნობას სიყვარულისას. ამრიგად მათიამ უღალატა არა მარტო მეგობრობას, ფიცს, თემის წესსა და კანონს, არამედ სიყვარულის ბუნებრივ გრძნობასაც. რამდენადაც საქებარია ჯაჯალას უბედო, გაუმჟღავნებელი სიყვარული მათიასადმი, იმდენად დასაძრახისია მათიას გამჟღავნებული სიყვარული მზაღოსადმი. მათია მაშინ იქნებოდა პატივისცემის ღირსი, რომ სიყვარულის აღძრული გრძნობა საკუთარ გულში ჩაემარხა, ისე როგორც საშუალო საუკუნეების რაინდები იქცეოდნენ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ არ განგვესხვავებინა ერთიმეორისაგან მათიასა და გირგოლას სიყვარული. ჰეშმარიტ სიყვარულსა და გირგოლას სიყვარულს შორის მათიას სიყვარული საშუალო გზაა; მათიას სიყვარულიც დასაძრახისია, მაგრამ არა გვძულს ამ სიყვარულის მატარებელი ადამიანი; ვინ იცის, უხეშ უცხო ძალას რომ არ მოესპო ელგუჯასა და მათიას სიცოცხლე, იქნებ მათიას სიყვარულიც გირგოლას სიყვარულის ფორმას მიიღებდა, იქნებ მათიასაც შურისძიებით ისევე მოეკლა ელგუჯა, როგორც გირგოლამ მოჰკლა ნუნუს მამა, მაგრამ რაკი მათიას სიყვარულის უძლეველი გრძნობა გაბრწყინამდე არ მისულა, ჩვენ არ გვაქვს უფლება გავაიგივოთ მათიასა და გირგოლას სიყვარული. ალექსანდრე ყაზბეგმა, როგორც ადამიანის სულის ხუროთმოძღვარმა, იცოდა, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არსებობენ მათიას მსგავსი ადამიანები, რომელთაც მძაფრი

გრძნობით შეუძლიათ სიყვარული, მაგრამ არ იციან—რა მიმართულება მისცენ ამ უმშვენიერეს გრძნობას.

ალექსანდრე ყაზბეგისათვის მათიასა და გირგოლას სიყვარული თუ ერთის მხრივ არის ცხოვრების რეალური ანარეკლი, მეორეს მხრივ—იგი მხატვრული ხერხია, რომელიც აძლიერებს ბუნებრივი სიყვარულის გრძნობას. აიღეთ სიყვარული ელგუჯასი; იგი წმინდაა, ვით ანკარა წყარო; ის თავისუფალია ბიწიერებისა და სიყალბისაგან. ელგუჯასა და მზაღოს თვითეული შეხვედრა რაღაც მეორედ მოსვლასა ჰგავს; თითქოს ბუნების სტიქიური ძალებიც კი კმაყოფილნი არიან ამ ორი არსების სულიერი შეერთებით. ალექსანდრე ყაზბეგმა სწორედ ამ მომენტს ჩასჭიდა ხელი, ვინაიდან ეს საშუალებას აძლევდა შეხებოდა ადამიანთა ხასიათს, ვნებათა ღელვის და სულიერი მოძრაობის ისტორიას. ყაზბეგს არ რჩება შეუმჩნეველი ადამიანის სულის უცაბედი შერხევაც კი, მის გმირებს შესწევთ გამბედაობა და ნებისყოფა—შეინარჩუნონ სულიერი სიმშვიდე თვით უაღრესად კრიტიკულ წუთებშიაც. ელგუჯას რაინდული მოქმედება იმ მომენტში, როდესაც მზაღო უამბობს თავის გაუპატიურების შემაძრწუნებელ ამბავს, ბრწყინვალე მოწმეა მისი სულიერი სიმაღლისა. ამ ფაქტმა ოდნავადაც ვერ შეარყია ელგუჯას სიყვარული და პატივისცემა მზაღოსადმი. დიდებული მთიელი თავის სატრფოს როდი უყურებს ისე, როგორც წუთიერ სიამოვნების წყაროს; ელგუჯას სიყვარული გამუდმებული ცეცხლია, რომლის წინაშე უძლურია თვით შეყვარებულის ძალით გაუპატიურების ფაქტიც კი. ელგუჯასთანა ფოლადით ნაჭედ ადამიანებში მხოლოდ მაშინ ქრება სიყვარულის დიდი ხანძარი, როდესაც სიყვარულის განადგურების ნიადაგზე სატრფოს გული იცვლება. მაგრამ თუ მიჯნურის გული სიყვარულის სასიცოცხლო ძარღვითაა დაკავშირებული ყაზბეგის გმირების გულთან, მაშინ ისინი უძლეველნი არიან. განა ელგუჯასა და მზაღოს მთელი ისტორია ამ დებულების დადასტურება არაა?! შეხედეთ რა დიდი მორალური ძალა ამაგრებს ამ ორი არსების სიყვარულს!

„ელგუჯა, — მოგვიახრობს ყაზბეგი, — მოუთმენლად ელოდა იმის მოსვლას და თითო განვლილი წუთი ერთ წლად ეჩ-

ვენებოდა. ერთბაშად გაიშრიალა რაღაცამ და ელგუჯას მკლავებში... მიესვენა გონება დაკარგული მზაღო.

„შენა ხარ, შენა? კიდევ მშვიდობით გხედავ?!—ეუბნებოდა გატაცებით მზაღო.

„დამშვიდდი ჩემო ყველავ! ნუ გეშინია. ეხლა აღარ გავიყრებით... გცივა?.. რა გაკანკალებს ეგრე.

— „არა, არა მცივა, არა... ბოლოს როგორც იყო, იმათი გრძნობა დადგა თავის დონეს და ელგუჯამ უთხრა:

„მზაღო, მოემზადე, მე შენ გასატაცებლად ჩამოვედი.

„ჩემ გასატაცებლად?—თითქოს შეკრთა მზაღო.

„ჰო, შენს გასატაცებლად... რად შეგეშინდა? — ჰკითხა ელგუჯამ და დაკვირვებით დააცქერდა იმას.

„არა, არა მე არ შემშინებია... შენთან რის უნდა მეშინოდეს!

„მაშ რას ამბობ? რად გაგიკვირდა?

„არ გამკვირვებია... არა, მაგრამ... ვაი თუ კიდევ გამოგვეკიდნენ, კიდევ ის ვაი ვაგლახი მოხდეს... შენ ერთხელ გადარჩი, ახლა კიდევ ხელმეორედ.

„ჩემო ყველავ!.. მოხვევნით გააწყვეტინა ელგუჯამ. შენ სულ ჩემზედ ფიქრობ!

„არა, არა... ეგრე მეყვარები, ნუ გამიტაცებ.

„ეგ შეუძლებელია ჩემგან...

„შეუძლებელი!.. აგრე უნდა იყოს, აგრე დამიჯერე, თავი დამანებე... მე უბედური ვარ, იმდენი მსხვერპლიც კმარა.

ათი იმდენი მსხვერპლის შეწირვა რომ მომიხდეს, მე შენ თავს მაინც ვერ დაგანებებ.

„არა, აღარ ვღირვარ მაგათ, არა... წამოიძახა მზაღომ და ტირილით მიეყრდნო ელგუჯას გულზე. ის ტიროდა მდუღარედ, რაღაც თრთოლვით და აღელვებით აშკარად სჩანდა, რომ იმას რაღაცა მძიმე ლოდად აწვა გულზედ, რომლის გამოთქმა უნდოდა და ვერ გაებედნა. ელგუჯა დაღვრემილი, შეწუხებული უყურებდა იმას და თითქოს ეგრძნო მზაღოს მდგომარეობა. იქნება აღარ ვუყვარვარ, გაუელვა თავში ელგუჯას, როდესაც მზაღომ გული მოიჯერა ტირილით, ელგუჯამ

წყნარად მოიშორა გულიდგან, დაუჭირა პირისახე, ააწევინა თავი და პირდაპირ შეხედა თვალებში.

„მზაღო! შენ რაღაცა გაქვს ჩემგან დამალული, პირდაპირ რად არ მეუბნები? ხვალ თუ ზეგ ჩემი ცოლი იქნები, განა ცოლს დამალული უნდა ქონდეს რამე?—მზაღოს ჟრჟოლამ გაურბინა ამ სიტყვებზე; იმან დახარა თავი და რაღაც წაიბუტბუტა.

„ვაჟკაცს ჭირში გამაგრება უნდა,— მითხარ ყველა! მზაღო ებრძოდა თავის გრძნობას, მერე ერთბაშად დაეცა მუხლებზედ და... წამოიძახა:

„დამნაშავე ვარ, თავი უნდა მომეკლა... ამ სიტყვებზე ელგუჯამ ხანჯალს გაივლო ხელი, მაგრამ შეიკავა თავი, ისევ დაიკრიფა გულხელი და შეჰმუხვნილი უყურებდა.

„რაში, მითხარი?

მზაღო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

„ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი არა ვარ?

ბარემ, ბარემ მინდოდა რომ ეგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქნა, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ... ჩემს თავზე მეტად!.. ელგუჯამ მაიკრა გულზე და დაუწყო გაშმაგებით კოცნა".

ვკითხულობთ ამ დიდებულ ეპიზოდს და გვეკვირს: როგორ დაიწნა ამისთანა ზნე და ხასიათი მოხევეში. რა დიდი მორალური ძალა იფარება მწყემსის დაკონკილ ტყავ ქვეშ! ელგუჯასათვის სიყვარული ზენარული ერთარსება იყო: იგი რაღაც ფატალური ძალით დაუკავშირდა მზაღოს ბედს. რუსთაველის შემდეგ არც ერთ ქართველ მწერალს არ მოუცია ასე სრულყოფილად და ლამაზად მიჯნურობა. ბუნებრივი გრძნობა სიყვარულისა ყაზბეგის გმირების სიცოცხლის ორგანული ნაწილია, მათი შინაგანი რწმენაა და სულის მოთხოვნილება. მიუხედავად ამისა ყაზბეგი არასოდეს არ მისულა ანტიღრი ბრძენის—პროტაგორას სუბიექტივიზმამდე, რომელმაც ადამიანის სიყვარული გამოაცხადა ყველა საგნისა და მოვლენის საზომად. ყაზბეგის ჯადოქრულ ფანტაზიით შექმნილ ქვეყანაში სიყვარული მიზანი კი არ არის ადამიანთა ცხოვრებისა, არამედ საშუალებაა იმ დიდი სოციალური ერ-

თეულის მორალური განმტკიცებისათვის, რომელსაც საზოგადოება ეწოდება. თუ სიყვარული თავისი ხასიათით ანტისაზოგადოებრივია, ყაზბეგი ასეთ სიყვარულს აცხადებს არანორმალურ მოვლენად. მათიას სიყვარული ერთ-ერთი სახეობაა ამგვარი გრძნობისა.

კიდევ ერთ მომენტს უნდა გავუსვათ ხაზი ყაზბეგისებური სიყვარულის განხილვის დროს. ყაზბეგის მთელ შემოქმედებაში გმირთა ცხოვრება ყოველთვის ტრაგიკულად ბოლოვდება. ასეთი დაბოლოვება ბუნებრივი შედეგი იყო ეპოქის სისასტიკისა, მაგრამ ყაზბეგის ვერც ერთ ნაწარმოებში ვერ ნახავთ პესიმიზმს, ყაზბეგი ისე როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, ეყრდნობა იმ რწმენას, რომ ქვეყანა ბრძოლაა ორი დიდი ელემენტისა—ბოროტებისა და სიკეთისა; მაგრამ მას ღრმად სჯერა დიდი რუსთაველის სიბრძნე „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია". ამ რწმენით აფასებს ალექსანდრე ყაზბეგი სიყვარულის შთამაგონებელ ძალას; მისი აზრით ადამიანის პირად ცხოვრებაში სიყვარული ისეთივე როლს თამაშობს, როგორც მეგობრობა და ამხანაგობა. სიყვარული ეშხსა და სილამაზეს აძლევს კაცთა ცხოვრებას, ჰომეროსის აზრით „უმაღლესი ბედნიერებაა—ცხოვრებაში ჰპოვოს ქალის სიყვარული უმწიკვლო წულით". ამავე თვალსაზრისით უყურებს ალექსანდრე ყაზბეგი მიჯნურობას. ყაზბეგი რუსთაველის ნაშიერი იყო და არ შეეძლო სიყვარულის შთამაგონებელი ძალის სხვაგვარი შეფასება. როგორც რუსთაველი, ისე ყაზბეგი შორს დგანან ევრიპიდეს პესიმიზმისაგან. ევრიპიდეს აზრით სიყვარული სახიფათო გრძნობაა ადამიანისათვის. სიყვარულის ვნებასთან ევრიპიდე აკავშირებდა ტანჯვას, ეჭვიანობას, შურისძიებას, ბოროტმოქმედებასა და შურს. „მერწმუნე მე,— ამბობს ევრიპიდე, — სიყვარული საშინელია. მას არ დაეჯერება. იგი ბატონობს ჩვენი ბუნების ცუდ მხარეზე". ალექსანდრე ყაზბეგი არამც თუ არ გაურბის სიყვარულს, არამედ პრომეთეს ძალით მიისწრაფის. მისკენ. ჰეშმარიტი რაინდის გული ფეთქდა ალექსანდრე ყაზბეგის მკერდქვეშ. ამ გულს სიყვარულით მოჯადოება შეეძლო არა მარტო ლიტერატურული ტიპებისა, არამედ მკითხველებისაც. ელგუჯა ალექსანდრე

ყაზბეგის შემოქმედებაში ერთი დიდებული სახეა სიყვარულის შთამგონებელი ძალით გატაცებული რაინდისა. უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცის უკანასკნელი ამოკვნესა მზაღოს სახელი იყო და ამ ამოკვნესას ამოაყოლა მრავალი გზის ტანჯული, მაგრამ გაუტეხელი სული. მზაღოსა და ხალხის სახელი შეაცივდა ელგუჯას ბაგეებს.

6.

ჩვენ შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრე ყაზბეგის პროზა ორგანული სინთეზი იყო ანტიური ეპოსის და მე-19 საუკუნის ფრანგული რომანის საუკეთესო ტრადიციებისა. ამ დებულებას ყველაზე საფუძვლიანად ადასტურებს რომანი „მამის მკვლელი". ამასთან ერთად ალექსანდრე ყაზბეგმა „მამის მკვლელში" შემოინახა შესანიშნავი ტრადიციები რუსთაველისებური მეგობრობისა, ვაჟკაცობისა და მიჯნურობის. ყაზბეგის შემოქმედებაში არსად ისეთი ძალით არ შებრძოლებია ერთიმეორეს სამართლიანობა და უსამართლობა, ბოროტება და სიკეთე, ვერაგობა და სიყვარული, როგორც „მამის მკვლელში". რომანის დასაწყისშივე ალექსანდრე ყაზბეგი რაღაც საიდუმლო დიდებით მოსავს მოქმედ გმირებს. ეს საიდუმლოება არა მარტო მკითხველის ცნობისმოყვარეობის გასაღვიძებლად არის მოგონილი ავტორის მიერ, არამედ გმირთა ხასიათების გასახსნელად. გადაშლით ნაწარმოებს და თვალში მოგხვდებათ დაფლეთილი ტანსაცმლით შემოსილი მოხუცი კაცი. ერთი შეხედვით—ეს ბედამიანი მათხოვარი გგონიათ, მაგრამ როდესაც დააკვირდებით ამ ადამიანის მოქმედებას, რომანის პირველი ფურცლებიდანვე თქვენ თვალწინ საიდუმლოებით მოცული პიროვნება აღიმართება. ამ საიდუმლოებას თავისებურ სიდიადეს აძლევს მოხუცის ხმაშეწყობილი დამღერება ჩონგურზე — იმ დიდებული სიმღერისა, რომელიც ქართველ ხალხს ჭირშიაც და ლხინშიაც სიმტკიცესა და გამბედაობას აძლევდა. აი ეს სიმღერაც:

როსტომ სთქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით ღნდა რბილობა;

ვაჟკაცს რომ გაუპირდება,
მაშინაც უნდა ცდილობა.
როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღოხებასა.

მკითხველი გრძნობს, რომ ამ სიტყვების მთქმელი შარაგზის მათხოვარი არ უნდა იყოს. მაგრამ ყაზბეგი დროებით საიდუმლო ბურუსით მოსავს ამ კაცის ვინაობას. ავტორი რომანისა—გადაკვრით გვანიშნებს უცნობი მოხუცის სახელსა და გვარზე. ამავე დროს ვიცით, რომ იგი მოსულია საკუთარი ძმის სახლში სხვების შეუმჩნეველად, ფარულის გზით. ძმის თხოვნაზე, რომ დარჩეს სახლში, უცნობი უპასუხებს: „შენც კარგად იცი, ონისეისი, დარჩენაც რომ მინდოდეს ვერ დავრჩები... ჩუმად მოვსულვარ ჩემი ქალის სანახავად. გულმა ვეღარ გასძლო მეტი უნახაობა, და ახლა ისევ ჩუმად უნდა გავიკარო. მე არა მინდა რა, ყველა ღმერთმა თქვენ მოგახმაროთ, ოღონდაც ჩემ ქალს მოუარეთ, უპატრონეთ და გაათხოვეთ... ერთი იმას გეხვეწებით, ისეთ კაცზე კი გაათხოვეთ, რომელიც გემრიელ ლუკმას შეაჭმევს... „გორსა“ და სიმდიდრეს ნუ გამოუდგებით... გლეხი ხალხი შრომისათვის ვართ გაჩენილი... ოღონდ ერთურთი უყვარდეთ და ცხო არ უნდათრა... მუშაობა ქალისათვის ძნელი არაა, თუ ჯალაბობაში მშვიდობიანობა იქნება... მე ერთი, ხალხისაგანაც და ღმერთისაგანაც მოძულებული კაცი ვარ... ერთი ფეხი სამარეში მიდგა, დღეს თუ ხვალ მოვა სიკვდილის ჟამი და გავქრები... ნუნუს მამის სახლობა თქვენ უნდა გაუწიოთ, მაშ ეცადეთ საქმროც ეგეთი აურჩიოთ, რომ თქვენი გამოსადეგიც იყოს. თუ თვითონ შეუყვარდა ვინმე, ეგ ხომ სულ კარგი და სულ კეთილი, ნუ დაუშლით“.

უცნობი ადამიანის უკანასკნელი სიტყვები ამოსავალი წერტილია ალექსანდრე ყაზბეგის მსოფლმხედველობისა, ოჯახის და სიყვარულის საკითხში. ყაზბეგის წარმოდგენით, ბუნებრივი ჰარმონია ოჯახში მყარდება მაშინ, როდესაც ამ ოჯახს აკავშირებს სიყვარულის ძალა და არა მხოლოდ ცოლ-

ქმრული მოვალეობის გრძნობა. როდესაც ხელოვნურად არღვევენ ბუნების ამ დიდ კანონს, მაშინ ირღვევა ჰარმონიული ურთიერთობა ადამიანთა შორის. აქ არის ტრაგედიის სათავეც. „მამის მკვლელში“ ყველა ძირითადი საკითხები თავს იყრიან ამ პრობლემის ირგვლივ. როგორც მკითხველმა რომანიდან იცის—უცნობ მოხუცს ამ ქვეყანაზე სხვა არავინ ყავდა, გარდა ერთი ქალიშვილისა, რომელსაც სახელად ნუნუს უხმობდნენ. ნუნუს მამამ ანდერძად დასტოვა სიტყვა, რომ ნუნუ მხოლოდ იმ ვაჟკაცზე გაეთხოვებინათ, რომელსაც თვითონ აირჩევდა. სამწუხაროდ, ეს ანდერძი დარღვეული იქნა და ნუნუ მიათხოვეს არა იმას, ვინც მას უყვარდა, არამედ სრულიად უცნობ ადამიანს. აქედან იწყება მთელი წყება კონფლიქტებისა. ნუნუ, ეს ულამაზესი მოხუცი ქალი, გაბედულად აღუდგება წინ ბიძასა და ბიძის ცოლის გადაწყვეტილებას; მისი გული სიყვარულის შემაერთებელი ჯაჭვით იყო გადაბმული მოხევე იაგოს გულთან. ქალს არ შეუძლია უარი თქვას სიყვარულის ბუნებრივ გრძნობაზე და პირგამეხებული ვეფხვივით აღიმართება ამ სიყვარულის დასაცავად. „არ მინდა, არა... მე ვიცი ვიზედაც გათხოვებას მიპირებთ, თავს დავიხრჩობ და მას კი არ გაყვები“, მაგრამ ვინ შეისმინა გულმართალი ნუნუს ხმა? თემის ძველი სასახელო წესი, რომელსაც შეეძლო ნუნუს დაცვა, უკვე დარღვეული და განადგურებული იყო დამპყრობელთა მიერ. ამასთან ერთად თვით მოხევენიც აღუდგნენ წინ ტრადიციულად განმტკიცებულ ადათსა და წესს. ამ მიზეზით უნდა აიხსნას მახიას (ნუნუს ბიძის ცოლი) პასუხი ნუნუსადმი: „კარგი, გაჩუმდი!.. მამაშენი წავიდა და შენი გათხოვება ჩვენ მოგვანდო, ვისაც ჩვენ ამოგირჩევთ საქმროდ, შენც იმაზე უნდა გათხოვდე“, „ამ სიტყვებზეო,—გადმოგვცემს ყაზბეგი,—ნუნუმ შეხედა იმას დაღონებული თვალით. ჰავრამ შეხედა ისეთი გადაწყვეტილებით, თითქოს ისინი ამბობდნენ: „თქვენ არ გინდათ იმას მიმათხოვოთ, ვინც მე მინდა და ვნახოთ—სხვას როგორ მიმათხოვებთ“. მართალია, ეს გრძნობა სიტყვებით არ იყო გამოთქმული, მაგრამ მახიამ იგრძნო ქალის სურვილი. აქ დასრულდა ამბავთა განვითარების პირველი ეტაპი და იწყება მოსამზადებელი ხანა სერიოზული უთანხმოები-

სა. ალექსანდრე ყაზბეგს მოქმედების ასპარეზზე კონფლიქტების გამძაფრების მიზნით შემოჰყავს ნუნუს მიჯნური — იაგო.

„გამარჯვება შენ საქმესა! — შესძახა ერთმა ლაზათიანად მოსულმა ბიჭმა, რომელიც ღობესთან მიმდგარიყო და ღიმილით უყურებდა მას. ქალი შეკრთა, შეხედა და სირცხვილისაგან მთლად აენთო.

„კარგადაც მუშაობ! იცევ იმ ღიმილით უთხრა ბიჭმა და გადაისვა ხელი ახლად აშლილ ულვაშებზე. ბიჭი წყნარად გადაცია ღობეზე, მივიდა ქალთან და უთხრა:

„მაი, მე მომე ხენცელი, მე მოგითიბ.

„არა შენაი ჭირიმე, არა! დამეხსენი. მე თავად მოვთიბ. ბიჭმა დაუწყო ყურება გამოცდილის თვალებით, რადგანაც უკვირდა ნუნუს ამგვარი პასუხი, რომელიც პირველად ესმოდა.

„რაი მოგსვლია, ქალაუ, რაისთვის მელაპარაკები აგრე?

„არც-რა, არც-რა!—საჩქაროდ უპასუხა ნუნუმ... და დაუმატა: წადი, არავინ მოგასწროს და...

„მოგკასწრონ რაი იქნება, რაი იქნება?—კითხა დაფიქრებულმა ბიჭმა და გულში გაუელვა რაღაცა ეჭვმა. ის დაფიქრდა კარგა ხანს და... ჰკითხა:

„რა მოგივიდა, რად არ მეუბნები?

„ის მომივიდა, რომ ცხოს მიპირებენ მიცემას. — უპასუხა ნუნუმ და ცრემლები გადმოედინა.

„ცხოსა? — გაფრთხილებით იკითხა ახლად მოსულმა.

ჰო, ცხოსა.

„მაჰაი რაღას ამბობს?

„მაჰაი აღარაა აქა, წასულა. იმედგაწყვეტით წამოიძახა ნუნუ.

„წასულა?—ხმის კანკალით იკითხა უცნობმა, რომელიც უფრო დაფიქრდა და ჩაჰკიდა თავი. კარგა ხანს ის იმ მდგომარეობაში დარჩა. ბოლოს ამოიოხრა, აიღო მაღლა თავი და უთხრა:

„მაშ იაგო მოკვდეს, თუ იმან სხვას დაგანებოს!.. იცი, რაი გითხრა: დღეს საღამოზე, როდესაც ყველანი დაიძინებენ, გად-

მოდი აქა. ჯერ მე თვითონაც არ ვიცი რას ვიქმ, მაგრამ წმინდის გიორგის მადლმა, მე შენს თავს არავის დავანებებ—არც კის დაუთმობ!.. გამოხვალ განა?

„აბა რაი ვიცი?

„იქნებ შენ თვითონაც აღარ გინდა ჩემზე გათხოვება?— წარბშეჭმუხვნით ჰკითხა იაგომ. ქალმა მართალია ამ სიტყვებზე არ უპასუხა, მაგრამ ისეთი თვალით შეხედა, რომ იაგო ჟრჟოლვამ აიტანა".

როგორც ვხედავთ, რომანის ავტორი წინასწარ ქმნის სიყვარულის ისეთ ქსელს მიჯნურთა შორის, რომლის დარღვევა ადვილად არ მოხერხდება. მაგრამ ყაზბეგის „მაჩის მკვლელის" პირველ ნაწილში მთავარია არა სიყვარულის შთამაგონებელი ძალა, არამედ ბოროტება, რომელსაც ახალი მმართველობა უხვად სთესავდა, მთიელი ხალხის ცხოვრებაში. ამ მიზეზით უნდა აიხსნას უეცარი გადასვლა სიყვარულის ისტორიიდან უსამართლობის ისტორიაში. ყაზბეგი ნაღებს ხდის საიდუმლოებით მოცულ მოხუცს და თავისი ნამდვილი სახით წარმოგვიდგენს. ვინ იყო ეს მოხუცი? საიდან მოვიდა? რატომ ემალებოდა იგი მთავრობასა და ხალხს? ალექსანდრე ყაზბეგი ამ ადამიანის ცხოვრებას შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „გლახა იყო ხევში ერთი შეძლებული გვარის შვილი, რომელიც მოეხარა ახალ წყობილებას და იმ ძალას, რომელიც ისე უღმერთოთ ამსხვრევდა ხალხის ჩვეულებას წარსულ საუკუნეში. თუმცა ამაყი მთის სისხლი ჯერ კიდევ ჩუხჩუხებდა და თვითეულ პირში იჩენდა თავს, ყმაწვილკაცობაში გლახამ შეირთო ცოლი სიყვარულით და პირველში იმისი დღეები წავიდა სანატრელი სიამოვნებით. ის ხარობდა თავის მშვენიერ ცოლთან, სტკბებოდა იმისი სიყვარულით, როგორც ერთი უბედნიერესი კაცი. მაგრამ სიტკბოება ჩქარა შეიცვალა სიმწარით. მან შეამჩნია, რომ იასაული გადაეკიდა მეტისმეტად, ყველაზე ჩქარჩქარა დაჰყავდა ბეგარაზედ და თუმცა ის ხედავდა ამ უსამართლობას, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო, რადგანაც იმ დროში კაცი საჩივრის გზასაც ვერ გაიგებდა, არამც თუ რომელიმე სამართალი მიეღო. ერთ დღეს, როდესაც გლახა ბეგრიდან დაბრუნებულიყო, მივიდა მასთან იასა-

ული და ურმის თხოვნა დაუწყო. გლახამ უარი უთხრა, მაგრამ იასაული არ ეშვებოდა, და ამისათვის კარგად სცემა თავის მომბეზრებელს. ამ დანაშაულისათვის გლახა დაიჭირეს და სამი წლით ციხეში ჩასვეს, სადაც ყოველი სივიწროვე, რაც კაცის აზრს შეუძლიან წარმოიდგინოს, გამოიარა, მაგრამ რა სატანჯველი იქნებოდა ისე ძნელი, როგორც... ცოლთან დაშორება... რა წამს გლახა ციხეში ჩასვეს, ბატონი დიამბეგი, ერთი იმდროის ღმერთთაგანი გლეხებისათვის, მობრძანდა გლახას სოფელში და გალახული იასაულის შემწეობით დაუწყო არშიყობა გლახას ცოლს, რომელიც სავაგლახოთ სადღაც ენახა და თვალში მოსვლოდა. იასაული ბევრს ეცადა, ბევრი ელაპარაკა, მაგრამ გლახას ცოლი ვერ დააყაბულა ქმრის ღალატს. ბოლოს რომ ვეღარა მოახერხა-რა დაუწყო რჩევა, რომ ჩასულიყო დიამბეგთან და ეთხოვა თავისი ქმრის გამოხსნა, რომელსაც, მისი სიტყვებით, ციმბირში ჰკარგავდნენ. „რომ ვითხოვო, დაიხსნის?—ბოლოს იკითხა დედაკაცმა“. „ჰაი, ჰაი რომ დაიხსნის! განა თვითონ კი არ უნდა დახსნა, მაგრამ ხევის დიამბეგია, იმას მხოლოდ თხოვნა უნდა. ოღონდაც კი სთხოვე და, ღვთის მადლმა, მაშინვე გამოუშვებს“. ქალი, მარტოობაში შეწუხებული ბეგარით და ათასი უსამართლობით, დაჰყაბულდა იასაულს და წავიდა იმასთან, ვისაც ხალხზე ზრუნვა და იმათი კეთილდღეობის დაცვა მიბარებული ჰქონდა, ქალმა ვერ მოასწრო ოთახის კარებთან მისვლა, როდესაც იასაულები უკანიდან მიეპარნენ და ერთი თვალის დახამხამებაზე შეიტანეს დიამბეგის ოთახში. დიამბეგმა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რაღაც მღელვარებით მოელოდა ქალის მოყვანას, ერთბაშად გაიღიმა. უმსგავსოდ და საზიზღრად გაიზმორა. „თქვენ წადით, კარგია.“ დაითხოვა იასაულები... იასაულები ვამოვიდნენ და პირუტყვს დარჩა საცოდავი ქალი, რომელიც მთლად კანკალებდა შიშისაგან და ვერ გამოერკვია თავის უბედური მდგომარეობა. დიამბეგი მივიდა, ჩაჰკეტა კარები და მოუბრუნდა ქალს, რომელსაც მოურიდებლად მოხვია მკლავები და ძალათი დასვა ტახტზე. ამის შემდეგ რა მოხდა იმათ შორის... ამაზე ლაპარაკი მომეტებული იქნება; მხოლოდ იმას კი გეტყვით, რომ იმ ღამეს ბატონი დიამბეგი მოიქცა როგორც უსინ-

დისო პირუტყვი, რომლისათვისაც ქალის ვნებას და ნამუსს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც დიამბეგი განსვენებაში იყო, ერთბაშად ფანჯარამ იჭექა, მინებმა ჰოიღეს პოლზე წკრიალი და ვიღაცა კაცი გადმოფრინდა ოთახში. იმის შევარდნაზე დიამბეგმა სპიჩკას გაჰკრა, აანთო სანთელი და იცნო გლახა, რომელიც ანანურის ციხიდან გამოქცეულიყო. იმას თვალები აგზნებოდა მეტის ჯავრისა და მწუხარებისაგან. რა წამს ცოლმა ის დაინახა, გაექანა ქმარს ხვეწნით, რომ ეშველა იმისთვის, მაგრამ ქმრამდის ველარ მიაღწია და დაეცა ქმრის ხანჯრით შუაზე გაჩეხილი. დიამბეგიც, რომელიც გულგახეთქილი ტახტის ქვეშ დამალვას აპირებდა, გამოათრია გლახამ, გაუყარა იღლიის ქვეშ ხანჯალი და დასძახა: „შენ კი ღორი იყავ და ღორსავით მოგკლავ“—ამ მწარე დღიდან გლახა გადაიკარგა იმ ადგილებიდან და იმისი უპატრონოთ დარჩენილი ძუძუთა ქალი იზრდებოდა ჯერ გულკეთილ მეზობლებისას, მერე კი ონისესთან“.

ვკითხულობთ ამ ეპიზოდს და ვგრძნობთ არა მარტო ერთი ადამიანის, არამედ მთელი ხალხის ტკივილებს. აქა სცემს ძარღვი იმ დიდი სულიერი ტკივილისა, რომელმაც კეთილი, მშვიდობიანი გლეხკაცი აიძულა ჩაედინა ბოროტმოქმედება არა მარტო დიამბეგის, არამედ საკუთარი ცოლის მიმართაც კი; მაგრამ განა გლახას მოქმედება ბოროტმოქმედებად ჩაითვლება? არა. დიამბეგის სიკვდილით მან შური იძია სიყვარულისა და ოჯახის განადგურებისათვის. რამდენი მორალური და სულიერი სიმაღლე ჩანს გლახას მოქმედებაში; იგი ჭეშმარიტი რაინდია, ხალხის სინდისისა და ნამუსის დაცვაში და როგორც ვაჟკაცს, არ შეეძლო შური არ ეძია დიამბეგზე; მაგრამ დიამბეგის სიკვდილმა გულმართალ გლეხკაცს ვერ გაუმრთელა გულის ჭრილობა. პირიქით: დიამბეგის სიკვდილით დაიწყო ახალ-ახალ ტანჯვათა მთელი სერია. სამშობლოში დარჩენა მას აღარ შეეძლო, ხოლო სამშობლოდან გაქცევა კი სიკვდილს უდრიდა. ეს გრძნობა საწამლავივით ღრღნიდა მის გულგვამს და არ ასვენებდა ფიქრი დაკარგულ სამშობლოზე. ვინ იცის იქნებ ამიტომ დამღეროდა ჩონგურს იმ მტანჯველ სიტყვებს, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. „ერთხელ სიკვდილი

სჯობია სულ მუდამ დაღონებასაო"; მაგრამ სიკვდილმაც დაიგვიანა და ბედგამწარებული მოხუცი მალვით აღამებდა უკანასკნელ, განუმეორებელ დღეებს. ალექსანდრე ყაზბეგმა გლახას ტიპით შექმნა ზოგადი ადამიანის სახე, რომლის შეხედვა სიამაყესა და სულიერ სიმაღლეს გვანიჭებს. ეს ადამიანი ყველაზე უფრო ახლოს, ყველაზე უფრო სრულყოფილად გვაგრძნობინებს იმ დროს, როდესაც ადამიანს მისი პირადი ღირსებით კი არ აფასებდნენ, არამედ მდგომარეობით, როდესაც პრინციპი ჭეშმარიტებისა და სიკეთისა განადგურებული და ფეხქვეშ გათელილი იყო.

ალექსანდრე ყაზბეგი ამ ეპიზოდის შემდეგ კვლავ უბრუნდება რომანის სიუჟეტს. ამ სიუჟეტში იაგო მოქმედების მთავარი გმირი ხდება, როგორც მკითხველმა იცის, ნუნუსთან უკანასკნელ „პაემანზე" იაგომ გადაწყვიტა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა ნუნუს დახსნისათვის. თუკი მშვიდობიანი გზით ეს პროცესი მოუხერხებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ „გულის საყვარელს" საჩეჩნეთში გაიტაცებდა. ეს გადაწვეტილება მტკიცე და დაურღვეველი იყო. ამ გადაწყვეტილებას ხელს უწყობდა ქალის თანხმობა, მაგრამ ყრმობის ილუზიები სრულიად შემთხვევით დაიმსხვრა „პაემანიდან" მიმავალ იაგოს დიამბეგი მძარცველად მიიჩნევს და აპატიმრებს. უსამართლობამ უკვე ჩასჭიდა თავისი ბინძური ხელი მოხევე იაგოს; მაგრამ იაგო მთიელი იყო და დიამბეგს ადვილად არ შეეძლო მისი გატეხვა. უსამართლობას იაგომ თავისი ალალმართალი გული დაუპირისპირა: მაგრამ იაგო ერთი იყო, უსამართლო ადამიანი კი ათასი. მორალურად იაგო გამარჯვებულია, ვინაიდან იგი მართალია საკუთარ სინდისთანაც და ხალხთანაც, მაგრამ, ფაქტიურად, ბრძოლაში დროებით დამარცხდა. ალექსანდრე ყაზბეგს სიუჟეტურად დიდებულად აქვს გახსნილი გაძარცვის მთელი საიდუმლოება; როგორც მკითხველმა იცის გაძარცვა დიამბეგის რჩევით და ლოცვა-კურთხევით მოხდა. პასუხისმგებლობა კი სრულიად უდანაშაულო იაგოს დააკისრეს. მზაკვრული მეთოდებით დიამბეგმა მოახერხა იაგოს სამი წლით ციხეში დამწყვდევა. ამის შემდეგ ნუნუ უპატრონოდ მიტოვებული დარჩა. თემი აღარ თემობდა და ამ ნიადაგზე

ვერც მფარველობას გაუწევდა. ამით ისარგებლა გირგოლამ და შეუდგა თავისი მზაკვრული გეგმების განხორციელებას. ალექსანდრე ყაზბეგი გადაკვრით გვანიშნებს გირგოლას სიყვარულს ნუნუსადმი; მაგრამ გირგოლას სიყვარულს საფუძვლად უდევს პატივისცემა არა ქალისადმი, არამედ სქესისადმი; მას უყვარს ნუნუ არა ნამუსისათვის, არამედ მისი ლამაზი სხეულისათვის. როცა გონების თვალით ვაკვირდებით გირგოლას სიყვარულს, არ შეიძლება არ დავინახოთ პათოლოგიური ელემენტი ამ სიყვარულში. ამასთან ერთად გირგოლას სიყვარული შეფერილია შურისძიების გრძნობით. ეს გრძნობა ქალთან პირველ შეხვედრისთანავე გამოააშკარავა.

„ქალაუ! რაისთვის გამირბიხარ, რაისთვი მერიდები?

„გამიშვი, „დაგიბრმა თოლები"—შებუზღუნა ნუნუმ.

„რაისთვის გეჯავრები, რაი დამიშავებია შენთვის?—გულნატკენად წარმოსთქვა გირგოლამ... დაღონებული თვალით გახედა მიმავალ ნუნუს და შურისძიების კილოთი წარმოსთქვა:

„გამტანჯე ღვთის მადლმა, მაგრამ ხელიდან მაინც ვერ წამიხვალ".

ეს არ იყო უბრალო მუქარა; გირგოლას ღონეც შესწევდა ქადილისა, მაგრამ გირგოლა გაქნილი ადამიანი იყო და ვიდრე ძალას მიმართავდა, მან ეშმაკური ხერხი გამოიყენა ნუნუს ნათესავების დასათანხმებლად. ქალს არ უყვარდა გირგოლას ძმა ნინია და თემის წესით ვერავინ დააძალებდა ნუნუს ამ კაცზე გათხოვებას. მაგრამ დარღვეულ თემს აღარ ჰქონდა ძალა მოქმედებისათვის და ბუნებრივად ნუნუს ბედი გირგოლას ხელში ჩავარდა.

„თემი შენი ჭირიმე,— დაცინვით წამოიძახა გირგოლამ:— ძალიან რამე არაა ჩვენი თემი!.. მე ზაკონით გესაუბრებით, ზაკონით... მაგრამ რას გელაპარაკებით, მაძლევთ ქალს თუ არა?—მიუბრუნდა ონისეს.

„ვინ გიჭერთ ქალსა, ვინა?—დაიძახა ონისემ, რომელმაც კარგად იცოდა გირგოლას ძალა.

„სულ ეგრე იძახით და ბოლო კი აღარა სჩანს.

„თუ კი არ უყვარს შენი ძმა, საიდგან უნდა მისცე?—ჩაუშატა პაპამ".

„არა პაპაისი, ჩვენ მაგის დღე არა გვაქვს, რომ ქალი დაუპიროთ—წარმოსთქვა მახიამ.

„ეგ ხელმწიფის სამსახურშია, წარმოსთქვა ისევ ონისემ, ჩვენ მაგასთან ბრძოლის თავი ვინ მოგვცა? დეე, წაიყვანოს ის ქალშავა.

„რაი სთქვი ეგა? — წამოხტა გაჯავრებით პაპა. — ფუი შენ ნამუსს! ქუდი აღარ გხურავს თავზე? დიაცი ყოფილხარ ონისე, დიაცი. ძალამ როგორ უნდა შეგაშინოს, რომ ოჯახიდან ქალი გაიყვანო და ისეთ კაცს მისცე, რომელიც თქვენ ქალს არ უყვარდეს?.. აჰუ! მშიშარა ყოფილხარ, მშიშარაი, მოკვდეს შენისთანა კაცი!.. ხელის ქნევით და სიბრაზით წარმოსთქვა პაპამ.

„რაისთვის ჯავრობ პაპაისა!.. დაიწყო მახიამ: — მაშ, ისა სჯობს, რომ ყველანი ციმბირში გაგვგზავნოს ერთაი ქალშავას გულისათვის?

„ციმბირს რაისთვის გაგზავნიან?.. მაშ სამართალი აღარ ყოფილა, ხალხი გაწყვეტილა?—ცხარდებოდა პაპა:—ემისთანა მაიმუნებმა უნდა შეგვაშინოს? ვაი ჩემო ყმაწვილ-ბიჭობავ".

მოხუცის პირით აქ ძველი თემი ლაპარაკობს, მაგრამ ცარიზმის მიერ შემოღებულმა უცხო წესებმა ძალა დაუკარგა თემობას, მეფის სამსახურში მყოფი იასაული გირგოლა ამიტომ დასცინის თავგამოდებულად თემის წესსა და მორალს. თემობის წინააღმდეგ გირგოლამ არ დაინდო ქალის პატიოსნება და ნუნუ ძალით მოიტაცა გერგეთის მთიდან. მოტაცებული ქალი გირგოლამ სახელგანთქმულ არშის ციხეში ჩაჰკეტა და საკუთარი თავი დამშვიდებულად იგრძნო. ამ ეტაპიდან იწყება ნუნუს ჯოჯოხეთური ტანჯვა. როგორც მკითხველმა იცის, ნუნუ გირგოლამ საკუთარ ძმის ცოლად მიიყვანა, მაგრამ ყოველივე ეს ნიღაბი იყო გირგოლასათვის. ფაქტიურად ქალი საკუთარი ვნებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად მოიტაცა. ამგვარი მოქმედებით გირგოლამ სინდისი, პატიოსნება, ხალხის მორალი—აბუჩად აიგდო და მსხვერპლად შესწირა საკუთარ პირუტყვულ გრძნობას, როგორც უნამუსო ადამიანმა—ისარგებლა ქალის უმწეო მდგომარეობით და ძალით მოისურვა ნუნუს დამორჩილება. ჯერ ცბიერებისა და ვერაგობის

გზით, შემდეგ კი ძალით სცადა განზრახვის სისრულეში მოყვანა.

„რაისთვის არ გიყვარს შენი ქმარი, — ჰკითხა გირგოლამ.

„მე ქმარი ჯერა მყავს, — მისცა მოკლედ პასუხი ნუნუმ.

„ღვთის მადლმა მართალს უბნობ! — უპასუხა გირგოლამ და გადაიხარხარა,—ეგეთი ქმარი გინდა იყოს და გინდა არა... შენ ეგეთი ქმარი კი არ გინდა, აბა რა კაცია ჩემი ძმა?

„მაშ რაისთვის-ღა მომიტაცეთ, რაისთვის ჩადექით ჩემ ცოდვაში? — დაღონებით და საყვედურით უპასუხა ნუნუმ.

„რაისთვი? — იკითხა გირგოლამ და ჩაიცინა.

„ჰო, რაისთვი!.. გირგოლა გაფითრდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ წყნარად, მაგრამ გარკვევით უთხრა:

„იმისთვი, რომ მიყვარხარ...

ნუნუ არ მოელოდა ამ პასუხს... გირგოლა წამოდგა და გაიარ-გამოიარა.

"რათ არ ჩამომეხსნები, რაი გინდა ჩემგან?

„შენი სიყვარული.

„შენ... შენ შეგიყვარო!.. შენ, რომელმაც დაღუპე, ცოცხალი მიწაში დამარხე, იაგო?!. შენ, რომელმაც უღმერთოდ დამიბნელე დღე? შენ, რომელმაც იმედი გადამიწყვიტე ყოველ სიხარულზე... რაიღა პირით მეუბნები, რომ შეგიყვარო.

„ძმაც შენი გულისათვის დავკარგე, ქვეყანასაც შენთვის გამოვაკლდი...

„შენს ძმაზე რაღად დამწერე ჯვარი თუ კი შენ გიყვარდი?.. გააწყვეტინა აღელვებულმა ნუნუმ:—ეგეც ჩემი სიყვარულით მოგივიდა?

„ჰაი, ჰაი რომ შენი სიყვარულით... მე ჯვარდაწერილი ვიყავ, მეორეთ აღარ დამწერდენ ჯვარსა. ცოლიც შენი გულისათვის გავაგდე, ჩემს ძმაზედა შენი სიყვარულით დაგწერე ჯვარი... ჩემი ძმა მე ვერ მომშორდების და იმას კი ჯვარდაწერილი ცოლი".

ნუნუ ისეთივე გრძნობით რომ ჰყვარებოდა გირგოლას, როგორც იაგოს უყვარდა, მაშინ იგი ძალით არ მოინდომებდა ქალის დამორჩილებას. ჭეშმარიტი სიყვარული მოწინააღმდეგე სქესისა აიძულებს მიჯნურს პატივისცემით მოექცეს თავის

გრძნობას, ძალდატანებისათვის აქ ადგილი არ რჩება, გირგოლას კი ძალდატანება მიაჩნია ერთადერთ საშუალებად ქალის დასამორჩილებლად. რა აიძულებს გირგოლას ასე სასტიკად მოექცეს ნუნუს? ალექსანდრე ყაზბეგს არა აქვს მოცემული მიზეზი, რომელიც იწვევს გირგოლას გაღიზიანებას და გაბრაზებას. ვინ იცის, იქნებ გირგოლას ოდესღაც ნუნუ უყვარდა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა სიყვარულზე! იქნებ ამ მდგომარეობამ გააბოროტა გირგოლა? მაგრამ ერთი უდაოა, გირგოლას სიყვარული შურისძიების ემბაზშია განბანილი და ის ბოროტმოქმედების დამღით არის დაღდასმული. ბოროტმოქმედი გრძნობა აიძულებს გირგოლას, ძალით მოსპოს ადამიანი, რომელსაც იგი ვერ მისწვდა; მის შემდგომ ურთიერთობას ნუნუსთან ბიძგს აძლევს არა სიყვარული, არამედ შურისძიება. ჩვენ არ გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ გირგოლა არ განიცდიდა მდგომარეობისაგან გამოწვეულ ტკივილებს, პირიქით: მისი გრძნობა მძაფრია და თავშეუკავებელი, მაგრამ ამ გრძნობას აკლია ბუნებრიობა და ჭეშმარიტება. დაუკმაყოფილებელმა სურვილმა გირგოლას ადამიანური სახე დაუკარგა და შურისძიების გზაზე დააყენა. გირგოლა რომ სულიერად მაღალი და ჭეშმარიტი სიყვარულის მატარებელი ადამიანი ყოფილიყო, მის გვამს საწამლავივით არ დაღრღნიდა შურისძიების გრძნობა, მიუწვდომელი სურვილი ადამიანების ერთ ნაწილს აბოროტებს და შურისძიების გზაზე აყენებს. შექსპირმა იაგოს სახით დიდებულად დაგვიხატა ადამიანის ამგვარი ტიპი. მიუწვდომელმა სურვილმა იაგოს ბოროტი სული ჩაუდგა. იაგოს უყვარს დეზდემონა, მაგრამ დეზდემონა მისთვის მიუწვდომელია; და რაკი მიუწვდომელია მისი სიყვარული, იგი შურისძიებად იცვლება.

ევრიპიდეს მედეაც სიყვარულის ძალამ დააყენა ბოროტებისა და შურისძიების გზაზე. ევრიპიდეს ტრაგედიაში მედეა ქოროს პირდაპირ უცხადებს, რომ ქმრის ვერაგობამ აიძულა შურისმაძიებელი გამხდარიყო, მედეა საკუთარ შვილებსაც კი იმეტებს სასიკვდილოდ, რათა დატანჯოს იაზონი და დაუკარგოს მას შთამომავლობით გამოწვეული სიხარული, მედეას სულიერ სამყაროში ერთიმეორეს ებრძვის ქმრის მიერ შეუ-

რაცხყოფილი ცოლი, მოვალეობის გრძნობა და გრძნობა მშობლისა, რომელსაც უანგაროდ უყვარდა საკუთარი შვილები, როგორც ქმრის მიერ შეურაცხყოფილ ცოლს—მედეას შურისძიება ამოქმედებს, მაგრამ როგორც დედას არ სურს შვილები მსხვერპლად შესწიროს შურისძიებას. მშობლიური გრძნობა უძლური აღმოჩნდა შურისძიების გრძნობასთან ბრძოლაში; მედეა ჰკარგავს ყველა დადებით მხარეებს და ჯოჯოხეთური ძალით მიისწრაფვის შურისძიებისაკენ. ბოროტი განზრახვა სისრულეში მოიყვანა და ამით იძია შური დაკარგული სიყვარულისათვის.

ფსიქოლოგიური პრობლემა მიუწვდომელი სიყვარულის შესახებ, რომელიც ადამიანს აიძულებს ბოროტმოქმედების ჩადენას, ოღონდ დააკმაყოფილოს სუბიექტური სურვილი, მთელი თავისი ტრაგიკული შინაარსით ალექსანდრე ყაზბეგმა დააყენა „მამის მკვლელში“. ამასთან ერთად ყაზბეგმა ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს გვაჩვენა მისი საშინელი შედეგები.

გირგოლა, რაკი მიუწვდომელმა გრძნობამ ბოროტების გზაზე დააყენა, ცდილობს რაც შეიძლება მეტი ვნება მიაყენოს ქალს, რომელიც გახდა მიზეზი მისი ტანჯვისა, იგი დემონივით მუდამ თან სდევს ნუნუს და მურმანივით ხელს უშლის ორი არსების შეერთებას. ციხიდან გაქცეული იაგო ვაქკაცურად აღუდგება წინ გირგოლას ავაზაკურ სურვილს და დაიხსნის ნუნუს მისი ბრჭყალებისაგან, მაგრამ ეს იყო დროებითი სიხარული მიჯნურისა. შურისმაძიებელი გირგოლა კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე. მუხანათური გზით, რამდენიმე ყაზახთან ერთად, თავს დაესხა იაგოს და გააფთრებულ ბრძოლაში იაგო სასიკვდილოდ დაჭრა. კვლავ გირგოლა გახდა ნუნუს მბრძანებელი. გირგოლამ კარგად იცოდა, რომ ვიდრე იაგო ცოცხლობდა ამ ქვეყანაზე, მისი მოსვენება შეუძლებელი იქნებოდა, ავაზაკური გზით ცდილობდა გირგოლა იაგოს ხელში ჩაგდებას და გაციმბირებას; ამ მიზნით გირგოლამ სცადა მოხვედრა მწყემსებთან დაახლოება და მათი საშუალებით იაგოს დაპატიმრება. მაგრამ მწყემსთა სარჩალმა ასეთ მოქმედებაზე უარი განაცხადა, რადგანაც მოძმეთ გაცემა მის ბუნებას არ ეგუებო-

და. როცა ვკითხულობთ გირგოლასა და სარქალ შიოლას დიალოგს, ვგრძნობთ, თუ რა დიდი მორალური ძალა იფარება ხალხის გულში.

„გირგოლაისი, პირდაპირ მითხარ, რაი გინდა ჩემგან?

„აგრე... პირდაპირ გეტყვი... მე მაგ მთის საქმეს გაგირიგებ, შენ იაგოს დაჭერა მიშველე.

„მე გიშველო? — ფიქრით უთხრა შიოლამ.

„ჰო, შენ.

„მე საით უნდა გიშველო? საით შემიძლიან?

„თუ მოინდომებ კიდევაც შეიძლებ, იაგოს ცხო დღე არ აქვს, თუ მეცხვარეობაში არ აიარა, ბარად ისე ვერ ჩამოვა, როცა გესტუმრებათ, ჩუმად შემატყობინე და მეც ყაზახებით თავს დავესხმები.

„რაი?—მოკლედ იკითხა მეცხვარემ.

„როცა გესტუმრება — შემატყობინე-მეთქი.

„სტუმარს ვუღალატო? პურმარილი ვგმო? რას მესაუბრები გირგოლაისი.

„რაია, რისი გეშინის?

„სუ... აღარ განიმეორო? — წარბებ შეჭმუხვნით წარმოსთქვა შიოლამ; — შენ იძახდი საქმეს გაგირიგებო, ძალიან კარგი — გამირიგე და დაასახელე გასამრჯელო, რამდენი ცხორი, გინდა ფული სთქვი, სტუმრის ღალატი კი არ შემეძლების.

„შენ იცი, მე იაგოს დაჭერის მეტი არა მინდა რა.

„აბა მაშ ვერ მოგატყუებ, თუ იაგო მესტუმრება, პური და მარილი გასტეხა ჩემთან, იმას ვეღარ უღალატებ.

„მაშ ის მაინც მითხარ, სადაა ეხლა?

„ღმერთს არ მოეტყუების, არ ვიცი და თუნდაც ვიცოდე კიდეც, არ გეტყოდი.

„რაისთვის არა, რაისთვი?

„იმისთვი, რომ იაგო ყველგან განთქმულია, ყველას საყვარელი, შენ კი ურჯულებს უნდა მისცე ხელში. შენთვის რომ დაეშავებინა რამე, როგორც მეზობელი ვეცდებოდი მომერიგებინე, მაგრამ შენთვის იმას არ დაუშავებია რა; ეშმაკის მუშა გამხდარხარ და მეზობელს დასაჭერად დასდევ.

„შიოლაუ! ნაჩალნიკს ეგრე აქვს ჩაგონებული, რომ იაგო შენთან იმალება, შენთან დადის.

„რაი საკვირველია, რომ აქ დადიოდეს? იაგო ჩემი მოძმეა, ჩემი მეზობელი. იმას შარსა სდებენ, ტყუილ უბრალოდ აწვალებენ და რაი საკვირველი იქნებოდა, რომ დამემალა.

„ნუ შიოლაუ, აგრე ნუ, თორემ დაგღუპავენ, დაგანელებენ...

„რაიც უნდა მიყონ, თუ სტუმრად მეწვია ვინმე, ეღარ ვუღალატებ.

„გაფრთხილდი.

„რაიღა გავფრთხილდე? ჰამული აღარ შემარჩინეს და საცხოვრებელი, ახლა სტუმრის მოღალატეც უნდა გამხადონ?

„გადაწყვეტილია, არ გვიშველი რაღა?

„არა.

„მაშ დიამბეგთან უნდა წამოხვიდე.

„რაისთვი?

„ეგრე მაქვს დაბარებული... ჩამოდი, თავად მოელაპარაკე.

„არ წამოვალ, — უპასუხა შიოლამ და ამ სიტყვების შემდეგ ის წამოდგა და გაემართა ცხვარ-ბინისაკენ.

„შიოლაუ, დიამბეგი გიბარებს უნდა წამოხვიდე,

„არ წამოვალ.

„წამოხვალ კი არა, მეტსაც იქმ.

„ღვთის მადლმა არ წამოვალ...

„აბა დაიჭირეთ! — უბრძანა გირგოლამ იქ მყოფ ყაზახებს და ისინიც მისცვივდნენ, მწყემსი გადახტა უკან გაიძრო ხანჯალი და შესჭყიტა.

„მოდით, ვისაც თავი არ გებრალებად!

ყაზახებმა... ცოტა უკან დაიწიეს, ამ ხანში მოსცვივდნენ მწყემსები, და კომბლებ მომარჯვებულნი გვერდში მოუდგნენ თაყიანთ სარჭალს.

„გაგვშორდი გირგოლაუ! — დაუძახა შიოლამ. — სტუმრად მოსულხარ, პატივი გვიცია და ეხლა კი თავი დაგვანებეთ.

„დაიჭირეთ-მეთქი! — პასუხის მაგივრად ყაზახებს შეუტია გირგოლამ. ყაზახებიც წახალისდნენ ამ ბრძანებით, მიიწიეს, მაგრამ მწყემსების გრძელი კომბლები ერთბაშად სეტყვასა-

ვით წამოვიდა, ყაზახებმა იშიშვლეს ხმლები, მაგრამ მწყემსები გრძელი შვინდის კომბლებით განზე გაუდგნენ და ახლოს არ იკარებდნენ. ამ ყვირილზე და ხმაურობაზე ჩამოცვივდნენ დანარჩენი მწყემსები და დაირეკეს ყაზახები ცემა-ტყეპით".

ეს ეპიზოდი ძლიერ ახლოს გვაგრძნობინებს ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის მორალურ ძალას. ერთ მხარეს დგას შიოლა, ეს კეთილშობილი ადამიანი, რომელიც თავის „მე"-ში აერთიანებს ხალხის საუკეთესო თვისებებს, მეორე მხარეს კი გირგოლა, უარმყოფელი თავისი ქვეყნისა, მგმობელი ხალხისა, შიოლას ვაჟკაცური პასუხი გირგოლასადმი, ერთი ბრწყინვალე მოწმეა ხალხის ნებისყოფის სიმტკიცისა, მისი გაუტეხელობისა, მლიქვნელობა, გაიძვერობა, სიმხდალე, უნებისყოფობა, უპრინციპობა და სხვა მდაბალი ადამიანური თვისებები უცხოა შიოლასთანა ადამიანებისათვის. გირგოლა კი სწორედ ამ სიმდაბლემ, მისმა ავკაცურმა ღირსებებმა დააწინაურეს, პირადი დაწინაურებისა და ანგარების მიზნისათვის გირგოლა მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი სისაძაგლე, ერთსა და იმავე მომენტში იგი მუხლებზე ხოხავს თავის უფროსის წინ და ამავე დროს ბრძანებლობს საკუთარ ხელქვეითებს. უფლებიანთან გირგოლა მონაა, უუფლებოსთან კი ბატონი. „ჩინმენდლები" და კარიერა მისი სტიქიაა. გირგოლა ჯოჯოხეთური ძალით მიისწრაფის ზედა წრეებისაკენ, რათა თავისი მოღალატე პიროვნება დაჰფაროს გარეგანი ბრწყინვალებით. ამ გზაზე იგი არ ინდობს საკუთარ ძმასაც კი და მზად არის ყოველგვარი ბოროტების ჩადენისათვის. გირგოლა თავის ეპოქის შვილია და როგორც მედროვემ გამონახა უმოკლესი გზა მეფის მოხელეთა მფარველობით უმაღლესი კარიერის მისაღებად. ლტოლვამ კარიერისაკენ გირგოლაში ჩაჰკლა ყველა ადამიანური გრძნობა — გარდა ბოროტი გრძნობისა. შეიძლება გირგოლასათვის ეს ბოროტება თანდაყოლილი თვისება არ იყო, მაგრამ რაკი მაძებარი შეიქმნა კარიერისა, ბოროტება მისი ორგანული ნაწილი გახდა. შურისძიება გირგოლას თავმოყვარეობის გრძნობას აღიზიანებს და ბოროტების არტახებით ბოჭავს. ყაზბეგმა, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, გულთამხილავის წინაგრძნობით იცოდა გირგოლას სულიერი მოძრა-

ობა, მისი ვნებათა ღელვა. მოიგონეთ არშის ციხიდან ნუნუს გაპარვის ეპიზოდი, ამ ნიადაგზე გირგოლას გაბოროტება და მაშინ დარწმუნდებით თუ რა დიდი შურისძიების სურვილი დაეუფლა გირგოლას მთელ სხეულს. შურისძიების გრძნობამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია სწორედ იმ მომენტში, როდესაც გირგოლამ ნუნუს ადგილსამყოფელს მიაგნო, წარმოიდგინეთ ბოროტება არაკეთილშობილი კაცისა, რომელსაც მიზეზი აქვს ძიებისა და საძიებელი საგანი კი ვერ უპოვია. გირგოლამ, რაკი ქალის კვალს მიაგნო, დაიწყო ფიქრი, თუ როგორ დაესაჯა თავისუფლებისმოყვარული ნუნუ, გირგოლას სურვილი იყო ნუნუს მოკვლა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ამ სიკვდილით ქალს მხოლოდ რამდენიმე წუთით დასტანჯავდა; გირგოლას კი სწორედ ქალის გამუდმებული ტანჯვა აინტერესებდა. პირვანდელ განზრახვას გვერდი აუხვია და ქალის სატანჯველად სატანისებურ ხერხს მიმართა. გირგოლამ მოჰკლა ნუნუს მამა, მაგრამ მკვლელობა ისეთ ფორმებში მოხდა, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა ნუნუ იცნეს დამნაშავედ, მოხუცი მამის მკვლელად.

სასამართლომ სრულიად უდანაშაულო ნუნუ დამნაშავედ სცნო დ საკატორღო მუშაობა მიუსაჯა. როცა ვკითხულობთ ნუნუს ჩვენებას სასამართლოში, ვგრძნობთ უდანაშაულო ადამიანის საშინელ ტრაგედიას, სასამართლო გამოძიების მთელი პროცესი ისე წარიმართა, რომ მართლმსაჯულების მახვილი გადაწყდა ალალმართალი ადამიანის თავზე, ალექსანდრე ყაზბეგი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს სასამართლო გამოძიების შემაძრწუნებელ ისტორიას. „ამ დღიდან დაიწყო გამოძიება, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ნუნუ გარყვნილი და ცუდი ყოფაქცევისაა, მოვიდა თავის მამასთან, რომელსაც გლახობით დიდი ფული ჰქონდა მოგროვილი, მოკლა მამა და ფული თავის საყვარელს მიაბარა. „წარსულ ღამეს მე და მამაჩემი გათენებამდის ვისხედით, ბოლოს ძილმა თავი მოგვეგრა, და როდესაც მეორე დღეს გამომეღვიძა, წყნარად გავედი კარებზედ, დავიბანე პირი და იქ დავჯექი რამდენსამე ხანს, მაგრამ რაკი მამა არ იღვიძებდა, შევედ სანახავად, როდესაც ახლოს მიველ, ფეხებთან ტალახი იყო, დავიხედე ხელ-

ზე და სისხლში მქონდა გასვრილი, შეშინებულმა ჩამოვგლიჯე ფანჯრიდან ჰილობი და ვაგლახად დავრწმუნდი, რომ მამაჩემი ვიღაცას მოეკლა". ასე ამბობდა, ასე ლაპარაკობდა ქალი, — განაგრძობს ყაზბეგი, — მაგრამ ვინ დაუჯერებდა იმას, სად, ან ვინ იყო მოწამე?.. ეჭვი არ არის რომ ნუნუ ჰამის მკვლელია — იძახდა ნაჩალნიკი, გამომძიებელი, ხალხი და მსაჯული... ერთ დღეს ვლადიკავკაზის ქვევით ბაზარში აეშენებინათ რაღაც ფიცრის ესტრადა და ზედ აემართათ აჭრელებული ბოძი, რომელსაც მსხვილი ასოებით ეწერა: „სამარცხვინო ბოძი", ხალხი გროვდებოდა აქ და ხმამაღლა ჩათვლით კითხულობდა ამ სიტყვებს. „რა არის ეს ბოძი, რა იქნება აქ", — წამდაუწუმ მოისმოდა ხალხში, რომელსაც თანდათან ევატებოდნენ ახლად მოსულნი და რაღაც მღელვარებაში შედიოდნენ, ბევრმა არ იცოდა რა უნდა მომხდარიყო აქ, მაგრამ მოელოდა. ბოლოს, როდესაც ხალხი შეინძრა, მოისმა ბარაბანის ხმა და დაიძახეს: „მოჰყავსთ", მოჰყავსთ", ყველა იქით მიბრუნდა... და მაყურებლის თვალწინ წარმოუდგათ რაღაც უცნაურად გაკეთებული მაღალი პოვოსკა, რომლის ზევითაც ვიღაც დედაკაცი უკუღმა იჯდა ტუსაღის ტანისამოსში; ჯვარედინად გადაგდებული ჰქონდა ღვედები, რომელთაც გულზე ეჭირათ ფიცარი ხვედ წარწერით: „მამის მკვლელი". თვითონ ტუსაღს იქამდინ ჩამოვარდნოდა გულზე თავი და თავის სახვევი წამოჰფარებოდა თვალებზე, რომ სახე არ უჩანდა. ჯალათი, პირბუტყეულის და მოღიმარის სახით, გვერდს უჯდა, ეოხუნჯებოდა ქალს. ბოლოს იმან მკაცრად გადასწია ხელსახოცს, გადაუღუნა უკან თავი და ხალხმა დაინახა ფერწასული, გონება-მიბნდილი ქალი, რომლისთვისაც... მწუხარებასა და სატანჯველს შესაზარად დაემახინჯებია სახე. აშკარად სჩანდა, რომ ის ვეღარას გრძნობდა, რადგანაც რა ჯალათმა ხელი მოაშორა თავს, ის ისევ ყინწმოწყვეტილსავით გულზე ჩამოუვარდა. პოვოსკა გაჩერდა ესტრადის წინ და ქალი ჩამოათრიეს, რადგანაც სიარულს თავი არ ქონდა, აიყვანეს ესტრადაზე და ისე მიაკრეს ბოძს, რომ ზემდგომს ემსგავსებოდა. „ქუდები", — დაიძახა ერთმა და ყველამ მოიხადა ქუდები, სამხედრო წოდების ხალხი გამოიჭიმა და მარჯვენა ხელი მიიტანა ქუდებთან. ნაკერ მუნდირში

გამოვიდა ვიღაც კაცი და დაიწყო გადაწყვეტილების კითხვა, რომელიც ხალხს აუწყებდა, რომ „ნუნუ მამის კვლისათვის საუკუნოთ იგზავნებოდა ციმბირში, მადნებზე სამუშაოთ"... სალხში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდით. გაჩუმდა ყველაფერი, თვითონ ნიავიც კი შესწყდა... ყველას გული წარმოუთქმელად სძგერდა და რაღაცა შემაწუხებელ მდგომარეობაში იყო, ამ საერთო სიჩუმეში გამოვიდა მოხუცებული, თეთრი წვერით მღვდელი, შემოსილი შავის სამოსელით; ამას ხელში ეპირა ჯვარცმა და დაღვრემილი, ფერმიხდილი და შეწუხებული სახით მივიდა უბედურთან. ყველანი მოშორდნენ".

„ნინო!—ჩასძახა მღვდელმა: — ნინო! — გაიმეორა იმან და მოჰკიდა ხელი. ქალი შეკრთა, გაახილა თვალები, აიღო ცოტათი თავი და მიხრწნილი ხმით ძლივს წარმოსთქვა:

— წყალი, ცოტა წყალი ღვთის გულისათვის! იმას დაალევინეს წყალი.

„შვილო! შენ ახდილი გაქვს ყოველი უფლება, შენ ცოცხლებს აღარ ეკუთვნი... მოინანიე შენი ცოდვა, რომ ზეციურმა მამამ შეგინდოს.

„რა ცოდვა? — დაფანტვით წარმოსთქვა ნუნუმ და მწარის ღიმილით დაუმატა: — ჰო, მე ხომ მამა მოვკალ, მე მამის მკვლელი ვარ!..

„მითხარ აღსარება, რა გაწუხებს?! მე მლოცველი ვიქნები შენი სულისათვის, მე შეგავედრებ ზეციურ მამას, რომ მოგიტევოს ყოველისფერი.

ამ სიტყვებზე ნუნუ თითქოს მოცოცხლდა.

„ჯვარი მომეც, — მიუშვირა იმან ხელები. მღვდელმა მიაწოდა ჯვარი და ნუნუს რაღაც ცეცხლით თვალები აენთო. ის მისწვდა ჯვარს, მიიკრა ტუჩებზედ და საკმაოდ მაღლა, თუმცა ხმის კანკალით წარმოსთქვა:

„ვფიცავ გულთამხილავს, ზეციურ მამას, ვფიცავ ამ წმინდა ჯვარცმას, ვფიცავ ჩემს ნამუსს, ვფიცავ იაგოს სულს, — მე დამნაშავე არა ვარ!...

ამ სიტყვების შემდეგ მას გააჟრჟოლა, ძალზე მიიკრა ჯვარი ტუჩებზედ. გაიჭიმა, გაიხრიალა და მოეშვა ისევ. ხელები

ჩქარა ჩამოუქანდნენ და მღვდელმა მიაშველა ხელი, რათა ჯვარი ძირს არ დაცემულიყო. ის დააცქერდა საცოდავს წამებულს და მრთოლვარეს ხმით წარმოსთქვა „განუსვენე უფალო მხევალსა ამასა შენსა“. გადაიწერა პირჯვარი და მოშორდა. როდესაც ჯალათი მოვიდა, გახსნა შეკრულობა, ნუნუ მუხლმოკრილივით დაეცა ძირს: მწუხარებასა და სირცხვილს ვეღარ გაუძლო მისმა გულმა და უკანასკნელმა მღელვარებამ ბოლო მოუღო!.. მაშ ვინ იყო გლახას მკვლელი?... მსაჯულნი დარწმუნებული იყვნენ, რომ ქალი, და ხალხში კი ეჭვი შევიდა.

მეორე, მესამე დღეს ამ შემთხვევის შემდეგ, ბუთხუ'ხის ჩუესთან გამალებული ტროიკა მიდიოდა, რომელსაც მიჰყავდა ხევის დიამბეგი და გირგოლა. ისინი ლაპარაკობდნენ წარსულ შემთხვევაზედ. მაგრამ გირგოლა, რომელიც გაფითრებულიყო, თავს არიდებდა და უგუნებოდ უპასუხებდა. ის დაესწრო ნუნუს სიკვდილს, და კაცობრიულმა გრძნობამ გაუარა გულში. ამ დღიდან ის მოსვენებას ვეღარ პოულობდა და ყველგან ნუნუს სახე ეჩვენებოდა. ამ რამდენიმე დღეში ის ისე ჩამომდნარიყო, ისე შეწუხებულიყო, რომ ადამიანი ვეღარ იცნობდა“.

„რა მოგივიდა. ავად ხომ არა ხარ?—ჰკითხა დიამბეგმა.

„ჰოო, შეუძლოთ გახლავარ რასმე.

„ნუ გეშინიან, აი მივალთ შინა და მალე მტერი მოგიკვდეს, მალე იუნკრობა მოგიტანინო.

შენი წყალობა მომცეს ღმერთმა, — რაღაც უგუნებოთ უპასუხა იმან.

ისინი გვერდი-გვერდს ისხდნენ, რადგანაც წინ სხვა ყაზახი უჯდათ. გირგოლამ ვერ გაათავა უკანასკნელი სიტყვები, როდესაც ტყიდან გავარდა თოფი, გახვრიტა დიამბეგი, რომელიც გადმოვარდა ტროიკიდან და გვერდში დაჰკრა გირგოლა, რომელმაც გაიგონა ხმა:

„მე ვარ კობა! ორნივ მე განაცვალეთ იაგოს“.

ამ სიტყვებით ის გაჰქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილიყოს; მკვდარი დიამბეგი და სასიკვდილოდ დაჭრილი გირგოლა კი წაიღეს შინ ცოცხალმკვდარი,

მიიტანეს სტეფანწმინდაში... პირველი მისი სიტყვები იყო მღვდლის მოკითხვა, რომელიც იმ წამს მოვიდა. ყველანი გამოვიდნენ, მარტონი დარჩნენ, მოძღვარი და მოწაფე. გირგოლა წარმოუდგენელ აღშფოთებაში იყო, როდესაც მოძღვარი მოუახლოვდა, ამოიღო ზიარება და იმის შიშით, რომ უზიარებელი არ მომკვდარიყო, უნდოდა მაშინვე მიეღებინებინა წმინდა საიდუმლო.

„ღირსი არა ვარ, მამაო!

„შენს მდგომარეობაში ყველა ქრისტიანი ღირსია, შვილო.

„არა, სანამ აღსარებას არ გეტყვი, არა... ოხ, თუ ღმერთმა შემაძლებინა ყველაფრის თქმა, ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიახლოვდება.

„სასიკვდილო რა გჭირს შვილო!.. მაგრამ აჩქარდი, მოინანიე, ღმერთის გულუხვობას ვინ მიწვდება, ის მოგიტოვებს, ის გაპატიებს.

გირგოლა კარგახანს წვალობდა, და ბოლოს ძლივს დაიწყო:

„იაგოს მე მოუგონე ქურდობა, მე განგებ შევწამე ცილი, რადგანაც ნუნუ ჩემთვის მინდოდა... ეხლაც მე გავაწყვეტინე იაგო და მისი ამხანაგები... ნუნუს შამაც მე მოვკალ და ქალს გადავაბრალე... ილოცე, მღვდელო ჩემი სულისათვის, ილოცე!..

„ოო, შვილო!... ვილოცავ, ვილოცავ...

„როგორ გგონია—ღმერთი მაპატიებს?

„ღმერთი მოწყალეა, ღმერთი დიდია!..

„გააგებინე ყველას, რომ მათხოვარა გლახას მკვლელი მე ვარ, რომ ნუნუს ბრალი არ ქონდა მის სიკვდილში... მე დასამალად არ გეუბნები აღსარებას... როდესაც იაგოს და მის ამხანაგებს ცეცხლი წაუკიდეთ... მე... გულმა ვეღარ მომისვენა, წავედი გლახას სახლში... ქალსაც და მამასაც ეძინა... მე მინდოდა ორნივ მომეკლა... მაგრამ ვიფიქრე... ერთი წუთის წვალება განა გადამიხდიდა მთელი სიცოცხლის სატანჯველს?.. მე მიყვარდა ნუნუ... ოო როგორ მიყვარდა... იმან უარმყო. იმან სხვა ირჩივა ჩემს თავს, მე თავმოყვარე, თავმომწონე ვიყავ... ვეღარ გაუძელ სატანჯველს... მაშინ, ვიფიქრე, რომ მამა... მომეკლა... გამოვპარულიყავი და მისი

სიკვდილი ქალისათვის დაებრალებინათ... იმას გააწვალებდნენ და მე მეგონა ეს დამაკმაყოფილებდა... მაგრამ აი რა დღეში ჩავარდი... სიცოცხლე არ მენანება, მაგრამ საიქიოს რა პირით წარვსდგე?.. ამ სიტყვებით ის ჯერ მიიღუშა, მერმე წამოიძახა:—აგერ!.. გლახა... არ მასვენებს, ის მომდევს; თვალები მოუქცევია ჩემსკენ... ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ! თანდათან სუსტდებოდა გირგოლა და ბოლოს მწარე ქვითინად გადაექცა... იმან გაკმინდა ხმა, გადავარდა ლოგინზე და რამდენსამე ხანს ისე თავდავიწყებაში იყო; ბოლოს წამოიწია, გადაისვა შუბლზე მრთოლვარე ხელი, გადაიწმინდა ჰირის ნაკადული და წუნარად წარმოსთქვა:

— ღმერთო რა რიგად ვიტანჯები!.. და მოუბრუნდა მოძღვარს, — მერგება ზიარება?

მღვდელმა მიუტანა პირთან კოვზი.

„მიიღე, შვილო, გერგება და კიდეც დაგამშვიდებს.

„მამაო! ერთბაშად წამოიძახა იმან; — მაშ ღირსი ვარ?.. მომეც. — წაიწია მღვდლისაკენ, მაგრამ ერთბაშად გაიძაბა, წასწვდა გულს, ყელს, თავს და გადავარდა უკან“.

„ნუნუ, გლახა!... მიშვე-ლე! და სიტყვები ხრიალად გადაექცა... კიდევ ერთი გაბრძოლება, გაზმორება, დახრიალება ყელში და გირგოლა გათავდა“.

ეს ეპიზოდი რამდენადაც ძლიერია მხატვრული ეფექტით, იმდენად იგი ამაზრზენია თავისი ხასიათით. აქ გადალახულია ყოველგვარი ზღვარი ადამიანობისა. მიუწვდომელმა სურვილმა ადამიანურ ნებისყოფას ბორკილი დაადვა და შურისძიების გრძნობას გზა გაუხსნა მოქმედებისათვის. აღსარება გირგოლასი ადასტურებს, რომ მას მართლა უყვარდა ნუნუ. „მე მიყვარდა ნუნუ, ოო, როგორ მიყვარდა“ — ამბობს გირგოლა; ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ გირგოლას სიყვარულს არავითარი მსგავსება არა აქვს ჰეშმარიტ, ბუნებრივ სიყვარულთან. როგორც შესავალში განვაცხადეთ — გირგოლას სიყვარულს თან ახლავს პათოლოგიური ელემენტი, ან უკეთ—იგი რაღაც ავადმყოფური სიყვარულია, რომელიც შურისძიების ემბაზშია განბანილი და მსხვერპლს თხოულობს სატრფიალო

არსებისაგან. ასეთ სიყვარულს მიუწვდომელი გრძნობა იწვევს. ამ სენით შეპყრობილნი არ ჩერდებიან თვით საშინელი ბოროტმოქმედების წინაშეც და მთელი სტიქიით ეძლევიან თავდავიწყებას. ადამიანური მოვალეობა აქ გადალახულია ბოროტი გრძნობებით და შურისძიება ხდება ადამიანის გზის მაჩვენებელ ძალად. გირგოლა ამგვარი ადამიანების ერთი ზოგადი სახეა. თუ კი ზნეობის საფუძველს წარმოადგენს მისწრაფება არა პირად, არამედ საზოგადოდ ერთეულის ბედნიერებისათვის, მაშინ ამ მისწრაფებას არაფერი აქვს საერთო ეგოიზმთან; გირგოლას მისწრაფება კი ეგოისტურია. პირადი შეურაცხყოფა გახდა მიზეზი მისი ბოროტმოქმედებისა. გირგოლას ბოროტი „მე" შურს იძიებს პირადი სურვილების მიუწვდომლობისათვის. ეს არის საზოგადოდ, სახალხოდ მიღებული მორალური ნორმების დარღვევა.

გარეგანმა ძალებმა გირგოლაში გამოიმუშავეს თვისებები, რომლებიც მასში ადამიანს ჰკლავს და წმინდა პირუტყვულ გრძნობას სტოვებს, მხოლოდ ამ გრძნობამ აიძულა გირგოლა ხელი გაესვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლში; იმავე გრძნობით უმზერდა იგი ნუნუს ჯოჯოხეთურ ტანჯვას სამარცხვინო ბოძთან. ისმება კითხვა: ნუთუ მასში არ არის კაცობრიული გრძნობის ნატამალი? ნუთუ უდანაშაულო ადამიანის ტანჯვამ გირგოლაში არ გააღვიძა ადამიანური გრძნობა? ალექსანდრე ყაზბეგმა, როგორც ადამიანის გულთამხილავმა, დიდებულად იცის გირგოლას სულიერი სამყარო. ყაზბეგის გაგებით — გირგოლასთანა ადამიანების სულიერი სამყარო ორი საწყისისაგან შედგება: ერთიდან მხოლოდ შურისძიების და ბოროტების გრძნობა მოედინება, ხოლო მეორე საწყისიდან გრძნობა პატიოსნებისა, რომელიც შელანძღულია ბოროტებისა და შურისძიების გრძნობით. ალექსანდრე ყაზბეგი არც ერთ მომენტში გირგოლას არ უკარგავს თავის ადამიანურ ღირსებას, მაგრამ ეს ღირსება მტვრად იქცევა, როდესაც გირგოლას წინ აღიმართება იაგოს აჩრდილი. ამ დებულებას ბრწყინვალედ ადასტურებს უკანასკნელი ეპიზოდი გირგოლას ცხოვრებისა.

ამ ეპიზოდს ალექსანდრე ყაზბეგი შემდეგი სიტყვებით მოგვითხრობს: „მთელ ღამეს არ დაეძინა აბრაგებს (იგულისხმება იაგო და მისი ამხანაგი — დ. ბ.), რადგანაც კობას დაკარგვა აწუხებდათ იმათ. არ დაუძინია გირგოლასაც, რომელსაც ეშინოდა, რომ იმათ ლაპარაკიდან სიტყვა არ გამოჰპარვოდა... გათენებაზე იმას შემოესმა რაღაც სიხარული იმ ოთახიდან, სადაც აბრაგები იდგნენ და აშკარად გაიგონა ნუნუსა და გლახას სახელი. ის გიჟსავით წამოვარდა ტახტიდან, რომელზედაც ის იყო მიწვა და მთლად სმენად გადაქცეული, კედელს მიადო ყური; გირგოლას ყურებისა არა სჯეროდა, რადგანაც ნუნუს დიდიხანია თერგში ქვებს შუა ჩამალულს თვლიდა და ერთბაშად ესმოდა, რომ ის არამც თუ მკვდარი, სრულიად უვნებელია, თავის მამასთან არის და დღეს საღამოზედ იაგოსაც კი შეუერთდება. — მაშ ის ცოცხალია, ის იაგოს შეუერთდება და დაიწყებენ ბედნიერ ცხოვრებას?.. გირგოლა კი დაწუწებული, დამცირებული, ჯავრით დალეული, ისე უნდა დარჩეს“?! ბოლოს ალექსანდრე ყაზბეგი ასე ახასიათებს გირგოლას მდგომარეობას: „ამ კაცში გაიღვიძა პირუტყვულმა გადახდევინების წადილმა და იმ დროს ნუნუ რომ იქ მდგარიყო, ის შეუბრალებლად გაუპობდა გულს, დაეწაფებოდა იმის სისხლს და სიამოვნებით დალევდა! ის მხოლოდ იმას შეჰსწუხდებოდა, რომ ეს სისხლი მეტად ჩქარა შესწყდა და საკმაოდ ვერ დააკმაყოფილა თავისი გამხეცებული წადილი“. მაგრამ როდესაც ველური სურვილი სისრულეში მოიყვანა, იაგო და მისი ამხანაგები უთანასწორო ბრძოლაში მეფის ჟანდარმებს დაახოცინა, საკუთარი ხელით გამოსჭრა ყელი ნუნუს მოხუც მამას, ხოლო თვით ნუნუ სამარცხვინო ბოძზე გააკრევინა და ხალხის წინ საჯაროდ სული ამოხადა, გირგოლას გული შეიპყრო ადამიანურმა გრძნობამ. „ის, — გადმოგვცემს ყაზბეგი, — დაესწრო ნუნუს სიკვდილს, და კაცობრიულმა გრძნობამ გაუარა გულში. ამ დღიდგან მოსვენებას ვეღარ პოულობდა და ყველგან ნუნუს სახე ეჩვენებოდა. ამ რამდენიმე დღეში ის ისე ჩამომდნარიყო, ისე შეწუხებულიყო, რომ ადამიანი ვეღარ იცნობდა“.

ამ სახით წარმოგვიდგინა „მამის მკვლელის“ ავტორმა გირგოლას ტიპი; ამ სახის მხატვრულ გამოკვეთაში მოჩანს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედი ძალა. გირგოლას სახით ყაზბეგმა გულთამხილავი წინაგრძნობით შენიშნა ქართველი ერის სხეულზე საკმაოდ სერიოზული წყლული, რომელიც ფიზიკურ ტკივილებთან ერთად იწვევდა სულიერ ტკივილებსაც.

როცა მიმომხილველი „მამის მკვლელს“ არჩევს, გვერდს ვერ აუვლის ერთ-ერთ დიდებულ ეპიზოდს, რომლითაც ალექსანდრე ყაზბეგმა გადმოგვცა მამის შვილთან შეხვედრის ნიადაგზე წარმოშობილი ფსიქოლოგიური დრამა: „„მოხუცმა გადაიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და ის იყო ლუკმა აიღო პირში ჩასადებად, როდესაც... კარების ჭრიალი შემოესმა... გაშტერებულ მოხუცს ლუკმა ისე დარჩა, რადგანაც ბნელ ოთახში გაარჩია ვიღაც ადამიანი. თუმცა ვერ გამოერკვა ქალი იყო თუ კაცი.

„ვინა ხარ? — ძლივს მოახერხა მოხუცმა წარმოთქმა... შემოსული ცოტა შეინძრა, მაგრამ პასუხი არ მისცა, თუმცა ძლიერი ქშინვა და ჩუმი ტირილი კი მოისმა.

„ვინა ხარ, პატარა წინ წამოდეგ. — განუმეორა მოხუცმა, — რაისთვის მოსულხარ ამ შუაღამისას? რა გინდა?

„მამავ! თავი ვეღარ შეიმაგრა მოსულმა, გადიგდო ნაბადი და ვიღაც ქალი, ფერმიხდილი, აღელვებული და გონებადაბნეული გაექანა მოხუცისაკენ.

„ნუნუ! — წამოიძახა მოხუცმა და მთრთოლვარე ხელებით თავის გულს მისწვდა, თითქოს ამ მოძრაობით იმის ძგერის გაჩერება უნდოდა.

ის შეეპყრო რაღაც წარმოუთქმელ მღელვარებას, აღეშფოთებინა იმისი გული, და გაღვიძებულ მშობლიურ გრძნობას და სიხარულს ერთმანეთში არეულს, იქამდინ შეეპყრო, რომ აღარ იცოდა რა ექნა... იგი ჰკოცნიდა, ეხვეოდა თავის ნაშობს, თავის ნუგეშს, მაგრამ ერთბაშად მოხუცი შეიცვალა სახეში, წარბები შეიჭმუხნა, წაბარბაცდა და გამქრალს, გაციებულ თვალებში რაღაც ელვარება გამოკრთა:

„შორს! — დაუძახა იმან ქალს და მკერდიდან მოიშორა

ნუნუ. მოხუცის ყურამდინ მიეღწია ხმას, რომ იმისმა ქალმა ქმარს თავი დაანება, გაექცა, დაჰკარგა ნამუსი და პატივი. ამ ხმის გაგონების შემდეგ იმან დამარხა თავისი ქალი, თუმცა პირველ შეხვედრაზე მშობლიურმა გულმა დასძლია სიძულვილს. ნუნუ... შეკრთა და უკან დაიწია, მაგრამ ისევ საჩქაროდ წადგა წინ და მოსახვედრად გაიშვირა ხელები.

„მამავ, მამაისი, ვეღარ მიცან?.. შენი ქალი, შენი ნუნუ!..

„შორს-მეთქი, შორს! — გაიმეორა მიხრწნილის ხმით მოხუცმა და ხელი მიაგება, რომ არ მიჰკარებოდა თავის ნაშობი. ქალი დაიბნა და დაფანტულმა უკან დაიწია.

„მე ქალი აღარ მყავს! — ყრუთ და მწარის მწუხარებით წარმოსთქვა მოხუცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მე როდესაც მყავდა ქალი, ის ანგელოზი იყო, ის ბროლსავით წმინდა იყო... შენ ამბობ, რომ ჩემი ქალი ხარ? აბა შეხედე შენს თავს: შენ ისეთი ხარ, როგორც ჩემი ქალი იყო? ხა, ხა, ხა — მწარედ გაიცინა მოხუცმა და დაუმატა: — გამშორდი-მეთქი, შენ არა ხარ ჩემი ქალი!

„ვაიმე დაღუპულმა! — შეშინებით წარმოსთქვა ნუნუმ, რომელიც ძლივს მიხვდა მამის სიტყვების აზრს. მოხუცი მღელვარებდა, იმას მწვავედ ეპრანჭებოდა სახე მეტის მწუხარებით.

„შენ ვინა ხარ?.. ჩემი ქალი?.. ამ შუაღამისას!.. ძაუგში! მარტოკა!.. შენა ხარ ჩემი ქალი?.. არა, არა ჩემი ქალი მინამდი არ მოვიდოდა... მაშ ვინა ხარ, ვინა? რაი გინდა ჩემგან, რისთვის მოსულხარ?! — მოხუცი მღვარდა მთრთოლვარე ხელებით და ანჯღრევდა გულგახეთქილ ქალს, რომელიც შიშით ეხვეწებოდა:

„მამა, მამაისი! შენაი ჰირიმე... გამიგონე, ყური დამიგდე... მაგრამ მოხუცს ყველაფერი დავიწყებოდა და მხოლოდ თავის უბედურებას შეეპყრო. იმას აღარ ესმოდა ქალის ხვეწნა, ის ხედავდა მხოლოდ ერთს, რომ იმას ნამუსი ახადა თავის ქალმა, შეარცხვინა და ეს იქამდი აჯავრებდა, რომ თვითონ იქ მყოფსაც ვეღარ არჩევდა.

ყოველთვისინ ამგვარ აღშფოთებას წყნარი, მოღუშული მწუხარება მოსდევს და მოხუცი ერთბაშად მოდუნდა, მიი-

ღუშა, ჩაეკეცა მუხლები და ღრიალით დაეცა მიწაზე. იმან წაიშინა თავში ტირილით და მოთქმით, თითქოს ამითი შეეძლო თავიდან მოეშორებინა თავისი მწუხარება — უბედურება. ნუნუ უყურებდა ამ სურათს, ილეოდა, იტანჯებოდა... მწუხარებით, უნდოდა დასამშვიდებელი ეთქვა რამე, დაეძახნა, რომ ის უბრალოა, მაგრამ ის იქამდი მოეცვა მდგომარეობას, იქამდინ აეღელვებინა, რომ ხმა ვეღარ ამოეღო და გულის დუღილით შესცქეროდა მშობელს.

„ღმერთო! — წარმოსთქვა მოხევემ:—რა შეგცოდე ისეთი, რომ ამ დღეში ჩამაგდე? არც ბალღობას მოსვენება, არც სიბერეში! სადაა შენი სამართალი, სადაა შენი შებრალება?.. მომკალ, მომკალ მაინც, შე დალოცვილო!

„მამავ! — წაიწია კიდევ ნუნუმ.

„ნუ მეძახი მაგ სახელს, მე შვილი აღარა მყავს!.. მე მყავდა ცოლი, წამართვეს და ამ ხელებით მომაკვლევინეს ის!.. მჭონდა ბედნიერება — მომისპეს... სახლ-კარს მოშორებული, ერთი შენღა შეგტრფოდი... ვფიქრობდი, შენ მაინც არ გააქრობდი მამის სახელს, შემიბრალებდი... მაგრამ შენც... — აღარ გაათავა მოხუცმა და ჩაიქნია ხელი: — რას მემართლებრდი, რასა? ეხლა მარტოდ მარტოღა... მოვკვდები მეც და გათავდება ჩემი სახელი... ამ ქვეყანას აღარა გამოაჩენს რა ჩემს სიცოცხლეს, აღარავინ ახსენებს ჩემს სახელს, აღარავინ მოიგონებს ჩემს სულს... ახლა?.. რაიღა გინდა, რად მოსულხარ?.. ხომ ნახე შენგან გაუბედურებული მამა? ხომ ნახე მისი მწუხარება? ხომ დასტკბი... ახლა მაინც მომშორდი თავიდან! — უთხრა მოხუცმა და მიაქცია მწუხარებით შეწუხებული სახე...

„ვაიმე, ვაიმე! — პირზე ხელების დაფარებით წარმოსთქვა ნუნუმ და ძალზე შესტირა: — მე მეგონა მამა მყავდა, შემიბრალებდა, გამიგონებდა. შენ ეგრე მექცევი, საიდღა უნდა წავიდე. ვის მივმართო მე დალონებულმა. მე მეგონა... იმედი მჭონდა... აქ ჭალს გაუწყდა სიტყვები და გოდებად გადაიქცა... ნუნუ წყნარად გაბრუნდა კარებისაკენ, შესდგა, კიდევ გადაადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და მოიხედა:

„მშვიდობით მამავ!.. ღმერთია მოწამე, დანაშაული არა

მაქვს, არც შენთან და არც ღმერთთან! მშვიდობით!.. ქალი გაბრუნდა და გაემართა ლასლასით კარისაკენ.

„ამ უკანასკნელ სიტყვებზე მოხუცი დაეყრდნო... ხელზედ, წყნარად წამოიწია ერთ ხელზედ, წყნარად... მოიბრუნა თავი მიმავალ ქალისაკენ, ნუნუს ყოველი ფეხის გადადგმა, ყოველი განძრევა იმას შეაკრთობდა, მეტად მიახრევინებდა იმისაკენ თავს, მეტი მწუხარება და ცეცხლი გამოკრთებოდა იმის თვალთაგან, ნუნუ მიუახლოვდა კარებს, გაავლო ხელი ჭილობს, მაგრამ, რაღაცა ძალამ მიიზიდა, შესდგა და კიდევ ერთხელ მიიხედა მამისაკენ, რათა სამუდამოდ გამოსთხოვებოდა. მაგრამ რა მოიხედა, ის გაჩერდა, გაშტერდა, ადგილიდან ვეღარ დაძრულიყო. ნუნუმ იგრძნო მშობლის მომბალი გული, რომელსაც გაეღვიძნა, ეგრძნო თავისი მოვალეობა. ხედავდა რომ იმას ხელები გაეშვირა ქალისაკენ, სურდა იმის დაძახება, მაგრამ მღელვარებას და სულის მოძრაობას პირში სიტყვა გაეწყვიტნა მისთვის, ნუნუმ ვეღარ გაუძლო, გაექანა გულაჩვილებულ მოხუცისაკენ, რომელმაც პირუტყვის მსგავსი ღრიალით მკერდში ჩაიკრა... როდესაც ორნივ ცოტა ხანს დამშვიდდენ, ნუნუმ უამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც მოხუცისათვის სრულიად სხვაგვარად ჩაეგონებინათ... მამა ღმერთს მადლობას აძლევდა, რომ ამ ჟამრთ მაინც ეღირსა სიხარული.

„მაშ ძალად გაგათხოვეს?.. მეასეთ კითხავდა გლახა.

„ძალად, — უპასუხებდა ქალი: — იაგო დაჭერილი იყო და ვინღა გამომესარჩლებოდა.

„სამართალი, ხალხი, თემი, სადღა იყო? — იკითხავდა მოხუცი, რომელსაც წარსული თემის სამართლიანობა მოაგონდებოდა და მემრე თვითონვე დაუმატებდა: — სადღაა სამართალი, ან თემობა... ახლა გირგოლასთანა კაცების დღეა!..“

ამ სიტყვებში ყველაზე ნათლად მოსჩანს ალექსანდრე ყაზბეგის თვალსაზრისი რეალურ ცხოვრებაზე. აქ, ამ ცხოვრებაში წრფელი გრძნობა არ არსებობდა და ადამიანის ღირსება ფასდებოდა ბრჭყვიალა ოქროთი. „ეხლა გირგოლასთანა კაცების დღეაო“ — ლაპარაკობდა ნუნუს მოხუცი მამა, და იგი არსებითად გამოხატავდა დროის სისასტიკეს; მაგრამ ეს

სისასტიკე ხელს არ უშლიდა ყაზბეგს დარჩენილიყო უალრესად თანმიმდევარი რეალისტი საგნებისა, მოვლენებისა და ადამიანების ასახვის დროს. რომანტიკოსივით როდი გაურბის ყაზბეგი რეალურ სინამდვილეს! იგი რაინდული გამბედაობით ცდილობს ამ სინამდვილის მხატვრული სიზუსტით გამოსახვას, რათა გვაგრძნობინოს ადამიანთა მწუხარება და ტანჯვა. მამა-შვილს შორის წარმოშობილი ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც ყაზბეგმა დიდებული ოსტატობით გადმოგვცა, საუკეთესოდ ახასიათებს დროის ულმობელობას, მის სისასტიკეს. „მე მყავდა ცოლი და წამართვეს... მჭონდა ბედნიერება — მომისპესო“, — გადმოგვცემს გულდათუთქული მოხუცი. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია მთელი ვაება გლეხკაცობისა. ალექსანდრე ყაზბეგის მიერ უკვდავყოფილ გმირთა შორის ნუნუს მოხუც მამას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ მოხუც ადამიანში შეერთებულია სიკეთე და გამბედაობა კეთილშობილი რაინდისა. ჩვენ, მკითხველები, მუხლს ვიდრეკთ ამ მოხუცის წინაშე და მოწიწებით ვეამბორებით მის თოვლსავით თეთრ წვერს. ამ კაცის უიღბლო ბედში ვკითხულობთ დროის სისასტიკეს. ეს მოხუცი მარტოდმარტოა გულცივ ქვეყანაზე; ის სრულიად უთვისტომოდ დგას ჩვენს წინაშე, რათა თავისი ვაებით უფრო მძაფრად დაგვიმტკიცოს, თუ რამდენად გულქვა და სასტიკი იყო მაშინდელი სინამდვილე ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის. ალექსანდრე ყაზბეგი მოხუცის სახით შეეხო ხალხის წყლულებს და გვაგრძნობინა გოდება კეთილშობილი გულისა.

„მამის მკვლელის“ კრიტიკული ანალიზის დროს, ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ — მეგობრობისა და ვაჟკაცობის იდეას, რომელიც ყაზბეგის მთელი შემოქმედების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ჩვენ წინა თავებში, რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ რუსთაველის შემდეგ, მეგობრობისა, მიჯნურობისა და ვაჟკაცობის მომღერალ რაინდად მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგი შეიძლება ჩაითვალოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ყაზბეგმა კარგად იცოდა ფასი ამ სამი ადამიანური თვისებისა: ამიტომაც იგი დიდების შარავანდედით მოსავდა ამ თვისებებს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ადამიანის „მე" ინდივიდუალიზმის არტახებით იყო შებოჭილი, ალექსანდრე ყაზბეგმა ამაყად უმღერა ჰიმნი დიდებულ გმირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ერთი სიცოცხლით — მთიელ ხალხთან ერთად.

7

ჩვენ განვიხილეთ ოთხი მთავარი და ძირითადი ნაწარმოებები ალექსანდრე ყაზბეგისა; ოთხივე ზოგადად ატარებს ყაზბეგის მთელი შემოქმედების დამახასიათებელ თვისებებს; მათში კონცენტრირებულია ყველა ძირითადი პრობლემები და ამ პრობლემათა მხატვრული გადაწყვეტა რელიეფურად შემოფარგლავს ყველა მოთხრობას. ამ თვალსაზრისით თავი შევიკავეთ ყაზბეგის სხვა რომანების კრიტიკული განხილვისაგან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ „ელეონორას" განხილვაზე.

ერთი შეხედვით „ელეონორა" სრულიად განმარტოებით დგას ყაზბეგის შემოქმედებიდან, თითქოს იგი ერთგვარი გადახვევა იყოს ყაზბეგის შემოქმედების მაგისტრალური გზიდან, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენება ასე: ნამდვილად კი „ელეონორას" ორგანული კავშირი აქვს „ელგუჯას", „მოძღვარის", „ხევისბერი გოჩას", „მამის მკვლელის" და „ელისოს" ავტორთან.

განსახილველი რომანის მთელ მანძილზე ჩვენი ყურადღება მიპყრობილია ელეონორასადმი. ყველა დანარჩენი პერსონაჟები მხოლოდ აქსესუარებია, რომლებიც ხელს უწყობენ მთავარი გმირის ვნებათა ღელვის ხან გამძაფრებას, ხან კი შენელებას. რა არის ელეონორას ვნებათა ღელვის საგანი? რა აიძულებს მას — დარჩეს სასტიკი და შეუბრალებელი იმის მიმართაც კი, ვინც მას უყვარს, ვისაც აღმერთებს იგი?

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ხასიათთა სიმძაფრით ელეონორა მხოლოდ ევრიპიდეს მედეას თუ შეედრება: მედეაც შურისძიების გრძნობამ აქცია თავმოყვარე ადამიანად. ასევე ელეონორასაც თავმოყვარეობამ გაუღ-

ვიძა შურისძიების გრძნობა, მედეამაც თავის პირად ვნებას შესწირა საკუთარი მამისა და ძმის სიცოცხლე, ასევე ელეონორას თავმოყვარეობამ თორმეტი ღირსეული რაინდი იმსხვერპლა; მედეამ დანაშაული ჩაიდინა სიყვარულისათვის, ელეონორამ კი შურისძიებისათვის. მედეას სძაგს იაზონი მისი ღალატისა და გამცემლობისათვის; ელეონორას ეზიზღება ასლან გირეი ქალის თავმოყვარეობის შელახვისათვის. სწორედ ასეთი მსგავსება-კონტრასტებისათვის მედეა და ელეონორა მკითხველთა საჭსჯავროს წინაშე სდგებიან როგორც ბოროტი, თავმოყვარე და შურისმაძიებელი ადამიანები: მათ სიამაყეს გვირგვინად ადგას თავს მათივე ფიზიკური სილამაზე. თუ კი ელეონორა, მედეასავით თავმოყვარეა და თვითმპყრობელი, ამაში საკმაო წვლილი მიუძღვის მის სილამაზეს: ოდესღაც შექსპირმა ჰამლეტის პირიქით თქვა: „სილამაზეს უფრო ადვილად შეუძლიან პატიოსნება გაიმაჭანკლოს, ვიდრე პატიოსნებამ სილამაზე თავის მსგავსად გარდაქმნას". თუ ეს დებულება არ შეიძლება გავრცელდეს ყველა ადამიანზე, იგი აუცილებლად ვრცელდება ელეონორას მსგავსი ადამიანების მიმართ. მართლაც ელეონორამ საკუთარი სილამაზე შუამავლად აქცია სიყვარულის ბუნებრივ გრძნობასა და შურისძიების ბოროტ სურვილს შორის. „ელეონორა, — გადმოგვცემს ყაზბეგი, — ბუნებით არშიყი, რა წამს ლამაზ ყმაწვილ კაცს დაინახავდა, მაშინვე თავბრუდამხვევი ღიმილით გაუცინებდა, ხავერდის მსგავსი თვალებით შეეუქუნებდა, მუსიკის მსგავსი ხმით შეეხუმრებოდა და როდესაც კაცი იგრძნობდა ნექტარის სიტკბოებას, როდესაც მთლად გაეხვეოდა რბილსა, სასიამოვნოს და მტანჯველ-დამატკბობელ ბადეში, მაშინ, მაშინ დადგებოდა ქალის სასიამოვნო წუთები და აღტაცებით უყურებდა მსხვერპლს მოუსვენარ თრთოლვას და ცახცახს, თითქოს მის სატანჯველში რაღაც დამატკბობელ სიამოვნებას გრძნობდა".

ელეონორამ იცის, რომ ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა უბედურ ქალად ქმნის მას, მაგრამ უკან დახევა აღარ შეუძლიან თავმოყვარეობის გამო. თავშეუკავებელი ვნება აიძულებს მას დაღუპოს საკუთარი თავიც კი, ოღონდ

დააკმაყოფილოს ბოროტი სურვილები. ეს გრძნობა ყველაზე მეტად, გამოააშკარავა ასლან გირეისთან ურთიერთობაში, როგორც მკითხველმა იცის, ელეონორა შეუყვარდება მთაში ვაჟკაცობით განთქმულ მშვენიერი შესახედაობის ლეკს — ასლან გირეის. ერთი ვნებიანი შეხედვა საკმარისი იყო სიყვარულისათვის. „ასლან გირეი პირველად გრძნობდა, იმ უხილავ ძალას, რომელიც ქალის წინაშე თავს ახრევინებდა, აქამდის ასლან გირეისათვის ლამაზი ქალი ზეცისაგან მამაკაცის ჯილდოდ იყო განკუთვნილი, კაცის საკუთრებას შეადგენდა და ამ უკანასკნელს უფლება ეძლეოდა სურვილისამებრ ჟინის სათამაშოდ გაეხადა. მას სხვარიგად არ ესმოდა ქალის და მისადმი ვერც სხვა გრძნობას წარმოიდგენდა. ელეონორას ნახვამ ასლან გირეი ერთბაშად დაიმორჩილა, თავი მოახრევინა და მედიდურობის მძებნელი მებატონე დაბორკილებულ მონად გახადა. უწინ ასლან გირეი ქალის მიმართ თავს მხოლოდ ბრძანებლად წარმოიდგენდა, ეხლა კი სხვა სანატრელი აღარა ჰქონდა რა, ოღონდ ელეონორას ბრძანების ამსრულებელი შექმნილიყო. ასე გრძნობდა, ასე განიცდიდა ასლან გირეის სიყვარულის შთამაგონებელ ძალას. მაგრამ იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ამგვარსავე გრძნობას შეეპყრო. ეს გახლდათ ელეონორა. „სწორედ იმ დროს, როდესაც ლეკთა ყმაწვილი მებატონე აღტაცებაში იყო, მუდამ მხიარული ელეონორას სახე რაღაც მჭმუნვარებას შეეპყრო. ამ ქალს უკვირდა თავისი არაჩვეულებრივი მდგომარეობა და ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, რომ მისი ნაზი, ცქრიალა და პაწაწა გული მიჯნურობის ისარს გაემსჭვალა. ელეონორას აგონდებოდა ასლან გირეი, რომლის სიტყვებიც ისე ტკბილად და ნაზად ესმოდა ყურში; ამაოდ ცდილობდა ჩვეულებისამებრ ყმაწვილი ლეკის საქციელში სასაცილო რამ ეპოვა. რა წამსაც ცდიდა წადილის აღსრულებაში მოყვანას, რა წამს ლეკის სახეს ჩხრეკას დაუწყებდა, სასაცილოს მაგივრად, თვალწინ წარმოუდგებოდა ლეკის ნაზი და თხელი ტუჩები მომხიბლავის ღიმილით; გაცხოველებული პირისახე და ჟუჟუნა ცეცხლისმფრქვევი თვალები წარმოუდგებოდა და მასხრად აგდების მაგივრად, სულის შემტაცებელ მდგომარეობაში აგდებდა“.

ასე იტანჯებოდა ორი სამიჯნუროდ გამზადებული გული. ბოლოს ასლან გირეის ნებისყოფას სიყვარულის გრძნობამ აჯობა და, როგორც ოტელო დეზდემონას წინაშე, ისე დაემხო ლეკეთის თავმომწონე ჰაბუკი ელეონორას საწოლთან, მაგრამ დეზდემონა კეთილი იყო და სიყვარულით თავდავიწყებულ რაინდს აპატია ადამიანური გამბედაობა; ელეონორამ კი, როგორც ეგოისტმა, თავმოყვარემ, ასლან გირეის გულწრფელი მოქმედება თავხედობად ჩასთვალა და ეძებდა დროს შურისძიებისათვის. ეს მომენტი ალექსანდრე ყაზბეგმა აღწერა მთელი მხატვრული სრულყოფილობით. „ქალს, გადმოგვცემს ყაზბეგი, თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ გრძელ შავ ნაწნავებიდან ორ ნაღვერდალივით ბრწყინავდა სიცოცხლის შუქი. შუბლი ოდნავ შეკვროდა და მიმზიდველს მნათობს მრისხანების იერი გადაჰკროდა. ელეონორა უებრო იყო, ამჟამად მას გამედგრებული ლომის დამორჩილება შეეძლო. ამ დროს მოისმა რაღაც ხმაურობა და ელეონორამ ერთბაშად თვალები გაახილა, წამოიწია, მაგრამ ისევ მალე დამშვიდდა, რადგანაც ოთახში არავინ ჩანდა.

ჩამოვარდა სიჩუმე. ელეონორა ისევ უწინდელ მდგომარეობაში ჩავარდა, ისევ ძველმა ფიქრებმა გაიტაცა. განმეორდა ისევ ის ხმა, მაგრამ ახლა უფრო მომეტებულის ძალით და გამუდმებით. ქალი შეკრთა და ქვეშაგებში სწორედ იმ დროს წამოჯდა, როდესაც კარები შემოიღო და იქავ ვიღაც კაცი გაქვავებულსავით გაჩერდა.

„ასლან გირეი! — შეშინებით წამოიძახა ელეონორამ და წარბები სიბრაზით შეიჭმუხნა.

„მომიტევე, მაპატიე, — მღელვარებით, თუმცა ზრდილობიანათ წარმოსთქვა ლეკმა და ერთი ნაბიჯი გადასდგა.

„არ გაბედო! — მკაცრად, ბრძანებით შესძახა ქალმა და კაციც გაშეშდა. — უბედურო, ვინ მოგცა ეგ უფლება?

„სიყვარულმა, — მოისმა წყნარად და ნიავსავით მთრთოლვარედ. ლეკი იდგა თავდახრილი, აღელვებული და ძლივს სუნთქავდა. ფერი განუწყვეტლივ ეცვლებოდა და გაფითრებული სახე წამდაუწუმ ალისფრად ეღებებოდა. თვალები გაღებულ ნაკვერჩხალს დამსგავსებოდა, თუმცა მაღლა თა-

ჟის აღება და პირდაპირ ცქერა ვერ გაებედა... ელეონორაც გაჩუმებულიყო, რადგანაც პირველი აღშფოთების შემდეგ მიტევების გრძნობას შეეპყრო.

„წადი, ეს გამბედაობაც საკმარისია!.. პასუხის მაგივრად ასლან გირეიმ ისე საწყლად და შესაბრალისად შეხედა ქალს, თითქოს ამ სიტყვებით გული მახვილით გაუწონესო.

„არ გესმის, ვერ გაიგე? — გაიმეორა ქალმა, მაგრამ იმასაც სიბრალული დაეტყო და ხმა რამდენიმე ადგილას გაუწყდა. მან იგრძნო — ბრძანების კილო ცუდად დაფარული მორჩილების ხმად გადაექცა და სწორედ იმ დროს, როდესაც ლეკს წასვლას უბრძანებდა, ნაზსა და მთრთოლვარე ხმაში სულ სხვა წადილი შეინიშნებოდა. ამ ხმამ ელექტრონულ ძალასავით გაურბინა ასლან გირეის მთელ არსებაში და აგრძნობინა, რა განუსაზღვრელ ბედნიერებაში ჩავარდა ასე მოულოდნელად. მთიელს გააჟრჟოლა, უანგარიშოდ გაიშვირა ხელები და თავდავიწყებულმა მკლავებში შეშინებულის და ათრთოლებულის ქალის სხეული იგრძნო, ქალი შეეპყრო ჯერაც გამოუცნობ ძალას, რომელსაც დაესუსტებინა, მოედუნებინა და საკუთარ ძალღონეს მოკლებული უანგარიშოთ სხვის უფლებისათვის დაემორჩილებინა. ელეონორა იმ წუთების განმავლობაში ავად იყო, მაგრამ ეს ავადმყოფობა მეტად ტკბილად და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა. გაშმაგებული ლეკი შეეხო იმის ტუჩებს, დააკვდა ზედ და სუნთქვა შეუწყდა. ქალი ერთბაშად შეკრთა, გაინძრა და თავდავიწყებულმა, ხელის კვრით მოიშორა, ელეონორა გამოფხიზლდა. ეს გამოფხიზლება ვეფხის გამოფხიზლება იყო. გამწარებულ ლომსავით თავის აქნევით თმა უკუ გადაიყარა და თვალნი მეხის მსროლელს დაემსგავსენ, ლეკი თუმცა ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, მაგრამ ქალის მრისხანება ეგრძნო, შეშინებოდა და დამორჩილებული, თავდაღუნული დამნაშავესავით იდგა. გამედგრებულს ქალს ეგრძნო შეურაცხყოფა და ლეკის გამბედაობით გაბრაზებული თავის სისუსტეზედაც ბრაზობდა. ელეონორას პირისახე ამ წუთში განრისხებულ ცას დამსგავსებოდა. კარგახანს იდგნენ ასე გაჩუმებულნი, ნაზი ქმნილება მრისხანე ანგელოზად და

მხნე და შეუპოვარი კაცი კი — დამორჩილებულს ნორჩ შტოსავით... მედგრად ამოვარდნილი გრიგალი უწყალოდ ხრიდა და ზნექავდა. ელეონორამ ამოისუნთქა, ხელი მიიტანა გულთან, ყელთან და შეიკუმშა, თითქოს ვეფხს მსხვერპლისაკენ გადახტომა განუზრახავსო. ბოლოს გაიშვირა ხელი და მბრძანებლის მოძრაობით ლეკს კარები უჩვენა. ასლან გირეი წელში დაიკლაკნა, თითქოს ელექტრონული ძალა იგრძნოო და მომდუმარე თვალით ელეონორას შეხედა. ქალს შეწყალება არ ეტყობოდა.

„ელეონორა!..

„კმარა! — გააწყვეტინა ქალმა და ლეკმაც სიტყვის გაგრძელებაც ვეღარ გაბედა. რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ასლან გირეიმ კიდევ რამოდენიმეჯერ სცადა შეეხედა ქალისათვის, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა. ქალმა წასდგა რამოდენიმე ნაბიჯი და გადაწყვეტით წარმოსთქვა: „გადი აქედან!“ ასლან გირეი შეკრთა, შეინძრა და შეპყრობილი, დამორჩილებული უხილავის ძლიერებით, ბრძანებას დაემორჩილა, ლეკი ჯერ შეინძრა, შემდეგ წუნარად კარებისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ბოლოს თითქოს გაიქცა... მაგრამ როდესაც კარს მიაღწია, შესდგა, მობრუნდა და ცალ მუხლზე მოდრეკილმა ხელები გაიშვირა.

„ელეონორა! ნუ იქნები უწყალო! რა დაგიშავე?

„შეურაცხყავ უმანკო ქალის სახელი.

„შენი სიყვარულით!

„ისარგებლე ქალის სისუსტით?

„ელეონორა, მიყვარხარ! — ისე წამოიძახა ლეკმა, თითქოს ამ სიტყვებს სული ამოატანაო.

„მით უარესი შენთვის! — შეუბრალებლად წარმოსთქვა ელეონორამ და დაუმატა... მე კი თავის დღეში არ მეყვარები. ლეკი გველნაკბენივით წამოვარდა, წატორტმანდა ქალისაკენ, შესდგა და მთლად გაფითრებულმა ცახცახი დაიწყო.

„მაშ... ვინ გეყვარება? — ძლივს წარმოსთქვა ლეკმა.

„ვინც პირველად შემხვდება, მხოლოდ შენ კი არა.

„მე მოვკლავ, დავალრჩობ იმას!

„მაგასაც ვნახავ. — ქალმა ამაყად გაიღიმა: — კმარა... მომშორდი.

„კარგი, ელეონორა, კარგი!.. გინდა ჩემი ტანჯვა და ვასრულებ შენს ბრძანებას. მაგრამ ისე მიყვარხარ, ისე, რომ სხვას ასე სიყვარული არ შეუძლია.

„ჰა, ჰა, ჰა! — მოისმა საწამლავ გარეული სიცილი... — არც ვსაჭიროებ... სამაგიეროდ მე მეყვარება, მე დავატკბობ და სამოთხის ნეტარებას მივცემ.

„და მე?

„შენ კი ჯოჯოხეთს, გესმის?.. ჯოჯოხეთს გაგრძნობინებ, გაგახმობ, დაგაჭკნობ, დაგლევ და შენი მდგომარეობა მხოლოდ სიცილს მომგვრის.

„კმარა, გეყოფა!.. მივდივარ, მაგრამ მაინც ჩემი იქნები... პირველს, რომელსაც შენი ღიმილის სიტკბოება გაუვლის გულში, მასთან ერთად ჩემი ხანჯალიც შიგ გადუტრიალდება. ვისთვისაც გაელვარებას დააპირებს შენი თვალები, იმაზედ ვატირებ ქვეყანას, ვისაც ჩახვევას დაპირდები, მას ცივი საფარე ჩაიხვევს... გახსოვდეს, ელეონორა! ამას... გეუბნება ასლან გირეი და კიდევაც აღასრულებს!.. მშვიდობით. ამ სიტყვებისთანავე გაიღო კარი და ლეკი ღამის სივრცეში შთაინთქა, ქალი კი რამდენსამე ხანს გაშტერებული დარჩა იმავ ადგილას. ბოლოს ამოისუნთქა, წყნარად გადაისვა შუბლზე ხელი და წარმოსთქვა: „მაშ, მაშინებ?.. მემუქრები?.. ვნახოთ... ვინ გაიმარჯვებს“.

ასე დასრულდა ელეონორასა და ასლან გირეის მძაფრი, წინააღმდეგობით სავსე შეხვედრა, მათ ვერ გამონახეს საერთო ენა. ქალის სიამაყემ სძლია კეთილშობილ გულს და სიყვარულის გრძნობას დაუპირისპირა შურისძიების გრძნობა. მაგრამ პლატონის თქმისა არ იყოს, — „ადამიანის სულს ხომ არ შეუძლიან იყოს მუდმივ აწეული, არ ძალუძს იმყოფებოდეს განუწყვეტლივ ექსტაზში. მას შეიძლება იპყრობდეს სხვა განცდებიც, უფრო დამშვიდებული და წყნარი, უბრალო სევდა იქნება ის თუ ხანგრძლივი ნაღველი“. თავის სასტიკი ბუნების მიუხედავად ელეონორა — ადამიანი იყო და მის სულს არ შეეძლო მუდმივ ერთგვარ მდგომარეობაში ყოფნა. ასლან გირეისთან გაყრის შემდეგ ხანგრძლივი ნაღველი დაეუფლა ელეონორას არსებას. ასლან გირეი თოვლიან

მთებში ჩაიკეტა; ბუნების სასტიკი ხელი ბოჭავდა სიყვარულის გამუდმებული ცეცხლით შეპყრობილ რაინდს. კავკასიის მაღალი მთები დაუძლეველ დაბრკოლებად აღიმართა მიჯნურთა შორის. ასლან გირეის დაგვიანება ელეონორამ ვაჟის გულგრილობით ახსნა და პირგამეხებული ვეფხვივით კვლავ დაიწყო ფიქრი შურისძიებაზე. „ქალმა... ფიცი დასდო გადაეხადა, მაგრამ დრო გრძელდებოდა... მოსვენება დაჰკარგა და გააფთრდა... კარგად მყოფი ქალი ბრაზიან ავადმყოფად გადააქცია". ასეთი იყო ქალის სურვილი, ეს სურვილი მალე ელეონორამ საქმედ აქცია, როდესაც კავკასიის ამაყმა მთებმა თეთრი ნაბდები მხრებიდან გადაიძვრეს, ასლან გირეიმ ლეკთა ჯარით გადმოლახა მთები და ელეონორას მამის ადგილსამყოფელს მოადგა. ლეკთა ბელადმა ჯერ თავკაცები მიუგზავნა შუამავლად თავად ხელთუბნელს და ელეონორა ცოლად სთხოვა. ქალის მამამ კატეგორიული უარით უპასუხა შუამავლებს. შემთხვევით ეს ამბავი მამამ ელეონორას აუწყა. ელეონორა გველნაკბენივით შეიქმნა და შურისძიების გრძნობით წარმოსთქვა ასლან გირეის მისამართით: „მაშ შენც მოგხვედრია გულში ისარი?! ახლა კი მე ვიცი, ვიცი როგორ გადაგიხადო ჩემი შეურაცხყოფისათვის". ქალმა კიდევაც აღასრულა მუქარა. შესანიშნავი რაინდი—ასლან გირეი დაეცა ელეონორას ფეხთა წინ კრეჭიაშვილის ხანჯლით გულგანგმირული.

ერთი შეხედვით ელეონორა მეტად მსუბუქ ნატურად გვეჩვენება; იგი რაღაც ზერელე ადამიანად გამოიყურება. ამ ქალში თითქოს არ არის გულწრფელი გრძნობა, იგი მოკლებულია შინაგან სულიერ დრამას. მაგრამ გონების თვალით როცა ვაკვირდებით ელეონორას სულიერ სამყაროს, ჩვენ არ შეიძლება არ დავინახოთ მასში ფსიქოლოგიურად მეტად რთული პიროვნება. ელეონორა არ წარმოადგენს ერთ მთლიან, ლოგიკურად თანმიმდევარი ხასიათის ადამიანს. ფსიქოლოგიურად იგი სხვადასხვა თვისების ნატეხ ხაზებისაგან შესდგება. ერთი ჯგუფი ამ ნატეხი ხაზებისა ქალის არსებობაში ჰქმნიან ყინიან ხასიათს; მეორე ჯგუფი—უკიდურეს გახელებას: მესამე ჯგუფი — გამუდმებულ ნაღველს, მეოთხე — შურისძიებას.

ასე იქმნება ადამიანის ხასიათთა მთელი კომპლექსი; ასე იქსოვება ელეონორას პიროვნების მორალური სახე, მაგრამ ელეონორა როგორც ტიპი, ფსიქოლოგიურად უფრო რთულია, ვიდრე მისი მოქმედება. საერთოდ ადამიანის მოქმედება მისი სულიერი საწყაროს ერთგვარი სარკეა, მაგრამ გაცილებით უფრო მარტივი, ვიდრე მისი შინაგანი ადამიანური განზრახვანი.

ელეონორას პიროვნების განხილვის დროს არ უნდა დავივიწყოთ მისი შინაგანი წინააღმდეგობით სავსე ბუნება. ერთდაიმავე დროს ელეონორას ასლან გირეი უყვარს და სძაგს კიდეც; ქალს—ამ კაცში მოსწონს მისი ვაჟკაცობა და სილამაზე, ხოლო სძაგს მისი გამბედაობა. ელეონორას მამამ, ღრმად დარწმუნებული, რომ ქალი არ გაჰყვებოდა ცოლად ასლან გირეის, ჰკითხა შვილს: „უყვარს თუ არა ასლან გირეი?“ იგი თანხმობის ნიშნად წარმოსთქვამს მხოლოდ ერთ სიტყვას: „ძალიან“, და ეს საკმარისი იყო საკითხის გადაწრისათვის. ქალის ეს განცხადება სრულიად გულწრფელად არის ნათქვამი. მას მართლაც უყვარდა ასლან გირეი. მაგრამ ეს სიყვარული არ იყო ხიდი ამ ორი უმშვენიერესი არსების სულიერი შეერთებისათვის. ქალს უყვარს, მაგრამ სძულს კიდეც. სიყვარულისა და სიძულვილის მიჯნაზე წარმოშობილი ტრაგედია ქალისა—დიდებული მხატვრული ფერებით გამოხატა ალექსანდრე ყაზბეგმა. ამ ტრაგიკული წუთით არის გამოწვეული სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ასლან გირეის მიერ მიგზავნილი შუაკაცების წინაშე. „მეო, — ამბობს ელეონორა,—არ მივთხოვდები არც ასლან გირეის, არც სხვა კაცს, რომელიც სიყვარულს თავისი ვაჟკაცობით არ დამიმტკიცებს... ასლან გირეის გარდა კიდევ ბევრნი შემომტრფიან. ბევრი დაეძებენ ჩემს თანაგრძნობას და მათგან, აქ ქალმა ღიმილით და თავბრუდამხვევის სიკეკლუცით გადახედა იქ მყოფთ,—მათგან ბევრი მომწონს, ძალიან მომწონს... არ მსურს ვინმე დავჩაგრო... ვისაც ჩემი თავი სურს, თითო-თითოთ შეებნენ ასლან გირეის და ვინც გამარჯვებული დარჩება, თუნდაც მახინჯიც იყოს, ვფიცავ ზევით ღმერთსა და ქვეშ დედამიწას, ის, მხოლოდ ის მივიღო ჩემს უფლად, ჩემს ბრძანებლად...

„რას ამბობ, რასა?—მივარდა მაშა.

„მამაე! ნუ მიშლი... ქვეყანაზედ არ არის ძალა, რომელმაც ჩემი გადაწყვეტილება შესცვალოს. — შუა კაცებო, თანახმანი ხართ?

„დიაღ, კეკლუცო!.. ასლან გირეი შენი გულისათვის მთელ ქვეყანასაც კი შეებმის.

ქალი მოუბრუნდა იქ მყოფ ხალხსა და წარმოსთქვა:

„ვისაც სურს ჩემი შერთვა, ვისაც სურს ბედის ცდა, გამოდით ცალკე.

იქ ყმაწვილ კაცებს შორის თორმეტი ისეთი ჭაბუკი გამოვიდა, რომელთაც შეყრილობა და მოყვანილობა მტრის თვალსაც კი მოიტაცებდა“.

ქალის ვნებიანი სურვილი დასრულდა ასლან გირეისა და იმ თორმეტი რჩეული ვაჟკაცის სიკვდილით, რომლებიც ელეონორას შეტრფოდენ.

რა იყო ელეონორას ამგვარი მოქმედების მიზანი?

ვაჟკაცურ ხასიათთა შერჩევის იდეა კი არ აძლევს სტიმულს ელეონორას მოქმედებას, არამედ შურისძიების გრძნობა, რომელიც თავმოყვარეობამ წარმოშვა. ყაზბეგმა გულთამხილავის წინაგრძნობით იცოდა ელეონორას ეს თვისება და კრეჭიაშვილის მოქმედებით ხაზს უსვამს ამ თვისების ცუდ მხარეს. როცა კრეჭიაშვილმა ასლან გირეი მოჰკლა, გახარებულმა ელეონორამ ამაყად მიმართა: „მე ღვთის წინაშე ალთქმა მქონდა, რომ ვინც ასლან გირეის მოჰკლავდა, ჩემი ქმარი შეიქნებოდა... წამიყვანე“. კრეჭიაშვილმა შეხედა დაღონებით, მაგრამ მაშინვე დახარა თავი და გაჩუმებული დარჩა. ყველა გაშტერდა ამ ნახვით. ელეონორა აინთო და არ იცოდა რისთვის მიეწერა ამ კაცის საქციელი.

„კრეჭიაშვილო! — მკაცრად დაიწყო ისევ ქალმა:—ვერ გაიგონე ჩემი სიტყვები?

„კაცმა მოიხადა ქუდი, ამოიხვნეშა. მოიწმინდა შუბლი და წელში გასწორებულმა შეხედა. „გავიგონე, მაგრამ უარს ვყოფ! — მტკიცედ წარმოსთქვა იმან. ჩამოვარდა სრული სიჩუმე, ყველამ სული გაკმინდა და ამ ამბის გათავებას მოელო-

და. ერთბაშად აიღო კრეჭიაშვილმა თავი, ამაყად გადახედა და ჰაერი მსაჯულის სიტყვამ შეარყია.

„ელეონორა! დაიწყო კრეჭიაშვილმა: ქალი, რომელიც ამდენ მოძმეს გასწირავს თავმოყვარეობისათვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის!.. მე უბედური ვარ, რომ მიყვარხარ, ვიცი რომ ჩემის გადაწყვეტილებით სიცოცხლეს მოვიწამლავ, მაგრამ შენი ქმარი არ შევიქმნები. ამ სიტყვების შემდეგ, ის წყნარად გაბრუნდა, ხალხი გაიპო შუაზე და გზა მისცა. ელეონორა გაექანა და კრეჭიაშვილს ფეხქვეშ ჩაუვარდა. „იქით! არ მომეკარო!—შეშინებით წამოიძახა იმან და მტკიცე ნაბიჯით წავიდა კარებისაკენ. მერე ერთბაშად შეჰდგა, გამობრუნდა, მოხედა ელეონორას და წარმოუთქმელის გრძნობით დაიძახა:

„საზიზღარი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ!.. მიყვარხარ და უშენოთ ცხოვრება არ შემიძლიან!.. ამ სიტყვებით ჰაერში გაელვებულმა ხანჯალმა ორად გააპო კრეჭიაშვილის გული".

ასე დამარცხდა ელეონორას თავმოყვარეობის უძლეველი გრძნობა. ეს დამარცხება ლოგიკური დასასრული იყო ელეონორას ცხოვრებისა. კრეჭიაშვილი და ელეონორა ერთი მეორის კონტრასტია და მათი შეერთება შეუძლებელი იყო. რამდენადაც ელეონორა გარეგნულად უმშვენიერესი ქმნილებაა, იმდენად იგი მახინჯია სულიერად. კრეჭიაშვილი პირიქით, გარეგნულად გონჯია, სულიერად კი სპეტაკი და რაინდული ბუნების ადამიანი. შინაგანმა რაინდულმა თვისებებმა კრეჭიაშვილს უარი ათქმევინა ელეონორას ცოლად შერთვაზე, რადგანაც ელეონორამ ფაქტიურად დაარღვია ის დიდი ჰუმანური პრინციპი ბუნებრივი სიყვარულისა, რომელიც ცოლქმართა შუა მოციქულის როლს ასრულებს. ელეონორა მზად არის გახდეს ცოლი ფიზიკურად მახინჯ კრეჭიაშვილისა, მაგრამ ქალისათვის ეს იყო ქედის მოხრა მოვალეობისადმი და არა ბუნებრივი სიყვარულისადმი. ამას თვითონაც გრძნობდა კრეჭიაშვილი და ამ ნიადაგზე უარი თქვა უმშვენიერეს ელეონორაზე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ელეონორა ფსიქოლოგიურად მეტად რთული პიროვნებაა. შიშველი ეროტიზმი როდი იბრ-

ძვის ელეონორაში! მაგრამ მის ეროსს უეჭველად აყრია მიწიერი მტვერი, ელეონორას სიყვარული არ ატარებს უხეში ვნების ხასიათს, მაგრამ მას აღელვებს ეროტიული განცდა. ელეონორას თამამად შეეძლო გაემეორებინა ანტიური პოეტი ქალის საფოს სიტყვები:

„ისევ ეროსმა ამაღელვა, ძილი გამიტეხა,
სევდაც მასშია, სიხარულიც — მასთან რა გავაწყო!"

ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა მომაკვდავ ანტონიოსის წინაშე ვნებიანად ამბობდა: „მომიახლოვდი საყვარელო და იქკე მოკვდი სადაც ცოცხლობდი; სულის ჩადგმა რომ შესძლებოდა ამ ტუჩებს... კოცნით დავცვეთდი". მაგრამ იგივე სიტყვებით უმასპინძლდებოდა ულამაზესი კლეოპატრა პომპეუსსაც. ალექსანდრე ყაზბეგის ელეონორა თამამად დაუდგებოდა გვერდით კლეოპატრას მსგავს ადამიანებს.

ელეონორა შურის მაძიებელია კაენივით, დაუნდობელია იუდასავით, და მკაცრია იეზუიტივით. ვნებააშლილი ფიქრობს შურისძიებაზე და თრთოლვით ელოდება განზრახვის სისრულეში მოყვანის წუთებს. მაგრამ ამავე დროს ელეონორას აქვს თბილი გრძნობა, მოსიყვარულე გული და ქალური კდემამოსილება, მაგრამ ისინი დაფარული ფორმით არიან ქალის არსებაში. საკმაოა ცოტა თამამად მოექცეთ ამ თვისებებს და მყისვე ბოროტ სულად იქცევა ამ თვისებათა მატარებელი ადამიანი. გამუდმებული ტანჯვა ამწარებს ელეონორას სულს და შეუბრალებელს ხდის მას. ცხოვრებაში ელეონორა ვერ პოულობს დასაყრდენ ძალას. იგივე ცხოვრება არ აძლევს მას არც ბედნიერებას და არც კმაყოფილებას. ასლან გირეის შეხვედრამ ქალს მხოლოდ საკუთარი არარაობა დაანახა: ამავე დროს აგრძნობინა უმწეობა საკუთარ თავთან ბრძოლაში. ელეონორაში ცოცხლობს გაორებული სული: ერთი მიისწრაფვის მიწიერი აფროდიტესაკენ, მეორე კი რაღაც ზეციური სიწმინდისაკენ; მაგრამ ბრძოლა ამ ორ მოწინააღმდეგე ტენდენციებს შორის მთავრდება ეროსის. გამარჯვებით.

ჩვენ ვცადეთ ელეონორას სახის ზოგიერთი კონტურების მოხაზვა. ამ ქალის რთული ბუნების გამოხატვა პუბლიცისტური საღებავებით ფრიად ძნელი საქმეა. როგორც შესავალ-

შივე აღვნიშნეთ, ელეონორა არ წარმოადგენს ერთ მთლიან ზოდიდან გამოკვეთილ პიროვნებას. ეს ქალი შეერთებაა რაღაც ნატეხი ხაზებისა, კონტრასტული სულიერი თვისებების, რომლებიც ძნელი შესათავსებელია ერთმანეთთან. ერთი მაინც უდავოა: ელეონორა ტრაგიკული პიროვნებაა.

რა ითქმის „ელეონორას“ ავტორზე? ალექსანდრე ყაზბეგს მარტო „ელეონორა“ რომ დაეწერა, იგი უეჭველად თვალსაჩინო მწერალი დარჩებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ალექსანდრე ყაზბეგი — როგორც დრამატურგი

„თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ის არის, რომ ბუნებას სარკედ გაეხდეს, სათნოებას მისი სახის მეტყველება აჩვენოს, მიწიერებას მისი უმ-სგავსოება, დროებასა და ხალხს — მათი ვითარება და ხაკვალეი, თე ეს დანიშნულება ვერ შეასრულა, ან თე გადაამეტა, იქნებ რეგვნები გააცინოს, მაგრამ გაგებულ ადამიანს კი შეაწუხებს და ერთი გაგებულის ძეხედულება უნდა გერჩიენოს მთელი თეატრისას“.

უილიამ შექსპირი.

დრამა ურთულესი ფორმაა სიტყვიერი ხელოვნებისა. დრამაში ყველაზე უფრო ზუსტად და თვალსაჩინოდ ცნაურდება ადამიანის სული და ყველაზე უფრო ძლიერად იგრძნობა მხატვრული სიტყვის ძალა. ანტიური ადამიანი, თავისი ნათელი გონებით და რთული ფსიქოლოგიით ჰომეროსის შემდეგ მხოლოდ დრამამ გვაგრძნობინა სრულყოფილად, დრამა იყო ანტიური ეპოქის მხატვრული გამოსახვის გაბატონებული ფორმა.

როცა გონების თვალით ვაკვირდებით დრამის განვითარების ისტორიას, შეიძლება ერთი საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა: ყოველ ეპოქაში დრამის მხატვრული ძალა განისაზღვრებოდა—ერთი მხრივ იმ ურთიერთობით, რომელიც არსებობდა დრამატურგსა და თეატრს შორის, მეორე მხრივ ურთიერთობით ეპოქის მამოძრავებელ იდეებსა და დრამატურგს შორის. ისტორიულად დრამა ზოგჯერ ტრაფარეტულად ეგუებოდა თეატრს, ზოგჯერ კი ბრძოლას უცხადებდა მას და თავისებურად ქმნიდა თეატრის ახალ სახეს. თეატრისა და დრამის ჰიდილი უძლიერესი სტიმული იყო თეატრალური კულ-

ტურის განვითარებისა. ცნობილია, რომ ესქილემდე თეატრის ლოგიკურ ელემენტს ქორო (გუნდი) წარმოადგენდა. ქორო ანტიური თეატრის მამოძრავებელი ძალა იყო. ტრადიციის ძალით დრამაც შენდებოდა საგუნდო ელემენტთა გაძლიერების ხარჯზე. თვით ესქილეც კი სიჭაბუკის წლებში, დაიმორჩილა თეატრალური კულტურის არქაულმა ფორმამ. მისი „მავედრებელნი“ და „სპარსნი“ ამ დებულების დადასტურებაა. მოქმედების ნაცვლად ორივე პიესაში ჭარბობდა საგუნდო საგალობელი და სიმღერა; მაგრამ ჭარმაგობის ჟამს ესქილემ პრომეთეს სიძლიერით დაარღვია საუკუნეების გრძელ მანძილზე შემუშავებული თეატრალური კულტურის დრომოჭმული ტრადიციები. ტრაგედიაში ესქილემ მაქსიმალურად შეასუსტა ქოროს როლი და საგუნდო პარტიების მნიშვნელობა; ამით მან ასპარეზი გაუხსნა ადამიანის ინდივიდუალურ მოქმედებას და შინაგან ფსიქოლოგიურ დრამას. ამ გზით ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიებმა შექმნეს ანტიური თეატრი — ეს უდიდესი ძეგლი კაცობრიობის გენიისა.

დრამისა და თეატრის ძველ ტრადიციებთან ბრძოლაში წარმოიშვა თეატრები — დიდებული შექსპირისა, იბსენისა, მეტერლინკისა, ჩეხოვისა. ამ თეატრების სცენიდან ისმოდა მომაჯადოებელი ხმა დიდი იდეების და მაღალი მიზნების მატარებელი დრამატურგიისა. დიადი პრობლემები სიკვდილ-სიცოცხლისა, პიროვნებისა, ხალხისა, იყო თეატრალური კულტურის საფუძველი.

სამწუხაროდ, ქართული თეატრალური კულტურა წარსულში მოკლებული იყო დიდ მიზნებსა და განზრახვებს. თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით ქართული დრამატურგიაც დაბალ საფეხურზე იდგა. ქართული დრამა წარმოადგენდა დიალოგად მოთხრობილ ყოფაცხოვრებით წვრილმანებს თავისი პრიმიტიული ფორმით. გიორგი ერისთავის პიესები, მიუხედავად ავტორის დიდი ტალანტისა, არც იდეებით, არც შინაგანი არქიტექტონიკით, არც ტიპების ხასიათით, არც წერის სტილით, არ წარმოადგენს ქართველი ერის სულიერი ძალების მხატვრული გამოსახვის კლასიკურ ფორმას. პიესის აგების ტექნიკა აქ დამყარებული იყო არა შინაგან ლოგიკურად გამართლებულ კანონზომიერებაზე, არამედ

გარეგან იაფფასიან ეფექტზე. მდგომარეობიდან გამოსული მოქმედება კი არ იწვევდა სიცილს, არამედ სიტყვის ძველი თბილისური ჟარგონით გამოთქმა. ამრიგად, პიესის საფუძველს წარმოადგენდა არა მდგომარეობა, არამედ სიტყვის „გაიმასქნებული“ გამოთქმა, როგორც ავქსენტი ცაგარელის გმირები იტყოდნენ ხოლმე.

ქართული პიესებიდან უმთავრეს შემთხვევაში ისმოდა გულცივი ვაჭრის, დარდიმანდი მიკიტნის, ლოთი კინტოს და ჩასპანდი ყარაჩოხელის შინაარსს მოკლებული ხმა. მაშინ სად იყო მაღალი მიზნები და დიდი იდეები ქართველი ხალხისა? სად იყო პრობლემები სიკვდილ-სიცოცხლისა? სად იყო კონფლიქტები ინდივიდსა და გაბატონებულ საზოგადოებას შორის მომხდარ შეტაკებაში წარმოშობილი? სად იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები?! ეს საჭირბოროტო კითხვები დრამატურგიის გარეშე იდგა.

ქართული სცენის უდიდესი ოსტატები: ვასო აბაშიძე, ალექსანდრე მესხიშვილი, კოტე ყიფიანი — არაერთხელ აღნიშნავდნენ ქართული დრამატურგიის უსუსურობას. ამ შესანიშნავ ადამიანებს არ ჰქონდათ ორიგინალური ქართული პიესები, რომ ეროვნულ მასალაზე გამოეცადათ საკუთარი არტისტული ძალები. ქართული დრამა დიდი მანძილით ჩამორჩებოდა ქართულ არტისტულ კულტურას. ამით უნდა აიხსნას, რომ რევოლუციამდე ჩვენში არ იყო ძლიერი ჰიდილი თეატრსა და დრამატურგიას შორის. ამის გარეშე კი შეუძლებელია ჰეშმარიტი თეატრალური კულტურის შექმნა.

არც ქართული ისტორიული დრამა იყო სანუგეშო მდგომარეობაში. „სამშობლო“, რომელიც ოდესღაც აგრე გახმაურდა სცენაზე, არც ერთი ელემენტით არ იყო ორიგინალური, ქართული პიესა სიტყვასიტყვით ნათარგმნია სარდუს ეგრეთ წოდებულ დრამიდან. ქართულად მთარგმნელმა ესპანური და ფრანგული სახელები შესცვალა ქართულით და სპარსულით; ასეთი მექანიკური შეცვლით იქმნებოდა ისტორიული დრამები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ჰეშმარიტ ეროვნულ ნიადაგს.

ერთადერთ სერიოზულ ისტორიულ დრამად შეიძლება ჩაითვალოს სუმბათაშვილის „ღალატი“, მაგრამ, მიუხედავად

პიესის უდავო ღირსებისა, მას თან ახლავს ერთი დიდი ნაკლი, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევთ. მთელი შეცდომა ქართული ისტორიული დრამებისა იმაშია, რომ იქ ტრაგიკულ გმირებად გვეველინებიან არა ისინი, რომელთა ბედი მართლაც ტრაგიკული იყო, არამედ ადამიანები, რომლებიც ანგარების მიზნით ღალატობდნენ ქართველი წალხის ინტერესებს, ღალატობდნენ ადამიანურ მოვალეობას და ფეხქვეშ უსირცხვილოდ თელავდნენ ჭეშმარიტების დიდ პრინციპს. ოთარ ბეგი სუმბათაშვილის „ღალატში“ და კონსტანტინე ბატონიშვილი ალექსანდრე ყაზბეგის დრამაში — სწორედ ამგვარი ადამიანები არიან. ორივე პიროვნების როლი პიესაში ტრაგიკულია. დრამის ავტორები ოთარ ბეგსა და კონსტანტინე ბატონიშვილის ცხოვრებას ტრაგიკული შუქით ანათებენ. სუმბათაშვილის „ღალატის“ დადგმის მომსწრენი ამბობენ, რომ როდესაც ქართველი ხალხის მოღალატე, სარწმუნოებისა და ნამუსის უარმყოფელი ოთარ ბეგი დაემხობოდა ხოლმე ჯვარცმის წინ ჩადენილ ღალატის მოსანანიებლად, თურმე თეატრალური აუდიტორია მას ტაშით ხვდებოდა. აქ დამნაშავეა არა აუდიტორია, არამედ დრამატურგი. მაყურებელი შეცდომაში შეიყვანა ოთარ ბეგის როლის არასამართლიანმა განსაზღვრამ. დრამის ავტორმა დაივიწყა რომ ტრაგიკულია არა ოთარ ბეგის ბედი, რადგანაც იგი ღალატის გზით გამარჯვებულია, არამედ იმ ადამიანთა ბედი, რომლებიც დამარცხებული ქართველი ხალხის მხარეზე რჩებოდნენ. იმ ეპოქაში, როდესაც ღალატი და ავაზაკობა ტიპიური მოვლენა იყო — ტრაგიკულია არა ის პიროვნება, ვინც თვითონ ავაზაკობს, არამედ მხოლოდ ის, ვინც ავაზაკებთან უთანასწორო ბრძოლაში მარცხდება, ვინც განწირულების წუთებშიაც კი ინარჩუნებს ჭეშმარიტი მებრძოლის სახელსა და სიდიადეს. ტრაგიკული პიროვნება თეატრალურ აუდიტორიაში უნდა იწვევდეს სიბრალულისა და შიშის გრძნობას. ამ ორი გრძნობის მიჯნაზე წარმოშობილი ვნება არის საფუძველი ტრაგედიისა.

ამ მცირე შესავლის შემდეგ მკითხველისათვის ნათელია ქართული დრამატურგიის მდგომარეობა ალექსანდრე ყაზბეგის მოსვლამდე. ისმება კითხვა: რა ახალი ელემენტით გაამდიდრა ქართული დრამა ყაზბეგმა? ვიდრე უშუალოდ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ყაზბეგის შეხედულებას თეატრზე, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თეატრისა და დრამატურგიის ურთიერთობა საზღვრავს დრამის მხატვრულ ხარისხს. როგორ უყურებდა ყაზბეგი თეატრის დანიშნულებას? ჩვენ ბევრი ამაო ძებნის შემდეგ საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში სრულიად შემთხვევით მივაგენით ნაფლეთებად ქცეულ ქაღალდებს, რომლებიც უწესრიგოდ ეყარა სხვა ხელნაწერებთან. ხელნაწერის სისტემაში მოყვანის შემდეგ დავრწმუნდით, რომ იგი დაწერილია არა როგორც მთლიანი წერილი, არამედ წარმოადგენს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ფრაგმენტებს, ცალკე დამოუკიდებელ შენიშვნებს. წერილი მთლიანად მიმართულია მსახიობ ვასო აბაშიძისადმი. აქ, ამ წერილში შესანიშნავად მოჩანს ალექსანდრე ყაზბეგის დიდი მხატვრული გემოვნება და პიროვნული კულტურა. „მეო, — წერს ყაზბეგი, — ვერ ვიკისრებდი ვერასოდეს კაცისათვის მეთქვა: შენ ადამიანი ხარ და გმადლობ, რომ ადამიანურად იქცევი, შენ ლიტერატორი ხარ და გმადლობ, რომ ჭორებს არ მისდევ, შენ აქტიორი ხარ, ნიჭი გაქვს, და გმადლობ რომ კარგად თამაშობ; მაგრამ ამ ჩვენ სამწუხარო დროში, როდესაც კაცობრიობა იქამდე გაირყვნა, რომ ადამიანის ადამიანურად მოქცევა სამადლობლად გაგვიხდა, მეც იძულებული შევიქენ როგორც პირველში, ისე ახლაც გითხრა რამოდენიმე სიტყვა... მწადის თავიდან ავიცდინო ის ჩვეულებრივი კილო, რომელიც ამგვარ შემთხვევაში მიღებულია ხოლმე... კაცი თავის მოვალეობის აღსრულებას როდესაც უახლოვდება... ის ხდილობს თავის ვალს, ამტკიცებს კაცობრიობის წესს“.

ასეთი ტონით, ამგვარი შეგნებით მიმართვა ისეთი დიდი არტისტისადმი, როგორიც იყო ვასო აბაშიძე, ამტკიცებს ალექსანდრე ყაზბეგის მოქალაქეობრივ სიდიადეს. ნაფლეთებად

ქცეულ ხელნაწერში ისმის იმ კაცის ხმა, ვინც თავის ქვეყნის, თავისი ხალხის სიყვარულით იწვოდა; ვისაც ღრმად ჰქონდა შეგნებული ის სამწუხარო დრო, როდესაც მოქალაქის შეგნება ისე დაეცა, რომ ადამიანებს კაცისაგან კაცურად ქცევა სამადლობლად გაუხდიათ.

ალექსანდრე ყაზბეგს იმავე ხელნაწერში გამოთქმული აქვს თავისი აზრი თეატრზე. ამ შეხედულებაში ყაზბეგი მოჩანს, როგორც დიდი ადამიანი. „თეატრი არის სარკე ჩვენი ცხოვრებისა... საშუალება კაცის გონების მოძრაობაში მოყვანისა... მკაცრი გამკიცხველი ბოროტებისა; დამყვავებელი, მშობელი კეთილისა. თეატრი არის მსაჯული ყოვლად ძლიერი და წმინდა; მან იცის გულდათუთქულს მიაწვდინოს დიდებული ხმა და ეს ხმა არის ნექტარი ავადმყოფისათვის, ამხელი თვალებისა, გრძნობაში მომყვანი მიძინებულისა, მამგონებელი კაცის ღირსებისა.

შემცდარია და რეგვნობს, ვინც თეატრს მხოლოდ მოწყენილ დროის მოსაკლავ ადგილად... უყურებს, რადგანაც მისი სახელი არის „წმინდა ტაძარი მსაჯულობისა“.

ცხოვრებაში არ არის საგანი, არ არის საშუალება, რომლითაც ისე წმინდად, ისე საგრძნობლად და თვალსაჩინოდ დაგვიხატოს დიდებულთა მოქმედება, როგორც სცენა, და ყველა ვინც კი მას სხვარიგის გრძნობით ეწვევა, ანუ ეხება — გულწბილობს სამარცხვინოდ.

ნაციონალური თეატრი საერთო საქმეა, საერთო სიწმინდე და ვინც მას შეეხება უწმინდურად, ის ღალატობს თეატრთან ერთად თვით ხალხს... ასეა თეატრი საზოგადოდ, ასე დიდებული დანიშნულება აქვს მას ხალხისათვის“ (ხელნაწერი ფონდი № 3993).

როგორც ხედავთ, ალექსანდრე ყაზბეგი მცირე მოთხოვნილებას არ უყენებს თეატრს; მისი აზრით „თეატრი მსაჯულია—ყოვლად ძლიერი და წმინდა“. განა ამავე აზრის არ იყო თეატრის დანიშნულებაზე გამოჩენილი ლესინგი? ლესინგმა თავის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ შესანიშნავად გაუსწორა ანგარიში ყველა იმ ადამიანს, ვინც თეატრს დროის მოსაკლავ საგნად სთვლიდა და სპექტაკლს გარეგან იაფფასიანი

ეფექტის თვალსაზრისით უმზერდა. არ ვიცი რამდენად იცნობდა ალექსანდრე ყაზბეგი ამ დიდებული გერმანელის მოსაზრებებს თეატრზე, მაგრამ ცნობა რა ბედენაა! „ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი იმავე გრძნობით უნდა შედიოდეს თეატრში, როგორც დიდი არისტოტელე... იგი ხომ თეატრს ისეთ ადგილად სთვლიდა, სადაც ადამიანის სული საზრდოობს მაღალი იდეებითა და ჭეშმარიტი გრძნობებით“ (ლესინგი).

*

ალექსანდრე ყაზბეგის პირველ სერიოზულ დრამატიულ ნაწარმოებად „კონსტანტინე ბატონიშვილი“ უნდა ჩაითვალოს. ამავე დროს „კონსტანტინე ბატონიშვილი“ ერთი პირველი ისტორიულ დრამათაგანია ქართული ლიტერატურის ისტორიაში (სუმბათაშვილის „ღალატი“ დაიწერა 1895 წ. ე. ი. რამდენიმე წლით გვიან „კონსტანტინე ბატონიშვილზე“). დრამა იშლება მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ფონზე. სიუჟეტი ამ დრამისა გადმოგვცემს იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ახასიათებდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას მე-16 საუკუნის დასასრულისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე. ფაბულა დრამისა შემოფარგლულია ქეთევან დედოფლისა და კონსტანტინე ბატონიშვილის ურთიერთობით. ხოლო იდეა ამ დრამატული ქმნილებისა — არის დაგმობა ღალატისა, როგორც სამარცხვინო და კაცის ღირსების დამამცირებელი საქციელის.

ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიული დრამის მთავარი ფიგურა კონსტანტინე ბატონიშვილია. ამ ადამიანმა უარყო სარწმუნოება, უარყო თავისი ხალხი, მოკლა მამა, საკუთარი ძმა და მოინდომა რძლის ცოლად შერთვა. ამ საშინელი და საზიზღარი მოქმედების შემდეგ კონსტანტინე შემდეგი სიტყვებით მიმართავს სპარსეთის ჯარის სარდლებს: „ვფიცავ მაჰმადის საფლავს დ დიდებულ შაჰ-აბაზის სახელს, რომ დღეიდან ჩემ გულში შეწყალება არ შევა, რომ დღეიდან საქართველოში მე მექნება მეჯლისი, რომელზედაც სისხლის ღვარს ავაყენებ ღვინისა და შარბათის მაგიერ და სიმღერად მარტო კვნესას, ტირილს და გოდებას-ღა გავაგონებ... რამდენადაც მეტი სისხ-

ლი დაიღვრება, რამდენადაც მეტ ხვეწნას გავიგონებ, რამდენადაც ძლიერ სატანჯველს ვიხილავ, იმდენად მეტად დასტკბება ჩემი გული, იმდენად მეტს ისიამოვნებს ჩემი სმენა". ამრიგად, კონსტანტინე ბატონიშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა ტრაგიკულ პიროვნებასთან, არამედ სისხლის დამნაშავესთან. მაშ რატომაა იგი ტრაგიკული ბედის ადამიანი ალექსანდრე ყაზბეგის დრამაში? ეს მოქმედება ხომ ეწინააღმდეგება დრამის შენების კანონზომიერ პრინციპებს? „კონსტანტინე ბატონიშვილის", როგორც ისტორიული დრამის არსი, ალექსანდრე ყაზბეგმა განსაზღვრა რამდენიმე სიტყვით. იგი ამბობს: „ძალა რწმუნებაშია. რაკი რწმუნება შეირყევა, ძალაც უნდა დაირღვეს". ეს ფრაზა მთელი დრამის გასაღებს წარმოადგენს. ყაზბეგმა მშვენივრად იცის, რომ კონსტანტინე ბატონიშვილი არ არის ტრაგიკული პიროვნება, მაგრამ იგი რწმუნადაკარგული ადამიანია. კონსტანტინეს რაკი რწმენა შეერყა, მან დაკარგა მორალური ძალა, ყველა ადამიანური თვისება. ამ მომენტში კონსტანტინე ტრაგიკული პიროვნება იქნებოდა, რომ მისი .რწმენის დაკარგვას საფუძვლად ედოს არა სუბიექტურ ვნებათა ღელვა, არამედ ობიექტური პირობები: ნამდვილად კი კონსტანტინემ რწმენა დაკარგა ქეთევანის სიყვარულისათვის. მოიგონეთ დრამის ის ეპიზოდი, რომელიც შეეხება ქეთევანისა და კონსტანტინეს ურთიერთობას. მაცხოვრის ხატის წინ მუხლზე დაშხობილ ქეთევანის წინაშე მოწიწებით წარდგება კონსტანტინე ბატონიშვილი შემდეგი სიტყვებით: „გიკვირს, რომ აქ ვარ... ქეთევან, გამიგონე შემიბრალე!.. ვკვდები, ვიტანჯები... შენი სიყვარული მოსვენებას არ მაძლევს! მან მომაშორა სამშობლოს, გამომაცვლევინა სარწმუნოება, მომაკვლევინა მამა, ძმა და უბედური გამხადა... ამდენი ავკაცობა შენი გულისათვის ჩავიდინე... ვეცადე მოგშორებოდი, დამევიწყე, მაგრამ გამხეცებული სიყვარული გულს მიღრღნის და მოსვენებას არ მაძლევს! რამდენადაც მინდა გაგშორდე, იმდენად გონება შენ გიახლოვდება, რამდენადაც შენ დავიწყებას ვცდილობ, იმდენად მეტად მიღონდება გული შენთან შეერთების სურვილით, შენ გონიერი ხარ, ქეთევან, განსაჯე".

როდესაც ქეთევანი მკაცრი კილოთი უპასუხებს, რომ იგი (კონსტანტინე) შებრალების ღირსიც არ არის, კონსტანტინე მეტად მგრძნობიარე სიტყვებით უპასუხებს: „შებრალების ღირსი არ არის?! ღმერთო ჩემო. მე მინდა დავიმორჩილო ეს გრძნობა, მაგრამ რა ვქნა, რომ გრძნობა სძლევს გონებას და ჩემსდა უნებურად მიმორჩილებს, ერთის კიდურიდან მეორეზე მაგდებს... მე ვცდილობ გაგშორდე, გწყეველი, გიშორებ თავიდან, მაგრამ რაღაც ძალა პირში სიტყვას მილევს... მე აღარ მესმის რას ვსჩადი? ცხადად, სიზმრად, ფიქრად, ყველგან შენ, შენა ხარ, ყველა ჩემ სისხლის წვეთში შენი სახელი ჩასახულა და ყოველ მოძრაობაზე ცხელ შანთებსავით სწვავს, სდაღავს ტვინს, გონებას, მთელს სხეულს“.

აქ, ამ მომენტში უნებურად გვაგონდება შექსპირის ტრაგედია „რიჩარდ მესამე“. განსაკუთრებით ის ადგილი, როდესაც ბოროტი გლოსტერი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ულამაზეს ლედი ანას:

> არა, მიზეზი იყო შენი მშვენიერება,
> შენი სიტურფე, ძილში რომ თავს დამტრიალებდა
> და მაქეზებდა თუნდ მთელ ქვეყნის ამოსაჟლეტად,
> ოღონდ ერთ საათს მივყრდნობოდი მაგ შენს ტკბილ გულსა.

მიუხედავად ამისა, რიჩარდ მესამე მაინც ტრაგიკული პიროვნებაა. მისი ბუნებრივი სიმახინჯე გახდა საფუძველი მისი სულიერი დამახინჯებისა. „მუხთალ ბუნებას აუვსივარ უსაჭურობით და უქმური. შეთითხნილი გაურევივარ ცოცხალთა შორის... მე, უშნოთ გათლილს, არა მაქვს სატრფოს შეხედულება“, — ამბობს გლოსტერი. ამ სიტყვებში დაფარულია იმ კაცის ვაება, ვისაც საკუთარი სიმახინჯე ბორკილად გადაქცევია ამქვეყნიური სიამოვნებით დატკბობის დროს. ამ მიზეზმა რიჩარდი გაამწარა და მძლავრი სტიმული მისცა მის ბოროტ გრძნობას. რაკი ბოროტების გზას დაადგა საკუთარი ღირსების აღსადგენად, ბოროტების გზით იგი ცდილობს მისწვდეს ყველაზე სრულყოფილ ამქვეყნიურ სიამოვნებას. აქ არის ტრაგედიის სათავეც.

მაგრამ კონსტანტინე ბატონიშვილი მოკლებულია ამგვარ, ჰეშმარიტ ტრაგიკულ საფუძველს. მიუხედავად სუბიექტურად

მძაფრი ვნებებისა, კონსტანტინე ვერ ადის იმ სიმაღლეზე, სადაც იწყება წყალგამყოფი მიჯნა ტრაგიკულ პიროვნებასა და ავაზაკს შორის. მთელი შეცდომა დიდებული ყაზბეგისა იმაშია, რომ მან დრამაში ტრაგიკულ პიროვნებად აქცია არა ქეთევანი, არამედ კონსტანტინე; მაშინ, როდესაც ქეთევანის ბედი ჰეშმარიტად ტრაგიკული იყო. ქეთევანი ყაზბეგის დრამაში ცხოვრებიდან განდგომილ მონაზონს უფრო ჰგავს, ვიდრე ერის, ქვეყნის მეთაურს. აქ ქეთევანი მოჩანს, როგორც მხოლოდ სარწმუნოებისათვის თავგანწირული ადამიანი, მაშინ როდესაც ისტორიულად მის თავგანწირვას ქართველი ერის პოლიტიკური და მორალური ტრაგედია დაედო საფუძვლად. დრამაში სწორედ ეს ტრაგედია უნდა გადაქცეულიყო ქეთევანის მამოძრავებელ ძალად, მის საკუთარ ტრაგედიად. სიყვარული აქ უნდა ყოფილიყო, როგორც ერთ-ერთი იმპულსი ტრაგიკული გამძაფრებისა და არა ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი. კონსტანტინე ბატონიშვილის საქციელი ალექსანდრე ყაზბეგს სიყვარულის ემბაზში აქვს განბანილი და დრამაში ისე წარმოგვიდგება, როგორც სიყვარულისათვის ჯვარცმული ადამიანი. ისტორიულად და რეალურად ასეც უნდა ყოფილიყო, დრამის ცენტრში კონსტანტინე ბატონიშვილის დაყენება ბღალავს არა მარტო დრამის შექმნის კანონებს, არამედ იმ მორალურ კანონებსაც, რომელზედაც დრამა უნდა აშენდეს.

ისმება კითხვა: რატომაა ქეთევან დედოფლის ბედი ტრაგიკული? მონღოლების შემოსევიდან დაწყებული და აღამახმად ხანის შემოსევით გათავებული — ქართველი ერის სასიცოცხლო ძალების ბრძოლა შემოფარგლული იყო ეროვნული სახის შენარჩუნების მოტივით. მაგრამ ყველაზე კრიტიკულ მომენტად ქართველი ხალხის ისტორიაში მე-16—17 საუკუნეები უნდა ჩაითვალოს. ეს იყო მწუხარე დრო, როდესაც სწყდებოდა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. არა მარტო გარეგანი ძალების გავლენით უძლურდებოდა ერის მაგარი სხეული, არამედ შინაგანი ძალების შემწეობითაც. პოლიტიკურმა დაცემამ და ეკონომიურმა სიბეჩავემ მორალურადაც დასცა ერის შიგნით მოქმედი ნაწილი. თუ თამარ მე-

ფის ისტორიკოსი ამაყობს იმით, რომ თამარის მეფობის დროს არც ერთი ადამიანი არ დასჯილა სიკვდილითო, მე-16, მე-17 საუკუნის ისტორიკოსები მწუხარებით აღნიშნავენ, თუ როგორ დაეცა მორალურად ერის მოწინავე ფენების ერთი ნაწილი. მორალური გახრწნა იქამდე მივიდა, რომ პირადი ანგარების მიზნით შვილი ჰკლავდა მამას, ძმა—ძმას და ასე შემდეგ. აი ამ ეპოქის შვილი იყო ქეთევან დედოფალი. თავისი შეგნებით და მოვალეობის ხვედრით ქეთევან დედოფალი მთელი თავით მაღლა იდგა იმ სამწუხარო ეპოქაზე. ქეთევანი გრძნობდა თავისი დროის უბედურებას, თავისი ხალხის უნუგეშობას, მაგრამ არავითარი ობიექტური საშუალებანი არ არსებობდა, რომ დედოფალს, როგორც ერის ხელმძღვანელს, გამოეყვანა ხალხი ამ მდგომარეობიდან. ისტორიული აუცილებლობა შეგნებული ჰქონდა ქეთევანს, მაგრამ შესაძლებლობა არ ყოფნიდა აჰ აუცილებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ობიექტურმა აუცილებლობამ ქეთევან დედოფლის პიროვნების მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა. აქ არის ტრაგედიის სათავეც, რადგანაც ერთიმეორეს მძაფრი კონფლიქტებით შეხვდა ისტორიული აუცილებლობა და სუბიექტური შესაძლებლობა. აქ უნდა დაწყებულიყო ისტორიული დრამა და დამთავრებულიყო იმ მომენტით, როდესაც ქეთევანი გადასწყვეტს საკუთარი პიროვნების დაღუპვას. ქეთევანის მსხვერპლად შეწირვით იხსნება ერთი რგოლი კონფლიქტებისა ისტორიულ აუცილებლობასა და სუბიექტურ შესაძლებლობას შორის. ამ მომენტის შემდეგ ამბავთა გაგრძელებას დრამისათვის არსებითად აღარა აქვს მნიშვნელობა, ამიტომ ვთქვით ზემოთ, რომ ტრაგიკულ პიროვნებად ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიულ დრამაში უნდა ყოფილიყო არა კონსტანტინე ბატონიშვილი, არამედ ქეთევან დედოფალი, კონსტანტინე ბატონიშვილი დრამის დამთავრებისას შაჰაბაზის მიერ ისჯება დამსახურებული სასჯელით და არასოდეს დამსახურებულად დასჯილი ადამიანი არ შეიძლება იყოს დრამის ან ტრაგედიის მამოძრავებელი ძალა. მაინც რატომ? ისტორიულად დრამის სახეები (დრამა, კომედია, ტრაგედია) იქმნება ისტორიულ აუცილებლობასა და სუბიექტურ შესაძლებლობათა შორის მომხდარი

კონფლიქტების მიჯნაზე. ისტორიული აუცილებლობა,—ამბობდა ჰეგელი,—ბრმაა, ვიდრე ის შეუმეცნებელია, როდესაც სუბიექტი მას შეიმეცნებს, ისტორიული აუცილებლობა თავისუფლებაში გადადისო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. აქ უნდა ვეძიოთ ტრაგედიისა და კომედიის სათავეც, თუ არსებობს ობიექტური აუცილებლობა, მაგრამ სუბიექტს არ აქვს ამ ობიექტის აუცილებლობის შემეცნების უნარი და არც შინაგანი შესაძლებლობანი ყოფნის განზრახვათა სისრულეში მოყვანისათვის, — აქ უნდა წარმოიშვას კომედია, როგორც დრამის ერთ-ერთი სახე. თუ არ არსებობს ობიექტური, ანუ ისტორიული აუცილებლობა, მაგრამ არსებობს სუბიექტური შესაძლებლობა და პიროვნებას აქვს უნარი იბრძოლოს სასურველი სინამდვილისათვის — აქ უნდა წარმოიშვას დრამა. თუ პიროვნების სუბიექტური განზრახვანი წინ უსწრებენ ისტორიულ აუცილებლობას, მაშინ ბრძოლა ისტორიულ აუცილებლობასა და სუბიექტურ შესაძლებლობას შორის წარმოშობს ტრაგედიას.

ამ თვალსაზრისით ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი“ არ ეყრდნობა დრამის შენების კანონზომიერების პრინციპს და ამასთან ერთად ზუსტად არ გამოხატავს იმ ისტორიულ პროცესებს, რომლებიც შეიქმნა მე-16 საუკუნის დასასრულისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე ქართველი ერის ისტორიაში. დრამის საფუძვლად ყაზბეგმა კონსტანტინეს სიყვარული აქცია და მსედველობიდან გაუშვა ქეთევან დედოფლის ტრაგედიის ნამდვილი მიზეზი.

რაკი ალექსანდრე ყაზბეგმა ვერ მოძებნა დრამის ნამდვილი საფუძველი, პიესა ფერმკრთალი და შინაგან ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას მოკლებული გამოვიდა, მაგრამ ამ ნაკლის დასაფარავად ყაზბეგი ცდილობს დიალოგის პათეტიურ კილოზე აშენებას. მართლაც, ყაზბეგის ისტორიულ დრამაში გამოყვანილი ტიპები ძლიერ პათეტიურნი არიან, ავტორი ტიპების სულის ძლიერების ასახვაზე კი არ ზრუნავს, არამედ მათ ვნებათა ღელვის გამოსახვაზე. პიესაში ამიტომ შემოიტანა ყაზბეგმა სიყვარულის მოტივი და შექმნა იგი დრამის მამოძრავებელ ძალად. ყაზბეგის დრამაში რამდე-

ნადაც სიყვარული აძლიერებს ტიპების პათეტიურ ხასიათს, იმდენად იგი ასუსტებს ტრაგიკულ კონფლიქტებს, წარმოშობილს ისტორიულ აუცილებლობასა და სუბიექტურ შესაძლებლობას შორის. „კონსტანტინე ბატონიშვილის“ ავტორმა ვერ გამოხატა ეპოქის მამოძრავებელი ძალები; ვერ მოგვცა არსებითი მხარე ქართველი ერის ტრაგედიისა და ამ ნიადაგზე ყაზბეგის დრამა იქცა მხოლოდ ინდივიდუალური ვნებების გამოხატვის საშუალებად.

ალექსანდრე ყაზბეგის დრამებს შორის, „კონსტანტინე ბატონიშვილის“ შემდეგ სერიოზულ ნაწარმოებად „არსენა“ უნდა ჩაითვალოს. „არსენას“ განხილვის დროს ორი საკითხი გვაინტერესებს: პირველი — რამდენად სწორად გამოხატავს იგი ეპოქის მამოძრავებელ ძალებს და მეორე — რა მხატვრულ სიმაღლეზე დგას დრამის შენების თვალსაზრისით?

არსენას პიროვნებისადმი უსაზღვრო სიყვარულს ქართველი ხალხი თითქმის მთელ საუკუნეებს ატარებდა უანგარო გულით და ეს სიყვარული ეყოფა კიდევ მრავალ საუკუნეს. ხალხმა არსენაში დაინახა ბატონყმობის ველური ხუნდებისაგან განმათავისუფლებელი ძალა; ამ ნიადაგზე იგი შემოსა ბრწყინვალე შარავანდედით. ხალხურმა გენიამ არსენას უმღერა დიდების ჰიმნი და ისტორიული პიროვნება სათაყვანებელ, ლეგენდარულ ადამიანად აქცია.

ჩვენმა ისტორიულმა წარსულმა მრავალი გმირის სახელი დაგვიტოვა; მათ ვაჟკაცობაზე მღეროდნენ სიმღერებს და მოშავალ თაობებს აფხიზლებდნენ ამ სიმღერებით. მათ რიცხვში ერთ-ერთი საპატიო ადგილი არსენა ოძელაშვილს ეკუთვნის. ტყუილად როდი ამბობდა დიდი ქართველი — ილია ჭავჭავაძე არსენას მისამართით: „ნეტავი იმ დედას, ვისგან გაზრდილა და ვისაც ძუძუ უწოვებია“.

რა ისტორიულმა მოვლენამ შეუწყო ხელი არსენას, როგორც ისტორიული პიროვნების წარმოშობას? გასული საუკუნის პირველ ათეულ წლებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ერთის მხრივ მტკიცდებოდა მონარქიული რუსეთის ბიუროკრატიულ-ჟანდარმული აპარატი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა ქართველი ხალ-

ხის ისედაც დასუსტებულ მხრებს; მეორეს მხრივ — რუსეთის შეუჩერებელმა მისწრაფებამ აღმოსავლეთში ფართო ასპარეზი გაუხსნა სავაჭრო კაპიტალიზმს, რომელიც ანგრევდა ნატურალურ მეურნეობას და ამავე დროს ხელს უწყობდა თავადაზნაურობის ეკონომიურ დაცემას. თავადაზნაურობის გაღატაკებამ გამოიწვია გლეხკაცობის გაასკეცებული ექსპლოატაცია; ეს უკანასკნელი გახდა მიზეზი იმ დიდი აჯანყებების, რომლებიც აზანზარებდნენ რუსეთის მონარქიის ბუნებს ამიერ-კავკასიაში. გლეხკაცობას გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან საბრძოლველად რჩებოდა ორი გზა: მასიური აჯანყების და ინდივიდუალური ყაჩაღობის (ამ სიტყვის არა თანამედროვე გაგებით). ცნობილია, რომ გლეხური აჯანყებანი, ორგანიზაციულად კარგად მოწყობილნიც კი, ყოველთვის დამარცხებით მთავრდებოდა, რადგანაც „გლეხური აჯანყებანი შეიძლება წარმატებით დამთავრდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკავშირებულნი არიან მუშათა აჯანყებებთან და თუ მუშები ხელმძღვანელობას უწევენ გლეხურ აჯანყებებს“ (ი. სტალინი). სწორედ ამ ხელმძღვანელი ძალის უქონლობის გამო რუსეთის მონარქია სისხლში ახშობდა ყოველგვარ გლეხურ მოძრაობას იმ საუკუნეში, როდესაც სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა არსენა ოძელაშვილი.

საასპარეზოდ გამოსულ ოძელაშვილის წინაშე იყო ორი გზა: მასიური აჯანყებისა და ინდივიდუალურად ყაჩაღად გასვლის. არსენამ, როგორც ეს ისტორიული მასალებიდან, კერძოდ, კი ცნობილი ხალხური ლექსიდან ჩანს, აირჩია მეორე გზა და, ჩემი აზრით, ეს იყო ამ დიდი ტრაგედიის მიზეზი, რომელსაც არსენა განიცდიდა, როგორც ისტორიული პიროვნება. უეჭველია, რომ არსენას ლექსში, წყეული ცენზურული პირობების გამო დაფარულია, ანდა სულ არ არის რა თქმული არსენას საგმირო საქმეების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ. ერთი კი ფაქტია: ვიდრე არსენა ტყედ გაიჭრებოდა, იგი უსათუოდ მიმართავდა მასიურ აჯანყებას, მით უფრო, რომ აჯანყებისათვის მზად იყო იმ ეპოქის გლეხთა სულიერი განწყობილება. ეტყობა არსენა შესაფერ დროს უცდიდა საკუთარი ძალების გაზრდის მოლოდინში, მაგრამ ლოდინით

ფაქტიურად მან ხელიდან გაუშვა აჯანყების შესაფერი მომენტი და დამარცხდა. ამ დამარცხებამ არსენა აიძულა დასდგომოდა ინდივიდუალური ბრძოლის, ყაჩაღობის გზას; მაგრამ არსენა ის ყაჩაღი როდია, რომელიც ძილთან არის შეთქმული და შუაღამის ჟამს კიბეებზე ხოხავს. არსენა ოძელაშვილი მთელი შეგნებით იტანჯებოდა იმ დიდი იდეებით, რომელსაც გლეხთა ბატონყმობის მძიმე უღლიდან განთავისუფლება ეწოდება. „გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა, შვილსავით კალთით უტარებიაო“ — ამბობდა ილია ჭავჭავაძე არსენას მისამართით. ეს ფაქტი რაღაც ტრაგიკული შუქით ანათებენ არსენა ოძელაშვილის მუდამ მოქმედ, მოძრავ და საშიშ მდგომარეობაში მყოფ ცხოვრებას, რომელიც მაშინდელი, შავბნელი, ყრუ ეპოქის ერთ ნაწილს შეადგენდა. და აი ამ შავბნელ ეპოქაში ტყედ გაჭრილმა ყმა გლეხმა წამოაყენა ეგალიტარიზმის (საყოველთაო თანასწორობის) პრინციპი. მაგრამ ეს იყო სახიფათო გზა იმ დროში, როდესაც მთელი საუკუნე არ იყო მომწიფებული იმ იდეების გასატარებლად, რომელსაც თითონ ოძელაშვილი ბუნდოვნად გრძნობდა. კლასი, რომელსაც იგი ეყრდნობოდა სავსებით განვითარებული არ იყო; მას არ შესწევდა უნარი მთელი საზოგადოების დასამორჩილებლად და გარდასაქმნელად. საზოგადოებრივი გარდატეხა, რომელიც მის გლეხურ ფანტაზიას ეჩვენებოდა, იმდენად ნაკლებად იყო დაფუძნებული არსებულ მატერიალურ პირობებზე, რომ ეს უკანასკნელნი ამზადებდნენ საზოგადოებრივ წესწყობილებას, რომელიც სწორედ მისი საოცნებო საზოგადოებრივი წესწყობილების პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. არსენა წინ უსწრებდა თავის დროს და წინაგრძნობის ალღოთი მხოლოდ ფანტაზიაში ხედავდა მომავალი დღის განთიადს; აქ პიროვნების სუბიექტური განზრახვანი წინ უსწრებენ ისტორიულ აუცილებლობას. აქ არის ჩამარხული არსენას, როგორც ისტორიული პიროვნების, ტრაგედიის მიზეზები. სუბიექტური შესაძლებლობისა და ობიექტური აუცილებლობის კონფლიქტებმა განსაზღვრა არსენა ოძელაშვილის ისტორიული სახე. არსენას ბედი ჰეშმარიტად ტრაგიკულია. იგი ჩვენ გვაგონებს შილერის კარლ მოორის ბედს.

რა ვუყოთ, რომ კარლ მოორივით არსენა ბრწყინვალე წოდებიდან არ არის გამოსული და ლაიპციგის უნივერსიტეტში არ უსწავლია. ორივე პიროვნებას ერთი იდეა, ერთი მიზანი აწუალებდა: ბრძოლა ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ; მაგრამ ამ ბრძოლას არ ჰქონდა შესაფერი ეფექტი პრაქტიკულ ცხოვრებაში, რადგანაც მთელი საუკუნე, როგორც ზემოთ ვთქვით, არ იყო მომწიფებული იმ იდეების გასატარებლად, რომელსაც კარლ მოორის მსგავსად არსენა ოძელაშვილი ბუნდოვნად გრძნობდა; კლასი, რომელსაც ეს ადამიანები ეყრდნობოდნენ, სავსებით განვითარებული არ იყო; მას არ შესწევდა ძალა მთელი საზოგადოების დასამორჩილებლად და გარდასაქმნელად. ისინი ნაადრევი რევოლუციონერები იყვნენ და ამიტომაც ტრაგიკულნი.

მაგრამ კარლ მოორსა და არსენას შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთსა და იმავე ეპოქაში უხდებოდათ ცხოვრება და ერთ და იმავე იარაღით ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ, მაინც არის არსებითი განსხვავება. შილერისათვის კარლ მოორი დროის საყვირია, რომელსაც თავზე ახვევს ისეთ იდეებს, რომლებიც გმირის სოციალური მდგომარეობის პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. პიროვნების გარდაქმნა ხდება არა ისტორიული მდგომარეობიდან გამომდინარე კანონზომიერების პრინციპებით, არამედ თავზე მოხვეული იდეებით. კარლ მოორი ბრძოლაში დაიღუპა არა როგორც ხალხის განმათავისუფლებელი იდეების მატარებელი ადამიანი, არამედ როგორც რაინდი, რომელმაც გაილაშქრა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ: ამ ბრძოლაში კარლ მოორი არ იყო თანმიმდევარი ადამიანი; მას ხშირად ეჭვი ეპარებოდა სათაყვანებელი იდეების სამართლიანობაში. მის რაინდულ გულს საწამლავივით ღრღნიდა გამუდმებული ნაღველი უცნობი ქვეყნის ხილვით გამოწვეული. „ნეტა ვინმე კი დამარწმუნებდეს... მოსთქვამდა ნაღვლიანად კარლ მოორი, მთლად წყვდიადში ვარ! რაღაც დახლართულ ლაბირინტში, არსად გამოსავალი, არსად გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. მაგრამ რას წარმოადგენს ეს დაუსრულებელი ბედნიერების წყურვილი? რა საჭიროა მიუწვდომელი სურვილებისადმი

ლტოლვა? როდესაც ამ უბრალო ნივთზე ოდნავ თითის დაჭირება (დამბაჩას შუბლზე მიიდებს) ბრძენს სულელთან ათანასწორებს, მხდალს მამაცთან და პატიოსანს გაიძვერასთან. უსულო ბუნებაშიაც კი ამისთანა ღვთაებრივი ჰარმონიაა, მაშ გონიერ არსებაში, რად უნდა იყოს ამისთანა უთანხმოება? არა! რაღაც უზენაესი რამ უნდა იყოს, რადგან მე ჯერ ბედნიერი არ ვყოფილვარ; მაგრამ ხომ არ გგონიათ თრთოლვა დავიწყო თქვენს წინ, ჩემგან გასრესილთა აჩრდილნო? არა, არ ავთრთოლდები! (თრთის). თქვენი გალურჯებული პირისახე, თქვენი სახზარლად პირდაღებული ჭრილობანი — ყველა ეს მხოლოდ რგოლებია ბედისწერის განუწყვეტელი ჯაჭვისა, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ჩემს ნადიმებთან, ჩემი გამგებლებისა და მამამძუძეთა მიზეზიანობასთან, მამიჩემის ხასიათთან და დედაჩემის სისხლთან... დროზე, და საუკუნევ, ერთმანეთთან ერთი წუთით შეჯაჭულნო! დაჟანგებულო გასაღებო—ცხოვრების კარებს რომ მიკეტავ და დაუსრულებელ წყვდიადის სივრცეს მიღებ, მითხარ, გევედრები, მითხარ, სად მიმიყვან. საღ? უცნობო, არვისაგან ნახულო ქვეყანავ! მოქანცული კაცობრიობა შენს წინაშე მუხლს იდრეკს და უცხო აჩრდილნი ელანდებიან. არა! ადამიანი არ უნდა შედრკეს, რაც უნდა იყო შენ, უსახელო საიქიოვ, ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ ჩემი მე შემრჩეს, ან იქნებ გსურს ნელის ნაბიჯით შენ თითონ მიმიყვანო განადგურებამდე? განა არ შემიძლია მე თვითონ გავსწყვიტო ცხოვრებასთან კავშირი და ისეთი მსვლელობა არ მივცე, როგორც „იქ“ არის ნაჩვენები? შენ შეგიძლიან გამანადგურო, მაგრამ ამ თავისუფლებას კი ვერ მომისპობ, მაგრამ რად გაურბივარ სიცოცხლეს. ნუთუ იმ შიშის გამო, რომ მწუხარება არ გამოვცადო, არა, მინდა ვიტანჯო! (დამბაჩას გადაადებს) დეე, ტანჯვანი ჩემს სიამაყეს ზედ შეემსხვრენ. უბედურების ფიალას ძირამდე დავცლი“.[1]

ასეთი სულიერი წინააღმდეგობით იყო აღსავსე კარლ მორის ცხოვრების გზა. იგი ხან ვაჟკაცურად სძლევდა ამ წინააღმდეგობას, ხან კი ჩვილ ყრმასავით ემორჩილებოდა მას..

---

[1] შ ი ლ ე რ ი, „ყაჩაღები“, მე-4 მოქმედების მეხუთე სურათი.

ბოლოს, როგორც ვიცით, კარლ მოორი დამარცხდა არსებულ სინამდვილესთან ბრძოლაში. მისი უკანასკნელი სიტყვები დიდებულად ადასტურებენ მოორის დამარცხების მიზეზებს. „მოიცათ, — მიმართავს კარლ მოორი თანამებრძოლებს, — წასვლამდის ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი. გამიგონეთ, თქვენ, ჩემ ბარბაროსულ განწირახვათა საზიზღარო იარაღო! ამ წამიდან თქვენს წინამძღოლობაზე უარსა ვყოფ. სირცხვილით და მწუხარებით დაუტოვებ აქ, ამ სისხლისფერ კვერთხს, რომლის საფარ ქვეშ დაუსჯელად ბოროტმოქმედობდით და ჯოჯოხეთური საქმეებით ზეციურ სიწმინდეს სვრიდით... ოჰ, რა უგუნური ვიყავ, რომ მეგონა, ქვეყანას ბოროტმოქმედებით გავასწორებდი და უკანონობით კანონიერებას ხელს შევუწყობდი! მერე რა! ამას შურისგებასა და უფლებას ვეძახდი. მწადდა, ჰოი განგებავ, შენი დაჩლუნგებული მახვილი გამელესა და მით შენი მიდგომითი მოქმედება გამესწორებინა, და აჰა დახე ჩემ თავქარიან ბავშვობას“.

ასეთი საშინელი მარცხით დასრულდა კარლ მოორის ქარიშხლიანი ცხოვრება. ჰარმაგობის ჟამს მან უარყო სიჭაბუკის დროს შეთვისებული მებრძოლი იდეები, იდეურად დამარცხებამ კატასტროფით დაასრულა ამ შესანიშნავი რაინდის სიცოცხლე.

ცხადია კარლ მოორის დამარცხება მხოლოდ მისი ინტელიგენტური, შემტევი ბუნების ბრალი არ არის. ამ დამარცხებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მაშინდელმა გერმანულმა სინამდვილემ და იმ პოლიტიკურმა პირობებმა, რომელთაც თავისი გამოხატულება ტირანიაში ჰპოვეს.

წინააღმდეგ კარლ მოორისა, არსენა ოძელაშვილს უფრო მეტი სოციალური მიზეზები ჰქონდა გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან ბრძოლისათვის. გლეხობის წრიდან გამოსული არსენა ტირანიას უპირისპირებდა არა მარტო თავის ფიზიკურ ძალას, არამედ კეთილშობილ გულსაც. მარაბდის მიწურ ქოხებში, დედის ნანასთან ერთად, არსენას ესმოდა უნუგეშო კვნესა „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა“. ხალხთან კავშირმა არსენას სულში შთანერგა ვაჟკაცური ბუნება და კეთილშობილება. მისი რაინდული ხმა რაღაც სასწა-

ულებრივი მოწოდების ზარი იყო ქართველი ხალხისათვის; მან გამოაფხიზლა ღრმა ძილში წასული გლეხობის ჩამორჩენილი ფენები და მოამზადა ნიადაგი ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. იგი პირველი ამბობდა თავის, ჯერ კიდევ სხვისგან უთქმელ სიტყვას. ამ აზრით არსენა ოძელაშვილი წინ უსწრებდა თავის დროს და ფანტაზიის ძალით ბუნდოვანად გრძნობდა მომავლის დღის განთიადს.

გაიგო თუ არა სწორად არსენას პიროვნება ალექსანდრე ყაზბეგმა? სამწუხაროდ არა. ყაზბეგის დრამაში არსენა მოჩანს არა როგორც დიდი ტრაგიკული პიროვნება, რომელიც იტანჯებოდა მაღალი იდეებითა და დიდი მიზეზებით, არამედ როგორც მეწვრილმანე, მცირე ძალისა და პატარა მასშტაბის ადამიანი. ყაზბეგის დრამაში არსენას დაკარგული აქვს მიმზიდველობის ძალა და ომახიანი ხმა, რომელიც მთელ საუკუნეს აღვიძებდა. დრამაში არა ჩანს გლეხკაცობის გამოღვიძება მთვლემარე ძილიდან; არა ჩანს პოლიტიკური ტენდენცია ეპოქისა.

ალექსანდრე ყაზბეგი არსენას პიროვნებასთან მივიდა არა როგორც დრამატურგი, არამედ როგორც მომხდარ ამბავთა უბრალო მთხრობელი. „არსენას“ კითხვის დროს ჩვენ ვერ ვხედავთ იმ დიდებულ, მშფოთვარე ყაზბეგს, რომელიც მოჩანს მის უკვდავ პროზაში. მთელი შეცდომა ალექსანდრე ყაზბეგისა, როგორც დრამატურგისა, იმაშია, რომ მან ვერ გაიგო არსენას ტრაგიკული ბედი; ვერ მიხვდა, რომ არსენასათვის ნინო კი არ იყო მიზეზი ტრაგედიისა, არამედ ეგალიტარისტული (საყოველთაო თანასწორობის) იდეები. ამ პირობებში ნინო უნდა ყოფილიყო არა როგორც არსენას ნებისყოფის რეგულიატორი, არამედ როგორც საშუალება ტრაგედიის გამძაფრებისა. „სად არის ეხლა ჩემი ნინო? — მოსთქვამდა არსენა, — იცის რომ მე ასე ახლო ვარ?.. ნეტა ვიცოდე ისიც ისე მოელის ჩემს ნახვას, როგორც მე? (დაფიქრდება) იქნებ დამივიწყა, სხვა შეუყვარდა?.. ხანი რას არ მოახდენს, მაგრამ არა! ის ვერ მიღალატებდა, ვერა! რომ მიღალატოს?.. ოო, თუ მიღალატა, მწარე დღეს დავაყენებ მაშინ... (დაფიქრდება) საწყალო ჩემო თაო!.. რად მივიპარები, როგორც უკანასკნელი

ქურდი... იმისთვის რომ ჩემი საცოლო ვნახო!.. განა ეს დანაშაულია? თუ დანაშაული არ არის, მაშ რად ვიმალები!.. განა ცუდ კაცობას ვშვრები?.. სად არის სამართალი, სადა?.. რისთვის დამდევენ ნადირივითა, რა უნდათ ჩემგან? თვითონ არ ჩამაგდეს ამ დღეში... მაშ სულს რაღად მიხუთავენ? ძალა რაღად მოაქვთ ჩემზედ?.. რად მართმევენ საცოლოს?.. მე კი გაჩუმებული უნდა ვიყო და ხმა არ უნდა ამოვიღო, მაშ მოკვდეს არსენა, რაღა?.. თუ კი ყველა სურვილი შენი მბრძანებელი იქნება, რაღადა ხარ გაჩენილი, რაღად გინდა სიცოცხლე?.. იმისთვის, რომ ყოველთვის სხვის სურვილს აღასრულებდე? რომ მხოლოდ სხვებისათვის მუშაობდე... არა, არა, არსენა ამას ვერ მოითმენს!.. არსენაც კაცია და რაზედაც კაცს უფლება აქვს, არსენასაც უნდა ქონდეს“.

დრამაში ეს ერთადერთი სერიოზული მონოლოგია, მაგრამ განა ამ მონოლოგში ჩანს არსენას ისტორიული პიროვნება, მისი ტრაგიკული ბედი?! აქ სასოწარკვეთილი მავედრებელის ხმა ისმის და არა იმ ადამიანის, რომელსაც შეგნებული ჰქონდა თავისი უფლება და რაინდული გამბედაობით იბრძოდა ამ უფლებისათვის. აქ არა ჩანს აღელვებული და მოუსვენარი სულის შინაგანი დრამა; მასში არ არის ტრაგიკული ძლიერება.

ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“ არც კომპოზიციით, არც არქიტექტონიკით და არც დრამატურგიული კოლიზიებით არ იქცევენ მკითხველის ყურადღებას. დრამა იწყება სრულიად მოდუნებული ტემპით და ასე მიდის მოქმედებათა მთელ მანძილზე. ძლიერი კონტრასტების ადგილს აქ იჭერს უბრალო, ხელოვნური კვანძები; რომელთა სიმაგრე კრიტიკის ოდნავ შეხებას ვერ უძლებს. რაც შეეხება ალექსანდრე ყაზბეგის ვოდევილს, „დილა ქორწილის შემდეგ“, ჩვენი აზრით, განხილვად არა ღირს, მხატვრული თვალსაზრისით ეს ყოველივე ელემენტარულ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს.

ასე გვესახება ჩვენ ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი.

ალექსანდრე ყაზბეგი არ იყო დაბადებული დრამატურგად; იგი თავისი პიესებით მხოლოდ დროს უხდიდა ხარკს.

„ვხედავ, რომ ჩვენს თეატრს რეპერტუარი აკლია და ვცდილობ დაუწერო რამ,“ — ასე ამართლებდა ყაზბეგი თავის შრომას დრამატურგიაში. ის დღიური მუშაკი იყო თეატრისა და არ იბრძოდა უკვდავებისათვის ამ დარგში. პროზა იყო ამ ადამიანის სტიქია და აქ შთაინთქა მისი დიდი შემოქმედებითი ენერგია.

მაგრამ რაგინდ დაბალი ხარისხის დრამატურგად არ უნდა მივიჩნიოთ ალექსანდრე ყაზბეგი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში იგი ერთი პირველი ავტორთაგანია ისტორიული დრამებისა, ამიტომ ყაზბეგისათვის უფრო ძნელი იყო გიორგი ერისთავის და ზურაბ ანტონოვის კომედიების შემდეგ დრამისათვის შესაფერი სიდიადე მიენიჭებია, ვიდრე ყაზბეგის შემდეგდროინდელი დრამატურგებისათვის.

უაზბეგის ესთეტიკა და ეთიკა

„არა შენ ხარ დიდ აქავეც, არამედ დიდ არჰომიროს, რომელმაც შენი ქებანი დასწერა".

ალექსანდრე მაკედონელი.

„ქართველ ომიროს არს, შაბაშ!"

გრიგოლ ორბელიანი.

1.

ალექსანდრე უაზბეგის ესთეტიკის განხილვის დროს მიძომხილველი გვერდს ვერ აუხვევს მწერლის ლიტერატურული მიმართულების საკითხს. მით უფრო, რომ ჩვენ სალიტერატურო კრიტიკაში არ არსებობს ერთი გაბატონებული აზრი ამ საკითხის გარშემო. არაოფიციალურ და ზოგჯერ ოფიციალურ ლიტერატურულ სახელმძღვანელოებში ხშირად შეხვდებით ფრაზებს: „უაზბეგი ნეორომანტიკოსი", „უაზბეგი, როგორც ძველი თემის დამცველი", „ნეორომანტიზმი უაზბეგისა" და სხვ. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფრაზები არ ეყრდნობიან არც უაზბეგის შემოქმედებას და არც მის პირად ცხოვრებას. ლიტერატურული წრეებისათვის კარგად ცნობილი კიტა აბაშიძე შეიქნა ერთი პირველი ტონის მიმცემი უაზბეგის ლიტერატურული მიმართულების ასეთი განმარტებისა. „არც დრო და არც გარემოება,—წერდა კიტა აბაშიძე, — არ შესწევდა უაზბეგს, იმ მიმართულებას დასდგომოდა, რომლის მეთაურიც ის შეიქნა. რომანტიზმმა ახალი სახით, მართალია, ევროპაში ოთხმოციან წლებში შემოაღწია, მაგრამ იქ ამისათვის ნიადაგი მზად იყო. ნატურალიზმმა უკვე მოსპამა დღეები. ზოლას რომანებმა ნატურალიზმი უკიდურესობამ-

დის მიიყვანეს და 1888 წელს „დედამიწას" („La terre") გამოსვლის შემდეგ მისმა მოწაფეებმაც საქვეყნოდ ზურგი შეაქციეს მას... გარეგან მოვლენათა და გარეშე ფაქტების აღწერიდან ლიტერატურა სულიერ მხარეს დაუბრუნდა. კაცის შინაგანი თვისებების გამოხატვა დაიდვა საგნად, ფსიქოლოგიზმი გამეფდა ლიტერატურაში. არც მწერლობის მდგომარეობა და არც საზოგადო პოლიტიკური ვითარება ხელს არ უწყობდა იმ დროს ჩვენში, ყაზბეგის ნეორომანტიზმის აყვავებას... ასეთ მდგომარეობაში ყაზბეგის ნაწარმოების დაბადება უეჭველი და დამამტკიცებელია იმისა, თუ რა შეუძლიან დიდ ნიჭს გარემოების მიუხედავად, და თანაც უეჭველი მაჩვენებელია იმისა, რომ ყაზბეგი ძლიერი ნიჭის პატრონი იყო"[1].

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ ყაზბეგი მართლაც ძლიერი ნიჭის პატრონი იყო; ვეთანხმებით, რომ ზოლამ თავის „La terre"-თი ნატურალიზმი უკიდურესობამდე მიიყვანა. მაგრამ ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია კიტა აბაშიძის აზრი, თითქოს ყაზბეგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შეიქნა მამამთავარი ნეორომანტიზმისა, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ნეორომანტიზმის ბუნების ვერგაგებასთან, კიტა აბაშიძე ევროპულად განათლებული ადამიანი იყო და ვერ დავსწამებთ უცოდინარობას, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ იგი სასტიკად ცდება ნეორომანტიზმის განსაზღვრაში. ამ შემცდარი განსაზღვრით აიხსნება ალექსანდრე ყაზბეგის მიკუთვნება იმ ლიტერატურული მიმართულებისათვის, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგება მის შემოქმედებას.

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ნეორომანტიზმი გაჩნდა, როგორც ანტითეზა რეალიზმისა. მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლების მიჯნაზე ფრანგულ ლიტერატურაში თეოფილე გოტიეს სახით გაისმა ძლიერი ხმა რეალიზმის წინააღმდეგ. წითელ ჟილეტიანმა გოტიემ, რომელსაც მთელი თავისი ადამიანური სიძულვილით სძაგდა ბურჟუა, პარიზის კომუნის გამარჯვების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა თავისი პოზიცია, ხალხის განმათავისუფლებელი იდეების ცხოველმა სუნთქვამ გოტიე აღაშფოთა და ამიერიდან იგი

[1] კიტა აბაშიძე, „ეტიუდები", ტომი 2. გვ. 80, 81, 82.

მტერი გახდა განმათავისუფლებელი, რევოლუციური მისწრაფებისა. თეოფილე გოტიე ოთხმოციან წლებში ტონის მიმცემი იყო მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ანტირევოლუციური განწყობილებისა. ხალხის განმათავისუფლებელი იდეების წინააღმდეგ ამავე წლებში იდეოლოგიურ ფრონტზე აღორძინება დაიწყო ფრიდრიხ ნიცშეს იდეებმა. ნეორომანტიზმი, ნიცშეანიზმთან ხელიხელჩაკიდებული, ევროპულ ლიტერატურაში დიდების ჰიმნს უმღერდა ზეკაცობის იდეას; ეს იდეა კი პიროვნებას ხელოვნურად გლეჯდა საზოგადოებიდან, ხალხიდან და დემოკრატიის წინააღმდეგ ამხედრებდა. ნეორომანტიკოსი გუისმანსის რომანი „A'rebours" ერთ-ერთი ბრწყინვალე მოწმეა იმისა, თუ როგორ წყდებოდა ლიტერატურა რეალურ სინამდვილეს. ამ რომანის გმირის დეზ ესენტის სახით გუისმანსმა გამოხატა ზეკაცის ტიპი, თავისი იდეალური ჯხოვრებით. მაგრამ არსებითად დეზ ესენტის ცხოვრება მოკლებული იყო ნამდვილ ადამიანურ შინაარსს. ამ რომანით გუისმანსს სურდა ენახა გამოსავალი გზა გამოუვალი მდგომარეობიდან, მაგრამ გამოსავლის ნახვა შეიძლებოდა მხოლოდ რეალურ სინამდვილეზე დაყრდნობით, ავტორმა კი ეს არ ისურვა წინასწარ აკვიატებული აზრით. გამოჩენილი პარნასელი ლეკონტ დე-ლილი იმ უხერხული მდგომარეობის გასამართლებლად, რომელშიაც უნებურად ვარდებოდნენ პოეტური ფანტაზიით შექმნილი ზეკაცები, ამბობდა: „იქ, სადაც არაა რეალური ცხოვრება, პოეზიის დანიშნულებაა შექმნას იდეალური ცხოვრებაო". ნეორომანტიკოსებს იდეალური ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდათ სამყაროს ისეთ ნაწილად, სადაც მათი ყურთასმენა ვეღარ გაიგონებდა რევოლუციური იდეების ქარიშხლისებურ ქროლვას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ნეორომანტიზმი მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე გადაიზარდა ექსპრესიონიზმში. ამ მოძრაობის ერთ-ერთმა მამამთავარმა — მორის ბარესმა შემდეგი სიტყვებით დაიწყო ექსპრესიონიზმის პროპაგანდა: „ჩვენი ზნეობა, ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ეროვნული გრძნობა — ყოველივე ეს დაინგრა. ჩვენ არ შეგვიძლიან გამოვკრიბოთ იქიდან ცხოვრების წესები და სანამ ჩვენი მასწავლებლები (იგულისხმება ნეო-

რომანტიკოსები — დ. ბ.) დააწესებდნენ უფრო ნამდვილ ჰეშმარიტებას, ჩვენ უნდა ხელმარჯვედ მოვეკიდოთ ერთადერთ ჩვენს სინამდვილეს—ჩვენს „მე“-ს. ამრიგად, ნეორომანტიზმმა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში თავისი მოღვაწეობა დაიწყო ხალხის უარყოფით და სუბიექტური „მე“-ს ნიცშესებური განდიდებით. ნეორომანტიკოსები ბუნებით ეგოისტები იყვნენ და ამ აზრით ისინი რადიკალურად უპირისპირდებოდნენ ხალხის განმათავისუფლებელ იდეებს.

ჩვენ აქ მოვხაზეთ ნეორომანტიზმის მთლიანი სახის ზოგადი დამახასიათებელი და არსებითი კონტურები. ისმება კითხვა: აქვს თუ არა რაიმე საერთო უაზბეგის პიროვნებასა და შემოქმედებას ნეორომანტიზმთან? საბედნიეროდ არა. უაზბეგის შემოქმედება, თავისი ბუნებით, რადიკალური უარყოფაა ნეორომანტიზმისა. ნეორომანტიზმის პირველი თეზა იყო: „შორს ხალხისაგან“. უაზბეგს კი ხალხის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ნეორომანტიზმის მეორე თეზაა: „განერიდე რეალურ ცხოვრებას“: ალექსანდრე უაზბეგი წარმოუდგენელია ჰეშმარიტი ცხოვრების გარეშე. ნეორომანტიზმის მესამე თეზაა: „უმღერე დიდების ჰიმნი ხალხის უარმყოფელს, ხალხისაგან მოწყვეტილ ზეკაცს“! უაზბეგი უარყოფაა ხალხისა და გმირის ნეორომანტიული — ნიცშესებური დაპირისპირებისა. ნეორომანტიზმი დასცინის ხალხის განმათავისუფლებელ იდეებს, ალექსანდრე უაზბეგი კი სწორედ ამ იდეებით ცოცხლობს. ნეორომანტიკოსებისათვის მხოლოდ სიტყვას ჰქონდა მაგიური მნიშვნელობა და ამ ნიადაგზე უარყოფდნენ ნაწარმოების იდეურ შინაარსს („ნაწარმოებს არ შეიძლება ჰქონდეს იდეური შინაარსი“ — ამბობს ჰუისმანსი): უაზბეგისათვის სიტყვა საშუალებაა იმ დიდი იდეების გამოსახატავად, რომლებიც აგრე აწვალებდნენ მგოსნის სულს.

და განა ასეთი, რადიკალური კონტრასტების შემდეგ, შეიძლება უაზბეგის მკვლევარმა თავისთავს ნება მისცეს ამტკიცოს, რომ უაზბეგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ნეორომანტიზმის მეთაურიაო! არ ვიცი გრძნობდა თუ არა კიტა აბაშიძე, თუ როგორ ამცირებდა ალექსანდრე უაზბეგს, როდესაც მის შემოქმედებას ნეორომანტიზმის გახუნებულ, უსიცოცხლო გვირგვინს ადგამდა თავზე.

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც თავისი ლიტერატურული მიმართულებით, ისე პირადი ცხოვრებით, იყო უაღრესად თანამიმდევარი რეალისტი. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე უტყუარი მსაჯული საკუთარი მიმართულებისა, თვითონ მწერალია. ალექსანდრე ყაზბეგი არაერთხელ შეხებია თავის პირად წერილებში საკუთარი ლიტერატურული მიმართულების საკითხს. ერთერთ წერილში იგი წერს: „ამ პირობებში მყოფთათვის დამეთანხმე მკითხველო, ჩვენთა საერთო საკვნესავი უცხოდ ვერ დარჩება ჩემთვისაც... ჩემი არსება გადაბმულია ჩემი ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით!.. სადაც არ უნდა ეტკინოს ჩემსას, მისი ტკივილი მეც მაგრძნობინებს, და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფს, წადილი ნაღველის ამოღვრისა თავის მახლობლებთან, თავის არსების შემადგენელ ნაწილთან არის წესიერი, ჩვეულებრივი და აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ყველას. საერთოდ ტკივილის დროს კვნესა ერთისა არის უფლება თვითეულისა და წმინდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელით არის კაცისათვის უღირსი საქციელი, მისთვის დამამცირებელი საქციელი, ამ ფიქრებმა და აზრმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები. პირველსავე ნაბიჯიდან მე მივეც ერთი მიმართულება ჩემს ნაწერებს და დღემდე მივსდევ მას... მომეტებულად მე ვწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდან, და ვცდილობდი დამეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონივრებამ მიიღო და ღაადგინა თავიანთ ერობაში... მე ვცადე ამ წესებთან გამეცნო ხალხი, გამეგო რა გავლენა ჰქონდა ხალხზე და რამდენად შეიძლებოდა მათის ხელმძღვანელობით ურთიერთ შორის მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება“.

ამ სიტყვების ავტორს განა აქვს რაიმე საერთო ნეორომანტიზმთან?! განა აქ არ ისმის იმ ადამიანის ხმა, ვისთვისაც ჰეშმარიტი ცხოვრება იყო არსებობის საკითხი!

ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერ ფონდში ჩვენ მიერ ნაპოვნ ერთ-ერთ წერილში ავტორს შესანიშნავად აქვს მოცემული თავისი ლიტერატურის მიმართულების შეფასება. „ძმაო ღიმონ, — სწერდა ყაზბეგი თავის სიყრმის მეგობარს მეცხვა-

რე სიმონ ჩეკიაშვილს, — გახსოვს, რამდენი ღამე გაგვიტარებია მე და შენ ერთად. რამდენი ავდრიანი დღე, ჭექა, ქუხილი... გახსოვს, როგორ გაკვირვებდა შენ და დანარჩენ ბევრ ამხანაგს, რომ მე ნებივრად აღზრდილმა მებატონემ, კაცს, რომელსაც შეეძლო მოსვენებით ცხოვრება, შინაურ კერას ვარჩიე ბოუსვენარი, მინდორში და მთაში ხეტება, ხეტება სავსე განსაცდელითა და შემთხვევებით. მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა. ბევრნი მძრახავდენ ამისათვის და მიგონებდენ ათას ცილისწამებას, მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, მაშინაც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ეხლაც კიდე მოიგონებ, თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არ სწყინდება, და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი და იგივე გვაგრძნობინა, ერთი და იგივე კვნესით ააკვნესა ჩვენი გული“.

ყაზბეგის მთელი შემოქმედება ამ განცხადების ბრწყინვალე დადასტურებაა. ამის შემდეგ არავის აქვს უფლება ამტკიცოს ყაზბეგი ნეორომანტიკოსი იყოო. თვითონ კიტა აბაშიძემ ვერ შეძლო თავისი დებულების თანმიმდევარი დაცვა: იგი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ფაქტების ლოგიკას; და იმავე წერილში წამოაყენა დებულება, რომელიც მის პირველ მტკიცებას მტვრად აქცევს. კიტა აბაშიძე „ეტიუდების“ სამოცდათექვსმეტ გვერდზე წერს: „როგორც გინდათ, ისე განსაჯეთ, მაგრამ ყაზბეგის ნაწარმოები ერთი ბეწოთაც არ არის სინამდვილეს დაშორებული, ერთი წუთითაც არ გავიხსენებთ, რომ იქ აღწერილი მოვლენა ბუნების კანონების წინააღმდეგი იყოს; იქ არ არის არავითარი სასწაული, არავითარი მისტიური რამ, არც კაცთა გრძნობის გარეშე არსებული მოვლენებია, და ყოველივე ამით იგი სრულიად რეალური ნაწარმოებია“. მაშ, რატომ დასჭირდა „ეტიუდების“ ავტორს გამოეგონა ახალი მიმართულება ნეორომანტიზმის სახით და ალექსანდრე ყაზბეგისათვის დაედგა იგი გვირგვინად? ამ საქმეში დამნაშავეა დუალიზმი, რომელიც აჩრდილივით თან სდევდა კიტა აბაშიძის კვლევით მეთოდს. კვლევის დროს კიტა

აბაშიძე სუბიექტივისტი იყო ფრანგი ნეორომანტიკოსების მსგავსად. ამ სუბიექტივიზმის შედეგია მისი მტკიცება, თითქოს არც საზოგადოებრივი ვითარება და არც პოლიტიკური პირობები ხელს არ უწყობდნენ ყაზბეგის ნეორომანტიზმსო. ისმება კითხვა: მაშ, როგორ გაჩნდა იგი? ნეორომანტიზმის დაბადება ქართულ ლიტერატურაში მისი აზრით, შესაძლებელი გახდა, თურმე, მხოლოდ ყაზბეგის დიდი ნიჭის წყალობით. ასეთი მოსაზრება „ეტიუდების“ ავტორისა ჩვენ გვაგონებს ქვიშაზე ამართულ კოშკს, რომელიც უბრალო ნიავის შერხევაზე ნადგურდება.

•

ამოსავალი წერტილი ლიტერატურული მიმართულების დადგენის დროს უნდა იყოს მწერლის სტილი. ამ შემთხვევაში სტილის ცნებაში ერთიანდება მხატვრული შემოქმედების არა მხოლოდ ფორმალური ელემენტები, არამედ მთელი სისტემა იდეური (შემოქმედი და ტიპები) და ტექნიკური (სიუჟეტი, ფაბულა, თემა, შედარება, ეპიტეტი და სხვა ფორმალური ხერხები) ელემენტებისა. ფრანგული მოხდენილი თქმით „სტილი თვითონ ადამიანია“. მართლაც მწერლის სტილში ცნაურდება შემოქმედის ბუნება, თავისი ადამიანური ტკივილებითა და სიხარულით, მაგრამ სტილი არ არის მხოლოდ სუბიექტური ფორმა შემოქმედებისა. მწერლის სტილი ორგანულ კავშირშია ამა თუ იმ ეპოქაში მოქმედ ლიტერატურულ მიმართულებასთან. განსაზღვრულ დროში მწერლის ლიტერატურულ სტილს ქმნის ეპოქისა და შემოქმედის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა არის განმსაზღვრელი სტილის ხასიათი. ამა თუ იმ სტილით განსაზღვრა რომელიმე მწერლის შემოქმედებისა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მწერლის სტილს შევხედავთ, როგორც გარკვეული საზოგადოების სასიცოცხლო სისტემის მხატვრულ უკუფენას, მხოლოდ ამის შემდეგ გვაქვს უფლება ესა თუ ის ხელოვანი მივაკუთვნოთ ამა თუ იმ ლიტერატურულ სტილს (რეალიზმს, რომანტიზმს, ნატურალიზმს, ნეორომანტიზმს, სიმბოლიზმს, ექსპრესიონიზმს, ფუტურიზმს და სხვ.).

ალექსანდრე ყაზბეგის ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან განსაზღვრულია ეპოქის ხასიათით და იმ პირობებით, რომელიც გარს ერტყა ქართველ ხალხს მე-19 საუკუნის მთელ მანძილზე. ყაზბეგი თავის ერთ პირად დღიურში წერდა: „მე არ ვხატავ ლირებს და ჰამლეტებს, ჩემს მოძმეთათვის გაუგებარ პირებს, მე ველტვი ჩემს ქვეყანას, კეკლუცსა და შემკობილს, მე ველტვი მის ბუნებას, რომელმაც აღზარდა და შეიფარა ჩემი მოძმენი, შევხარი იმათ და ვსტირი იმ ტირილით, რომელიც გვასწავლა მისმა მოქმედებამ. მთა რომ ჰკვნესს და ჰგმინავს, ჰაერი რომ ირხევა და გოლიათნი ნისლით იბურებიან, ღრუბელი რომ ცრემლს ღვრის და ზვავი ბოხუვის, წყალი რომ მთიდან გამედგრებული გადმოჰქუხს და ანკარა წყარო ლექსივით მოკანკარებს, ეს ყველა ცოცხალი, სამაგალითო გაკვეთილებია მისი შვილებისათვის. მთიელთ გარს ეხვევა ეს ყველა, მოქმედებს მის აღზრდაზე და აფერადებს მათ მოქმედებას... და ყველა ეს მართალია შესამჩნევ-ასაწერია, მაგრამ მისგან განშორებული ცხოველი, აღწერილობის დროს, ამ ცხოველის სულის მოძრაობის ჩრდილში მოფარება, მოფხეკა, მოთხრობების მწერლისაგან შეუძლებელი უღირსობა იქნებოდა — ანგელოსებრივი გვამი უსულოთ, უბრავად, უსიცოცხლოდ, რომელიც ცხოვრებას აცხოველებს და ამშვენებს იქნებოდა მხოლოდ გაყინული უაზრო საგანი, რომლის ტრფიალიც მე არ შემიძლია".

ჩვენს მიერ მოყვანილ სიტყვებში მოჩანს ყაზბეგის არა მარტო პოლიტიკური ტენდენცია, არამედ ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან. ყაზბეგის სილამაზის იდეალი დაკავშირებულია სიცოცხლესთან, მოძრავ საგანთან. თვით ულამაზესი, ანგელოსებრივი გვამი, რომელიც ამშვენებს ცხოვრებას, თავის უძრავ, უსიცოცხლო ფორმაში ყაზბეგისათვის უაზრობაა. თუ ოსკარ უალდისათვის მშვენიერ საგანს მაშინ აქვს ღირებულება და ფასი, როდესაც ის მხედველობაზე მოქმედებს ესთეტიკურად, ყაზბეგისათვის მშვენიერი საგანი მხოლოდ მაშინაა ღირებული, როდესაც იგი ერთ და იმავე დროს ახდენს გავლენას ადამიანის მხედველობაზე, ემოციებზე და გონებაზე. ჰეგელის მსგავსად, ყაზბეგი, სილამა-

ზეს უყურებს როგორც იდეას, როგორც ჭეშმარიტებას![1] მაგრამ ჰეგელისათვის სილამაზის იდეალი საყოველთაო იდეაა და იგი მას ანიჭებს აბსოლუტურ მნიშვნელობას, ყაზბეგისათვის კი მშვენიერება ყოველთვის კონკრეტულია და აფასებს ადამიანის სარგებლიანობის თვალსაზრისით. „ბუნება კარგია, მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს დ ბრუნავს; ბრუნავს იმ სიტკბოთი და სიმწარის შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც აშუქებს ათას ყვავილებს, თუ იქვე გვერდს არ უდგა სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს, ჩაწყვდიადებულ გულს ნუგეშს აძლევს. მე არ ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მოუბრუნდებიან მკვდარს, მოქმედება მოკლებულ საგანს“.

ამრიგად, ყაზბეგის ესთეტიკურ დამოკიდებულებას საგნებთან და მოვლენებთან, საფუძვლად უდევს ადამიანის მდგომარეობა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, რაც ერთგვარ სულიერ მდგომარეობის ადამიანს ესთეტიკურად ეჩვენება, მეორეგვარ მდგომარეობაში იგივე საგანი არაესთეტიკურია. ყაზბეგისათვის მშვენიერება არ არის აბსოლუტური მნიშვნელობისა. ყაზბეგის მკითხველმა კარგად იცის, თუ რა დიდი ემოციური და ესთეტიკური გავლენა აქვს მთვარეს ყაზბეგის გმირებზე, როდესაც მათ ყურში ჩასძახის სიყვარულის იდუმალი ხმა და ღამით გზას იკაფავენ სატრფოს ადგილსამყოფელისაკენ, მაგრამ განა იგივე ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს ცისა და ქვეყნის მანათობელ მთვარეს, როდესაც ყაზბეგის რომელიმე გმირი სულიერად შეწუხებულია? ჩვენს მიერ ახლახან აღმოჩენილი ყაზბეგის დაუბეჭდავი მოთხრობა — „ასულის მჭმუნვარება“—გარკვეულ პასუხს აძლევს ამ კითხვას. „მთვარე... რათ ანათებ და უფსკრულს უსპობ საშუალებას შთანთქას, სრულიად შთააბნელოს ცხოვრება ჩემი? რა გინდა, რას მიალერსებ?!.. ვერ მომცე ბედნიერება, ვერ მომანიჭო სიტკბოება კაცს, რომელსაც გული უწამდება, უნავს-

[1] Г е г е л ь, Сочинения, т. XII, лекции по эстетике. წიგნი II, გვ. 114.

დება და შენი ხილვა აბრაზებს, ტკბილი ხარ მთვარე, შემამკობელი ცხოვრებისა, მაგრამ ნუ ზვიადობ შენის ღირსებით. შენ კარგი ხარ, როგორც შემზავებელი, გამშუქებელი კაცის მდგომარეობისა, მაგრამ ჩემებრ უბედურისათვის მწარდები, ჰკარგავ შენი სიტკბოების ძალას და გულს უფრო აბრაზებ... ოჰ! უღირსო და შეუბრალებელო შუქო... შუქო, მწუხარე გულის თანამგრძნობელო და მებრძოლის სულის დამყუჩებლად მცდელო... რა მოგიწადინია... გსურს შეიბრალო უბედური და დაიმსახურო მადლობა?! ვიცინი შენს მეცადინეობაზე, მამცირებს შენი საქციელი და შორს ვარ, რომ შენი საქციელით მოტყუებული შევიქმნე. კარგო და ნაზო ქმნილებავ!... გამნათებელო ცისა და ქვეყნის უფსკრულებისა.,, დამამშვენებელო ბუნების ქმნილებათა, კეკლუცთა მოარშიყევ და მიჯნურთა თანამგრძნობელო, მოიღრუბლე, შეიმოსე ჰმუნვარებით, შავად ჩაბნელდი და დაემსგავსე ჩემი სულის მდგომარეობას. შაეწონე მის ჩაკუპრულს მოძრაობას, შეუთვისდი მას და მაშინ იქნები ღირსი მისი თანაგრძნობისა... შენ გსურს ნიჭი ალერსით შესცვალო?! არა, ძალა არ გიძს, სამაგისოდ ვერ შესძლო წადილის აღსრულება. მე კაცი ვარ და შენზედ უმეტეს წადილის და სიძლიერის მქონე. გული ცხოვრებით უნდა სტკბებოდეს, რომ მისი დღეების განათება შესძლო. შენ მარილი ხან ჩვენი სიცოცხლის სურათოვნებაში და ჩვენი ცხოვრების შენელება მხოლოდ მაშინ შეგიძლია, როდესაც თვით სიცოცხლე არის; არ არის სიცოცხლე და განმშორდი, ჩამომეხსენ მთვარევ... მე მაკლია ის, რის მოცემაც შენ არ შეგიძლია".

ჩვენ ეს სიტყვები გვაინტერესებს არა ფსიქოლოგიური, არამედ მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით. ყაზბეგის აზრით, მთვარე—ბუნების ეს უდიდესი მშვენება, მხოლოდ მაშინ ახდენს ესთეტიკურ გავლენას ადამიანზე, როდესაც მისი სული დამშვიდებულია. გარეშე ბუნება ყაზბეგის შემოწმებაში ლოგიკურადაა დაკავშირებული ადამიანის განწყობილებებთან. საკმარისია ყაზბეგის გმირს გარეგანი ძალების ზეგავლენით შეეცვალოს ფსიქოლოგიური განწყობილება, რომ შეიცვალოს მისი ესთეტიკური დამოკიდებულება მოვლენებთან, ოდესღაც

იონა მეუნარგიამ ალექსანდრე ყაზბეგის ნაკლოვანებად სწორედ ეს მდგომარეობა ჩასთვალა. „სულიერ მოძრაობას თავი დაანებეთ და მიხედეთ მწერალ ზოლას, რომელმაც ათჯერ აღწერა ერთი და იგივე პარიჟიო". ალექსანდრე ყაზბეგმა გამანადგურებელი პასუხი გასცა იონა მეუნარგიას ამ უკანონო, უსაბუთო რჩევაზე. ყაზბეგი წერს: „ზოლამ კი არ ასწერა ათგვარად პარიჟი, ეს სრული უკანონობა, ჰეშმარიტების და სიმართლის დარღვევა იქნებოდა, არამედ ზოლამ აღწერა ის გუნება სულიერი მდგომარეობისაგან აღძრული, რომელის... შეცვლისამებრ, პარიჟიც სხვადასხვა სახით ეჩვენებოდა. ამ აღწერაში ზოლა თავის ქეიფს კი არ აჰყვებოდა, არამედ სრულიად უნდა დამორჩილებულიყო მისგან გამოყვანილ გმირის სულიერ მოძრაობას, და რამდენადაც მის მოძრაობის სინამდვილეს დაუახლოვდებოდა, იმდენად მოთხრობას მეტი ღირებულება მიეცემოდა".

ამ რამდენიმე სტრიქონში მოცემულია მთელი ესთეტიკა ყაზბეგისა. აქ ყაზბეგი ფრიად საინტერესო პრობლემას ეხება, რომლის მეცნიერული გადაწყვეტა შუქს მოჰფენს მწერლისა და ტიპის ესთეტიკურ დამოკიდებულებას სინამდვილესთან. ყაზბეგის გაგებით მწერალი ტიპებს თავზე არ უნდა ახვევდეს ისეთ განწყობილებებს, რომლებიც ტიპის ბუნებიდან არ გამოდის. კიდევ მეტი: მწერალი უნდა დაეშორჩილოს მის მიერ გამოყვანილი გმირის სულიერ მოძრაობას; და რამდენადაც შემოქმედი მეტად დაუახლოვდება გმირის სულიერ მოქმედებას, იმდენად მეტი მხატვრული ღირებულება ექნება ნაწარმოებს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს თვალსაზრისი მწერლის ნეიტრალიზაციას მხატვრულ შემოქმედებაში? ან უკეთ, გამორიცხავს თუ არა მწერლის პოლიტიკურ ტენდენციას შემოქმედებიდან? რა თქმა უნდა არა. 1885 წელს ფრიდრიხ ენგელსი მინნა კაუცკისადმი მიწერილ წერილში წერდა: «Я ни в коем случае не противник тенденциозной поэзии как таковой. Отец трагедии Эсхил и отец комедии Аристофан были оба ярко выраженными тенденциозными поэтами, и точно также Данте и Сервантес, а главное достоинство «Коварства и любви» Шиллера в том и состоит, что это первая немецкая политическ-

тенденциозная драма. Современные русские и норвежские писатели, которые пишут превосходные романы, сплошь тенденциозны. Но я думаю, что тенденция должна вытекать из положения и действия сама по себе, без особых на то указаний и что писатель не обязан навязывать читателю будущее историческое разрешение изображаемых им общественных конфликтов».[1]

ენგელსის აზრით მწერლის ტენდენცია, თავისთავად, მდგომარეობიდან, სინამდვილიდან უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ. შემოქმედი არც ტიპებს და არც მკითხველს თავზე არ უნდა ახვევდეს თავის სუბიექტურ განზრახვებს და საზოგადოებრივი კონფლიქტების წინასწარ ისტორიულ გადაწყვეტას. ასეთი თავზე მოხვევა ნაწარმოებს უკარგავს მხატვრულ ძალას და პუბლიცისტური აგიტაციის ფორმას აძლევს მას.

ალექსანდრე ყაზბეგი იმავე წერილში უფრო კონკრეტულად აყენებს ტენდენციის საკითხს მხატვრულ ნაწარმოებში. „როდესაც საზოგადოდ მოთხრობა იწერება, შიგ ტენდენცია, აზრი საფუძვლიანად უნდა იყვეს ჩარეული, და მე არა მწამს იმათი ნაწერები, ვინც აზრის გაუტარებლად, უსულო სურათებს ხატავს. აზრი უეჭველად უნდა იყვეს ყოველ უბრალო აღწერაშიაც. მხოლოდ აზრით გადამახინჯება მოთხრობისა, აგრეთვე, როგორც სხვა მხარეებით გადაჭლაშება, მარილაც არ ვარგა. როდესაც აზროვნება და სურათოვნება ერთმანეთს წესიერად შესხავდებიან, მაშინ მოთხრობის ღირსებისათვის უკეთესი აღარა რჩება რა". ფრიდრიხ ენგელსი ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში წერდა, რომ ანტიურიტრაგედიის მამა — ესქილე უაღრესად ტენდენციური პოეტი იყო; მაგრამ ესქილეს პოლიტიკური ტენდენცია ლოგიკურად გამოდიოდა ეპოქის საერთო ტენდენციიდან. ცნობილია, რომ ესქილეს ეთიკა ემყარება ადამიანის ცხოვრების სამართლიან მოწყობაზე. პოეტის მაღალ მოწოდებას იგი ეთიკური თვალსაზრისით უყურებს, „პოეტურმა ქმნილებამ, — ამბობს ესქილე,— უნდა აღზარდოს პატიოსანი, ზნეობრივად წმინდა და მამაცი მოქალაქენი. რატომ ვადიდებთ პოეტებს, თუ კი ისინი ხელოვ-

[1] «Маркс и Энгельс о литературе», ст. 130, 1933 г.

ნებით და რჩევა-დარიგებებით არ მოუწოდებენ ხალხს სახელმწიფო კეთილდღეობისაკენ“.

ამრიგად ყოველი, ჭეშმარიტად გენიალური ქმნილება თავისი მხატვრული დანიშნულებით ტენდენციურია. პოეტის ვნებათა ღელვა, მისი მიზნები და მისწრაფებანი განსაზღვრულია ეპოქის ხასიათით, და რაც უფრო ახლოა პოეტი დროის მოწინავე იდეებთან, იმდენად უფრო ტენდენციურია მისი მხატვრული ნაწარმოები... ტენდენციის ძალა, მისი მხატვრული გამძლეობა დამოკიდებულია თვით მწერლის ტალანტზე, უნიჭო მწერალი ნაწარმოების პოლიტიკურ ტენდენციას ჰგლეჯს ეპოქის საერთო ხასიათიდან და მხატვრული სიღატაკის გამო ტენდენციას აქვეითებს; ნიჭიერი მწერლის ხელში კი მხატვრული ნაწარმოების პოლიტიკური ტენდენცია იქცევა მთელი ეპოქის სუნთქვად, ნაწარმოების გვირგვინად. მაგრამ, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, პოლიტიკური ტენდენცია უნდა გამოდიოდეს უშუალოდ ეპოქის ხასიათიდან: იგი არ უნდა იყოს ხელოვნური და სუბიექტური; არ უნდა იყოს ნაძალადევი თავზე მოხვევა მკითხველისათვის. მე-19 საუკუნის ფრანგული რომანი ერთი უბრწყინვალესი მოწმეა ამ დებულების სამართლიანობისა. ფლობერს ხშირად უყვარდა მსჯელობა არა ტენდენციურობაზე, საკუთარი შემოქმედების ობიექტურ ხასიათზე. ერთ პირად წერილში წერდა: „ადამიანებს ისე უნდა მოეპყრო, როგორც მასტოდონტებს, ან ნიანგებს, რატომ უნდა გაგაცხაროთ ერთის რქებმა და მეორეს ყბებმა. გააკეთეთ მისგან საფრთხობელა, ჩადევით სპირტიან შუშებში, გამოიყვანეთ საჩვენებლად, მორჩა და გათავდა. ნუ გამოგაქვთ მათთვის ზნეობრივი განაჩენი“. მართლაც ობიექტურობა იყო უძლიერესი მხარე ფლობერის შემოქმედებისა, მაგრამ თავისთავად ეს ობიექტურობა იმანენტურად ატარებდა პოლიტიკური ტენდენციის ხასიათს მოვლენებთან ესთეტიკური დამოკიდებულების დროს.

ამრიგად ალექსანდრე ყაზბეგის ესთეტიკა მხატვრული ნაწარმოების ტენდენციის გადაწყვეტის დროს მთელი ძალით ებჯინება ჭეშმარიტების პრინციპს და ამდენად, იგი სწორად გაჭოხატავს მხატვრული ქმნილების ხასიათს.

ყაზბეგის ესთეტიკაში განსაკუთრებული სიძლიერით იჭრება ტიპისა და სიუჟეტის პრობლემა. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს პრობლემები არამც თუ გადაწყვეტილი არ არის, არამედ მათ შესახებ არ მოიძებნება ელემენტარული მეცნიერული აზრი. პროზის თეორია და პოეტიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობს. ამით უნდა აიხსნას ჩამორჩენილობა ლიტერატურის თეორიის საკითხებში. ამ ნიადაგზე ჩვენ იძულებულნი ვართ ტიპისა და სიუჟეტის პრობლემის განხილვის დროს შევეხოთ ზოგიერთ ელემენტარულ საკითხებს პროზის თეორიიდან. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ როგორც ტიპის, ისე სიუჟეტის საკითხი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც მათ ორგანული კავშირი აქვთ ყაზბეგის შემოქმედებასთან საერთოდ და მის ესთეტიკასთან კერძოდ. როდესაც ტიპის შესახებ ვლაპარაკობთ, ბუნებრივად ისმება კითხვა: რა არის ტიპი, რა კავშირი აქვს მას მწერლის აწმყო დროსთან? როგორ იქმნება იგი მწერლის ლაბორატორიაში და როგორია მისი გამოხატვის გარეგანი ფორმა? სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად ხდება ერთმანეთში აღრევა ტიპისა და ლიტერატურის პერსონაჟის. ივიწყებენ, რომ ტიპი გაცილებით უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე პერსონაჟი. ლიტერატურული პერსონაჟი ყოველი (თვით უნიჭო) მწერლის ნაწარმოებშია, მაშინ როდესაც ლიტერატურული ტიპი მხოლოდ რჩეული და დიდი მწერლის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ლიტერატურული პერსონაჟი, თუ ის ტიპის სიმაღლემდე არ ადის, სიმბოლიური გამოხატვაა ადამიანთა ერთი ნაწილის განწყობილებათა, რომელიც იბადება დროის მცირე მონაკვეთში. ტიპი კი წარმოადგენს განსაზღვრულ ადამიანების განსაზღვრულ განწყობილებათა, გრძნობათა სინთეზს და ამ სინთეზს მხატვრული ასპექტის მთლიანობაში. ტიპი სიმბოლური გამოხატვაა განსაზღვრულ ადამიანთა ხასიათების, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობაში ჩნდებიან და ყალიბდებიან დროის ხანგრძლივ მონაკვეთში.

ყოველი ეპოქა ხელოვნებაში აღიბეჭდება განსაკუთრებული ტიპით, რომელიც მონუმენტალურ ძეგლად დგება ხალხთა

ისტორიაში. ამ ძეგლის მიხედვით ვკითხულობთ იმ დროის ვნებებს, რომელშიაც თვითონ შემოქმედს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. აქილევსი, ოდისეი, ჰექტორი, ტარიელი; ავთანდილი, ჰამლეტი, ოტელო, ფაუსტი, კარლ მოორი, მანფრედი, ჩაილდ-ჰაროლდი, ევგენი ონეგინი, პეჩორინი — დროის ნათელი გამოხატულებაა — თავიანთი ადამიანური ტკივილებითა და სიხარულით. ტიპიურ ადამიანში, რამდენადაც უფრო სრულყოფილად ცნაურდება ეპოქის სული, იმდენად იგი მეტ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს და, ერთდაგვარად ნორმისა და მიუწვდომლობის ნიშნის სახეს ინარჩუნებს. განა დიდი ხელოვანის მიერ შექმნილ ადამიანში არ ცნაურდება მწერლის აწმყო დროის საზოგადოებრივი ხასიათი თავის ჭეშმარიტი, ბუნებრივი სახით? განა თვითონ მწერალი არ მიისწრაფის, რომ ტიპის შექმნის დროს, მისი არსება გადმოსცეს! ჩვენი აზრით სწორედ ამიტომ აქვს მარადიული მიმზიდველობის ძალა ჭეშმარიტი ხელოვანის მიერ შექმნილ ნაწარმოებს.

როგორ აღწევს ამ მიზანს ხელოვანი? ამ კითხვას არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არსებითი მნიშვნელობა აქვს. ტრადიციული და, შეიძლება ითქვას, ვულგარული განმარტებით, ხელოვანი ადამიანების ერთ ნაწილში ჰკრებს განსაზღვრულ თვისებებს და ამ თვისებათა ნარევით ქმნის ტიპის სახეს. ამ პროცესს უეჭველად გაივლის ხელოვანი ტიპების შექმნის დროს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია შემოქმედების რთული პროცესისა და არა საბოლოო შედეგი. მწერალი, ტიპის შექმნის თვალსაზრისით, ირჩევს განსაზღვრულ დროის მონაკვეთში ფსიქოლოგიურად, სოციალურად და პოლიტიკურად დასრულებულ ადამიანების გარკვეულ რაოდენობას. ხელოვანს სჯერა, რომ ეს ადამიანები სრულყოფილად გამოხატავენ საზოგადოების განსაზღვრული ფენის ეპოქალურ განწყობილებებს. მაგრამ ხელოვანი აქ არ ჩერდება; წინასწარ აღებულ ადამიანების გარკვეულ რაოდენობაში იგი არჩევს უფრო ტიპიურ ადამიანს და საერთო ოდენობიდან გამოჰყოფს მას, როგორც სანიმუშოს. ამ ადამიანიდან შემოქმედი იღებს ისეთ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელნი არიან ეპოქისათვის. ამ გზით ხელოვანი ქმნის ტიპს, რომელიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიუ-

რად არც ერთი რეალურად მყოფი ადამიანის პორტრეტს არ ჰგავს, მაგრამ გამოხატავს ადამიანთა განსაზღვრულ თვისებებს. ეს მეტად რთული პროცესია, მაგრამ სწორედ ამ სირთულის დაძლევაშია შემოქმედების ძალა. ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია“. მართლაც ხელოვანი აშენებს ადამიანის სულს, მშენებლობის პროცესში მწერლის ხელთ არის სიტყვა და იდეა, როგორც სააღმშენებლო მასალა. რამდენადაც ხელოვანი მეტად უახლოვდება ტიპის ბუნებრივ მდგომარეობას, ტიპიურ ურთიერთობაში, იმდენად მეტ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს მხატვრული ნაწარმოები.

როგორ გადაწყდა ეს პროცესი ყაზბეგის შემოქმედებაში? პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილისადმი მიმართულ წერილში ყაზბეგი გაკვრით ეხება ამ საკითხს. წერილის ავტორი მოხევეთა ცხოვრების აღწერის პარალელურად იძლევა ზოგიერთი ტიპების დახასიათებას. ეს დახასიათება ზედმიწევნით გამოხატავს ალექსანდრე ყაზბეგის ესთეტიკურ დამოკიდებულებას სინამდვილესთან, ტიპიურ ადამიანებთან. სხვათა შორის ყაზბეგი წერს: „ხევისბერი მიემსგავსებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტს, თუმცა ბრძოლის დროს... სრული თვითმპყრობელობის უფლება ეძლეოდა“.[1] სწორედ ამ გაგებით ქმნიდა ყაზბეგი გოჩას სახეს. როდესაც ალექსანდრე ყაზბეგის პროზას ვარჩევდით, იქ ვრცლად შევეხეთ ამ საკითხს. ამიტომ აქ აღარ დავუბრუნდებით მას. მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა, რამდენად შეასხა ხორცი ყაზბეგმა ხევისბერის ტიპის ამგვარ გაგებას? ცნობილია, რომ ხშირად დიდი მწერლის შემოქმედებას საფუძვლად ედება რომელიმე ხალხური ამბავი, ან თქმულება. ასე შეიქმნა უდიდესი ძეგლი ანტიკური ეპოსისა, ჰომეროსის „ილიადა“ და ოდისეას“ სახით. ასე წარმოიშვა გოეთეს „ფაუსტი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ელემენტარული შედარება ხალხური ამბავისა ხელოვნურ ქმნილებასთან — ნათელს ხდის დიდ განსხვავებას მათ შორის.

---

[1] იხილე საქართველოს მუზეუმში (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში) დაცული ალექსანდრე ყაზბეგის ავტოგრაფი № 3977, წერილი — მიმართული პროფ. ალ. ხახანაშვილისადმი.

სწორედ აქ უნდა გადაწყდეს ის დიდი პრობლემა, რომელიც ეხება ტიპის შექმნის მეტად რთულ პროცესს. განსხვავება, რომელიც არსებობს ხალხურ თქმულებასა და ხელოვნურ ქმნილებას შორის მიგვითითებს იმ მიმზიდველობაზე, რომელსაც შემოქმედი ანიჭებს მასალას.

ხალხური თქმულებიდან ხელოვანი იღებს მისი რაციონალურ გულს (ტიპებსა და თქმულების ჩონჩხს). რაგინდ დიდი მნიშვნელობის არ უნდა იყოს ხალხური ამბავი, იგი მაინც ვიწროდ შემოფარგლულია კუთხის, ან მთელი ერის დამახასიათებელი თვისებებით და ის გასაგები ხდება ან იმ კუთხეში, სადაც იგი წარმოიშვა, ან და იმ ხალხში, რომელმაც შარავანდედით შემოსა ეს ამბავი. დიდი მწერლის ხელში თქმულება იქცევა სათავედ ჭეშმარიტი შემოქმედებისა. ვიწრო მოედანი, რომელიც ფარგლავდა თქმულებაში გამოყვანილ ადამიანთა სამოქმედო ასპარეზს, კარგი ხელოვანის ხელში უსაზღვროდ ფართოვდება. ტიპი, ვიწრო კუთხური, ნაციონალური ფარგლიდან გამოდის და შემოქმედებაში იქცევა ზოგადკაცობრიულ იდეებისა და გრძნობების გამომხატველ სახედ. ამრიგად დიდი შემოქმედი ტიპების შექმნის დროს ცდილობს ისე დახატოს ტიპი, რომ ერთი მხრივ მას შერჩეს ნაციონალური კოლორიტი, მაგრამ მისი ვნებათა ღელვა, მისი მისწრაფება და იდეალები გასაგები იყოს სხვა ხალხებისთვისაც. აქ არის ჭეშმარიტი სიდიადე და ძლევამოსილება მწერლის მიერ შექმნილი ზოგადი ტიპისა. ამ მხრივ უაზბეგი იმ დიდ ხელოვანთა რიგში დგას, რომლისთვისაც თქმულება, ხალხური ამბავი, ან რეალურად მომხდარი ფაქტი, მხოლოდ მასალაა და მეტი არაფერი. ჩვენ ხელთა გვაქვს ხევში ჩაწერილი თქმულება, რომლის მთავარი გმირი პროტოტიპი უნდა იყოს ხევისბერი გოჩასი; მაგრამ უაზბეგის გენიამ ეს თქმულება აიყვანა იმ სიმაღლემდე, სადაც ზოგადკაცობრიული ტიპები და იდეები ცოცხლობენ მხოლოდ. ელემენტარული შედარება ხალხური თქმულებისა უაზბეგის ხევისბერ გოჩასთან, შუქს ფენს ტიპების შექმნის რთულ პროცესს და თვალწინ ნათლად წარმოგვიდგენს მწერლის მხატვრულ ძალას. „ოდესღაც თერგის ხეობაში, — ასე იწყება ხალხური თქმულება, — ცხოვრობდა ვაჟკაცობით განთქმული

მოხევე — გუგუა. სიბერის ჟამს გუგუამ მოიხმო უფროსი შვილი ვანისე და ხმის კანკალით წაუკითხა ანდერძი. ანდერძის თანახმად მოხუცი თავის საყმო-საბრძანებელს სამ ნაწილად ჰყოფდა და თვითეულ ნაწილს სოფლის საიმედო დამცველებს აძლევდა. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ნაწილისათვის პატრონობა ვანისეს უნდა გაეწია. ანდერძის თანახმად, სოფლის რჩეულმა გმირებმა კუთვნილი მხარეები ჩაიბარეს. სწორედ იმ მხარეში, რომელიც წილად ხვდა ვანისეს, ჯვარს იწერდა უმშვენიერესი ქალი, რომელიც ხევში ცნობილი იყო მართას სახელით. ნეფემ თავის მეჯვარედ ვანისე აირჩია. ვანისეც დათანხმდა. ქორწილის დროს მეჯვარემ თვალი მოჰკრა დედოფალს და ვაჟს გულში სიყვარულის ცეცხლი აენთო. შეყვარებულმა ვანისემ უარი თქვა მეჯვარეობაზე, ავადმყოფობა მოიგონა და თავის მაგიერ საკუთარი ბიძაშვილი დასვა ეჯიფედ. ეს ამბავი მოხუცმა გუგუამ შეიტყო და დაღონდა მწარედ. „როგორ შეიძლება, რომ ჩემმა შვილმა ნეფეს ხმალი საკუთარი ხელით არ ახსნასო“, წარმოსთქვა მოხუცმა გუგუამ. სოფლის დარბაისელმა მოხუცებმა გუგუა დააწყნარეს შემდეგი სიტყვებით: „ნუ სწუხარ, გუგუავ! ვანისე რომ შეწუხებით არ იყოს, ის ვაჟკაცი კაცია და თავად მოვიდოდა აქა“. გუგუამ მოხუცთა ხათრით დასთმო ეს შემთხვევა. ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ჯიხვის ყანწებით ხელიდან ხელში გადადიოდა. წყნარი და კაშკაშა ღამე იყო. პირბადრი მთვარე შესთამაშებდა ნეფე-დედოფლის მომღიმარ სახეებს. მაყრიონთა უმრავლესობა დაითრო და მწვანე ბუსნოზე მილაგდენ მოსასვენებლად. იმ ღამეს რაღაც ხმაური ატყდა. მოხევეთა სოფლებს მტერი შემოსეოდა. ყველაზე უფრო საშიში ადგილის დამცველად გუგუას შვილი ვანისე გაგზავნეს. იმავე დღეს მართა თავისი ტოლ-ამხანაგებით ხილობაზე წავიდნენ. მართას სურდა ვანისეს ნახვა. ქალმა მართლაც თვალი მოჰკრა ვანისეს. სხვების შეუმჩნეველად გზას გადაუხვია და ყმაწვილ კაცისაკენ გაემართა. ვანისემ შორიდან დაინახა საყვარელი ქალი; საგუშაგო მიატოვა და ქალის შესახვედრად გამოემართა. იმ ღამეს ვანისე მართასთან დარჩა. შეყვარებულმა ვანისემ თავისი მოვალეობა დაივიწყა. ვანისეს ასეთი მოქმედებით ისარგებლა

მტერმა და დაამარცხეს მოხევეთა ჯარის ის ნაწილი, რომელსაც ვანისე მეთაურობდა. ეს ამბავი შეიტყო მოხუცმა გუგუამ და ფრიად იწყინა შვილის მოქმედება. მოხუცმა გაიბრძოლა სიტყვებით: „გამიშვით, თუ თქვენ ვერ დაგისჯიათ, მე თვითონ გადაუხდი ჩემ შვილს ღალატის სანაგიეროსო“. ხალხმა გუგუა შეაკავა. იმავე დღეს ვანისემ მამას შეუთვალა: „ეს უკანასკნელი შეცდომაც მაპატიე და დრო მომეც მისი გამოსწორებისაო“. მოხუცმა არ შეიწუნარა შვილის თხოვნა, ხალხმა კი ერთხმად გადასწყვიტა — მიეცათ ვადა ვანისესათვის შეცდომების გამოსასწორებლად. ვანისე იმ ღამეს გადავიდა ნაროვანას მთებში, როგორც ცხვრის ფარაში ისე გაერია მტრის ჯარში და ას ოცდაშვიდ კაცს მოაჭრა თავი. ამ შემთხვევის რამდენიმე დღის შემდეგ გუგუამ ვანისეს შეყვარებულის ქმარს მისცა თავისი ხმალი და დაავალა: „ან ცოცხალი მომიყვანე აქ ჩემი შვილი, ან არა და მისი თავი მომჭრიანეო“. ქალის ქმარმა თავს იდვა ეს შძიმე ვალდებულება. ის წავიდა მთებში. ძებნის დროს იგი მიადგა ვიღაც მძინარე მოყმეს. ქალის ქმარმა ვანისე იცნო. გააღვიძა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მამა თქვენი გუგუა შესარიგებლად გიბარებსო“. ვანისე აღგა, ნამძინარევი თვალები მოისრისა და უპასუხა: „ნათლიმამ, ეგ ხმალი მამიჩემისაა და შენც იმიტომ მოხველი, რომ მე მომკლაო“. ქალის ქმარმა უპასუხა: „არა, ნათლი, განა ისე შერცხვენილი და საქვეყნოდ თავმოჭრილი ვარ, რომ ამ ხმლით შენ მოგჭრა თავიო“. „ნათლი-მამ, — უპასუხა ონისემ, — მე ღმერთთანაც და კაცთანაც პირობა მქონდა დადებული, რომ ჩემ სიცოცხლეში ას ოცდაშვიდი კაცი უნდა მომეკლა. პირობა შესრულებულია და სიცოცხლეც აღარ მინდა. გთხოვთ აღასრულო მამიჩემის დავალება“. ვანისემ ამოიღო საკუთარი სმალი და მიაწოდა ქალის ქმარს... „ერთი ქალის გულისათვის ასი კაცი დაღუპე. წაღმა არ დაგკრავ ხმალს, უკუღმა დასაკრავი ხარო“ და ერთის მოქნევით გააგდებინა თავი ვაჟკაცობით განთქმულ ვანისეს. ქალის ქმარმა მოკვეთილი თავი ვანისეს მამას, გუგუას მიუტანა. გუგუამ დახედა შვილის თავს და მწუხარე ხმით წარმოსთქვა: „კაცი დავბერდი სამშობლოსათვის და ქვეყნისათვის თავს არ ვზოგავდი და მე უბედური სიბერის ჟამს ჩემმა სისხ-

ლბა "შემარცხვინაო". ბოლოს მოხუცმა ბრძანების კილოთი წარმოსთქვა: „ვანისეს თავი მხეცებს მიუგდეთ შესაჭმელად. მას ადამიანებთან კავშირი არ აქვსო". მომხდარი ამბის რამდენიმე დღის შემდეგ ხმა დავარდა სოფელში: ვანისეს საყვარელი ქალის ქმარმა ვანისე ჩაძინებული მოჰკლაო. მკვლელობის ადგილს ვანისეს პატივსაცემად ხალხმა „ჩაძინებული" უწოდა. დღესაც ამ სახელით არის ცნობილი ეს ადგილი.

შეადარეთ ეს თქმულება ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას" და დარწმუნდებით, თუ რა ძალით ქმნის ხელოვანი უბადლო, ჭეშმარიტ და დიდებულ ქმნილებას. გუგუა თითქოს პროტოტიპია გოჩასი, მაგრამ გოჩა, ყაზბეგის შემოქმედი გენიის წყალობით, ზოგადი ტიპის სიმაღლეს აღწევს.

კარგავს თუ არა ამ პროცესში ზოგადი ტიპი ნაციონალურ კოლორიტს? რა თქმა უნდა, არა. მხატვრული სიტყვის ოსტატი, უპირველეს ყოვლისა, ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს თავის ხალხისა და ეპოქისათვის, მაგრამ უკვდავი ნაწარმოების ძალა იმაშია, რომ ის მიმზიდველი ხდება ყველა დროის და ხალხისათვისაც. ჰეგელისათვის ხელოვნებას მაშინ აქვს მარადიული მიმზიდველობა, თუკი მასში (ესე იგი ხელოვნებაში) იმაზე მეტი ჩანს, რაც ყველასათვის თვალსაჩინოა. მისი აზრით, ხელოვნებაში აღბეჭდილი სინამდვილე არასოდეს არ არის თავხკდენილი რეალურად არსებულ სინამდვილისა, ხოლო ნაწარმოების გმირი გაცილებით უფრო რთული და შინაარსიანია, ვიდრე მისი რეალურად არსებული პროტოტიპი. ალექსანდრე ყაზბეგის ესთეტიკური შეხედულება ხელოვნების თეორიის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ასე შორს ვერ მიდის, მაგრამ თავის შემოქმედებით — ჰეგელის დებულებას ადასტურებს. ალექსანდრე ყაზბეგი ტიპების შექმნის დროს არ ღალატობს ჭეშმარიტების პრინციპს, იგი დაყრდნობილია სინამდვილეზე, მაგრამ მისი გენიის დამახასიათებელი თვისება იმაშია, რომ იგი არა მხოლოდ გადაამუშავებს ხოლმე რეალურად არსებულ გმირებს, არამედ ქმნის კიდევაც მათ. აქ არის ყაზბეგის ძალა, როგორც შემოქმედისა; მისი ელგუჯა, იაგო, კობა, ელბერდი, ჩერბიჟი, ნუნუ, მაყვალა, ონისე, შექმნილი არიან გულთამხილავი ხელოვანის ხელით, ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის.

ალექსანდრე ყაზბეგის პროზის განხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მისი პროზა წარმოადგენს ანტიური ეპოსისა და ჟრანგული კლასიკური რომანის საუკეთესო ტრადიციების ორგანულ სინთეზს. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ სიუჟეტის საკითხს ყაზბეგის შემოქმედებაში. მე-19 საუკუნის დასასრულის ევროპული პროზის ოსტატები (ცოტა გამონაკლისით), როგორც საყოველთაოდ ცნობილია, წინ აღუდგნენ კანონიზირებულ სიუჟეტს და მოახდინეს მისი დეფორმაცია, ნეორომანტიზმი, სიმბოლიზმი და უკანასკნელად ექსპრესიონიზმი კატეგორიული უარყოფა იყო იმ სიუჟეტური ტრადიციებისა, რომელიც ანტიურმა ეპოსმა და მე-19 საუკუნის კლასიკურმა რომანმა შექმნა. მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში სიუჟეტის უგულებელყოფამ უკიდურესობას მიაღწია, რუსული პროზის უდიდესი გენიის — ლევ ტოლსტოის ხმამ სიუჟეტის მოდერნიზაციის წინააღმდეგ, ყუმბარის გასკდომის შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ევროპულ ლიტერატურაში, მაგრამ პროზის დეკადანსი მაინც გაგრძელდა ბურჟუაზიის სულიერი დაცემასთან ერთად. ამ პირობებში ყაზბეგის მოთხრობების სიუჟეტი, რომელიც ძალიან გვაგონებს ანტიური ეპოსის სიუჟეტებს, განცვიფრებას იწვევს. ვიდრე თვით ყაზბეგის მოთხრობების სიუჟეტს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია თვით სიუჟეტის ცნების გარკვევა, რადგანაც ამ საკითხში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არსებობს ერთი მეცნიერულად დასაბუთებული და მოქალაქეობრივად უფლებამოსილი აზრი.

ლიტერატურის თეორიის ზოგიერთი ავტორი[1] ერთმანეთში ურევს ფაბულასა და სიუჟეტს, ზოგი კი ერთიმეორეს სინონიმად ხმარობს. აქ ელემენტარულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. სიუჟეტი შინაარსობრივი ფორმაა (და არა თვითონ შინაარსი) იმ პროცესებისა, რომლებიც კანონზომიერ ურთიერთობაში იმყოფებიან ნაწარმოების მთავარ გმირთან და ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი იმ სოციალურ ყოფასთან, რომელშიაც გმირის ჩამოყალიბება ხდება. სიუჟეტი ყოველთვის იწყება ერთი წერტილიდან, ვითარდება სწორი ხაზის მი-

[1] იხ. И. А. Виноградов. «Теория литературы», გვ. 50, 1936 წ.

მართულებით და ბოლოს იმავე წერტილს უბრუნდება გართულებული ფორმით. ფაბულა კი ჩონჩხია მთელი ნაწარმოებისა. იგი ლოგიკური ტიხრებით აერთიანებს ნაწარმოების ძირითადი ამბების განშტოებებს, აკავშირებს მათ სიუჟეტთან და აძლევს ერთ მთლიან ფორმას. ფაბულის სიმტკიცე ყოველთვის ბორკავს ავტორს და გარკვეულ ყალიბში აქცევს მის წინასწარ განზრახვებს. თუ რომანის წერის დროს ნაწარმოების ავტორი სიუჟეტს გაჰყვება და არ გაუწევს ანგარიშს ნაწარმოების ფაბულას, ჩვენ მივიღებთ რაღაც დაუსრულებელ ამბავს, რომელიც შეუძლებელია ჩაეტიოს რამდენიმე ტომში. ფაბულა ვერ დაუშვებს ამბავთა ხელოვნურ გაჭიანურებას, რადგანაც ასეთი პროცესით ფაბულა კნინდება და მხატვრული შენობა ინგრევა. სიუჟეტს კი, პირიქით უყვარს გაჭიანურება, ხელოვნური გაგრძელება. ზოგიერთი მწერლის სამკარიანი რომანები, ამ მცირე წინააღმდეგობის გზით სიარულის შედეგია. ავტორი არასოდეს არ უნდა აკნინებდეს ფაბულას სიუჟეტის ხარჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები კარგავს მხატვრულ ძალას. ამ თვალსაზრისით შეუძლებელია ფაბულისა და სიუჟეტის გაიგივება, ერთიმეორეში აღრევა.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ალექსანდრე ყაზბეგი სიუჟეტის უდიდეს ოსტატად უნდა ჩაითვალოს. ყაზბეგის შემოქმედების მიმზიდველი ძალა, სხვა ელემენტებთან ერთად, დაყრდნობილია მყარ სიუჟეტზე. იგი ახერხებს სიუჟეტური კვანძების არა მხოლოდ ოსტატურ გახსნას, არამედ ისეთი კოლიზიების შექმნასაც, რომლებიც ამძაფრებენ სიუჟეტის განვითარებას და ანტიური სიუჟეტის მსგავსად ნაწარმოებს ანიჭებს გრანდიოზულობას. მე-19 საუკუნის ფრანგულ რომანთან შედარებით, ალექსანდრე ყაზბეგმა ნაწილობრივ შესცვალა სიუჟეტის სოციალური ფუნქცია. ფრანგულ ფსიქოლოგიურ რომანში უმეტეს შემთხვევებში ფაბულა იფარგლება ორი ან რამდენიმე ადამიანის ურთიერთობით, ხოლო სიუჟეტი ლოგიკურად მიჰყვება გმირების სიყვარულის, ან სიძულვილის მთელ ისტორიას; ალექსანდრე ყაზბეგის ფაბულა კი შენდება სოციალური ფენების ურთიერთობაზე, ხოლო სიუჟეტი კანონზომიერად მისდევს იმ ისტორიული პროცესების განვი-

თარებას, რომლებიც განაგებენ რომანში აღწერილ გმირსა და ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ყაზბეგის შემდეგდროინდელი ანტირეალისტების იერიში სიუჟეტის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, გათავდა მინიატურული ბოთხრობების შექმნით. მაგრამ მინიატურამ ვერ შესცვალა სიუჟეტური რომანი. დიდი ხელოვნების თანდაყოლილ თვისებაა სიუჟეტი წარმოადგენს. ამიტომ მის წინააღმდეგ ლაშქრობა ყოველთვის დამარცხებით დამთავრდება. ჩვენი დიდი ეპოქის ლიტერატურა თავის დიდების მწვერვალს მიაღწევს მხოლოდ სიუჟეტის მაქსიმალური გამოყენებით. ამ პირობებში ალექსანდრე ყაზბეგი, სხვა დიდ კლასიკოსებთან ერთად იქნება საუკეთესო მაჩვენებელი და მეგზური ჩვენი მწერლებისა.

*

ყაზბეგის ესთეტიკის ნათელსაყოფად უკანასკნელად გვინდა შევეხოთ სილამაზის, მშვენიერების იდეალს მის შემოქმედებაში, ყაზბეგის ესთეტიკაზე მსჯელობა ჩვენ ალექსანდრე მაკედონელის სიტყვით დავიწყეთ. რადგანაც იგი ზუსტად და თვალსაჩინოდ გამოხატავს არა მხოლოდ ელინური კულტურის დამოკიდებულებას სილამაზის იდეალთან ხელოვნებაში, არამედ თვით ყაზბეგის დამოკიდებულებასაც სილამაზესთან. „მაქებ, მაშასადამე, შენ სილამაზეს მანიჭებ," — ამბობდა ანტიური საბერძნეთის გენიალური პოეტი ქალი საფო. ქება ელინელებისათვის სინონიმი იყო სილამაზისა, მშვენიერებისა. ძველი ბერძნების აზრით მუზა მოწოდებული იყო სიმღერისათვის სილამაზეზე. განა ამ შეგნებით არ მოუწოდებდა ჰომეროსი „ოდისეია"-ში თავის მუზას, რომ დახმარებოდა მას სილამაზის შექმნაში; განა ამავე შეგნებით არ სთხოვდა შოთა რუსთაველი უზენაესს — ძალასა და შეწევნას უკვდავ „ვეფხისტყაოსანში"? მხატვრული სიტყვის ამ გენიალურ ოსტატს ქება მიაჩნდა სილამაზის სინონიმად. „თამარს ვაქებდეთ, მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული, ვთქვენი ქ ე ბ ა ნ ი ვისნი მე არავად გამორჩეული, მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად

მ ე ნ ა რ ხ ე უ ლ ი“; ან კიდევ: „მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე კბილისა“. ამ დებულებას ადასტურებს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფი: „ამირან დარეჯანისძე, მოსეს უქია ხონელსა, აბდულ მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა, დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა, ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა“.

მწერლის ამგვარი დამოკიდებულება სამწერლო თემასთან განსაზღვრავდა ნაწარმოებთა ესთეტიკურ ღირებულებას, მათ მშვენიერებას. ოსკარ უალდი „დორიან გრეის პორტრეტის“ წინასიტყვაობაში, ანტიური ესთეტიკოსების მსგავსად, ამბობდა: „ხატვარი — შემოქმედია სილამაზისაო“. ბაგრამ სილამაზეს უალდი იღებს არა როგორც სასარგებლო თვისებას, არამედ, როგორც ინტერესის გარეშე მოწონებას. ამ შემთხვევაში ოსკარ უალდი დაყრდნობილია კანტის ცნობილ ფორმულაზე: „მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ყოველი ინტერესის გარეშე მოსაწონია“. ჰეგელი აღნიშნავდა, რომ კანტს მშვენიერების იდეალი მეტაფიზიკურად აქვს გაგებული და მის გაგებას არსებითად არავითარი საერთო არა აქვს ადამიანის იდეალებთან, და არც ბუნების სიმშვენიერესთან. შლეგელთან ესთეტიკის საკითხებზე განათლულ კამათის დროს, ჰეგელი კანტის ზემოთმოყვანილ ფორმულას იხილავდა, როგორც ანარეკლს პლატონის ესთეტიკური შეხედულებებისას. პლატონის აზრით, — ამბობს ჰეგელი — მშვენიერების განცდა სიყვარულითაა შესაძლებელი. სიყვარული ჭეშმარიტი წყაროა მშვენიერებისა; მაგრამ პლატონს სიყვარული ესმოდა არა როგორც პრაქტიკული დანიშნულება, არამედ როგორც იდეალური განცდა. აქედან წარმოსდგა სახელწოდება „პლატონური სიყვარული“.

მშვენიერების იდეალი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში განბანილია სიყვარულის ემბაზში, ბაგრამ აქ სიყვარული, გაგებულია, როგორც სასარგებლო თვისება ცხოვრებისა. „მე არ ვხატავ პლატონურ სიყვარულს, და თუ ხანდახან ჩემი გმირები სცოდავენ, სცოდავენ, როგორც ადამიანები“, — ამბობდა ყაზბეგი. მთელი შემოქმედება ალექსანდრე ყაზბეგისა ძლევა-

შოსილი ჰიმნია სიყვარულისა. მის შემოქმედებაში ეს გრძნობა რაღაც მაგიურ როლს თამაშობს. ამ ძალას ადამიანი ხშირად თავდავიწყებამდე მიჰყავს, ბაგრამ ყოველივე ეს ყაზბეგის მადლიან მარჯვენას იმ ძალით აქვს დახატული, რომ არამც თუ გვაჯერებს, არამედ იძულებული ვართ ვუთანაგრძნოთ იმათ. კინც სიყვარულით დატანჯულა ამ ქვეყანაზე. სიყვარულის ძალა ყაზბეგის შემოქმედებაში ხშირად ანგრევს ხელოვნურად შექმნილ ადათებსა და წესებს; იგი ქედს არ იხრის თვით უკიდურესი სასჯელის წინაშეც კი და მზად არის ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათვის. ალექსანდრე ყაზბეგმა გულთამხილავის თვალით ჩაგვახედა ადამიანის სულში და გვაგრძნობინა სიყვარულის საიდუმლო დიდება. ქალი მთიელისათვის წუთიერი აფეთქების საგანი კი არ არის, არამედ გამუდმებული ცეცხლია, რომელიც სწვავს ვაჟკაცის არსებას. ყაზბეგის გაგებით სიყვარული მოწინააღმდეგე სქესის — თავისი ბუნებრივი ფორმით — უმაღლესი განცდაა ადამიანისა. სიყვარულის გარეშე მას ვერ წარმოუდგენია ადამიანის ცხოვრება. ყაზბეგი თავის სილამაზის, მშვენიერების იდეალით (სიყვარულის საკითხებთან დაკავშირებით) ერთი მხრით — უარყოფაა პლატონიზმისა, მეორეს მხრივ ეპიკურობის. ყაზბეგი განყენებულ თეორიებს არ ქმნის სიყვარულის იდეალზე; იგი მას იღებს ისე როგორც ხალხს სწამს, როგორც თვით ცხოვრებაშია მოცემული. ხალხის წარმოდგენაში ყაზბეგი ხედავს უმაღლეს ჭეშმარიტებას და მშვენიერების იდეალსაც ისე უცქერის, როგორც პროდუქტს სოციალური ცხოვრებისას. მაგრამ ყაზბეგი უკიდურესამდე არ მიდის, და თუ მისი გმირები (მათია და სხვ.) ზოგჯერ სცოდავენ, სცოდავენ როგორც ადამიანები. ამრიგად, ყაზბეგისათვის სილამაზეს ერთი დანიშნულება აქვს, — სიმშვენიერე და ლაზათი მისცეს ადამიანის ცხოვრებას. ასე უყურებს სილამაზეს არა მარტო საზოგადოებრივ ურთიერთობაში, არამედ ბუნებაშიც კი. „რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც აშუქებს ათას ყვავილებს, თუ იქაც გვერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს... მე არ ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა, ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი, ვერ მოუბ-

რუნდება მკვდარს, მოქმედება მოკლებულ საგანს". ასე აფასებდა ყაზბეგი ბუნების სიმშვენიერეს.

როცა გონების თვალით ვაფასებთ სილამაზის იდეალს ყაზბეგის შემოქმედებაში, შეიძლება ერთი საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა. ყაზბეგი ამ საკითხშიც ისე, როგორც შემოქმედების სხვა საკითხებში, დაყრდნობილია სილამაზის იდეალის ანტიურ გაგებაზე. სიყვარული ჰეშმარიტი წყაროა სილამაზისა და მშვენიერებისაო, — შენიშნავდა არისტოტელი „პოეტიკაში", ელინური გაგება სილამაზისა, რაკი ჰეშმარიტ საფუძველს, საზოგადოებრივ ურთიერთობას ემყარებოდა, იქცა საყოველთაო ჰეშმარიტებად ყველა დროისა და ხალხისათვის.

2.

ჩვენ განვიხილეთ ყაზბეგი, როგორც ესთეტიკოსი, მაგრამ მისი ეთიკა გაცილებით უფრო ძლიერი და რთულია. ყაზბეგის შემოქმედებაში ეთიკა იმავე როლს თამაშობს, რასაც ანტიურ ლიტერატურაში ბედისწერა. საოცარი იყო ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ხვედრი ქართულ ლიტერატურაში. ორი დიდებული მთიელის მოსვლამ ახალი ძალით გახსნა საუკუნეების გრძელ მანძილზე მიყენებული ჭრილობანი და მთელი ენებით გვაგრძნობინა სულიერი ტკივილები ქართველი ხალხისა; ისინი მოვიდნენ, როგორც დიდი მორალური კულტურის ადამიანები, როგორც მოძღვართ-მოძღვრები. ერთი შეხედვით ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა თავანთი ეთიკით სრულიად განმარტოებით დგანან ქართული ლიტერატურის ისტორიაში, თითქოს მათ არც წინაპარი ჰყავთ და არც მიმდევარი. ყაზბეგისა და ვაჟას ეთიკის მიხედვით სამყარო ერთი მთლიანი მგრძნობიარე ელემენტია; ეს მთლიანობა არღვევს ორგანულ და არაორგანულ ბუნებას შორის მოთავსებულ ზღვარს. ორივეს სჯერა, რომ „არს ენა რამ საიდუმლო, უასაკოთ და უსულო შორის". ამ შეგნებით ვაჟამ გამონახა საერთო ენა ყვავილებთან, ხეებთან, ბალახებთან, ე. ი. უსულო ბუნებასთან, ალექსანდრე ყაზბეგმა გვაჩვენა საიდუმლო კავშირი, რომელიც დასაბამიდან არსებობდა ადამიანსა და ბუნე-

ბას შორის. ვაჟა ბრძენი მინდიას სახით ამაყად შევიდა ბუნების დიდ ლაბირინთში და რაღაც ჯადოსნური ძალით იგრძნო მთელი მისი საიდუმლოება. პოეტს, როგორც სულიერ, ისე უსულო ბუნებაში ყველაზე მეტად აწუხებდა უსამართლობა. მას, როგორც ბრძენს, ისევე ებრალება დიდი ჭანდრის ქვეშ უმწეოდ დამჭკნარი ია, როგორც თემის მიერ უსამართლოდ დევნილი, სახელგანთქმული ალუდა ქეთელაური. ვაჟა გრძნობს ჩიზეზს ამ უსამართლობისას, რომ უფრო მეტად შეეგრძნო უსამართლობის ძალა მთელ ბუნებაში, საჭირო იყო უსულო საგნების განსულიერება. „უსულო საგნებს სული ჩავბერეო", — ამბობდა ვაჟა, მაგრამ ამ განსულიერებით ბუნების ვაგება ჩვეულებრივ ადამიანს როდი შეეძლო, რადგანაც ამგვარმა ადამიანმა არ იცის საიდუმლო ენა, რომელიც წარმოადგენს გასაღებს ბუნების ლაბირინთში შესასვლელად. ვაჟამ იგრძნო ამ ძალის საჭიროება და ბიბლიური თქმულების მსგავსად, გველი, როგორც სიბრძნის ნიშანი, შეაჭამა მინდიას. ამის შემდეგ მინდიას ახალი სული ჩაედგა; მან შეისწავლა ბუნების საიდუმლო ენა. მაგრამ იგივე სიბრძნე იქცა ერთგვარ ბედისწერად მინდიას ცხოვრებაში, რომელმაც დაღუპა იგი. მინდია გრძნობს, რომ სულიერი კავშირის დამყარება უსულო ბუნებასთან ეწინააღმდეგება ცხოვრების უზენაეს კანონს, მიუხედავად ამისა მინდიას არ შეუძლია სხვა ადამიანებივით გულგრილად მოექცეს მის გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებს. ამრიგად, წინააღმდეგობამ შეგნებასა და ცხოვრების რეალურ საჭიროებას შორის დაღუპა მინდია.

ასე უთანასწორო ბრძოლაში იღუპება ვაჟა-ფშაველას ყოველი გმირი — დაწყებული არწივიდან — გათავებული შვლის ნუკრით. ასე იღუპება: განთქმული ზვიადაური, ბერი ლუხუმი, ალუდა ქეთელაური და სხვა. დაღუპული ვაჟკაცების სანუგეშოდ ვაჟას ერთი-ღა დარჩენია განაცხადოს: „ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია". ამრიგად, ვაჟას წარმოდგენით, ეთიკური კონფლიქტი ბუნების ყოველ არსის შეგნებასა და ნამდვილ ცხოვრებას შორის არის ტრაგედიის საფუძველი მთელ სამყაროში, მაგრამ ვაჟას ეთიკა ყოველ ტრაგედიას როდი უთანაგრძნობს. ვაჟამ სამშობლოს ღალატისა და

სიმხდალისათვის ხეზე ჩამოჰკიდა წიწოლა; აფშინას მოქმედება მასში ზიზღს იწვევდა. ვაჟას სძაგს ყოველგვარი სიმხდალე, მტრისა იქნება იგი თუ მოყვრისა, მაგრამ პატივს სცემს მტრის ვაჟკაცობასა და პირდაპირობას. მან თავის საყვარელ გმირს ალუდა ქეთელაურს არ მოაჭრევინა მარჯვენა ვაჟკაცობით განთქმული ქისტი მუცალისათვის, მაგრამ ვაჟას ეთიკით „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა". ამ მომენტში ყველაზე მეტად ჩანს ვაჟას ეთიკის უნივერსალობა, ვაჟა იმ ქვეყნის შვილია, რომლის რწმენითაც „ვაჟაი ნაჩეხი სჯობიან".

ალექსანდრე ყაზბეგის გმირებს მინდიასავით გველისაგან არ მიუღიათ სიბრძნე, მაგრამ მათ ესმით ბუნების საიდუმლო ენა. ისინი იმ ქვეყანაში დაიბადნენ, სადაც „კაცის პირით თვით ღმერთი ლაპარაკობდა", სადაც სწამდათ და სჯეროდათ „ხმა ღვთისა და ხმა ერისა". ამ ცნებებს ემყარება ყაზბეგის ეთიკა. მწერალი ყოველ მოვლენასთან მიდის ამ ეთიკით. და ასეთი თვალსაზრისით ზომავს ყოველ საგანს. ერთ თავის პირად წერილში ყაზბეგი გაკვრით ეხება საკუთარი ეთიკის სიმტკიცის ძალას. „მე ვარ მთიელი... დიახ, მთიელი... აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველთაგანვე სამარცხვინო ყოფილა ხალხში, სადაც სიტყვას „ბატონ-ყმობა" აღგილი არასოდეს არ ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადი ღირსებით შესძლებია. დიახ, ჩემო მკითხველო! იქ გავჩნდი, ამ ხალხში აღვიზარდე. აქვე ვწოვდი მთიელი დედაკაცის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დიდებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებისაგან... ვიზრდებოდი მათ შორის, და სანექტარო ნიავთან ერთად, სმენასა სწვდებოდა ნანა ჩემი მწოებელისა, რომელიც იძახდა: ვინც თვისას ვერ თვისობს, მას აღმზრდელის რძე პირიდან წაჰოუვაო...

მოთავე ხალხში ტრიალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნა მათი ძალა და დღემდის ჩემი სისხლის შემადგენელნი არიან მთის ნაკადულში შერეული რკინა და კლდეთა შორის ნაჩეჩქვი წვეთები. მათგან აღზრდილი თეთრს ხადის თეთრად და შავს — შავად, თავისას გრძნობს თავისად და უცხოს უცხოდ". ეს სიტყვები შეეძლოთ გაემეორებინათ ალექსანდრე ყაზბეგის გმი-

რებსაც. აქა ჩანს დიდი მორალური პიროვნება, რომელსაც დაკისრებული აქვს არა მარტო სიტყვის ოსტატის, არამედ მოძღვრის როლიც. ყაზბეგი თავის ბუშაობას ხელოვნებაში არ უცქერის, როგორც მხოლოდ საშუალებას, ის თავისთავად მიზანიც არის. მწერალი, როდესაც ეს საჭიროა, თავის პირად არსებობას მსხვერპლად სწირავს ხელოვნებას, სარწმუნოების მქადაგებლის მსგავსად. აქ არის ყაზბეგის შემოქმედების თავისებური ხასიათი.

ყაზბეგმა არ იცის ნახევარი გულით სიყვარული ან სიძულვილი. ჰომეროსის ოდისეის მსგავსად მისთვის ორი ცნება არსებობს მხოლოდ: აბსოლუტური მიღება და აბსოლუტური უარყოფა, ეს არის ყაზბეგის ეთიკის ძალაცა და სისუსტეც. სიკეთისა და ბოროტების, ვერაგობისა და სიყვარულის, სიცოცხლისა და სიკვდილის გამუდმებული ჭიდილი იყო ყაზბეგის პოეტური სტიქია. ყაზბეგს ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ადამიანი ბუნებით დაბადებულია თავისუფლებისა, სიხარულისა და ბედნიერებისათვის, მაგრამ „სამწუხარო დრო“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, არ იძლეოდა ამის საშუალებას. ტირანია ბუნებით თავისუფალ ადამიანს ბორკილებში ამწყვდევდა. მაგრამ ყაზბეგის გმირები ქედმოუხრელი, ფოლადით ნაჭედი ადამიანები იყვნენ. სამართლიანობისათვის ბრძოლაში მათ არ იციან ბედთან შერიგება. უკან დახევა და კომპრომისი ეწინააღმდეგება ყაზბეგის ეთიკურ კანონებს, ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის ზნეობასაც, სადაც აღიზარდნენ ყაზბეგის გმირები. „ერთხელ ნაშობი, ერთხელ მოკვდებაო“— ეს იყო უმაღლესი მორალური ძალა ყაზბეგის ეთიკისა. მაგრამ ამ ცნებას ერთი მიმართულება ჰქონდა; ადამიანის ვაჟკაცური სიკვდილი გამოწვეული უნდა ყოფილიყო სამშობლოსადმი, ხალხისადმი სიყვარულით. სამშობლო — აი ყაზბეგის ეთიკის ძალა. მოიგონეთ ხევისბერი გოჩა; იგი შემდეგი სიტყვებით არიგებს საკუთარ შვილს ბრძოლების დაწყების წინ: „არ დაიწიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს. მათი სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის

გაუქღენთავს... ახლა თქვენ იცით, რასა იქთ... თუ სიკვდილი შეგემთხვა — ისიც უფლის ნებაა. ერთხელ ნაშობი — ერთხელ მოკვდება... მაგრამ ვაჟკაცურად კი მოკვდი, ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს. ეს სიტყვები ყაზბეგის ზნეობის საფუძველია; მაგრამ ყაზბეგის ეთიკის რეგულატორს წარმოადგენს მისივე სიტყვები: „ძალა რწმუნებაშია, რაკი რწმუნება შეირყევა, ძალაც უნდა დაირღვეს“, ამ რწმენის განმტკიცებისათვის ჰკლავს ხევისბერი გოჩა პირმშო შვილს, იმავე რწმენისათვის ყაზბეგი თავის ფოლადით ნაქედ ვმირებს ძმობასა და ხანჯალს აფიცებდა. შეხედეთ ელგუჯას, ამ ბაწრისაგან ნაქსოვ ტანსაცმელით შემოსილ რაინდს და დარწმუნდებით ყაზბეგის ეთიკის ძალაში. ელგუჯა რაინდულად იღუპება ბრძოლაში სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის. ყაზბეგის გმირებს სწორედ ამგვარი დაღუპვა მიაჩნიათ უწმინდეს მოვალეობად სამშობლოსა და ხალხის წინაშე, ხალხიც პატივს სცემს მათთვის დაღუპულთა ხსოვნას. „ლომისის მადლმა, მიმართავდა მთიელი ბერდია ვაჟკაცურად დაღუპვილ მეომრებს, თამარ პირმზე მიგიძღვებათ მეუფესთან!.. თავად უამბობს თქვენს ვაჟობას და თავის გვერდით სკამს დაგიდგამთ... ვაი ამათ, რომ ადრე დაიხოცენით და თქვენი მარჯვენა ვეღარ .გააციებს მტრის გულს!.. გმარხავთ იმისთვის, რომ ნადირს არ გაეფუშებინა თქვენი პირისახე, მაგრამ ღვთის მადლმა, უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსა, — თქვენისთანა ვაჟკაცებს აბა ყორნის მეტი რა მიუდგება... თქვენ ცხონება. დამრჩომთ—დანახვა და გაგონება: სისხლს სისხლი გასწმენდს, ვაჟკაცს გულადობა, მტრისგან უშიშრობა“. ასე ინახავდა ხალხი მათთვის დაღუპვილ ადამიანთა ნათელ ხსოვნას, ასეთი გულისტკივილით ეპყრობოდა იგი სამშობლოსათვის თავდადებულთ.

მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგის ეთიკა არ არის ჩაკეტილი ეიწრო ნაციონალურ ფარგლებში; რომელი ქვეყნის წარმომადგენელს არ შეხვდებით ყაზბეგის შემოქმედებაში! მაგრამ მის შემოქმედების არენაზე გამოსულ გმირებს ერთი მიზანი, ერთი ეთიკური კანონი აქვთ. ისინი იბრძვიან ბოროტების წინააღმდეგ უმაღლესი ადამიანური სიკეთისათვის, ჰეშმარიტი

ადამიანური ცხოვრებისათვის. ამ ეთიკურ პრინციპს უმორჩილებს ყაზბეგი ხელოვნების დანიშნულებასაც. შეიძლება ყაზბეგის ამგვარ მოქმედებაში ზოგიერთმა „ესთეტიკოსმა“ ხელოვნების ინტერესებისადმი ღალატი დაინახოს, მაგრამ მაშინ მან ცილი უნდა დასწამოს უდიდეს მეცნიერს სპინოზასაც, რომელიც მეცნიერებას ისე უყურებდა, როგორც საშუალებას უმაღლესი ადამიანური ცხოვრებისათვის ბრძოლაში. თავის შესანიშნავი წიგნის „Tractatus de intellectus emendatione“ მეექვსე გვერდზე სპინოზამ, ყველაფერი მეცნიერებაში, რაც მიზნად არ ისახავდა ადამიანის ცხოვრების მოწესრიგებას უმაღლესი ადამიანური თვალსაზრისით, უარყო, „როგორც უსარგებლო“. განა ასევე არ აფასებდა პოეზიის დანიშნულებას გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე? მოიგონეთ მისი სიტყვები

Ein neues Lied, ein schoneres Lied
O Freunde, wiell ich euch dichten,
Wir wollen hier auf Erden schon,
Das Ilimmelreich errichten!

ყაზბეგის ეთიკის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამყარო ერთი მთლიანი, ჰარმონიული და განუყოფელი ნაწილებისაგან შედგება. ყაზბეგის გმირები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერიდებიან ჰარმონიის დარღვევას ბუნებაში: ისინი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლით ცდილობენ უხეში ძალის მიერ დარღვეულ ჰარმონიის აღდგენას. მაგრამ ყაზბეგის ეთიკა, ისე როგორც მისი ესთეტიკა, დაყრდნობილია მწერლის აწმყო დროზე და განსაზღვრულია იმავე აწმყოთი. თავისი ეთიკური კანონებით ყაზბეგი ნამდვილი მთიელი იყო და საკუთარი გმირების მსგავსად „ჯვარი-სპასს-ანგელოზსა“ და „პირიმზეს“ ლოცულობდა. ხევის ბერ გოჩასავით უყვარდა თავისი სამშობლო და მუხლს იდრეკდა მისი სიდიადის წინაშე. ყაზბეგის რაინდულ მკერდ ქვეშ, უდიდესი მორალური კულტურის მატარებელი ადამიანის გული ძგერდა. ამ გულმა იცოდა განუზომელი სიძულვილი შტრისა და უსაზღვრო სიყვარული მოყვრისა. ყაზბეგმა გულთამხილავი წინაგრძნობით გახსნა ერის სხეულზე მიყენებული ჭრილობანი და თავისი გრძნეული კალმით ცდილობდა მის დაყუჩებას. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს ყაზბეგს მხოლოდ თავისი ხალხის და თავისი ქვეყნის

ბედი აწუხებდა. მას ტანჯავდა ყველა დაჩაგრული ერისა და ხალხის წყლულები. კიდევ მეტი: ყაზბეგს აწვალებდა თვით რუსი ჯარისკაცების ბედიც კი. მწერალი გრძნობდა, რომ ისინი ძალით აჰყარეს ფავიანთ სამშობლოდან და, მშვიდობიანობისა და თავისუფლების მოყვარული რუსი ხალხი მონარქიზმის მათრახების ქვეშ ნადგურდებოდა თავის ქვეყანას მოშორებული.

საუკუნეების ტევრში გამოვლილი ქართველი ხალხის ზნეობა და კაცთმოყვარეობა იყო საფუძველი ყაზბეგის ეთიკისა, მისი მორალური კანონებისა. ამაში იყო მისი ძალა და უძლეველობა, მაგრამ თუ კაცთმოყვარე ყაზბეგის გულს ძველმა ცხოვრებამ სძლია და ზნეობრივმა კეთილშობილებამ იგი სულიერად დააავადა, ეს იყო დროებითი წამოჩოქება სიკვდილის წინაშე, რომელიც დასრულდა მწერლის ფიზიკური განადგურებით; მაგრამ თვით სიკვდილიც კი უძლური აღმოჩნდა ყაზბეგის სულთან ბრძოლაში.

როგორც ილია ამბობდა: ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერაფერს დააკლებსო. ყაზბეგი კი ორჯერ იყო დაბადებული; იგი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი მომჯადოებელი კალმით დაუკავშირდა ქართველი ხალხის კეთილშობილ გულს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება 5

ალექსანდრე ყაზბეგი—როგორც ბელეტრისტი 30

ალექსანდრე ყაზბეგი—როგორც დრამატურგი 153

ყაზბეგის ესთეტიკა და ეთიკა 174

რედაქტორი თ. დაუშვილი
მხატვარი ნ. სულმანაშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი მ. ანუაშვილი
კორექტორები: ნ. თავაძე, ნ. კირთაძე
გამომშვები გ. ბენიძე

ს. ბ. № 111

გადაეცა წარმოებას 1/VI-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/V-78 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 3 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,92
საღრ.-საგამომცემლო თაბახი 9,46
უე 06898 ტირაჟი 2 000 შეკვ. № 5644

ფასი 1 მან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.